

კავკასიონ საერთაშორისო უნივერსიტეტი

CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY



გამოცემლები „მერიდიანი“

MERIDIAN PUBLISHERS

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

Caucasus International University

გიორგი შიხაშვილი
მარინა გედვანიშვილი
კახაბერ რუსიძე

GIORGI SHIKHASHVILI
MARINA GEDEVANISHVILI
KAKHABER RUSIDZE

პროექტების მენეჯმენტი

PROJECT
MANAGEMENT

სახელმძღვანელო

TEXTBOOK

მეორე შევსებული გამოცემა

The second completed edition

თბილისი 2012

TBILISI 2012

თავი 1 უსავალი მეცნიერების თეორიაზი

გიორგი შინაშვილი, მარინა გელევანიშვილი, კახაბერ რუსიძე. პრო-
ექტების მენეჯმენტი. თბილისი, „მერიდიანი“, 2012

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკური და ბიზნეს-ადმინ-
ისტრიორების პროფესიის სტუდენტებისათვის. იგი, აგრეთვე, დიდ
დამარტინის გაუწევს ბაზნესმენებს, მმართველობით პერსონალს, საპ-
როექტო გუნდებს, პროექტ-მენეჯერებს და განხილული თემატიკით
დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

რედაქტორი პროფესორი ევგენი ბარათაშვილი
რეცენზენტები: პროფესორი გიორგი მერლანი
პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი

© კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2012
© გამომცემლობა „მერიდიანი“
© გიორგი შინაშვილი, მარინა გელევანიშვილი, კახაბერ რუსიძე

ISBN 978-9941-10-511-1

1.1. მეცნიერები და მეცნიერების ფუნქციები

ამ თავში გადმოცემულია იმის შესახებ, თუ რამდენად საინ-
ტერესო, მიმზიდველი და მნელია სამუშაო, რომლითაც დღეს
დაკავებულია მილიონობით მენეჯერი. მენეჯმენტი დღეს მუდმი-
ვად იცვლება, ყველა სამუშაო ადგილზე აქტიურად ინერგება
ახალი ტექნოლოგიები და ხერხები, რომლებიც რადიკალურად
ცვლიან მართვის მეთოდებსა და მიდგომებს. ახალმა გარე-
მოებამ შეცვალა ურთიერთობებიც მენეჯერებსა და დანარჩენ
თანამშრომლებს შორის.

თანამედროვე განსაზღვრებით მენეჯერი – ეს არის ორგანიზაციის
წევრი, რომელიც აერთიანებს და ახდენს მისი სხვა წევრების მუშაო-
ბის კოორდინაციას ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. მენეჯერის
მუშაობა მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ გაზარდოს თავ-
ისი პირადი ეფექტურობით, არამედ იმაშიც, რომ დაეხმაროს სხვა
ადამიანებს სამუშაოს შესრულებასა და დასახული მიზნების მიღ-
წევაში. ეს შეიძლება ნიშნავდეს როგორც უშუალო პასუხისმგე-
ბლობას ერთ განყოფილებაში ადამიანთა ჯგუფის საქმიანობის
მიმართ, ისე ერთი ადამიანის მუშაობის ხელმძღვანელობას,
აგრეთვე, შეიძლება მდგომარეობდეს რამდენიმე სხვადასხვა განყო-
ფილებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის თანამშრომლებისაგან
შემდგარი კოლექტივის საქმიანობის კოორდინაციაშიც.

იერარქული სტრუქტურის მქონე ორგანიზაციებში მმართველ
პერსონალს ყოფენ ტექნიკური (დაბალი ან ოპერატორული), საშუალო
და უმაღლესი დონის მენეჯერებად.

ასეთ ორგანიზაციებში მენეჯერების ფაქტობრივი როლის
განსაზღვრა არ არის მნელი, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ მე-
ნეჯერები შეიძლება იკავებდნენ სხვადასხვა სახელწოდების თანამდე-

ბობებს:

- **ტექნიკური** (დაბალი ან ოპერატიული) დონის მენეჯერები მოქმედებენ ყველაზე დაბალ მმართველობით დონეზე, მათ ხშირად უწოდებენ ხაზის მენეჯერებს ან სუპერვაიზერებს. ისინი მართავენ რიგით მუშაკებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავებული ორგანიზაციის პროდუქტის წარმოებაში. სამრეწველო საწარმოში ამ დონის მენეჯერს უწოდებენ ოსტატს (ან ბრიგადირს);
- **საშუალო დონის მენეჯერების** კატეგორიაში შედის ყველა მმართველი, რომელიც მუშაობს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის დაბალ და უმაღლეს დონეებს შორის. ისინი მართავენ დაბალი დონის მენეჯერების მუშაობას. მათი თანამდებობის შესაძლო სახელწოდებებია – განყოფილების ან სააგენტოს უფროსი, პროექტის ხელმძღვანელი, ქვედანაყოფის დირექტორი, ქვედანაყოფის მენეჯერი;
- **უმაღლესი დონის მენეჯერები** ან შედიან ორგანიზაციის ხელმძღვანელობის შემადგენლობაში, ან სათავეში უდგანან მას. ისინი ღებულობენ გადაწყვეტილებებს მთელი ორგანიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის სფეროში და პასუხს აგებენ კომპანიის გამართულ მუშაობაზე. როგორც წესი, მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს ეწოდება: აღმასრულებელი დირექტორი, პრეზიდენტი, მმართველი, წარმოების დირექტორი, უფროსი ადმინისტრატორი, უფროსი მენეჯერი ან გამგეობის თავმჯდომარე.

ყველა ორგანიზაციას აქვს ასეთი ტრადიციული სტრუქტურა. ამასთან, ბოლო პერიოდში ზოგიერთი კომპანია გადადის ბევრად უფრო მოქნილ და თავისუფალ სტრუქტურაზე, როდესაც ფირმის თანამშრომლების საქმიანობა ეფუძნება მუდმივად ცვალებად საპროექტო გუნდებში მუშაობის პრინციპს.

ინვლისური ტერმინი მენეჯმენტი ეტიმოლოგიურად წარმოდგება იტალიური „ცხენოსნობის ხელოვნებიდან“ და ნიშნავს ხელმძღვანელობას, მართვას. მენეჯმენტი არის დაგეგმვის, ორგანიზაციის, ხელმძღვანელობისა და კონტროლის პროცესი, აუცილებელი იმისათვის, რომ ყველა შიგა და გარე რესურსის მობილიზების გზით მიღწეულ იქნეს ორგანიზაციის მიზნები.

მენეჯმენტში ხელმძღვანელობის სისტემა აგებულია მენეჯმენტის ოთხი ფუნქციის საფუძველზე, ესენია: დაგეგმვა, ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა და კონტროლი. მოკლედ განვხაზღვროთ თითოეული მათვანი:

- **დაგეგმვის ფუნქცია** მოიცავს მიზნების განსაზღვრას, მათი მიღწევისთვის სტრატეგიის არჩევას, აგრეთვე სხვადასხვა სახის საქმიანობის ინტეგრაციისა და კოორდინაციის გეგმების შეღვენას;
- მენეჯერები პასუხს აგებენ, აგრეთვე, კომპანიის სტრუქტურის განსაზღვრასა და ფორმირებაზე. ამ ფუნქციას ეწოდება ორგანიზაცია. ის მოიცავს შესასრულებელი დავალებების განსაზღვრა-დაჯვაუფებას, შემსრულებლების დანიშნას, იმის ანგარიშების სტრუქტურის შექმნას, თუ რა დონეზე იქნება მიღებული ესა თუ ის გადაწყვეტილება;
- თითოეული კომპანია აერთიანებს ადამიანებს. ამასთანავე, მმართველობითი მუშაობა მდგომარეობს მათი საქმიანობის სახეობების გაერთიანებასა და კოორდინირებაში. ამაში მდგომარეობს ხელმძღვანელობის ფუნქცია, როდესაც მენეჯერები ახდენენ ხელქვეითთა საქმიანობის მოტივირებას, წარმართავენ სხვა პირების მოქმედებებს, არჩევენ ურთიერთკავშირის ყველაზე ეფექტურან არხებს ან წყვეტენ კონფლიქტებს მუშაკებს შორის;
- **მენეჯმენტის ბოლო ფუნქციაა კონტროლი.** მას შემდეგაც კი, რაც მიზნები განსაზღვრულია (დაგეგმვის ფუნქცია), გეგმები შემუშავებულია (დაგეგმვის ფუნქცია), შექმნილია კომპანიის სტრუქტურა (ორგანიზაციის ფუნქცია), სამუშაოდ აყვანილია და მომზადებულია პერსონალი,

მენეჯერთა როლები ჰ. მინცბერგის მიხედვით

უზრუნველყოფილია მისი მოტივაცია (ხელმძღვანელობის ფუნქცია) – შესაძლოა, მაინც რაღაც არ გამოდიოდეს. მენეჯერებმა უნდა აკონტროლონ სამუშაოების შესრულების ხარისხი, რათა უზრუნველყონ მოვლენათა სათანადო მსჯლელობა. ამ დროს სამუშაოს ფაქტობრივი ხარისხი უნდა შეადარონ დასახულ მიზნებს. სწორედ მმართველი პერსონალია ვალდებული – გამოავლინოს ნებისმერი მნიშვნელოვანი გადახრა და დააბრუნოს პროცესი საჭირო კალაპოტში. **მუზეუმი**, დაუშვებელ სიტუაციებზე დაკარვების, შედარებისა და გამოსწორების ასეთ პროცედურას ეწოდება კონტროლის ფუნქცია.

1.2. მენეჯერთა როლები

მენეჯერნების გამოჩენილი მკვლევრის პერი მინცბერგის აზრით, მენეჯერების მუშაობა ყველაზე უკეთესად აღიწერება როლების თვალსაზრისით, რომლებსაც ისინი ასრულებენ თავიანთი საქმიანობის დროს.

ჰ. მინცბერგის მიხედვით არსებობს მმართველი პერსონალის 10 სხვადასხვა, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული როლი. როგორც ცხრილიდან 1. ჩანს, ჰ. მინცბერგმა გააქრთიანა მმართველი პერსონალის 10 როლი სამ ძირითად ტიპად: 1) პიროვნებათაშორისი, 2) საინფორმაციო და 3) გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული როლები.

როლები	აღწერა	საქმიანობის მაგალითები
1) პიროვნებათაშორისი როლები		
1. ნომინალური მეთაური	სიმბოლური მეთაური; ვალდებულია შეასრულოს სამართლებრივი და სოციალური ხასიათის მუდმივი მოვალეობები	მომსვლელთა მიღება; იურიდიული დოკუმენტების ხელმოწერა
2. ლიდერი	პასუხს აგებს ხელქვეითთა მუშაობის მოტივაციასა და აქტივაციაზე; საკადრო უზრუნველყოფაზე და პერსონალის სწავლებაზე; არსებობის პირობების ამასთან დაკავშირებულ მოვალეობებს	პრაქტიკულად ყველა სახის საქმიანობის განხორციელება ხელქვეითთა არსებობის პირობებში
3. დამაკავშირებელი რგოლი	ინარჩუნებს მის მიერ შექმნილ საგარეო კონტაქტებისა და ინფორმაციის წყაროების ქსელს, რომელიც უზრუნველყოფენ დახმარებას და ინფორმაციის მიწოდებას	ფოსტის მიღება და ანალიზი; კომპანიის დირექტორთა მმართველობის საგარეო კავშირების მოწესრიგება; სხვა სახის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციის გარეკონტაქტებთან

2) საინფორმაციო როლები		
4. დამპვირვებელი	ეძებს და ღებულობს სხვადასხვაგვარ სპეციალურ ინფორმაციას (ძირითადად – მიმდინარე წასიათისა), რომელიც საჭიროა კომპანიისა და მისი გარემოს მდგომარეობის ყოველმხრივი შეფასებისათვის	პერიოდული გამოცემებისა და ანგარიშების კითხვა; პირადი კონტაქტები
5. გამავრცელებელი	გადასცემს გარედან ან ხელქვეითებისაგან მიღებულ ინფორმაციას ორგანიზაციის სხვა წევრებს; ინფორმაციის ნაწილი შეიცავს ფაქტობრივ მონაცემებს, ნაწილი გულისხმობს ზოგიერთიმიშვილოვანი პოზიციის ინტერპრეტაციასა და ინტეგრაციას, იმ ფაქტორების მიხედვით, რომელიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციაზე	ინფორმაციის გაცვლისათვის თათბირების ჩატარება; სხვადასხვა არხებით ინფორმაციის გადაცემა
6. წარმომადგენელი	გადასცემს ინფორმაციას ორგანიზაციის გეგმების, პოლიტიკის, მოქმედებების, შედეგების შესახებ, მათ შორის მის ფარგლებს გარეთ; გამოდის ექსპერტად დარგში, რომელშიც მოქმედებს ორგანიზაცია	მმართველობის კრებების ჩატარება; ინფორმაციის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

3) გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული როლები		
7. მეწარმე	შეიწავლის კომპანიას და იმ გარემოს, რომელშიც მოქმედებს, მონაწილეობს პოტენციური შესაძლებლობების ძებნაში, ახდენს „სრულყოფის პროექტების“ ინიცირებას ცვლილებების დასანერგად; ხელმძღვანელობს კონკრეტული პროექტების შემუშავებას	სტრატეგიის შემუშავება და ანალიზის ჩატარება ახალი პროგრამების შემუშავებისთვის
8. პასუხისმგებელი მუშაობაში შეფერხებების არარსებობაზე	პასუხის აგებს ზომების მიღებაზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანია აწყდება გაუთვალისწინებელ პრობლემებს	პრობლემების გადაჭრისა და კრიზისული სიტუაციებიდან გამოსვლის სტრატეგიის შემუშავება
9. რესურსების გამანაწილებელი	პასუხის აგებს ყველა სახის ორგანიზაციული რესურსების განაწილებაზე, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ორგანიზაციული გადაწყვეტილების მიღებაზე ან დამტკიცებაზე	გეგმების შედგენა; ნებართვების მიღება; ბიუჯეტისა და ხელქვეითთა მუშაობის პროგრამების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ღონისძიება
10. მოლაპარაკების მონაწილე	წარმომადგენს ორგანიზაციას მნიშვნელოვანი მოლაპარაკებების დროს	ხელშეკრულებების დადების თაობაზე მოლაპარაკებების დროს მონაწილეობის მიღება

ისმის კითხვა: მენეჯერების საქმიანობის აღწერისადმი, რომელი მიღვომა სწორი – როლების საფუძველზე თუ ფუნქციების საფუძველზე? თითოეულ მათგანს აქვს თავისი უპირატესობები. თუმცა, ფუნქციური მიღვომა დღემდე ითვლება ყველაზე მოხერხებულ მიღვომად მენეჯერის მუშაობის კონცეპტუალურიაზაციისთვის. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ პრაქტიკული მენეჯმენტის თვალსაზრისით, როლების მიხედვით მმართველობითი საქმიანობის კლასიფიკაციაც მეტად სასარგებლობა.

1.3. მართვის უნარ-ჩვევები

მმართველ პერსონალს, უპირველეს ყოვლისა, უნდა გააჩნდეს სამი ძირითადი ტიპის ჩვევა:

- **ტექნიკური უნარები** მოიცავენ ცოდნასასა და ოსტატობას გარემოებულ სპეციალიზებულ – საინჟინრო, კომპიუტერის, საფინანსო, საწარმოო და ა.შ. სფეროებში;
- სხვა ადამიანებთან კარგად მუშაობის უნარი როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფის შემადგენლობაში დამოკიდებულია **პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ჩვევაზე**. რადგან თითოეულ მენეჯერს უშუალოდ აქვს საქმე ადამიანებთან, ეს უნარი ძალზე მნიშვნელოვანია. პიროვნებათაშორისი ურთიერთობათა ჩვევების მქონე მენეჯერს შეუძლია ხელქვეითებთან მიაღწიოს მნიშვნელოვნად უფრო მაღალ შედეგებს. მან იცის, თუ როგორ იქონიოს ურთიერთობა ადამიანებთან, ასტიმულიროს მათი მუშაობა, უხელმძღვანელოს მათ და გამოიწვიოს მათი ენთუზიაზმი და ნდობა;
- **კონცეპტუალური ჩვევები** განსაზღვარებენ მენეჯერის უნარს – მუდმივად იფიქროს და გაიაზროს აბსტრაქტული სიტუაციები. მან უნდა დაინახოს თავისი ორგანიზაცია, როგორც ერთი მთლიანი, შეაფასოს მისი სხვადასხვა ქვედა-

ნაყოფის ურთიერთობები და განსაზღვროს ორგანიზაციის ადგილი გარე გარემოში. ეს ჩვევები აუცილებელია ნებისმიერი დონის მმართველი პერსონალისათვის, თუმცა, მათი მნიშვნელობა იზრდება მართვის სფეროში ზემდგომი თანამდებობის მიხედვით.

პრაქტიკოს-მენეჯერების პროფესიულმა ორგანიზაციამ, მენეჯმენტის ამერიკულმა ასოციაციამ (American Management Association - AMA) აგრეთვე, განსაზღვრა მენეჯერებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან უნარ-ჩვევათა საკუთარი ნაკრები, რომლებიც მოიცავენ შემდეგ ოთხ ასპექტს: 1) კონცეპტუალურ ჩვევებს, 2) კომუნიკაციის ჩვევებს, 3) ეფექტუალური ჩვევებსა და 3) პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ჩვევებს. მათი სრული ჩამონათვალი წარმოდგენილია **ცხრილ 1.2.-ში**.

ცხრილი 1.2.

მართვის უნარ-ჩვევები

1) კონცეპტუალური ჩვევები

- ინფორმაციის გამოყენებისა და ბიზნეს-პრობლემის გადაჭრის უნარი
- ნოვატორობის შესაძლებლობათა იდენტიფიკაცია
- პრობლემური დარგების გამოვლენა და გადაწყვეტილებათა შეთავაზება
- დიდი მოცულობის მონაცემებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის შერჩევა
- ბიზნესში ტექნოლოგიის გამოყენების უნარი
- ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელის გაგება

2) კომუნიკაციის ჩვევები
<ul style="list-style-type: none"> იდეების ტრანსფორმირება სიტყვებსა და მოქმედებებში კოლეგებსა და ხელქვეითებს შორის ნდობის მოპოვების უნარი მოსმენისა და კითხვების დასმის უნარი პრეზენტაციული ზეპირი ჩვევები პრეზენტაციული წერილობითი ჩვევები (როგორც მარტივ წერილობით გადმოცემაში, ისე სქემებისა და დიაგრამების სახითაც)
3) ეფექტიანობის ჩვევები
<ul style="list-style-type: none"> კორპორაციული მისიისა და საკუთარი ქვედანაყოფის მიზნებში საკუთარი წვლილის შეტანის უნარი კლიენტის მოთხოვნილებებზე კონცენტრაციის უნარი ერთდროულად რამდენიმე ამოცანაზე მუშაობის უნარი მოლაპარაკებათა წარმოების ჩვევები პროექტების მართვის ჩვევები ოპერაცითა გაანალიზებისა და სრულყოფის დანერგვის უნარი ეფექტიანობის შიდა და გარე სტანდარტების დადგენისა და შენარჩუნების უნარი დაკვირვებისა და მოქმედებებისთვის პრიორიტეტების დადგენის უნარი დროის მართვა
4) პიროვნებათაშორისის ურთიერთობის ჩვევები
<ul style="list-style-type: none"> ინსტრუქტირებისა და დამრიგებლობის ჩვევები სხვადასხვა პიროვნული თვისებების მქონე ადამიანებთან, სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის წარმომადგენლებთან მუშაობის ჩვევები; ორგანიზაციის ფარგლებში ადამიანების გაერთიანების უნარი

- ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ ადამიანების გაერთიანების უნარი
- გუნდში მუშაობისა და მის სხვა წევრებთან თანამშრომლობის უნარი; კოლექტივისადმი ერთგულება

დღევანდელ, უაღრესად დინამიკური განვითარების პირობებში მენეჯერებმა მუდმივად უნდა სრულყონ თავიანთი უნარ-ჩვევები და შეძლონ იმ დამატებითი ოპერაციების შესრულება, რომლებიც უშუალოდ არ შედის მათი კომპეტენციის სფეროში.

არსებობს ჩვევები, რომლებიც ასახავენ მჭიდრო ურთიერთ-კავშირს მმართველი პერსონალის საქმიანობის სხვადასხვა სახეობებს შორის და წარმოადგენენ მართვის ოთხი ბაზური ფუნქციის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს. ამ ურთიერთგავშირის მატრიცა წარმოდგენილია **ცხრილი 1.3.-ში**. ყურადღება მიაქციეთ, რომ მრავალი ჩვევა მნიშვნელოვანია არა ერთი, არამედ რამდენიმე ფუნქციის შესრულების დროს.

ცხრილი 1.3.

მართვის უნარ-ჩვევების მატრიცა მენეჯმენტის
ძირითადი ფუნქციების მიხედვით

ჩვევა	ფუნქცია			
	დაგეგმვა	ორგანიზაცია	ხელმძღვანელობა	კონტროლი
ბალაუფლების მოპოვება		✓	✓	
აქტიური მოსმენა			✓	✓
ბიუჯეტის შედგენა	✓			✓

ხელმძღვანელობის ეფექტური სტილის არჩევა			✓	
ინსტრუქტირება			✓	
ეფექტიანი გუნდების შექმნა		✓	✓	
უფლებამოსილებათა დაცვირება		✓	✓	
მამოტივირებელი სამუშაო დავალებების დაპროექტება		✓	✓	
ნდობის ატმოსფეროს ჩამოყლიბება			✓	
დისციპლინარული ზომების გამოყენება			✓	✓
გასაუბრების ჩატარება		✓	✓	
კონფლიქტების მართვა			✓	✓
მენეჯმენტი ცვლილებათა მიუღებლობის პირობებში		✓	✓	✓
დამრიგებლობა			✓	
მოლაპარაკებათა წარმოება			✓	
უკუკავშირის უზრუნველყოფა			✓	✓
ორგანიზაციული კულტურის გაგება		✓	✓	
გარე გარემოს შესწავლა	✓			✓

მიზნების დასახვა	✓			✓
პრობლემათა გადაჭრი-სადმი შემოქმედებითი მიღვობა	✓	✓	✓	✓
მრავალფეროვნების დაფასების უნარი	✓	✓	✓	✓

საკითხები თვითშემოწმებისა და გამორჩევისათვის

ინდივიდუალურად, წყვილებში ან გუნდებში განიხილეთ შემდეგი თემატიკა:

1. მენეჯერის თანამედროვე განსაზღვრება;
2. მმართველი პერსონალის იერარქიული დონეები;
3. რა არის მენეჯმენტი;
4. მენეჯმენტის ფუნქციები;
5. მენეჯერთა როლები ჰ. მინცბერგის მიხედვით;
6. მმართველი პერსონალის სამი მირითადი ტიპის ჩვევა;
7. მართვის უნარ-ჩვევები AMA-ს მიხედვით;
8. მართვის უნარ-ჩვევების მატრიცა მენეჯმენტის მირითადი ფუნქციების მიხედვით.

თავი 2

პროექტის გართვა ცვალებად სამყაროში

2.1. პროექტის მართვა – ახალი მნიშვნელოვანი საეციალობა

რას წარმოადგენს პროექტები და რატომა, რომ მრავალი კომპანია გადადის საპროექტო ფორმატით მუშაობაზე და შესაბამისად ახდენს საკუთარი საქმიანობის ორგანიზებას? რატომ იქცა პროექტების მართვა ასეთ მიზანდებულ სპეციალობად მრავალი სტუდენტისათვის, რომლებიც ოცნებობენ წარმატებულ პროფესიულ კარიერაზე? ამ წიგნის შესაბამის ნაწილებში თქვენ იპოვთ პასუხებს ამ და სხვა მრავალ შეკითხვაზე.

ვინაიდან პროექტების შესრულების პრინციპით მომუშავე ორგანიზაცია საგრძნობლად განსხვავდება ტრადიციული საწარმოებისაგან, ასეთი ფირმის ხელმძღვანელობის წინაშე დგება სრულიად ახალი ამოცანების გადაჭრის აუცილებლობა. ამისათვის უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში შემუშავებულ იქნა მრავალი ინსტრუმენტი და მეთოდი. წიგნში თქვენ იპოვთ ამ ინსტრუმენტებისა და მეთოდების მიმოხილვას, აგრეთვე, გაეცნობით ხუთ ფაქტორს, რომლებიც განაპირობებენ ნებისმიერი პროექტის წარმატებას.

სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვობთ, მუდმივად იცვლება და ამ ცვლილებების სისწრაფე განუხრელად იზრდება. იმისათვის, რომ არა მარტო გადარჩნენ, არამედ აყვავებასაც მიაღწიონ ასეთ სამყაროში, ორგანიზაციებს უხდებათ თავისი პროდუქციის მუდმივი განახლება და სრულყოფა.

პროექტი – ეს არის ეჯექტური საშუალება, რომლის დახმარებით ხდება ნებისმიერი ჩანაფიქრისა და ინოვაციის პრაქტიკული ხორციელება. დიდი ცვლილებები = მეტი ინოვაცია = მეტი პროექტი.

პროექტების მართვის მენეჯერები გარდაქმნიან გარემომცველ სამყაროს:

- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მობილიზებული „გაქცინაციის ჩატარების არმია“ სამი დღის განმავლობაში ახორციელებს პოლიომიელიტის ეპიდემიის თავიდან აცილების ელვისებურ ოპერაციას, უტარებს რა აცრებს ინდოეთის სამხრეთ ნაწილში დაახლოებით 130 ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობის მქონე ტერიტორიაზე მცხოვრებ 4,2 მლნ. ბავშვს;
- სამოქალაქო ავაიაციის თვითმფრინავების მწარმოებელი ახდენს თვითმფრინავის ახალი მოდელის შემუშავებას, რომელიც შესრულებულია მსუბუქი კომპოზიციური მასალებისაგან, რასაც მოაქვს საავიაციო საწვავის 20%-იანი ეკონომია ანალოგიური ტვირთამწეობის სხვა თვითმფრინავებთან შედარებით;
- NASA-ს სპეციალისტები აგზავნიან როულ რობოტებსა და ზონდებს მზის სისტემის პლანეტებზე, რათა განავრცონ ჩვენი შემეცნება დედამიწისა და მისი წარმოშობის შესახებ;
- ნანოტექნოლოგები მატერიის მოლეკულური დონეების კვლევის საფუძველზე, შეიმუშავებენ გაუგონარი პოტენციალისა და შესაძლებლობის მქონე მასალებს, რომლებიც ახდენენ არნახულ რევოლუციას მეცნიერებასა და პრაქტიკაში – ხიდების მშენებლობიდან დაწყებული და ჩვენს ტანსაცმელში ელექტროენერგიის გამოყენებით დასრულებული.

პროექტების ხელმძღვანელებს შეიძლება ყველგან შევხვდეთ: ისინი აგებენ სახლებს შემკვეთების ინდივიდუალური პროექტების მიხედვით; ხსნიან ახალ სამედიცინო კლინიკას; ადგენენ საბუღალტრო აღრიცხვის თანამედროვე სისტემას და წერენ ახალ წიგნს. ყოველთვის, როდესაც ადამიანები ახდენენ ცვლილებების ინიციატას, ისინი მართავენ პროექტებს.

ამ არის გასაკვირი, რომ პროექტების მართვის მეცნიერება ბოლოს

და ბოლოს, ჩრდილიდან გამოვიდა. სახელმწიფო სტრუქტურები, ბიზნეს-სექტორი და არასამთავრობო ორგანიზაციები სულ უფრო მეტად აღიქვამებ პროექტების მართვას, როგორც სერიოზულ დისციპლინას იმის კვალობაზე, თუ როგორ აცნობიერებენ მათი ლიდერები, რომ ხელმძღვანელობენ ორგანიზაციებს, რომელთა მუშაობას საფუძვლად უდევს პროექტების მართვის პრინციპები. ამასთან, ცნობილია, რომ ცვლილებები და პროექტები ჩვენს გარემონცველ სამყაროში უკვე ათასწლეულებია არსებობენ. მაში, რა შეიცვალა სწორედ ახლა? და არსობრივად რას წარმოადგენს „პროექტების მართვა“?

სანამ გავიგებთ პროექტების მართვის საგნისა და იმ ორგანიზაციებისადმი ინტერესის ზრდის მიზეზს, რომელთა საქმიანობა უკვე წარიმართება პროექტების შესრულების პრინციპით, უნდა გავიაზროთ თვით პროექტის კონცეფციის არსი. **პროექტი ეწოდება ნებისმიერ სამუშაოს, რომელიც სრულდება ერთჯერადად.** რაზეც არ უნდა იყოს საუბარი – თვითმფრინავის დაპროექტებაზე, პურუნთუშეულის ნაწარმის საგამოფენო ნიმუშის შექმნაზე თუ კომპანიის ემბლემის შემუშავებაზე – ამ პროექტებიდან ნებისმიერი გულისხმობს ამა თუ იმ საბოლოო შედეგის მიღებას გარკვეულ დროში, ანუ ნებისმიერ პროექტს აქვს დასაწყისი და დასასრული.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ პროექტების მნიშვნელობა, აუცილებელია გავივოთ, რომ თითოეული პროექტის რეალიზაციას მივყავრთ რაიმე უნიკალურის შექმნამდე. ამიტომ სპორტული ავტომობილის ახალი მოდელის შემუშავება არის პროექტი (არსებითად, პროექტების ერთობლიობა), ხოლო ათასობით ასეთი ავტომობილის წარმოება უკვე აღარ იქნება პროექტი. **წარმოება და სხვა განმეორებადი პროცესები განისაზღვრება, როგორც მიმდინარე თპერაციები.**

გავეცანით რა პროექტის განსაზღვრებას, შეგვიძლია იმის კონსტატაცია, რომ ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით პროექტებს და პროექტების ხელმძღვანელებს. თითოეულ ფერმწერს, სისტემის ადმინისტრატორს, მოდელიორს, რეჟისორს, ხუროს, ინჟინერს, მოსამართლესა და მეცნიერს, რომლებიც ქმნიან ამა თუ იმ უნიკა-

ლურ პროდუქტს, უხდებათ პროექტების მართვასთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრა. იმის მიხედვით, რაც უფრო მეტი რაოდენობის განმეორებად სამუშაოს ასრულებენ ავტომატური მოწყობილობები, ჩნდება სულ უფრო მეტი მოთხოვნილება ცვლილებათა პროცესის უნარიანად ხელმძღვანელობისა. ეკონომიკური თვალსაზრისით, კიდევ უფრო დამაჯერებლად გვეჩვენება მოსაზრებები იმის სასარგებლოდ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გავიგოთ პროექტების მართვის საგანი. ადამიანები და კომპანიები, რომლებიც ნერგავენ ინოვაციებს, სათავეში უდგანან ცვლილებათა პროცესს და ხელმძღვანელობენ მათ, სამართლიანად ღებულობენ უფრო მეტ შემოსავლებს, ვიდრე ისინი, რომლებიც ერთმანეთს უწევენ კონკურენციას მხოლოდ წარმოების მასშტაბებით განპირობებული ეკონომისა და ეფექტიანობის ფაქტორებიდან გამომდინარე.

პროექტების მართვა არ შეიძლება ჩაითვალოს უახლესი დროის მიღწევად. უძველეს დროში აგებული აკვედუქები და პირამიდები უეჭველად მოითხოვდნენ მათი შემქმნელებისაგან (პროექტების ხელმძღვანელებისაგან) ასეთი მასშტაბური სამუშაოების ჩატარების დაგვევისა და კოორდინირების უნარს. ხელმძღვანელობდა რა რომში წმ. პეტრეს ტაძრის მშენებლობას, მიქელანჯელო, ალბათ, აწყდებოდა მრავალ პრობლემას, რომელთა გადაწყვეტა დღესაც უხდება პროექტის ნებისმიერ თანამედროვე ხელმძღვანელს: დაუდევრობები სპეციფიკაციებში, სამუშაო ძალის ნაკლებობა, დაფინანსების არასაიმედოობა და გავლენიანი შემკვეთი. მაგრამ მხოლოდ XX ასწლეულში გაჩნდა პროექტების მართვის დამოუკიდებელი მეცნიერება და პროექტის ხელმძღვანელის თანამდებობა.

პროექტების მართვა მისი თანამედროვე სახით წარმოიშვა 1950-იან წლებში – ციფი ომის დროს – სამსედრო დანიშნულების მნიშვნელოვან პროგრამებთან დაკავშირებით. ამრიგად, პროექტების მართვის საგანი მისი ახლანდელი სახით ჩამოყალიბდა სამსედრო სტრუქტურების წიაღში. ამჟამად პროექტების მართვა საყოველოთაოდ აღიარებული საქმიანობა და დიდად დაფასებული სპეციალობაა, რომელსაც შეიძლება

შევხვდეთ სრულიად სხვადასხვა დარგში მომუშავე ორგანიზაციებში – ჯანდაცვიდან წარმოებამდე და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებიდან ბუნებრივი რესურსების მოპოვებამდე.

პროექტების მართვის პრაქტიკის ფართო გამოყენების დაღასტურება პრაქტიკულად ყველგან არსებობს:

- არც ისე დიდი ხნის წინათ, 1990-იან წლებში, თქვენ აღმოჩენდით მხოლოდ რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელს, სადაც შეიძლებოდა მიგედოთ „პროექტების მართვის“ სპეციალობა. ამჟამად სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. პროექტების მართვა ერთ-ერთ სავალდებულო კურსად იქცა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში, ამასთან, უნივერსიტეტები მსურველებს აძლევენ შესაძლებლობას, მოისმინონ პროექტების მართვის გაღრმავებული კურსი;
- 2004 წლისთვის Fortune 500-ის ჩამონათვალში შემავალი კომპანიებიდან პრაქტიკულად ყველა ცდილობდა დანერგა პროექტების მართვის პროგრამა Project Management Office (PMO) ერთ ან რამდენიმე ქვედანაყოფში. PMO პასუხისმგებელია პროექტების მართვის მეთოდების თანმიმდევრულ დანერგვაზე. სულ რაღაც ათი წლის წინ ასეთი კომპანიების ხელმძღვანელთა უმრავლესობას არც კი გაეგონა რამე PMO-ს შესახებ;
- ბოლო ათწლეულებში პროექტების მართვასთან დაკავშირებული კალენდარული დაგეგმვისა და დანახარჯების შესახებ ანგარიშგების წარმოდგენა მოეთხოვებოდა მხოლოდ აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს, ამჟამად ასეთი გალდებულება დაკისრებული აქვს ყველა ფედერალურ სააგენტოს;
- 1990-2009 წლებში პროექტების მართვის ინსტიტუტის (პროექტების ხელმძღვანელების პროფესიული ასოცია-

ცია) წევრთა რაოდენობა გაიზარდა 7700-დან 110 ათასზე მეტ ადამიანამდე.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს პროექტების მართვის მეცნიერების როლის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები:

- გლობალური ეკონომიკის პირობებში კონკურენციამ იმდენად საყოველთაო ხასიათი შეიძინა, რომ იგი უკვე აღიქმება, როგორც თავისთავად გაცხადებული მოვლენა. კონკურენცია აიძულებს კომპანიებს ითანამშრომლონ ერთმანეთთან, ორგანიზაციული და გეოგრაფიული საზღვრების მიუხედავად;
- ტექნოლოგიათა გამაღებული სრულყოფა თითოეულ ჩვენგანს აიძულებს სწრაფად შევეგუოთ გარემოს ცვალებად პირობებს. ინდივიდუალურ დონეზე ჩვენი ტელეფონის აპარატები, კომპიუტერები და ავტომობილები მორალურად წამიერად ძველდებიან. კომპანიებისა და სახელმწიფოებისთვის სულ უფრო აქტუალური ხდება ნავთობსახდელი და ქიმიური ქარხნების, სამედიცინო კლინიკებისა და შეიარაღების სისტემათა დროული მოდერნიზაცია;
- მაღალგალიფიციური დროებითი სამუშაო ძალის არსებობა – პრაქტიკულად იდეალური გადაწყვეტაა პროექტის შესრულების პრინციპით ორგანიზებული ეკონომიკისთვის, ვინაიდან ეს აძლევს შესაძლებლობას კომპანიებს სწრაფად გაზარდონ ან შეამცირონ სამუშაო ძალის რაოდენობა ამა თუ იმ პროექტის რეალიზაციის დაწყებისა და დასრულების მომენტებში.

პასუხები დროის ამ გამოწვევებზე შეიძლება ვისოფლოთ მენეჯმენტის გამოჩენილი სპეციალისტების გამონათქვამებში:

- ორენ პარარაი, სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტის მე-

ნეჯმენტის პროფესორი, ცვალებადი ბიზნეს-გარემოცვის შესახებ ორი წიგნის ავტორი, აღნიშნავს პერსონალთან ურთიერთობის საპროექტო ფორმატის ტენდენციის გაძლიერებას. მისი აზრით, ბიზნესის მომავალი დაუკავშირებელი ორგანიზაციების მოძრავ ქსელებშია, ერთბაშად რამდენიმე სამსახურებრივი კარიერის ერთდროულ რეალიზაციაშია, ისეთ მუშაობაშია, რომელიც აგებულია პროექტების ბაზაზე და ისეთივე მოძრავია, როგორც გარე გარემოცვა;

- პენ სტაუტი, ავტორი, ლექტორი და პროექტების მართვის კონსულტანტი აღნიშნავს, რომ მომავალში შეიქმნება სიტუაცია, როდესაც შედარებით დიდი რაოდენობით „ძალზე მსხვილი“ კომპანიებისა და მრავალრიცხოვანი „ძალზე წვრილების“ გარდა, შედარებით მცირედი აღმოჩნდებიან „შუალედური“ კომპანიები. პროექტების მართვა გადაიქცევა სამუშაოთა ორგანიზაციისადმი კველაზე ხელსაყრელ მიღებისადმი, რადგან საშუალებას მისცემს „გიგანტებს“ საკმაოდ ეფექტურად გამოიყენონ „პატარების“ შესაძლებლობები და ღირსებები.

პროექტები ჩვენი ცხოვრების თანმდევია. პროექტების მართვისთვის არ არსებობს არც კორპორაციული, არც დარგობრივი საზღვრები. ადამიანები, რომლებიც ხელმძღვანელობენ პროექტებს, გამოღიან წინა ფლანგზე ცვლილებები შეეხო ყოველივეს, რაც ჩვენს გარშემოა, ხოლო ცვლილებები – ეს პროექტებია.

2.2. ცვლილებათა გზარდი ტემაები და პროექტების მართვის ცოდნის მომგებიანობა

პროექტების მართვის მეცნიერების შემდგომი განვითარების ხელშეწყობ ყველაზე სტაბილურ ტენდენციად იქცა ცვლილებათა მზარდი ტემპები ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენ მზაობით ვეხმიანებით ცვლილებებს,

როდესაც ისინი ჩვენთვის უზრუნველყოფებ ცხოვრების ხარისხის ზრდას, როგორც ეს, ჩვეულებრივ, ხდება ენერგეტიკის ან სამედიცინო ტექნოლოგიების მიღწევებთან დაკავშირებით. ჩვენ უარყოფთ ცვლილებებს ან ვეწინააღმდეგებით, როდესაც მათ ხელოვნურად გვახვევნ თავს ჩვენი უფლებების შემლახველი ახალი კანონების ფორმით ან როდესაც ისინი დაკავშირებული არიან ახალი კონკურენტების გამოჩენასთან. თუმცა შეუძლებელია გავემიჯნოთ ცვლილებებს, მათი ტემპები ამჟამად ისე მაღალია, როგორც არასტრონს.

ყოველდღიურად ბაზარი გვთავაზობს სულ უფრო ახალ პროდუქტებსა და მომსახურებას, ხოლო უკვე არსებულს მორალურად გაცილებით უფრო სწრაფად გაუდის ყავლი, ვიდრე ჩვენ ვასწრებთ მათი შესაძლებლობების სრულად გამოყენებას. ინტერნეტ-ტექნოლოგიების მცირე წნის წინანდელმა ბუმმა თვალნათლივ დაგვანახა, თუ როგორ სწრაფად შეუძლია მსოფლიო ეკონომიკას ტექნიკური მიღწევების ასიმილირება და მათთან შეგუება. თუმცა ტექნოლოგიური მიღწევები – ცვლილებათა არა ერთადერთი მოწმობაა. სამედიცინო მომსახურების მისაწვდომობისა და ხარისხისადმი სულ უფრო მეტი მოთხოვნები აიძულებენ მედიცინის მუშავებსა და ადმინისტრატორებს განახორციელონ ამ ორგანიზაციების ძირეული რესტრუქტურიზაცია. კორპორაციული შერწყმები საბანკო და კომპიუტერული ტექნიკის სფეროებში, სადაზღვევო საქმეში, ტელეკომუნიკაციებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში წარმოქმნიან სხვადასხვა კულტურებისა და სისტემების ინტეგრაციასთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს.

კომპანიებისთვის, რომლებიც მთელი ძალით ცდილობენ არ ჩამორჩენ თავიათ კონკურენტებს, მათ გარემოცვაში წარმოქმნილი ცვლილებებისადმი სწრაფად შეგუების უნარი ხდება წარმატების სასაკრცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი. ცვლილებათა მზარდი ტემპი განაპირობებს მოთხოვნილების ზრდას სათანადო პროექტების შესრულებასა და საპროექტო მენეჯმენტის განვითარებაზე.

ბაზრებზე სწრაფად ცვლადი სიტუაციის პარალელურად კომ-პანიას შეუძლია ჩაატაროს შიგა რეორგანიზაცია, შეიმუშაოს ახა-ლი პროდუქტები ან ჩამოაყალიბოს სხვა ორგანიზაციებთან ალიანსი. ყოველი ასეთი სიახლის რეალიზება ხდება ერთი ან რამდენიმე პროექტის საშუალებით.

დიდი ცვლილებები = მეტი ინიციატივა = მეტი პროექტი.

ინდივიდუალურ დონეზე ცვლილებათა ტემპს აქვს იგივე მნიშ-ვნელობა, რაც კორპორაციულ დონეზე. ხომ არ მოძველდება ჩემი პროფესია 10 ან 20 წლის შემდეგ, ხომ მართალია, რომ ჯერ კიდევ 10 ან 20 წლის წინათ პოპულარული სპეციალობებიდან ზოგიერთი ამჟამად უკვე გამქრალია? რომელი სპეციალობა გაზ-რდის ჩვენს პირად ან კორპორაციულ შესაძლებლობას იმისათვის, რომ მივაღწიოთ წარმატებას ცხოვრებაში? მრავალ სპეციალობას შორის, რომელიც გვაძლევენ წარმატების მიღწევის საშუალებას სწრაფად ცვალებად ცხოვრებაში, პროექტების მართვა დგას განცალკევ-ებულად, როგორც მუცნიერება, რომლის დანიშნულება — იყოს ცვლი-ლებათა მამოძრავებელი ძალა.

რეალიზებადი პროექტების რაოდენობის ზრდის ტენდენცია წარმო-შობს განუხრელად მზარდ მოთხოვნას ადამიანებზე, რომელიც კარგად ერკვევიან პროექტებში და შეუძლიათ მათი ეფექტიანად მართვა. პროექ-ტის თითოეული მონაწილის ეფექტიანობა, საპროექტო გუნდის დროებითი წევრიდან დაწყებული და ორგანიზაციორ-შემსრულე-ბლით დასრულებული, განუზომლად იზრდება, თუ ის იცნობს პროექტების მართვის საფუძვლებს. ამ საფუძვლების გაგება გან-საკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა დონის ხელმძღვანელისთვის, რადგან თითოეულ ხელმძღვანელს ბედმა არგუნა მონაწილეობა მიიღოს მრავალ პროექტში, ხოლო მისი, როგორც კვალიფიციური სპეციალისტის, ავტორიტეტი საშუალებას აძლევს მას ზეგავლენა მოახდინოს პროექტის ყველა მონაწილეზე.

ამჟამად პროექტების მართვა უკვე გასცდა ინდივიდუალური შესა-ძლებლობების ვიწრო ჩარჩოებს. ანდა პროექტების მართვა განიზილება,

როგორც ორგანიზაციული ოსტატობა. წარმოადგენს თუ არა თქვენს პროფესიულ მოვალეობას პროექტის მართვის საქმეში თქვენი ფირმის ერთობლივი პოტენციალის ზრდა, თუ თქვენ მცირე პროექ-ტის მხოლოდ მონაწილე ხართ, ნებისმიერ შემთხვევაში თქვენ ზრდით ფირმის შესაძლებლობას — ეფექტიანად მოახდინოს პროექტების რეალიზება. კომპანიის ხელმძღვანელებმა, რომლებიც ახდენნ პროექტის ინიცირებას და მათი შესრულების ორგანიზე-ბას, შეიძლება მხოლოდ ერთი ან ორი საათი დახარჯონ კვირაში პროექტში უშუალო მონაწილეობაზე, თუმცა მათი უნარი — ისაუ-ბრონ პროექტების მართვის ენაზე — გადამწყვეტ გავლენას ახდენს ამ პროექტის ყველა მონაწილის მიერ ფირმის ხელმძღვანელობის მხრიდან მხარდაჭერის შეგრძნებაზე.

პროექტის ხელმძღვანელებისა და საპროექტო გუნდის წევრების მუშაობის ეფექტიანობა უშუალოდაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამ-დენად მარჯვედ იყენებენ ისინი პროექტების მართვის მეცნიერების კველა ინსტრუმენტს.

2.3. პროექტების მართვა: მეცნიერებით აღმოცხვებაზე ხელოვნება

მრავალი მეცნიერი პროექტების მართვას ერთდროულად თვლის წელოვნებად და მეცნიერებად. ქვემოთ მოვაწვდეთ იმის დემონსტრირე-ბას, თუ როგორ ქმნის პროექტების მართვის მეცნიერების ათვისება საფუძველს ლიდერად ყოფნის ხელოვნების მიღწევისთვის. ერთიცა და მეორეც ადამიანისაგან მოითხოვს დაახლოებით ერთნაირ უნარს. არავის ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ პროექტების საუკეთესო ხე-ლმძღვანელები, აგრეთვე, გამოჩენილი ლიდერები არიან. ასეთ ხე-ლმძღვანელებს გააჩნიათ წინასწარ განჭვრეტის უნარი, შეუძლიათ ხელკეთთა მოტივირება, კოლექტივის გაერთიანება და, ყველაზე მთავარი, აქვთ მასშტაბური შედეგების მიღწევის უნარი.

ნიჭიერი მმართველები არიან პრაქტიკულად ყველა ორგანიზაციაში

და ხელმძღვანელობამ იცის, რომ სწორედ ამ ადამიანებს შეუძლიათ კველაზე როგორი პროცესტების რეალიზება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწორედ ამ ადამიანებთან ხალისით მუშაობები სხვები. თავისი საქმის მცირებულები ხელმძღვანელები ფაქტობრივად შერწყმული არიან „პროექტების გარემოს“, რომელიც მათთვის უკვე მშობლიურ სტიქიად არის ქცეული. ასეთი ადამიანების გამართიანებელ მრავალრიცხვან ღირსებებს მიეკუთვნება წარმატების ძირითადი შემადგენელიც – პროექტების მართვის მეცნიერების მიერ შემოთავაზებული ცოდნის მოხერხებული გამოყენება. როგორიც არ უნდა იყოს ამ ხელმძღვანელების ლიდერული თვისებები, მათი მთავარი ძალა მდგომარეობს თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებული და რეალურ პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდების გამოყენებაში. პროექტების მართვის წარმატება არამც და არამც არ არის მცირე რაოდენობის იღბლიანების ხვედრი, რომლებიც „ლიდერებად დაიბადნენ“. პროექტების მართვის ხელოვნება აუცილებლად უნდა ვისწავლოთ. პროექტების ხელმძღვანელებმა უნდა შეისწავლონ მართვის მეთოდები, ხერხები და ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენება მათ პრაქტიკულ საქმიანობაში შეუძლიათ.

ნებისმიერ დარგში წარმატებულ პროექტებს გააჩნია რიგი საერთო მახასიათებლები. მათი ფორმულირება შეიძლება ყოველი პროექტის წარმატების შემდეგი ხუთი ფაქტორის სახით:

1. თანხმობა საპროექტო გუნდის წევრებს, ფირმის ხელმძღვანელობასა და კლიენტებს შორის პროექტის მიზნების საკითხში. მკაფიო და შეთანხმებული მიზნების დასახვა უაღრესად მნიშვნელოვანია. პროექტის ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს საერთო მიზანი და ამოცანები. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობამ შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს;
2. გეგმა, რომელიც ასახავს მთლიანობაში პროექტის რეალიზაციის პროცესსა და თითოეული მონაწილის მკაფიო ვალდებულებებს და გამოყენებულ იქნება პროექტის რეალიზაციის მსვლელობის

შეფასებისთვის. ვინაიდან თითოეული პროექტი უნიკალურია თავისი არსის მიხედვით, ამიტომ პროექტის გაგებისა და შესრულების ერთადერთი ხერხია შესაბამისი გეგმის შედგენა. ხარისხიანი გეგმა გამოირჩევა არა მარტო იმით, რომ მასში ასახულია პროექტის თითოეული მონაწილის მოვალეობები, არამედ იმითაც, რომ მასში ფიქსირდება პროექტის რეალური შესაძლებლობები. გეგმაში დაფიქსირებულ უნდა იქნეს პროექტის მონაწილეთა მუშაობის შეფასების კრიტერიუმები, პროექტის ხარჯთაღრიცხვა, მისი რეალიზაციისთვის საჭირო მასალები და მოწყობილობა. ხოლო, რადგან ასეთი გეგმა პროექტის რეალიზაციის შეფასების საფუძველია, მას შეუძლია შეასრულოს შეთანხმებული ბიუჯეტის გადაჭარბებისა და საპროექტო სამუშაოების შესრულების გრაფიკისაგან ჩამორჩენის შესახებ აღრეული გაფრთხილების სისტემის როლიც;

3. **მუდმივი, უფერტიანი ურთიერთობა პროექტის კველა მონაწილეს შორის.** პროექტებს ასრულებენ ადამიანები და არა გეგმები ან კომპიუტერული პროგრამები. პროექტის კონცეფციიდან და მის სრულ რეალიზაციამდე პროექტის წარმატება დამოკიდებულია მისი მონაწილეების უნარზე – მივიღნენ ერთიან აზრამდე მათ წინაშე არსებულ მიზნებთან მიმართებაში, მოახდინონ საკუთარი მოქმედებების კოორდინირება, გამოავლინონ და გადაჭრან წარმოქმნილი პრობლემები და რეაგირება მოახდინონ სიტუაციის ცვლილებაზე. ყველაფერი ეს მოითხოვს მუდმივ ურთიერთობას, ეუექტიან თანამშრომლობას პროექტის მონაწილეებს შორის;
4. **პროექტის შინაარსის კონტროლი.** პროექტის გამოცდილი ხელმძღვანელი თავიდანვე აკეთებს ყველაფერს, რათა პროექტის თითოეულ მონაწილეს კარგად ჰქონდეს წარმოდგენილი, თუ, სახელდობრ, რა შეიძლება იქნეს შესრულებული დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მოცემული ბიუჯეტის

ჩარჩოებში. ამას ეწოდება „დაინტერესებული პირების მოლოდინის მართვა“ და წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას, რომლის გადაჭრა ხდება პროექტის რეალიზაციის მთელი დროის განმავლობაში, განსაკუთრებით, თუ შესაძლებელია სიტუაციის ზშირი ცვლილებები. პროექტის ყველა მონაწილემ არა მარტო უნდა მიაღწიოს თანხმობას პროექტის თავდაპირველ შინაარსთან მიმართებაში, არამედ უნდა ესმოდეს კიდეც ამ შინაარსის ნებისმიერი ცვლილების არსი;

5. **მხარდაჭერა ფირმის უმაღლესი ხელმძღვანელობის მხრიდან.** პროექტების ხელმძღვანელები იშვიათად ფლობენ პროექტის მიმდინარეობისას გადაწყვეტილებათა მისაღებად საჭირო ფორმალურ უფლებამოსილებათა მთელ სისრულეს. ამიტომ მათ უნდა ჰქონდეთ კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის მხარდაჭერის იმედი. ეს მხარდაჭერა შეიძლება გამოხატულ იქნეს საჭირო სპეციალისტებისა და მოწყობილობის შეთავაზებაში, „პოლიტიკური“ გადაწყვეტილებების მიღებასა და ყველა შესაძლო „ორგანიზაციული“ დაბრკოლების აღმოფხვრაში.

წარმატების ამ ხუთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორში არაფერია მისტიკური – მათი ათვისება შეიძლება პროექტების მართვის მეცნიერების პრინციპების სწორი და განუხრელი გამოყენების მეშვეობით. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი პროექტის საბოლოო წარმატებაში არანაირ როლს არ თამაშობს ისეთი შემადგენელი, როგორიცაა ხელოვნება. პირიქით, ხელოვნება – პრაქტიკულად თითოეული პროექტის წარმატების განუყოფელი შემადგენელია.

ვსაუბროთ რა მოცემულ კონტექსტში ხელოვნების შესახებ, ჩვენ ვულისხმოთ:

- „პოლიტიკურ“ ხელოვნებასა და პიროვნებათაშორისი ურთიერთობის ხელოვნებას;

- ინფორმაციის არარსებობის პირობებში შემოქმედებითი გადაწყვეტილებების მიღების უნარს;
- იმის ინტუიციურ გაგებას, თუ რა შემთხვევებში შეიძლება ხელქვეითს დავავალოთ ამა თუ იმ სამუშაოს შესრულება.

მაგრამ ამ ხელოვნების დასაუფლებლად საჭიროა პროექტების მართვის საბაზო მეცნიერების ათვისება. მხოლოდ მგზნებარე სიტყვების საშუალებით კოლექტივში ენთუზიაზმის გაღვიძების მცდელობა გამოიწვევს ძალებისა და დროის ფუჭ ხარჯვას, თუ პროექტს მკაფიო მიზნები და საბაზო გეგმა არ გააჩნია.

ლიდერობის ხელოვნება გულისხმობს ხელმძღვანელში ისეთი უნარისა და თვისებების არსებობას, რომელთა მიღწევა ხდება პრაქტიკული გამოცდილებით (როგორც საკუთარი, ისე სხვისი), ავრეთვე, მართვის საბაზო მეცნიერების ათვისებით. პროექტების მართვის საფუძვლების შესწავლა პირველი ნაბიჯია კვალიფიციური ხელმძღვანელის ჩამოყალიბების გზაზე, რომელსაც ძალუძს შემოქმედებითად შთავისონს, წარუძღვეს და აიყოლოს ხელქვეითები.

2.4. პროექტების მართვა მოხარების ულად აკსეპს და განამტკიცებას სხვა ცოდნასა და უნარს

პროექტების მართვა – ეს მეცნიერებაა, რომლის დანიშნულებაა ცვლილებებისა და გარდაქმნების განხორციელება. მისი ფასეულობა იზრდება იმითაც, რომ ის გამოიყენება ბიზნესის წარმართვის სხვა მოწინავე მეთოდებთან ერთად.

განვიხილოთ პროექტების მართვასა და სხვა დისციპლინებს შორის ურთიერთკავშირი, რომელიც ხელს უწყობს ბიზნესის ეფექტურობის ამაღლებას:

- ახალი პროდუქტების შემუშავება (New Product Development – NPD) – ეს არის სისტემა, რომელიც განკუთნილია ამა თუ იმ ახალ პროდუქტზე მოთხოვნილების

- გამოსავლენად (როგორც ამის თაობაზე გამოთქვამს აზრს როგორტ კუპერი „იდეიდან „From idea to launch“). რ. კუპერმა შეიმუშავა და დააპატიენტა StageGate პროცესი, რომელიც მოიცავს საქმიანობის წილშვილოვან სახეებსა და გადაწყვეტილებათა მიღების წერტილებს. ყოველივე ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მოხდეს ბაზარზე ახალი პროდუქტის გატანა და ვაიმულოთ ბაზარი „აღიქვას“ ეს პროდუქტი. NPD-ს ჩარჩოებში არსებობს მრავალი პროექტი. NPD პროცესის წარმატებით ასამოქმედებლად საჭიროა უზრუნველვყოთ თითოეული პროექტის ეფექტიანი მართვა;
- „ექვსი სიგმა“ (Six Sigma) არის ხარისხის მართვის დისკიპლინის ერთ-ერთი განშტოება, რომელიც საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს აამაღლონ პროდუქციის ხარისხი და ეკონომიკური ეფექტიანობა. „ექვსი სიგმას“ მეთოდოლოგიის საფუძველს შეადგენს სტრუქტურირებული მიღვომა პრობლემათა გადაჭრისადმი, სტატისტიკური ანალიზი, აგრეთვე, პროცესების მართვის მეთოდები. ვინაიდან თითოეული პროექტი, რომელშიც გამოიყენება „ექვსი სიგმას“ პრინციპი, წყვეტს საკუთარ, უნიკალურ ამოცანას, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებადია ნებისმიერი პროექტის წარმატების განმსაზღვრელი ყველა ხუთივე ფაქტორი;
 - საპროექტო პორტფელის მართვა წარმოადგენს ფირმის სტრატეგიული მიზნების მის ტაქტიკურ გეგმებთან დაკავშირების ახალ მეთოდს. ამ თვალსაზრისით პორტფელი წარმოადგენს შესაბამისი ორგანიზაციის ყველა აქტივს, მათ შორის, მის მიერ რეალიზებად პროდუქტებს. პორტფელის მართვა ხელმძღვანელისაგან მოითხოვს იმის ცოდნას, თუ სად და როგორ ხდება ფირმის თანამშრომელთა და აქტივების გამოყენება და როგორ მოგებას უზრუნ-

ველყოფენ ეს აქტივები. ამ კუთხით საკვანძო ამოცანას წარმოადგენს ხელმძღვანელების მიერ იმის ცოდნა, თუ რამდენი პროექტი სრულდება კომპანიის მიერ მოცემულ მომენტში, როგორია ამ პროექტების სავარაუდო ბიუჯეტები და დასრულდება თუ არა დადგნილი დროისთვის „აქტიური“ პროექტები. პროექტების მართვის ეფექტიანი მეთოდები აუცილებელია ასეთი პორტფელის მმართველი ხელმძღვანელებისათვის ზუსტი ინფორმაციის მისაწოდებლად.

ცივილიზაცია პირდაპირ ჩვენს თვალწინ იცვლება, და ეს ცვლილებები ფაქტობრივად პროექტებია, რომლებსაც ხელმძღვანელობენ პროექტების მენეჯერები.

პროექტი განისაზღვრება, როგორც სამუშაო, რომელიც მხოლოდ ერთვერად ხასიათს ატარებს და დაწყებისა და დასრულების მკაფიოდ აღნიშნული მომენტები გააჩნია. პროექტის ანტიპოდია მიმდინარე ოპერაციები, რომლებისთვისაც ნიშანდობლივია განმეორებადობა (მაგალითად, საწარმოო ოპერაციები) და დასრულების მკაფიოდ აღნიშნული მომენტის არარსებობა.

პროექტები გვაძლევენ შესაძლებლობას შევეგუოთ გარემოს ცვალებად პირობებს. კომპანიის რეორგანიზაცია, ახალ ბაზარზე მისი მდგომარეობის შეფასება, ახალი პროდუქტის შემუშავება და ბაზარზე გატანა ან ახალი ტექნოლოგიის დანერგვა – ყველაფერი ეს პროექტების საშუალებით განსახორციელებელი აუცილებელი ცვლილებებია. პროექტებით გაჯერებულ სამუშაო გარემოში (ამასთან, ამ გაჯერებულობის ხარისხი განუხრელად იზრდება) პროექტების მართვა ხდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროფესია და კარიერის წარმატებული ვარიანტი ახალგაზრდა სპეციალისტისთვის. ორგანიზაციის თითოეულ იურიქიულ დონეზე მოქმედ სპეციალისტთა ფასულობა იზრდება, თუ მათ ესმით და პრაქტიკაში იყენებენ პროექტების მართვის მეცნიერების ფუძემდებლურ პრინციპებს.

**საპითხები თვითშემოწმებისა და
გამორჩევისათვის**

**ინდივიდუალურად, წყვილებში ან გუნდებში განიხილეთ შემდეგი
თემატიკა:**

1. პროექტების მართვის მენეჯერები გარდაქმნიან გარემომცველ სამყაროს;
2. პროექტების არსი და ისტორია;
3. პროექტების მართვის პრაქტიკის ფართო გამოყენების დადასტურება;
4. პროექტების მართვის მეცნიერების როლის ზრდის განმაპირობელი ფაქტორები;
5. ცვლილებათა მზარდი ტემპები და პროექტების მართვის მეცნიერების შემდგომი განვითარება;
6. პროექტების მართვა – როგორც ხელოვნება და როგორც მეცნიერება;
7. პროექტის წარმატების ხუთი ფაქტორი;
8. ურთიერთკავშირი პროექტების მართვასა და სხვა დისციპლინებს შორის;
9. პროექტის მოკლე განსაზღვრება.

თავი 3
**სწავლის პროცესი სტუდენტი გუდიური
პროექტების მომზადება-პრეზენტაციის მეთოდიკა**

3.1. სასტავლო გუნდური პროექტების არსი

გარდამავალი ეკონომიკისათვის პროექტების მართვა მეტად პერსპექტიული მიმართულებაა, რომლის შესაფერისი განვითარებისათვის ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. ამისათვის კარგი იქნებოდა ცივილიზებულ ქვეყნებში არსებული გამოცდილების გათვალისწინება სათანადო კადრების მომზადება-გადამზადების სფეროში. მაგალითად, უცხოეთის უძალეს სასწავლებლებში, არასამეწარმეო (არაკომერციულ, არასამთავრობო), საკონსულტაციო და ბიზნეს ორგანიზაციებში მოქმედებს სპეციალიზებული საპროექტო ბიუროები, ჯგუფები, სადაც შემუშავებენ მნიშვნელოვან საპროექტო იდეებს, კონცეფციებს, პროექტებს და მონაწილეობებს მათი განხორციელებისა და მართვის პროცესში.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია განვიხილოთ საკითხი საპროექტო იდეებისა და კონცეფციების, სასწავლო-შემეცნებითი, სასწავლო-კვლევითი და ვირტუალური პროექტების შესახებ, რომელთა შედგენა, გარდა სამცნიერო-სასწავლო დაწესებულებებისა, მიმდინარეობს არასამეწარმეო (არაკომერციულ, არასამთავრობო), საკონსულტაციო და ბიზნეს ორგანიზაციებშიც. ასეთი დოკუმენტების შემუშავება-განხილვის საფუძველზე ხდება დასრულებული, ყოველმხრივ ჩამოყალიბებული, კონკურენტუნარიანი დაფინანსებადი პროექტების შექმნა.

არასამეწარმეო (არაკომერციულ, არასამთავრობო), საკონსულტაციო, უძალესი განათლების, გადამზადების, სატრეინინგო და ბიზნეს ორგანიზაციებში მოქმედებებს ჯგუფები, რომლებიც შეასწავლიან დაინტერესებულ, კვალიფიციურ თანამშრომლებსა და მსმენელებს პროექტიდეების გენერაციას და პირველადი სახით პროექტების შემუშავებას. ასეთი დოკუმენტის საფუძველზე ორგანიზაცია ქმნის დასრულე-

ბულ დოკუმენტს, გამოდის პროექტის ინიციატორის, შემკვეთის ან ინვესტორის როლში და იწყებს დაინტერესებული პარტნიორების მოძიებას.

პროექტების მეთოდი ჩაისახა XX საუკუნის 20-იან წლებში აშშ-ში. მას საფუძვლად დაედო ამერიკელი ფილოსოფოსისა და პედაგოგის ჯ. დიუსის და მისი მოწაფის ვ. კილპატრიკის იდეები სწავლების თავისუფალი და აქტიური მეთოდების შესახებ. დღეისათვის ეს მეთოდი გადაიქცა უმაღლესი განათლების სისტემისა და ტრეინინგ-ტექნოლოგიების ინტეგრირებულ შემადგენელ ნაწილად.

პროექტების მეთოდი მოწოდებულია გააღვივოს ადამიანთა ინტერესი აქტუალური პრობლემების მიმართ (რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ცოდნის გარკვეული მარაგის ფლობას), დასახოს გზები პრობლემის გადასაჭრელად და კონკრეტული პროექტის მეშვეობით აჩვენოს მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების მიმართულებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, – ეს არის გზა თეორიიდან პრაქტიკასკენ, ანუ აკადემიური ცოდნის შეერთება პრაგმატულთან. პროექტების მეთოდს საფუძვლად უდევს შემდევი მანასითებლები:

- სტუდენტთა და ტრეინინგის მონაცილეთა (მსმენელთა) შემეცნებითი უნარ-ჩვევების განვითარება;
- ცოდნის მარაგის დამოუკიდებელი კონსტრუირება;
- ინფორმაციულ სივრცეში ორიენტაცია;
- პროგნოზული, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარება.

პროექტების მეთოდი ყოველთვის ორიენტირებულია სტუდენტის დამოუკიდებელ შემოქმედებით საქმიანობაზე, რაც ხორციელდება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებსა და ჯგუფებში. იგი ორგანულად უკავშირდება სწავლების კოლექტიურ მეთოდს. მას XXI საუკუნის პედაგოგიურ ტექნოლოგიას უწოდებენ.

პროექტების მეთოდის წარმატებულ გამოყენებას უზრუნველყოფს შემდევი მაჩვენებლები:

- თანამედროვე პროგრესული საწავლო ტექნოლოგიების დანერგვის დონე;

- პედაგოგის მაღალი კვალიფიკაცია;
- სტუდენტთა განვითარების მაღალი დონე;
- ტექნიკურ-საინფორმაციო საშუალებების არსებობა.

პროექტების მეთოდის გამოყენებისათვის აუცილებელია შემდევი მოთხოვნების დაკამაყოფილება:

1. შემოქმედებით-კვლევითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემის (ამოცანის) არსებობა, რომლის გადასაჭრელად საჭიროა ინტეგრირებული ცოდნისა და კვლევა-ძიების გამოყენება;
2. მოსალოდნელი შედეგების პრაქტიკული, თეორიული და შემეცნებითი მნიშვნელობა;
3. სტუდენტთა დამოუკიდებელი (ინდივიდუალური, წყვილებში, ჯგუფებში) მუშაობა;
4. პროექტის შინაარსის სტრუქტურირება ეტაპობრივი შედეგების ჩვენებით;
5. კვლევითი მეთოდების გამოყენება, რაც მოქმედებათა განსაზღვრულ თანმიმდევრობას ითვალისწინებს:
- პრობლემისა და მისგან გამომდინარე კვლევის ამოცანების განსაზღვრა;
- ამოცანების გადაჭრის ჰიპოთეზის წამოყენება;
- კვლევის მეთოდების განხილვა;
- საბოლოო შედეგების გაფორმების ხერხების განსაზღვრა (პრეზენტაცია, დაცვა, შემოქმედებითი ანგარიში, ჩვენება და სხვ.);
- მოპოვებული მონაცემების შეგროვება, სისტემატიზაცია და ანალიზი;
- სამუშაოს შეჯამება, შედეგების გაფორმება და წარმოდგენა;
- დასკვნები, კვლევის აზალი პრობლემებისა და ამოცანების წამოყენება.

პროექტების თემატიკის შერჩევა ხდება როგორც ლექტორის, ასევე სტუდენტთა მიერ შემოთავაზებული პრობლემების საფუძველზე. პროექტები შეიძლება იყოს როგორც წმინდა თეორიული, ასევე უშუალოდ პრაგმატულიც. თუმცა, ოპტიმალურად უნდა ჩაითვალოს ისეთი პროექტები, რომლებიც თეორიული და პრაქტიკული პარამეტრების ჰარმონიული ურთიერთშესაბამის საფუძველზე იქნება აგებული. თანამედროვე პირობებში მეტად აქტიურია ისეთი პროექტების დამუშავება, რომლებიც ინტერდისციპლინურ/მულტიდისციპლინურ ხასიათს ატარებენ (ეკონომიკა, ბიზნესი, მეცნიერება, ბიზნესისა და მართვის ეთიკა, ეკოლოგია, უსაფრთხოება და მდგრადი განვითარება, დემოგრაფია, სამართლი, მეცნიერება, განათლება, კულტურა, ხელოვნება, მედიცინა, სპორტი და სხვ.).

შესრულებული პროექტის შედეგები უნდა გაფორმდეს რაიმე სახით (ანგარიში, მოხსენება, ვიდეოფილმი, ალბომი, კრებული, სლაიდ-შოუ, კომპიუტერული გაზითი და სხვ.).

კოლექტიური სწავლებისა და პროექტების მეთოდები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და მათი გაერთიანებული ფორმა ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების საგანმანათლებლო და სატრენინგო სისტემებში. ამას არა მხოლოდ პედაგოგიური, არამედ, უმთავრესად სოციალური მომენტები განაპირობებენ, რომელთაგან აღსანიშნავია:

- სტუდენტებისათვის აუცილებელია არა იმდენად ცოდნის რაიმე მარაგის გადაცემა, არამედ იმის სწავლება, თუ როგორ მოიპოვონ ცოდნა დამოუკიდებლად და როგორ გამოიყენონ იგი ახალი შემცირებითი და პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად;
- კომუნიკაციური უნარ-ჩვეულების გამომუშავების აქტიურობა, ანუ იმის უნარი, თუ როგორ უნდა იმუშაონ სხვა-დასხვა ჯგუფში და შეასრულონ სხვადასხვა სოციალური როლი (ლიდერი, შემსრულებელი, შუამავალი და სხვ.);
- ფართო ადამიანური კონტაქტების, სხვადასხვა კულტურის

გაცნობის, პრობლემის მრავალგვარი გააზრების აქტუალობა;

- ადამიანის განვითარებისათვის კვლევითი მეთოდების შეთვისების მნიშვნელობა (საჭირო ინფორმაციის შეგროვება, მათი ანალიზის, პიპოთეზების წამოყენების, შეჯამებისა და დასკვნების გაკეთების უნარი).

მიღებულია პროექტების ტიპოლოგია შემდეგი ნიშების მიხდვით:

1. პროექტში ასახული უმთავრესი საქმიანობის სახეობა (პიპოთეზური, კვლევითი, საძიებო, შემოქმედებითი, გამოყენებითი, სათამაშო, ანუ ფუნქციურ-როლური, გაცნობითი, ანუ ინფორმაციული და სხვ.);
2. საგნობრივ-შინაარსობრივი სფერო (მონოპროექტი და ინტერდისციპლინარული პროექტი);
3. პროექტის კოორდინაციის ხასიათი (უშუალო და ირიბი);
4. კონტაქტების ხასიათი (ურთიერთობა ერთი ან რამდენიმე ორგანიზაციის, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის, საზღვარგარეთის წარმომადგენელთა შორის);
5. პროექტის მონაწილეთა რაოდენობა;
6. პროექტის ხანგრძლივობა.

საწავლო და სატრენინგო პროცესში პროექტის შედგენის მეთოდიკა:

- თავდაპირველად უნდა განისაზღვროს პროექტის თემა, ტიპი, მონაწილეთა რაოდენობა;
- ლექტორმა უნდა გაიაზროს პრობლემების შესაძლო ვარიანტები, რომელთა გამოკვლევა მნიშვნელოვანია განზრახული თემატიკის ფარგლებში;
- მნიშვნელოვანი მომენტებია ჯგუფების (გუნდების) მიხედვით ამოცანების განაწილება, კვლევის შესაძლო მეთოდების, ინფორმაციის მოძიების, შემოქმედებითი გადაწყვეტილებების მიღების ვარიანტების განხილვა;

- პროექტის მონაწილეთა დამოუკიდებელი მუშაობა მათი ინდივიდუალური ან გუნდური კვლევითი, შემოქმედებითი ამოცანების მიხედვით;
- მუდმივად მიმდინარეობს გუნდებში მიღებული ინფორმაციული მონაცემების შუალედური განხილვები (აუდიტორიაში, ორგანიზაციაში, სამეცნიერო საზოგადოებაში, ბიბლიოთეკაში, მედიათეკაში და სხვ.);
- პროექტის შესრულების აუცილებელი ეტაპია მისი დაცვა, ოპონირება;
- სამუშაოს დამთავრება ხდება კოლექტიური განხილვით, ექსპერტიზით, გარე შეფასების შედეგების გამოცხადებით, დასკვნა-წინადადებების ფორმულირებით.

პროექტის შეფასებისათვის გამოყენება შემდევი პარამეტრები:

- წამოყენებული პრობლემების მნიშვნელობა და აქტუალობა, შესასწავლი თემატიკასთან მათი შესატყვისობა;
- კვლევაში გამოყენებული მეთოდებით მიღებული შედეგების დამუშავების ხერხების კორექტულობა;
- საპროექტო გუნდის ყოველი მონაწილის აქტიურობა მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად;
- მიღებული გადაწყვეტილებების კოლექტიური ხასიათი;
- საპროექტო გუნდის წევრთა ურთიერთშევსებადობის, ურთიერთდახმარებისა და პირადი ურთიერთობის ხასიათი;
- პრობლემის წვდომის აუცილებელი და საკმარისი სიღრმე, ცოდნის მოზიდვა სხვა სფეროებიდან;
- გადაწყვეტილებათა დამაჯერებლობა, დასკვნების არგუმენტირების უნარი;
- პროექტის პრაგმატულობა;
- შესრულებული პროექტის შედეგების გაფორმების ესთეტიკა;
- გუნდის ყველა მონაწილის უნარი – პასუხი გასცეს ოპონირება;

ნენტთა კითხვებზე, პასუხების დამაჯერებლობა და ლაკონიურობა.

3.2. სტუდენტური საპროექტო გუნდების შექმნა

ციფილიზებულ ქვეყნებში ეკონომიკური და ბიზნეს-სამეცნიერებელობისციპლინების სწავლების პროცესში, სხვა მოწინავე ტექნოლოგიებთან ერთად, ძირითადად გამოიყენება პროექტების მეთოდი.

პროექტების მეთოდი მოწოდებულია გააღვივოს სტუდენტთა ინტერესი აქტუალური პრობლემების მიმართ, დასახლოს გზები პრობლემის გადასაჭრელობა და კონკრეტული პროექტის მეშვეობით აჩვენოს მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების მიმართულებები.

ქვემოთ ასახულია სწავლების პროცესში სტუდენტური გუნდური პროექტების მომზადებისა და პრეზენტაციის კონკრეტული მეთოდიკა, რომელსაც წინამდებარე წიგნის ერთ-ერთი ავტორი (გ. შიხაშვილი) მისეული ინტერპრეტაციით სისტემატურად იყენებს 1998 წლიდან.

ამ მეთოდიკის მიხედვით, სემესტრის მანძილზე სტუდენტებმა უნდა მოამზადონ გუნდური პროექტები (ბაკალავრიატში – სასწავლო-შემცნებითი, მაგისტრატურაში – სასწავლო-კვლევითი).

თთოეული გუნდი, 3-7 ადამიანის შემადგენლობით, ყალიბდება სტუდენტთა სურვილით, ლექტორთან შეთანხმებით. პროექტის სახეობა და კონკრეტული თემა შეირჩევა ასევე ლექტორთან შეთანხმებით სათანადო ეკონომიკურ-მმართველობითი პარადოქსების, მიკრო- და მინი-ქეისების წინასწარი განხილვისა და შესაბამისი დებატების საფუძველზე. ყოველი გუნდი პროექტის შედგენაზე მუშაობს 12-13 კვირის განმავლობაში და გამოიტანს მას სასწავლო ჯვეუფში პრეზენტაციაზე სემესტრის ბოლოს მე-14 ან მე-15 კვირაში.

სემესტრის მანძილზე საპროექტო გუნდები დამოუკიდებელი საქმიანობისათვის გამოყოფილ დროს მუშაობენ პროექტების შედგენაზე და ყოველკვირეულად, პრაქტიკულ მეცადინეობებზე მოკლე პრეზენტაციების სახით წარმოადგენენ პროექტზე მუშაობის

მიმდინარე ანგარიშებს, რომელთა დროსაც იმართება სათანადო დებატები. ამ პროცესში ლექტორი სისტემატურად, კონსულტაციებით, მეთოდურად და კონტროლის ფუნქციებით უძღვება პროექტების მომზადებას, მიმდინარე პრეზენტაციებს, დებატებს და ამზადებს გუნდებს საბოლოო პრეზენტაციისათვის.

სემესტრის პირველივე მეცადინეობაზე ლექტორი ასწავლის სტუდენტებს საჭირო და ეფექტუანი საპროექტო იდეებისა და წინადადებების გენერაციას (გამომუშავებას), აცნობს ეტაპებსა და საკითხებს დებატების ჩატარებისათვის, საპროექტო გუნდების შექმნისათვის, საპროექტო წინადადებების შემუშავებისა და პროექტების შედგენისათვის. ამ მიზნით გამოიყენება სქემა შემდეგი შინაარსობრივ-პუნქტობრივი თანამიმდევრობით: მიკრო-ქეისების ფორმით გადმოცემული სოციალურ-ეკონომიკური და ბიზნეს-პარადოქსები/პრობლემები/კურიოზები ⇒ კვლევა-ანალიზი, დებატები ⇒ საპროექტო იდეები ⇒ საპროექტო გუნდები ⇒ საპროექტო თემები ⇒ საპროექტო წინადადებები ⇒ პროექტების მონახულები ⇒ პროექტები.

სტუდენტები ეცნობიან ჩვენს მიერ შემუშავებულ შემდეგ პარადოქსებს/პრობლემებს/კურიოზებს: (მიკრო-ქეისებს):

1. „საქართველოს არ სჭირდება აგროსამრეწველო სფეროს, მათ შორის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება, ასეთი პროდუქცია მან უცხოეთიდან უნდა შემოიტანოს“?! – რას მოგვიტანს მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობები და აგროტურიზმი? შეიძლება თუ არა არასამეწარმეო იურიდიულმა პირმა აწარმოოს ასეთი ბიზნესი? – ვინ და როგორი პროექტი უნდა შეიმუშაოს პრობლემის გადასაჭრელად?
2. „მოქალაქე სახურავმოპარულ საკანალიზაციო ჭაში ჩავარდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა“. – რა მოქავს ჯართის ბიზნესი? – ვინ და როგორი პროექტი უნდა შეიმუშაოს პრობლემის გადასაჭრელად?

3. „გარდიკო ბედოიძემ შვილის სიცოცხლის გადასარჩენად სამედიცინო ოპერაციისათვის ბინა გაყიდა. შვილი ოპერაციის შემდეგ გარღვაიცვალა, დედა კი უბინაოდ დარჩა“. „შეიცავს თუ არა პიპოკრატეს ფიცის თანამედროვე ტექსტი მუხლს მკურნალობის უვერცხლობის (უსასყიდლობის) შესახებ“? „ჯანდაცვის მუშაკები და კონკრეტული ექიმები მოგებისა და საარსებო შემოსავლების მისაღებად ნატრობენ ავადმყოფთა სიმრავლეს. ეთიკურად დასაშვებია თუ არა მკურნალის ასეთი ფსიქოლოგიური განწყობა და შესაბამისი ბიზნესი (მაგალითად, შპს საავადმყოფოები)“? „ჯანდაცვის მომავალი ბიზნესისა და პოლიტიკაში“?! ვინ უნდა აფინანსებდეს ჯანდაცვას? – ვინ და როგორი პროექტი უნდა შეიმუშაოს პრობლემის გადასაჭრელად?
4. „სასაფლაოს მუშაკები და კონკრეტული მესაფლავები მოგებისა და საარსებო შემოსავლების მისაღებად ნატრობენ მიცვალებულთა სიმრავლეს. ეთიკურად დასაშვებია თუ არა ასეთი ფსიქოლოგიური განწყობა და შესაბამისი ბიზნესი?“ – ვინ და როგორი პროექტი უნდა შეიმუშაოს პრობლემის გადასაჭრელად?
5. „მაწანწალა „პიტბულის“ ჯიშის ძალმა დაკბინა რამდენიმე ადამიანი. გამოცხადდა მისი ძებნა, დარიგდა სავარაუდო ძაღლის ფოტოები. პოვნის შემთხვევაში პოლიციას აეკრძალა მისი აღგილზე ლიკვიდაცია და დაევალა სათანადო საქალაქო სამსახურისათვის შეტყობინება“. „აქეს თუ არა ყოველ მოქალაქეს უფლება იცხოვოროს უსაფრთხო გარემოში?“ – ვინ და როგორი პროექტი უნდა შეიმუშაოს პრობლემის გადასაჭრელად?
6. „ატომურ ელექტროსადგურს მოაქვს მხოლოდ სიკეთე“?! – რა მოქავს ხუდონჰესს, ნამოხვანჰესს? იქნებ მცირე ჰესები ჯობია? – ვინ და როგორი პროექტი უნდა შეიმუშაოს პრობლემის გადასაჭრელად?

ამ მასალას ლექტორი უკითხავს აუდიტორიას პირველ კვირაში, შესასწავლი დისცილინის შესავალი ნაწილის გადმოცემის შემდეგ. მიკრო-ქისების წაკითხვისა და განხილვა-დისკუსიების შედეგად სტუდენტები ეცნობიან ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ და ბიზნეს-სამეცნიერო პროცესების, რაც უადგილებს მათ საპროექტო თემის შერჩევას. სტუდენტებს შეუძლიათ შეარჩიონ ნებისმიერი სხვა თემა, პრობლემა, რომელიც მათ აქტუალურად მიაჩნიათ როგორც გუნდში მუშაობისათვის, ასევე სამომავლო, პრაგმატული საქმიანობის თვალსაზრისითაც. ამ მიზნით ლექტორი სტუდენტებს სთავაზობს სანიშულო საპროექტო თემების ჩამონათვალს:

1. მევნახეობისა და ღვინის წარმოების დაგეგმვა და ორგანიზაცია საქართველოში;
2. ბორჯომის (ან სხვა რეგიონების) ელექტროენერგეტიკა;
3. საქართველოში კინობიზნესის განვითარება;
4. ენერგეტიკის დაგეგმვა და ორგანიზაცია საქართველოში;
5. ტურისტული ფირმის საქმიანობა;
6. თანამედროვე კერძო სკოლა;
7. დანგრეული ტაძრების რესტავრაცია;
8. აგროეკოლოგიური ტურიზმის განვითარება ქიზიყში (ან სხვა რეგიონებში);
9. გველის შხამის ბიზნესი;
10. ლექჩერის (ან სხვა რეგიონების) ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები;
11. მცირე ენერგეტიკის განვითარება;
12. ქორწინების ორგანიზება;
13. „ტყე შეუნახე შვილებსა“;
14. „კოკა-კოლას“ ისტორია და თანამედროვე მენეჯმენტი;
15. აგრობიზნესის განვითარება საქართველოში;
16. საქართველო ხორბლისა და ვაზის ქვეყნაა;
17. შაქრის წარმოების და რეალიზაციის გზები საქართველოში;

18. წიგნი თუ ინტერნეტ ლიტერატურა;
19. ჩაის წარმოება;
20. ქართული ფეხბურთის თანამედროვე მდგომარეობა და პრობლემები;
21. უნარშეზღუდული ბავშვები საქართველოში;
22. უპატრონო ძალლების პრობლემები;
23. საბილიარდო ბიზნესი საქართველოში;
24. გარემოს დაბინძურება და მისი აღმოფხვრის გზები;
25. მეუკრეობის განვითარება საქართველოში;
26. ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება საქართველოში;
27. ნარკომანის პრობლემები საქართველოში.

პირველივე მეცადინეობებზე ვუკითხავთ აუდიტორიას ჩვენ მიერ შედგენილ კონკრეტულ კომედიურ სიტუაციას: „მენეჯმენტის მოთხოვნების დარღვევა ბიზნეს-პროექტის შედგენისა და პრეზენტაციისას“ და ვმართავთ სათანადო დებატებს (Case-Study). შედეგად სტუდენტები ნათლად იაზრებენ ხელმძღვანელის ფუნქციებს, გუნდში მუშაობის სპეციფიკას, ფასეულობასა და პირად პასუხისმგებლობას, რაც უადგილებს მათ პროექტის შედგენაზე მუშაობას როგორც სასწავლო-სასემესტრო, ასევე სამომავლო, პრაგმატულ-საკარიერო მნიშვნელობის თვალსაზრისითაც.

დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ პერიოდში, თემატური, ინტელექტუალური და პიროვნული ინტერესების მსგავსება-თანხვედრისა და „გონებრივი შტურმის“ მეთოდის გამოყენების საფუძველზე, სტუდენტები ერთობლივი მუშაობის შედეგად ქმნიან საპროექტო გუნდებს, გამოყოფენ გუნდის ხელმძღვანელს, ირჩევენ კონკრეტულ თემას და II კვირაში (მაქსიმუმ – III კვირაში) წარდეგენერაციების წერილობითი სახით.

**დაგალება სფუღნების დამოუკიდებელი
გუნდებისათვის განვითარების პროცესის
I-II პერიოდი: საპროექტო გუნდების
ჩამოყალიბება და თემის შერჩევა**

უახლეს პრეგოვიურ ტექნიკების ფართოდ გამოყენება „გონებრივი შტურმის“ მეთოდი (Brainstorming, Мозговой штурм).

ეს არის სასწავლო პროცესში ახალი იდეების გენერირების (გამომუშავების), ორგანიზაციის მისია, მიზნებისა და კონკრეტული ამოცანების ჩამოყალიბების და მათი განხორციელების გზების დასახვის მეთოდი.

„გონებრივი შტურმის“ მეთოდის არსი ძღვომარეობს შემდეგში: საპროექტო გუნდის წევრები სთავაზობენ ერთმანეთს ყველანაირ, თუნდაც ყველაზე უცნაურ და უჩვეულო იდეებს, ანალიზებენ მათ, აყალიბებენ სათანადო მიზნებს, ამოცანებს და ცდილობენ მათი განხორციელების შესაბამისი გზების დასახვას.

ერთი იდეა და მოსაზრება წარმოშობს მეორეს და ამ პროცესში გუნდის წევრები წამოაყენებენ გაცილებით მეტ წინადადებებს, ვიდრე ამას შეძლებდა მისი ყოველი წევრი ცალკე (დამოუკიდებლად) მუშაობისას.

სტუდენტებს ეძღვევათ დავალება – ამ მეთოდის გამოყენებით შესრულონ შემდეგი სამუშაო:

1. შეარჩიონ (დაავალონ, აირჩიონ) გუნდის ხელმძღვანელი (მთავარი მენეჯერი);
2. განიხილონ სხვადასხვა აზრი და გამოიმუშაონ წარმართველი იდეა თავიანთი გუნდისათვის;
3. ჩამოაყალიბონ პროექტის თემა და გუნდის სახელწოდება;
4. ჩამოაყალიბონ თავიანთი ორგანიზაციის (გუნდის) მისია, მიზნები და კონკრეტული ამოცანები. დასახონ მიზნის მიღწევის ორგანიზაციული გზები;
5. შეურჩიონ გუნდს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა

(მაგალითად: შპს, სააქციო საზოგადოება, ინდეწარმე, კავშირი, ფონდი, არაფორმალური (არარეგისტრირებული) ორგანიზაცია და სხვ.). ორგანიზაციის შექმნა შეუძლიათ, როგორც ვირტუალურად (წარმოსახვით), ასევე რეალურად;

6. შეარჩიონ ხელმძღვანელის მოადგილეები, მენეჯერები, გაანაწილონ ფუნქციები გუნდში, შექმნან მისი ორგანიზაციული სტრუქტურა და გადმოსცენ ეს სქემატურად.

ამის შემდეგ იწყება მუშაობა უშუალოდ პროექტის შედეგენაზე. II ან III კვირაში სტუდენტებს ეძლევათ სპეციალური მასალა (ინსტრუქცია), რომელიც აკვალიანებს მათ როგორც ამ საქმიანობაში, ასევე პროექტის საპრეზენტაციო გაფორმებაში.

3.3. სფუღნები გუნდური პროექტის შემუშავება და საპრეზენტაციო გაფორმება

პროექტის თავფურცელზე უნდა აისახოს:

- სასწავლებლისა და ფაკულტეტის დასახელება;
- სწავლების საფეხური, სპეციალობა, კურსი, ჯგუფი;
- საპროექტო გუნდის სახელწოდება, პროექტის სათაური, პროექტის სახეობა (სასწავლო-შემეცნებითი პროექტი – ბაკალავრიატისთვის და სასწავლო-კვლევითი პროექტი – მაგისტრატურისათვის);
- შესასწავლი დისციპლინა;
- პროექტის ხელმძღვანელი (დისციპლინის ლექტორი);
- სასწავლო წელი, სემესტრი, შესრულების ადგილი (ქალაქი) და წელი.

მუ-2 გვერდზე (თავფურცელის შემდგომ გვერდზე) – კვლავ პროექტის სათაური, გუნდის სახელწოდება და საპროექტო გუნ-

დის შემადგენლობა ყოველი წევრის გვარის, სახელის, სასწავლო ჯგუფის ნომრის, პირადი ტელეფონის (ბინისა და მობილურის), ელექტრონული ფოსტისა და გუნდში მისი ფუნქციის (ხელმძღვანელი, მოადგილე, მენეჯერი და სხვ.) ჩვენებით.

ქ-3 გვერდზე – სარჩევი ცალკეული თავების, პარაგრაფების, დანართების და სხვ. გვერდების ჩვენებით.

ქ-4 გვერდიდან – ტექსტის გადმოცემა შემდეგი სტრუქტურით:

1. გუნდში მუშაობის აღწერა; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტრუქტურის 1-ლი და ნაწილობრივ მე-9 პუნქტების გარდა, ყველა სხვა პუნქტი აისახება რეალურ პრაქტიკაში პოტენციური ინვესტორისადმი წარსადგენ ნამდვილი საპროექტო წინადადების (განაცხადის) ტექსტში, რომლის მოწონების შემთხვევაში ინვესტორი ითხოვს გაშლილი პროექტის (ბიზნეს-გეგმის) წარმოდგენას, რის საფუძველზეც ხდება მისი დაფინანსება. აქედან გამომდინარე, ჩვენი მეთოდის მეშვეობით, სტუდენტები უკვე ადრეულ სტადიაზე სწავლობენ კონკურენტუნარიანი პროექტების (საპროექტო განაცხადების) შედგენას, რაც მათ გამოადგებათ მომავალი საკარიერო ცხოვრება-განვითარების პროცესში;
2. ინფორმაცია განმცხადებლისა და შემსრულებლის შესახებ;
3. პროექტის აღწერა;
4. პროექტის შესრულების განრიგი;
5. პროექტის განხორციელების ბიუჯეტი;
6. მოსალოდნელი შედეგები;
7. პროექტის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება;
8. დამატებითი ინფორმაცია (დანართები);
9. გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები.

განვიხილოთ ეს ნაწილები:

1. საპროექტო გუნდში მუშაობის აღწერა

ნაშრომის ამ ნაწილში უნდა აისახოს შემდეგი ძირითადი მომენტები, რომლებიც გვხვდება საპროექტო გუნდის საქმიანობის პროცესში:

- გუნდის შექმნის ისტორია, წანამდლორები, მისია, მიზანი და ამოცანები;
- საპროექტო თემის შერჩევის პერიპეტიები;
- გუნდის პერსონალის შერჩევა და მართვა;
- გუნდის, როგორც ფირმის (ბიზნეს-სუბიექტის), ან არასამთავრობო ორგანიზაციის რეალური ან ვირტუალური (წარმოსახვითი) ორგანიზაციული ჩამოყალიბება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შერჩევა, დარეგისტრირება, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, ხელმძღვანელობისა და საქმიანობის კოორდინაციის სქემა);
- გუნდის მთავარი მენეჯერი, მენეჯერები, რიგითი წევრები და მათი ფუნქციები;
- გუნდის ფუნქციონირების შიგა და გარე გარემო;
- გუნდის საქმიანობის ეთიკური საფუძვლები;
- შესაძლო უთანხმოები და კონფლიქტები გუნდში და მათი მართვა;
- გუნდის მართვის ზოგადი ფუნქციების (დაგეგმვა, ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა და კონტროლი) განხორციელება და მასზე პასუხისმგებელი პირები;
- დროისა და თვითმენეჯმენტი;
- გუნდის მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვა;
- პროექტის შედგენის ბიუჯეტი;
- სასწავლო პროცესში გუნდური პროექტის შედგენის მეთოდის შეფასება.

კოლექტიური მუშაობის პროცესში გუნდის წევრები წინასწარ ან გამეორების თვალსაზრისით სისტემატურად სარგებლობებს სასწავლო, სამეცნიერო და საინფორმაციო წყაროებში ასახული მასალებით და მიღებული ცოდნა შეუძლიათ კომპლექსურად გამოიყენონ: 1) უშალოდ პროექტებზე მუშაობისას; 2) პრეზენტაციებზე; 3) შუალედურ გამოცდებზე; 4) სემინარებზე თემების ჩაბარებისას; 5) ქეისების გარჩევისას; 6) ფინალურ გამოცდებზე. ამასთან, გუნდებში მუშაობა, სხვა გუნდებთან სასწავლო-შემოქმედებითი კონკურენციის პირობებში, მათვის 12-13-კვირიანი ბიზნეს-სამეცნიერო პრაქტიკის გავლის ტოლფასია, რაც სტუდენტებისათვის ცოდნისა და ბიზნესმენისა და მენეჯერის უნარ-ჩვევების შეძნის ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს.

2. ინფორმაცია განმცხადებლისა და შესრულებლის შესახებ

ჩვეულებრივ, განმცხადებელში იგულისხმება პროექტის შემდგენელი და ინერსტორთან/სპონსორთან მისი წარმდგენელი. რეალურ პრაქტიკაში ეს შეიძლება იყოს კერძო პირი, საინიციატივო ჯგუფი ან ოფიციალური ორგანიზაცია. ჩვენს შემთხვევაში განმცხადებელს წარმოადგენს პროექტის შედგენაზე მომუშავე გუნდი თავისი რეალური თუ ვირტუალური სტატუსით. ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას განმცხადებლისა და პროექტის შესრულებაში და/ან განხორციელებაში მონაწილე პირების (ორგანიზაციების) შესახებ, იმის გათვალისწინებით, თუ როგორია განმცხადებლის სტატუსი, მიზნები და მოთხოვნები.

3. პროექტის აღწერა

პროექტის აღწერა არის საპროექტო განაცხადის ერთ-ერთი ძირითადი და მოცულობითი შემადგენელი ნაწილი, რომელშიც გაერთიანებულია შემდეგი სახის ინფორმაცია:

- **პრობლემის განსაზღვრა და არსებული სიტუაციის ანალიზი** – გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის აღწერა-ანალიზს (პრობლემის/საკითხის ისტორია და დღევან-დელი მდგომარეობა), რომლის საპასუხოდაც არის მიმართული თქვენი პროექტი;
- **მიზანი** – გულისხმობს ზოგად დებულებებს იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ და რომელიც ლოგიკურ კავშირში იქნება აღწერილ პრობლემასთან;
- **ამოცანები** – გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მოუთითოთ, რა ამოცანების გადაჭრას ისახავთ თქვენს პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამდენიმე ამოცანა იმის გათვალისწინებით, თუ როგორია თქვენი პროექტის სპეციფიკა;
- **განხორციელების გზები** – გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენ მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები ასახავს განაცხადის მიზანს და პასუხობს: 1) „როგორ“ – როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს? 2) „ვინ“ – ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში?

4. პროექტის შესრულების განრიგი

პროექტის შესრულების განრიგი უნდა შეიცავდეს პროექტით განსაზღვრული საქმიანობის განაწილებას დროში, რომელიც შეიძლება გამოისახოს დროის ტაბულის საშუალებით (**ცხრილი 3.1**) ან პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპის ქრონოლოგიური ჩამოთვლით.

ცხრილი 3.1.

პროექტის შესრულების განრიგი

ეტაპი	საქმი-ანობა	თ ვ ე											
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
I													
II													
III და ა.შ.													

5. პროექტის განხორციელების ბიუჯეტი

ბიუჯეტი ღოგიგურ კაგშირში უნდა იყოს პროექტის აღწერაში მითითებულ ამოცანებთან. ბიუჯეტს უნდა ჰქონდეს ცხრილის სახე (**ცხრილი 3.2.**). ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ სამუშაოებს (მომსახურების) სფეროებს, რომლებიც შეესაბამება პროექტის ამოცანებს. სასურველია, ბიუჯეტში არ შეიტანოთ ის პუნქტები, რომლებიც არ არის არსებითი ან არ არის პროექტთან მისადაგებული. მითითებული ფასები უნდა იყოს საბაზო (უმჯობესია, რომელიმე ფირმის საფასო პრეისკურანტის წყაროს სახით მითითება). პროექტის განხორციელების ბიუჯეტი უმთავრესი ინფორმაციაა, რომელიც წარედგინება პოტენციურ ინვესტორს/სპონსორს დაფინანსების თხოვნით. ამიტომ ამ ნაწილში შეძლებისდაგვარად მოკლედ უნდა ასახოთ ჩვეულებრივი ბიზნესგეგმის ფინანსური განყოფილება (ხარჯები, შემოსავალი, მოგება).

ცხრილი 3.2.

პროექტის განხორციელების ბიუჯეტი

სამუშაოს/ მომსახურების დასახელება	საცალო დირექტორება	რაოდენობა	მოთხოვნილი თანხა	ს უ ლ
1.				
2				
3.				
სულ:				

6. მოსალოდნელი შედეგები

განაცხადის ფორმის ამ ნაწილში აღწერეთ ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც მოჰყვება თქვენი პროექტის წარმატებით განხორციელებას რაოდენობრივი ან/და თვისებრივი მაჩვენებლებით (შეცადეთ, შედეგები იყოს დათვლადი, რაც ამარტივებს მონიტორინგის პროცედურას და ხშირ შემთხვევაში გაცილებით მომგებიანია).

7. მონიტორინგი და შეფასება

განაცხადის ამ ნაწილში უნდა აღნიშნოთ, თუ როგორ და ვის მიერ მოხდება თქვენი პროექტის განხორციელებაზე დაკვირვება და რა კრიტერიუმებით შეფასდება მისი წარმატება.

8. დამატებითი ინფორმაცია (დანართები)

დამატებითი ინფორმაციის სახით შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი ინფორმაცია, დანართები (ცხრილები, სქემები, რუკები, გრაფიკები და სხვ), რაც განამტკიცებს განაცხადს (პროექტს) და გახდის მას უფრო დამაჯერებელსა და გასაგებს.

პროექტს შესაძლებელია თან ახლდეს რეკომენდაცია შესაბამის სფეროში აღიარებული ექსპერტებისაგან.

9. გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

აქ უნდა აისახოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, აგრეთვე შესაბამისი სფეროს სპეციალისტების რეკომენდაციები (ორგანიზაციისა და პიროვნების მითითებით).

3.4. მოთხოვები სტუდენტი გუნდური პროექტის საბოლოო პრეზენტაციისათვის

პროექტის პრეზენტაციისათვის გუნდს მოეთხოვება შემდეგი:

1. გუნდი საბოლოო პრეზენტაციისათვის პროექტს ამზადებს სემესტრის განმავლობაში გუნდის წევრების მიერვე არჩეული მთავარი მენეჯერის/კოორდინატორის ხელმძღვანელობით, რომელიც ანაწილებს სათანადო ფუნქციებს ცალკეულ წევრებზე, ნიშნავს შესაბამის მენეჯერებს და პასუხისმგებელია მათი და მთელი გუნდის მუშაობის გამართულობასა და რეალურობაზე.
2. ქულების უშრომლად მიღების მსურველი, ზარმაცი სტუდენტი მენეჯერმა თავიდანვე არ უნდა მიიღოს გუნდში, ან ასეთ შემთხვევაში უნდა გარიცხოს იგი გუნდიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლექტორის მიერ ასეთი სტუდენტის გამოვლენისას მთელი გუდი მოიხსნება პროექტის მომზადების პროცესში ან თვით პრეზენტაციიდან და შეფასების ამ კომპონენტში გუნდის ყველა წევრს დაეწერება 0 ქულა;
3. სავალდებულოა გუნდის ყველა წევრის გამოცხადება საბოლოო პრეზენტაციაზე;
4. საბოლოო პრეზენტაციაზე გამოტანილ უნდა იქნეს საკუსაქალ-ალდეში ჩატრული ან სათანადო აკინძული, ესთეტურად ვა-

ფორმებული პროექტი კომპიუტერზე ნაბეჭდით სახით (მოცულობა – 25-30 გვერდი; 1,5 ინტერვალი; LitNusx; 12 შრიფტი);

5. საჭიროა ასეთი მოთხოვნებით შესრულებული 3 ეგზემ-პლარი (1 ეგზ. – ლექტორისათვის, 1 ეგზ. – უნივერ-სიტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენ-ტრისათვის, 1 ეგზ. – გუნდისათვის);
6. წარმოდგენილი პროექტისა და გუნდის მუშაობის მაღალი შეფასებისათვის საჭიროა პრეზენტაციის წინ პროექტის შემოკლებული ტექსტის ქსეროასლები დაურიგდეს სას-წავლო ჯგუფში არსებულ სხვა საპროექტო გუნდებს (თითო ეგზეპლარი თითოეულ გუნდს), რათა მათ მიეცეთ პროექტის პრეზენტაციის თანმხლებ დისკუსიაში არგუ-მენტირებული მონაწილეობის საშუალება;
7. პრეზენტაცია უნდა მოხდეს Microsoft Office PowerPoint-ში შესრულებული სლაიდ-შოუს (15-20 სლაიდი) მეშვეობით, რომელშიც უნდა აისახოს პროექტის უმთავრესი მომენტები პრეზენტაციის ფორმატის მიხედვით;
8. უკეთესია პრეზენტაცია შეასრულოს გუნდის რამდენიმე წევრმა პროექტის მომზადებაში მათი ფუნქციების ან პროექტის ნაწილების, ან პრეზენტაციის ფორმატის მიხედ-ვით. პრეზენტაციის ფორმატი შემდეგია: 1) პროექტის ძირი-თადი დებულებების გადმოცემა – 15 წთ.; 2) კითხვა-პა-სუხები – 4 წთ.; 3) დებატები – 6 წთ. (სულ – 25 წთ.). პროექტის ძირითადი დებულებების გადმოცემაში უნდა აისახოს: 1) გუნდში მუშაობის აღწერა – 4 წთ.; 2) პრობლემის/ საკითხის ისტორიისა და დღევანდელი მდგომარეობის აღ-წერა – 3 წთ.; 3) საკუთრივ გუნდის მიერ შემუშავებული საპროექტო წინადადებების ძირითადი დებულებების და ბიზნეს-ეკონომიკური (ბიუჯეტი, ხარჯები, შემოსავალი, მოგება) გაანგარიშებების გადმოცემა – 8 წთ.

9. პრეზენტაციის დაწყებამდე ლექტორს უნდა გადაეცეს პროექტის ტექსტისა და სლაიდ-შოუს ელექტრონული ვერსია CD-დისკზე ჩაწერილი. ეს მასალა აგრეთვე უნდა გადაიგზავნოს ლექტორის ელექტრონულ ფოსტაში.

პროექტის საბოლოო შეფასება მოხდება გუნდის მიერ არსებული მოთხოვნების შესრულების საფუძველზე 0-დან 20 ქულის ფარგლებში. პროექტის შეფასების ქულა დაწერება გუნდის ყოველ ცალკეულ წევრს და აისხება სასწავლო-ტექნოლოგიური კომპონენტების სემესტრული შეფასების სკალაზე.

3.5. სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის შემთხვევაში უნივერსიტეტის

შუქრდებოდა პრესაში, სამეცნიერო პერიოდიკასა და სტუდენტურად გამოცემულ კრებულებში. განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია:

1. კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2005 წლის 19 აპრილი);
2. სამეცნიერო სემინარი: „მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების პრისტივები საქართველოში“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2005 წლის 30 ნოემბერი);
3. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „აშშ-ის ეკონომიკა და თანამედროვეობა“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2006 წლის 28 დეკემბერი);
4. სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბოლნისი-2008“ (ბოლნისის ეპარქია, 2008 წლის 14 აპრილი);
5. სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2008“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2008 წლის 30 მაისი);
6. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008“ (მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია, 2008 წლის 25-30 ივლისი);
7. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბავშვო უნივერსიტეტის გასვლითი ლექცია ბოლნისში (2009 წლის 30 მაისი);
8. I საუნივერსიტეტოაშორისო სტუდენტური კონფერენცია „სტუდენტური პროექტები“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2009 წლის 5 ივნისი);
9. ტრეინინგი: „პროექტების შედგენა და მენეჯმენტი“ – ქალაქი წნორი (2010 წლის 8-10 იანვარი);
10. სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2010“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2010 წლის 25 იანვარი);

წინამდებარე წიგნის ერთ-ერთი ავტორი (გ. შიხაშვილი) პროექტების მეთოდს 1998 წლიდან დაწყებული, იყენებს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში და სხვა უნივერსიტეტებში ეკონომიკური და ბიზნეს-სამეცნებელო დისციპლინების სწავლების პროცესში. განვლილ პერიოდში, სასწავლო ჯგუფებში პრეზენტაციის შემდეგ, საუკეთესო პროექტები სისტემატურად ვაიტანება საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო პრეზენტაციებზე, საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენციებზე, ჯილდოვდება პრიზებით, გადაეცემა საუბლივიაციოდ და საპროექტო წინადაღების სახით განსაზღვევლად წარდგინება სათანადო ორგანიზაციებსა და ბიზნესმენებს.

მეთოდიკის სისტემატური გამოყენების შედეგად, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გ. შიხაშვილის ხელმძღვანელობით 2001-2010 წლებში მოქმედებდა სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“, რომლის ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი კონფერენციების, სემინარებისა და ტრეინინგების სახით, რაც სისტემატურად

11. II საუნივერსიტეტთაშორისო სტუდენტური კონფერენცია „სტუდენტური პროექტები“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2010 წლის 1 ივნისი).

ანალოგიური ცენტრის შექმნა განზრახულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში. ცენტრის მისია იქნება: ერთობლივი საქმიანობის კოორდინაციის სრულყოფის მიზნით სტუდენტებისა და ყველა დაინტერესებული მხარის გაერთიანება ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის აქტუალური საკითხების კვლევისა და სათანადო პროექტების შემუშავება-განხორციელების სფეროში.

მისის განხორციელებისათვის ცენტრმა საქმიანობა უნდა წარმართოს შემდეგი მიმართულებებით:

- ინტერ-, მულტი-, სუბდისციპლინური და ინოვაციური კვლევების ჩატარება ბიზნესის, ეკონომიკისა და სამეურნეო-მართველობითი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში;
- საქართველოში პროექტების მენეჯმენტის შესწავლით დაინტერესებული ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების ხელშეწყობა;
- სათანადო საინფორმაციო-საკონსულტაციო და სატრეინინგო სისტემის შექმნა;
- საგამომცემლო საქმიანობა: სამეცნიერო, სასწავლო, საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა სახის ლიტერატურის გამოცემა;
- კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ჩატარება.

ყოველივე ზემოაღწერილი მიგვითითებს სწავლების პროცესში სტუდენტური გუნდური პროექტების მომზადებისა და პრეზენტაციის მეთოდური ასპექტების შესწავლა-გამოყენების აქტუალ-

ურობასა და სპეციალიზებული ცენტრების საქმიანობის დიდ პერსპექტივაზე.

სტუდენტთა საერთო აზრით, გუნდურ პროექტებში მონაწილეობა – ეს არის საუკეთესო საშუალება სასწავლო პროცესში ცოდნისა და შემცირებით-კვლევითი უნარ-ჩვევების დაუფლებისათვის, მენეჯერული პრაქტიკის გავლისა და პროფესიული მომზადებისათვის.

უახლესი მეთოდიკის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი შემდგომი განვითარება და საყოველთაო დანერგვა ეკონომიკური და ბიზნეს-სამენეჯმენტო კადრების მომზადება-გადამზადების მთელ სისტემაში. ეს კი ორგანულად არის დამოკიდებული ეკონომიკური განათლების სფეროს ოპტიმალურ რეფორმირებაზე და ყოველი ცალკეული ორგანიზაციის დონეზე სწავლების ტექნოლოგიების რადიკალურ გაუმჯობესებაზე, რის საფუძვლის უნდა მოხდეს ქვეყნის ეკონომიკური და ბიზნეს-სექტორის უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური საკადრო პოტენციალით.

საკითხები თვითშემოწმებისა
და გამორჩევისათვის

ინდივიდუალურად, წყვილებში ან გუნდებში განიხილეთ შემდეგი
თემატიკა:

1. პროექტების მეთოდის არსი, მახასიათებლები და მაჩვენებლები;
2. მოთხოვნები პროექტების მეთოდის გამოყენებისათვის;
3. კოლექტური სწავლებისა და პროექტების მეთოდების გამოყენების სოციალური მომენტები;
4. პროექტების ტიპოლოგია;
5. სასწავლო და სატრეინინგო პროცესში პროექტების შედეგების მეთოდიკა;
6. პროექტის შეფასების პარამეტრები;
7. საპროექტო იდეების გამომუშავების მეთოდიკა;
8. საპროექტო გუნდების ჩამოყალიბება და თემის შერჩევა „გონებრივი შტურმის“ მეთოდით;
9. სტუდენტური გუნდური პროექტის შემუშავება და საპრეზენტაციო გაფორმება;
10. მოთხოვნები სტუდენტური გუნდური პროექტის საბოლოო პრეზენტაციისათვის;
11. სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრები უნივერსიტეტებში.

თავი 4
პროექტების მართვის საფუძვლები

4.1. პროექტების არსი

პროექტების მართვა თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთი უძავრესი მიმართულებაა. ივი გამოიყენება ცივილიზაციული ქვეყნების მთელი ეროვნული მეურნეობის და, კერძოდ, ბიზნესის პრაქტიკულად ყველა სფეროში: მრეწველობაში, მშენებლობაში, კავშირგაბმულობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, ფარმაკოლოგიაში, შოუ-ბიზნესში, მასშიდამი ინფორმაციულ სისტემებში, საფონდო ბირჟების ოპერაციებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, ადგილობრივი მართვის, სამუნიციპალიტეტო-საგანმანათლებლო, სამდიცინო, კულტურის, ხელოვნების, სპორტისა და არასამეწარმეო (არაკომერციულ, არასამთავრობო ორგანიზაციებში).

აქედან გამომდინარე, საქართველოს მთელი ეროვნული მეურნეობისა და ეკონომიკის ცალკეული დარგებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მოხერხდეს ყველა ორგანიზაციის ორიენტაცია პროექტების შემუშავება-მართვასა და სათანადო სპეციალისტების მომზადება-გადამზადებაზე.

1969 წელს ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ დერბიში შეიქმნა პროექტის მენეჯმენტის ინსტიტუტი (Project Management Institute – PMI). ეს არის საერთაშორისო პროფესიული ასოციაცია, რომელიც მოწოდებულია გააღრმაოს პროექტის მენეჯმენტის მეცნიერება და ხელოვნება. მსოფლიოს მასშტაბით დღეისათვის მასში გაერთიანებულია 110 ათასზე მეტი ადამიანი.

პროექტი განიხილება როგორც საქმიანობის სახეობათა ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია გარკვეული დროის მანძილზე დასახული მიზნების მიღწევასთან. სხვაგვარად, პროექტი არის განსაკუთრებული პროდუქციის ან სერვისის შექმნა გარკვეული დროის მანძილზე. ეს არის დროებითი გეგმა, რომელსაც აქვს დასაწყისი და

დასასრული. პროექტი შეიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ ქმედებებს. იგი ვითარდება პროგრესულად – განსაზღვრავს თითოეული პროდუქტისთვის დამახასიათებელ თვისებებსა და დეტალებს, რათა პროექტი ადვილად გასაგები გახდეს.

პროექტის მენეჯმენტი საქმიანობის ობგარი საწყობების ხელმძღვანელობაა, რამაც უნდა უზრუნველყოს მიზნების მიღწევა სათანადო ხარისხით, შემოსაზღვრული დროისა და ბიუჯეტის ფარგლებში. სხვაგვარად, პროექტის მენეჯმენტი – ეს არის პროექტისთვის საჭირო ქმედებების, ცოდნის, უნარ-ჩვეულების, ხერხებისა და ტექნიკის ერთობლიობა პროექტის მოთხოვნილებების დასაკამაყოფილებლად.

პროექტს აქვს სამი სპეციფიური მახასიათებელი:

- მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი;
- იშვიათი, უნიკალური ან უცნობი საქმიანობა მისი განმხორციელებელი ორგანიზაციისათვის;
- კომპლექსური მოღვაწეობა, რომელიც ხშირად ითვალისწინებს ტექნოლოგიური ოპერაციებისა და სამუშაოთა ვადების რთულ პროცესს.

გველა პროექტს აქვს გარკვეული სასიცოცხლო ვადა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ პროექტები წარმოიშობა და სრულდება, ხოლო საწარმო განაგრძობს მუშაობას. პროექტები გარკვეული დროით თავისეკენ მიიზიდავენ საწარმოს რესურსებს, რაც ზოგჯერ იწვევს უთანხმოებას პროექტებში ჩაუსმელ ქვედანაყოფებთან. ამდენად, აუცილებელია მუდმივი ეფექტიანი კოორდინირება საწარმოს, პროექტისა და სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელობას შორის.

გველა პროექტს აქვს თავისი განსაზღვრული სტრუქტურა და მართვის სტრუქტურა. პროექტების სტრუქტურორება და მართვის მეთოდების განსაზღვრა სხვადასხვა პრინციპის მიხედვით ხდება, მაგრამ უმთავრესი მაინც უნდა იყოს პროექტის აღქმა, როგორც ღია სისტემისა.

პროექტის უშუალო გარემოცვაში იგულისხმებიან პროდუქტის, სამუშაოებისა და მომსახურების მიმწოდებლები, აგრეთვე პროექტის შედეგების პირდაპირი და ირიბი მომხმარებლები.

4.2. პროექტის პერსონალის მენეჯმენტი

პროექტის ჩარჩოებში მკაფიოდ არის გამოყოფილი მისი პერსონალი, ანუ მონაწილეები. პროექტის პერსონალური შემადგენლობა დამოკიდებულია პროექტის მიზანზე, ტიპზე, სახეობაზე, სირთულეზე, მასშტაბებსა და სასიცოცხლო ციკლზე.

პროექტის განხორციელების დროს ხდება მთელი რიგი გარე და შიდა ფაქტორების ურთიერთზემოქმედება და შეცვლა, რაც, თავის მხრივ, იწვევს პროექტის პერსონალის სათანადო ცვლილებებს.

პროექტის ყველაზე აქტიურ და სტაბილურ მონაწილეებად ითვლებან: პროექტის ინიციატორი, შემკვეთი, ინვესტორი, პროექტის ხელმძღვანელი, პროექტის გუნდი.

პროექტის ინიციატორი – ეს არის სუბიექტი (ფიზიკური ან იურიდიული პირი), რომელიც პროექტის ძირითადი იდეისა და მისი განხორციელების ინიციატივის მატარებელია. ინიციატორის როლში შეიძლება გამოდიოდეს პროექტის ნებისმიერი მომავალი მონაწილე. საქმიან ინიციატივას, პროექტის რეალიზაციის მიზნით, პრაქტიკულად ყოველთვის ფლობს რეალურად არსებული შემკვეთი.

შემკვეთი – როგორც პროექტის ერთ-ერთი სუბიექტი, დაინტერესებულია პროექტის მიზნის განხორციელებაში და კონკრეტული შედეგების მიღწევაში. იგი განსაზღვრავს პროექტის ძირითად მოთხოვნებსა და საქმიანობის ჩარჩოებს, უზრუნველყოფს დაფინანსებას, დებს ხელშეკრულებებს მონაწილეებთან, იღებს პასუხისმგებლობას პროექტის შედეგებზე.

ინვესტორი – შემკვეთთან ერთად ახორციელებს პროექტის

დაფინანსებას და დაინტერესებულია დაგეგმილი ფინანსური შედეგებით. იგი პროექტის დასრულების შემდეგ ანგარიშსწორებას ახდენს პროექტის მონაწილეებთან.

პროექტის ხელმძღვანელი (პროექტ-მენეჯერი) უფლებამოსილია წარმართოს მთელი საქმიანობა პროექტის მიზნების მისაღწევად და პასუხისმგებელია შემკვეთის წინაშე. იმ შემთხვევებში, როდესაც პროექტი რთული და მასშტაბურია, ხელმძღვანელის როლში შეიძლება გამოვიდეს საკონსულტაციო ან მმართველობითი ფირმა. თუმცა ამ დროსაც პროექტის ხელმძღვანელის ფუნქციას ასრულებს ერთი პიროვნება. პრაქტიკულად ყველა პროექტში ხელმძღვანელს ჰყავს ერთი ან რამდენიმე მოადგილე ცალკეული მნიშვნელოვანი მიმართულებების მიხედვით.

პროექტის ხელმძღვანელი წარმოადგენს სამუშაოების შესრულების გრაფიკის დამცველს. **პროექტის ხელმძღვანელის მიმართ არსებობს მთელი რიგი მოთხოვნები, რომელთაგან აღსანიშნავია:**

- სხვა პროექტების შესრულებისა და ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- პერსპექტივის ხედვა: ხელმძღვანელმა შეიძლება არ იცოდეს ტექნიკურ-ტექნოლოგიური დეტალები, მაგრამ უნდა შეეძლოს ამოცანების დაყენება ასეთი საკითხების მცოდნეობათვის;
- ინჟინერული ორიენტაცია და მისწრაფება იდეის ხორც-შესხმისაკენ;
- მარკეტინგის ცოდნა და კომერციული უნარ-ჩვევები;
- ინფორმაციის ფლობა საკუთარი და სხვა საწარმოების მიერ გახორციელებული პროექტების შესახებ ისტორიულ, მეთოდოლოგიურ, პრაქტიკულ-შედეგობრივ და კომერციულ ჭრილები;
- მუდმივი ზრუნვა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

პროექტის რეალიზაციისას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება შეიქმნას ხელმძღვანელის შეცვლის საჭიროება. ამი-

ტომ ზოგი კომპანია ახდენს ლიდერების როტაციას. **პროექტების ისტორია გვიდასტურებს**, რომ კარგი ხელმძღვანელები მოღიოდნენ კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა სფეროდან და დეპარტამენტიდან. მათი საერთო ძირითადი თვისებებიდან აღსანიშნავია:

- ძლიერი, ენერგიული და, საჭიროების შემთხვევაში, კომპრომისული პიროვნება;
- დიპლომატიურობა და პირადი მოსაზრებების დაცვა;
- საზრიანობა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი;
- უდავო კომპეტენტურობა პროექტის უმთავრეს სფეროში მაინც;
- მისი სპეციალობის ფარგლებს გარეთ არსებული საკითხების ცოდნა და მთლიანი სიტუაციის აღქმის უნარი;
- სისხლხორცეული დაინტერესება პროექტით და მისი წარმატებით დამთავრების ხედვა;
- ტექნიკური სამუშაოს წარმართვის და სპეციალისტებზე დავალებების გაცემის უნარი;
- გერგილიანობა საქმეში (ფინანსური და კომერციული საკითხები, თანამოაზრეთა მობილიზება, ხელშეკრულებების დადება და სხვ.) და მეწარმის დინამიზმი;
- მოუღლელობა, საზრიანობა, მოხერხებულობა, სიმარჯვე.

მართალია, კომპანიის (ორგანიზაციის) უმაღლესი ხელმძღვანელობა უშეულოდ არ მონაწილეობს პროექტის მართვაში, მაგრამ იგი ყოველთვის სათანადოდ უჭერს მხარს პროექტის მენეჯერსა და მთელ პერსონალს. ამასთან, პროექტის ხელმძღვანელობას სისტემატური ურთიერთობა აქვს საწარმოს ხელმძღვანელებთან, პროექტის წარმატებით განხორციელების მიზნით. **საწარმოს (ორგანიზაციის) აღმინისტრაციის თანადგომა გამოიხატება შემდეგში:**

- გადაწყვეტილებების მიღების მკაფიოდ განსაზღვრული არხები;
- რეაგირება თხოვნებზე;
- დახმარება კონფლიქტების მოგვარებაში;

- საჭიროების შემთხვევაში რესურსების გამოყოფა;
- ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება;
- მხარდაჭერა საწარმოს გარეთ არსებულ იურიდიულ და კერძო სუბიექტებთან ურთიერთობაში;
- ურთიერთობა საზოგადოებასთან;
- საწარმოს საქმიანობისა და პროექტის ტექნიკურ-ეკონო-მიკური და კომერციული პარამეტრების შეთანაწყობა;
- პროექტის დაზღვევა;
- პროექტის დაცვა კომპანიის შიდა ინტრიგებისაგან;
- პროექტის ხელმძღვანელობისა და პერსონალის პიროვნუ-ლი და პროფესიული სრულყოფის უზრუნველყოფა.

თავის მხრივ, კომპანიის (ორგანიზაციის) ხელმძღვანელობა პროექტ-მენეჯერისაგან მოითხოვს შემდეგს:

- შედეგებსა და ანგარიშებას;
- მკაფიო მოხსენებებს;
- ორგანიზაციული პრობლემების მინიმუმადე შემცირებას;
- გუნდის პერსონალის უკონფლიქტო მართვას;
- დამოუკიდებელი საქმიანობის მაღალ დონეს;
- მუშაობის პროცესში პიროვნულ და პროფესიულ ზრდას;
- ოპტიმალურ საქმიან ურთიერთობას შემკვეთთან და ინ-ვესტიონთან.

პროექტის გუნდი (პერსონალი) მოქმედებს პროექტ-მენეჯერის ხელმძღვანელობით დასახული მიზნების მისაღწევად. გუნდის წევრები უნდა აკმაყოფილებინებ მაღალი დონის პროფესიულ მოთხოვების. მათი რაოდენობა, სპეციალიზაციის სპექტრი, მოვალეობები და ანაზღაურების ოდენობა განსხვავებულია სხვადასხვა პროექტის სპეციფიკის მიხედვით. გუნდის ფორმირება ხდება ხელმძღვანე-ლის მიერ პროექტის ინიციატორთან, შემკვეთთან, ინვესტორთან და საწარმოს ხელმძღვანელობასთან კონსულტაციების საფუძველზე.

ზემოთ ჩამოთვლილებთან ერთად პროექტის მონაწილეებს მიეკუთ-ვნებიან: კონტრაქტორი, სუბკონტრაქტორი და პროექტის პროდუქტის მომხმარებელი.

კონტრაქტორი კისრულობს ვალდებულებას ცალკეულ სამ-უშაოებზე, პროდუქციის მიწოდებასა და მომსახურებაზე. მას შეუძლია შეასრულოს მოიჯარის (სამუშაოთა შემსრულებლის), მიმწოდებლის (პროდუქციის, ძირითადი საშუალებების ან რესურ-სების) ან კონსულტანტის ფუნქციები. კონტრაქტორს ეწოდება გენერალური კონტრაქტორი (ან გენერალური მოიჯარე), თუ იგი ასრულებს პროექტით გათვალისწინებულ ყველა სამუშაოს.

სუბკონტრაქტორი (სუბმოიჯარე) პროექტის არაპირდაპირი მონაწილეა, ვინაიდან იგი ასრულებს მხოლოდ ცალკეულ სამ-უშაოებს, პროდუქციის მიწოდებასა და მომსახურებას. იგი მუშაო-ბს კონტრაქტორის მეშვეობით, რომელთანაც ნაკისრი აქვს სათა-ნადო სახელშექრულებო ვალდებულებები.

პროექტის პროდუქციის მომხმარებელი არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც გამოდის პროექტის პროდუქციის მყიდველის ან მომხმარებლის როლში. **არსებობს მომხმარებლის ორი ტიპი:** 1) საბოლოო მომხმარებელი, რომელიც მოიხმარს პროექტის პროდუქციას დამოუკიდებლად; 2) შუალედური მომხ-მარებელი, რომელიც ასრულებს შუამავლის ფუნქციას და გად-ასცემს პროექტის პროდუქციას სხვა მომხმარებელს.

გარდა ამისა, ტიპურ პროექტებში ყოველთვის ჩართული არიან სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები: სახელმწიფო და ადგილო-ბრივი ხელისუფლების ორგანიზი, საზოგადოებრივი ჯგუფები, არასა-მეწარმეო (არაკომერციული, არასამთავრობო) ორგანიზაციები, მოსახ-ლეობა, სპონსორები, საკონსულტაციო, საინიციატივო, მმართველობითი და იურიდიული ორგანიზაციები.

4.3. პროექტის მართვის უმთავრესი მომენტები

ფოკუსი პროექტის (მაგალითად: ახალი ნაწარმის ათვისება; მსხვილი ელექტროსადგურის აშენება; წიგნის გამოცემა; სპორტული ღონისძიების, იუბილეს, პომპეზური შოუ-ფესტივალის ან მოქრძალებული ქორწილის ჩატარება და სხვ.) შესრულება გათვლილია გარკვეულ ვადებზე და მოიცავს თანმიმდევრულ ნაბიჯებს პროექტის დაწყებიდან მის დამთავრებამდე, რასაც პროექტის სასიცოცხლო ციკლი ეწოდება.

პროექტის სასიცოცხლო ციკლი (საპროექტო ციკლი) – ესაა ღონისძიებების სტრუქტურა, რომელიც შედგება ორი პერიოდისაგან: პროექტის (სრული ძროვის) შემუშავება და პროექტის რეალიზაცია.

შემუშავების ფაზაში სრულდება შეძლევი სამუშაოები:

- პროექტის მიზნების გააზრება და ჩამოყალიბება;
- სრული და ცალკეული (კერძო) მოდელების შექმნა;
- გადაწყვეტილებებისა და გეგმების მომზადება და მათი ანალიზი;
- საპროექტო დოკუმენტაციის (ბიზნეს-პროექტის) დამტკიცება.

ფოკუსი პროექტისათვის აუცილებელია სრულყოფილი გეგმის შემუშავება. გეგმამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს თუ რა უნდა გაქვთდეს, რა ვადებში, რის მიერ, რომელი რესურსებით და რა დანახარჯებით. გეგმაში ასახულია მთელი პროექტის განხორციელების სტრატეგია, იგი უმთავრესი დოკუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის სხვადასხვა სამუშაო მოდელის ოპტიმალურ კოორდინაციას.

პროექტის გეგმის უმთავრესი ელემენტები:

- პროექტის არსის მოკლე გადმოცემა, რომელშიც ასახულია სამუშაოების განხორციელების მეთოდები, რესურსე-

ბი, ვადები და ჩამოთვლილია პროექტის საბოლოო პროდუქციის ან მომსახურების სახეები;

- მოქმედებათა სქემა, რომელიც დაწვრილებით განსაზღვრავს სამუშაო მოდელების, კონკრეტული სამუშაოებისა და შემსრულებლების ურთიერთკავშირებს;
- რეალურად მიღწევადი და ბიუჯეტთან დაკავშირებული შეალებური საკვანძო შედეგების ჩამონათვალი;
- მოვლენათა ლოგიკური სქემა (ხშირად გრაფიკულად გამოხატული), რომელიც ასახავს პროექტის შემადგენელი ნაწილების (სამუშაო მოდელების) თანმიმდევრობას, პარალელურობას, ურთიერთშესამებას და სხვ.;
- ორგანიზაციულ ურთიერთებებისათვის გეგმა, რომელიც ასახავს კავშირებს პროექტის გარემოცვასთან (შემქვეთი, სუბმონიტარები, მიმწოდებლები და სხვ.);
- ანგარიშების პროცედურა, რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ მოხდება პროექტის ინსპექტირება, როდის, ვის მიერ და რა მიზნით;
- პროექტის პერსონალის სია თანამდებობრივი მოვალეობების მითითებით.

პროექტის გეგმის საფუძველზე შეიძლება შემუშავდეს მუშა პროგრამა სამუშაოთა გრაფიკების კომპლექტის სახით, რომლის დახმარებით უნდა განისაზღვროს ყოველი სამუშაო მოდელის კონკრეტული შინაარსი. აგრეთვე შეიძლება მომზადდეს ცალკეული ხარჯთაღრიცხვები და სამუშაოთა გრაფიკები პროექტის ყოველი ელემენტისათვის და დანიშნულ იქნენ პასუხისმგებელი პირები მათ შესრულებაზე.

პროექტის რეალიზაციის ფაზაში ხდება დამტკიცებული გეგმებისა და კონკრეტული პროგრამების შესრულება. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, რომ არ არსებობდეს გამოკვეთილი დროითი საზღვრები პროექტის სასიცოცხლო ციკ-

ლის აღნიშნულ ორ ფაზას შორის და შემუშავების ფაზის პროცესები თანხმდებოდეს რეალიზაციის, კონტროლისა და დამთავრების პროცესებს.

ორგვე ფაზა სასიათლება შემდეგი თავისებურებებით:

- მონაწილეთა და დანახარჯების ოდენობა შემუშავების ფაზაზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რეალიზაციის ფაზაზე;
- პროექტის წარუმატებლობის აღბათობა შემუშავების ფაზაზე უფრო დიდია, ვინაიდან პროექტის რეალიზაციის კვალობაზე და დამამთავრებელ სტადიაზე რისკები კლებულობს;
- შემუშავების ფაზაზე მონაწილეებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ ზემოქმედება მოახდინონ პროექტზე, ვიდრე რეალიზაციის დროს.

პროექტის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა ასახავს მართვის სისტემის ელემენტების შემადგენლობას და ურთიერთკავშირს ამ ელემენტებს შორის. ასეთ ელემენტებად წარმოგვიდგება თანამდებობრივი და სტრუქტურული ერთეულები, რომელთა შორის მყარდება ან ვერტიკალური (ადმინისტრაციულ-ფუნქციური) ან ჰორიზონტალური (ტექნოლოგიური) კავშირები. კვერტიკალური კავშირების მეშვეობით ხდება გადაწყვეტილებების მიღების აღმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა, ხოლო ჰორიზონტალური კავშირებით – კონკრეტული სამუშაოების შესრულების წარმართვა.

ეფექტური თავისი ელემენტებით, ღია სისტემაა, რომელიც უშუალო კავშირშია გარესამყაროსთან, საიდანაც ღებულობს სათანადო რესურსებს, და რომელსაც გადასცემს მიღებულ პროდუქციას.

პროექტის მართვის პრაქტიკაში, პროექტების სპეციფიკიდან (პროექტების მოცულობა, ღინამიზმი, ტექნოლოგია და სხვ.) გამომდინარე, გამოიყენებენ ფუნქციურ, მატრიცულ, საპროექტო-მიზნობრივ და შერეულ ორგანიზაციულ სტრუქტურებს.

ორგანიზაციული პროექტის პროცესი მთავრდება შემდეგი სპეციალური დოკუმენტების შემუშავებით:

- პროექტის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების დეტალური და გრაფიკული ასახვით;
- საშტატო განრიგი (თანამდებობების ჩამონათვალი მათი რაოდენობისა და სათანადო ხელფასის მითითებით);
- მთელი მმართველობითი სტრუქტურისა და ცალკეული ქვედანაყოფების დებულებები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- მეთოდური და ტექნიკური ინსტრუქციები, პროცესების ტექნოლოგიური რუკები და სხვ;
- მოთხოვნები პერსონალის მიმართ შტატების დაკომპლექტებისათვის (პროფესიონალები, სოციალურ-ფინანსურული პორტფელები);
- მოთხოვნები პერსონალის მიმართ პროექტის რეალიზაციის პროცესში (შინაგანაწესები).

პროექტი, მთელი თავისი ელემენტებით, ღია სისტემაა, რომელიც უშუალო კავშირშია გარესამყაროსთან, საიდანაც ღებულობს სათანადო რესურსებს, და რომელსაც გადასცემს მიღებულ პროდუქციას.

პროექტის უმთავრესი საბაზო ელემენტებია:

1. პროექტისათვის საჭირო რესურსები (ადამიანები, მატერიალური, ფინანსური, ინფორმაციული);

2. სამუშაოები (მიწოდებები, საწარმოო ქმედებები, მართვა და სხვ.);
3. შედეგები (მატერიალური: პროდუქცია, ნაწარმი; არამატერიალური: ინფორმაცია, დოკუმენტები, სოციალური ეფექტი და სხვ.).

ამ ელექტრონურ განიხილავებ როგორც პროექტის მართვის ძირითად ობიექტებს.

პროექტი როგორი, კომპლექსური სისტემა, რომლის მართვაც ასევე სისტემური მიღობის საფუძვლით უნდა ხორციელდებოდეს. პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ცალკეული სახეობები და მიმართულებები განიხილება როგორც პროექტის ქვესისტემები, რომლებიც საჭიროებენ სათანადო მართვას.

ამის შესაბამისად განახვავებენ პროექტის მართვის შემდეგ ქვესისტემებს:

1. პროექტის შინაარსის მართვა;
2. პროექტის ხანგრძლივობის (ვადების) მართვა;
3. ღირებულების მართვა;
4. ხარისხის მართვა;
5. პერსონალის (ადამიანური რესურსების) მართვა;
6. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის (რესურსების) მართვა;
7. კომუნიკაციების მართვა;
8. რისკების მართვა.

ყოველი ქვესისტემისათვის იქმნება მმართველობითი მოდელი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მართვის მთელი პროცესი.

პროექტის მართვის ჩარჩოებში გამოიყოფა შემდეგი მმართველობითი პროცესები:

1. პროექტირების (დაგეგმვის) პროცესი. ამ დროს ხდება მთელი

პროექტისა და მისი ცალკეული ქვესისტემების მმართველობითი მოდელების შექმნა;

2. **რეალიზაციის პროცესი.** იგი გულისხმობს საქმიანობას კონკრეტული სფეროსათვის შექმნილი მოდელის განხორციელებისათვის;
3. **კონტროლის პროცესი.** ამ დროს ხდება მმართველობითი მოდელის ეფექტიანობის შემოწმება, ფაქტობრივი და პროგნოზული გადახრების გამოვლენა და მათი აღკვეთის ღონისძიების შემუშავება;
4. **დამთავრების პროცესი,** რომლის დროსაც ხდება ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც ასახავს დასახული მიზნების და მიღწეული შედეგების შედარებას და სამუშაოების ეფექტიანობის ანალიზს.

ნებისმიერი პროექტი დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც პროექტი (მისი შედეგები) გაღიცემა შემკვეთს. პროექტის პროდუქციის სპეციფიკის მიხედვით განსხვავებულია ჩაბარების და მიღების პროცესები. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც გადასაცემია მოწყობილობა-დანადგარები, აუცილებელია მათი საცდელი გაშვება და საპროექტო დოკუმენტაციასთან მათი პარამეტრების შედარება. მსგავს პროცედურას აქვს ადგილი ტელესაკომუნიკაციო პროექტის ჩაბარებისას. სოციალური, სამეცნიერო-საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული ან ეკოლოგიური ეფექტის მქონე პროექტის ჩაბარებისას შემკვეთი ნომინალურად ღებულობს პროექტს და ელოდება მისი შედეგების პრაქტიკულ გამოვლინებას.

საკითხები თვითშემოტევისა
და გამორჩევისათვის

ინდივიდუალურად, წყვილებში ან გუნდებში განიხილეთ შემდეგი
თემატიკა:

1. პროექტის არსი და მნიშვნელობა;
2. პროექტის მონაწილეები და პერსონალი;
3. პროექტის მენეჯმენტი და პროექტის მენეჯერი;
4. პროექტის მენეჯერის ვალდებულებები და პასუხიმგებლობა;
5. საწარმოს (ორგანიზაციის) აღმინისტრაციის თანადგომა;
6. პროექტის მენეჯმენტის ქვესისტემები და მმართველობითი პროცესები;
7. პროექტის გეგმა და მისი ელემენტები;
8. სპეციალური დოკუმენტები პროექტისათვის;
9. პროექტის სასიცოცხლო ციკლის პერიოდები.

თავი 5
საკრიეატო გარემო

5.1. პროექტის მეცნიერების გაცნობა აუცილებელია დავიწყოთ საპროექტო გარემოს არსისა და როლის გარკვევიდან. ის ბევრად განსხვავდება ტრადიციული ორგანიზაციული გარემოსაგან. აუცილებელია განვიხილოთ ფაქტორები, რომლებიც პროექტების მართვას განასხვავებენ ფირმის მიმდინარე თპერაციების მართვისაგან. საჭიროა, აგრეთვე, საუბარი პროექტების მართვის, როგორც მეცნიერების, განვითარების შესახებ, რომელიც იძლევა საშუალებას გადავჭრათ თითოეული პროექტისთვის უნიკალური ამოცანები.

რატომ არის აუცილებელი პროექტების მართვისათვის განსაკუთრებული მეცნიერება და შესაბამისი პრაქტიკული ქმედება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ამა თუ იმ სამუშაო ადგილზე შესასრულებელი მოქმედებების მთელი ერთობლიობა შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: პროექტებად და მიმდინარე თპერაციებად. გამარტივებული ფორმით შეიძლება ვთქვათ, რომ პროექტი წარმოადგენს ნებისმიერ ერთჯერად სამუშაოს, ხოლო მიმდინარე თპერაციები – ეს არის რეგულარულად განმეორებადი სამუშაო. ამ პროცესებიდან თითოეულის ცალ-ცალკე განხილვა ნათლად გვიჩვენებს, რომ მათი მართვისათვის საჭიროა პრინციპულად სხვადასხვა მიღომა. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ პროექტების შესრულება შეუძლებელია მართვის სპეციფიკური ფორმის – საპროექტო მენეჯმენტის გარეშე.

ეველა პროექტისთვის ნიშანდობლივია ორი მნიშვნელოვანი მახსიათებელი:

1. ერგელი პროექტი ხასიათდება დაწყებისა და დასრულების

- თარიღების არსებობით.** პროექტის დაწყების თარიღი შეიძლება რამდენადმე განუსაზღვრელი იყოს. ეს აიხსნება იმით, რომ საწყისი იდეის ჩამოყალიბება უნდა მოხდეს მომავალი პროექტის შესახებ მეტ-ნაკლებად მკაფიო წარმოდგენის სახით. პროექტის დასრულების თარიღი კი უნდა იყოს კონკრეტული, რათა პროექტის ყველა მონაცილეს ჰქონდეს ერთიანი წარმოდგენა იმაზე, თუ სახელდობრ, რა უნდა ვიგულისხმოთ მოცემული პროექტის დასრულებაში;
2. **ყველა პროექტის შედეგს წარმოადგენს უნიკალური პროდუქტი.** პროექტის დასრულების შედეგი შეიძლება ატარებდეს ან სავსებით ხელშესახებ, მატერიალურ ხასიათს (მაგალითად, შენობა ან ახალი კომპიუტერული პროგრამა), ან არახელშესახებ, არამატერიალურ ხასიათს (მაგალითად, სამუშაოზე ახალი თანამშრომლების მიღების წესები). პროექტების მართვისადმი ახლანდელი დიდი ინტერესი ნაწილობრივ აიხსნება იმის გაცნობიერებით, რომ, არსებითად, მომსახურების გამწევი კომპანიები ახდენენ დიდი რაოდენობით პროექტთა რეალიზებას და შეუძლიათ ამ პროექტების მართვა იმავე ინსტრუმენტების საშუალებით, რომელსაც წარმატებით იყენებენ მატერიალური პროდუქტების მწარმოებელი კომპანიები.

თითოეულ დარგში რეალიზდება უამრავი პროექტი, რომელთაგან აღვნიშნავთ რამდენიმეს:

- ინჟინრები ახდენენ გადამწოდების მოდერნიზებას ავტომობილის მოწყობილობის პანელზე;
- ბაზარზე ახალი საპარსი მოწყობილობის გატანისათვის ფირმა ამჟავებს ბეჭდვითი ფორმის სარეკლამო განცხადებებსა და სარეკლამო სატელევიზიო რგოლებს;
- სავადმყოფოს ადმინისტრაცია ამჟავებს ახალ თანამდე-

- ბობრივ ინსტრუქციებს სამშობიარო განყოფილების მედდებისთვის;
- ინჟინერ-ტექნოლოგები დოკუმენტურად აფორმებენ კომპანიის საწარმოო პროცესებს, რათა მიიღონ ISO სერტიფიკატი.

ეურადღება მიგაციოთ იმას, რომ ამ პროექტებიდან თითოეულის „ნნული“ გამჭავს სრულიად ახალ, უნიკალურ ნიაღავზე და ყოველი მათვანის დასრულება მოასწავებს შესაბამისი მიზნის მიღწევას. პროექტები ატარებენ უნიკალურ და დროული ხასიათს. ამასთან, პროექტების შედეგები შეიძლება მატერიალური და არამატერიალური სახით იყოს გამოხატული.

მიმდინარე ოპერაციები პროექტების სრული ანტოპოდია იმ თვალსაზრისით, რომ მათ არ გააჩნიათ დასრულების საბოლოო ვადა, ხოლო მათი შესრულების დროს ხდება ანალოგიური, ხშირად იღენტური პროდუქტების წარმოება. მიმდინარე ოპერაციები ხშირად ითვლება კომპანიის ან ქვედანაყოფის მუშაობის მთავარ მიზნად. განვიხილოთ მიმდინარე ოპერაციების რამდენიმე მაგალითი:

- მსხვილი სადაზღვევო კომპანია ყოველდღიურად ამჟავებს თავისი კლიენტების ათასობით განცხადებას;
- ბანკის მუშაკი დღეში ემსახურება 100-ზე მეტ კლიენტს, უწევს რა მათ ორ-სამ ათეულ კონკრეტული სახის მომსახურებას;
- ათეული წლების განმავლობაში ელექტროენერგეტიკული კომპანიები ყოველდღიურად მართავენ ჰიდროელექტროსადგურების მუშაობას, აკონტროლებენ ელექტროენერგიის გამომუშავებასა და კაშხლის საშუალებით გასატარებელი წყლის მოცულობებს;
- კომპიუტერული კომპანია წლების განმავლობაში აწარმოებს ათიათასობით პროცესორს.

მიმდინარე ოპერაციებისას იწარმოება ერთნაირი (ან დაახლოებით ერთნაირი) პროდუქტები და ამ პროცესს არ გააჩნია დასრულების მკაფიოდ განსაზღვრული მომენტი.

მართვის ტრადიციული თეორია დაფუძნებული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმის მსგავს მიმდინარე ოპერაციებზე, რომლებიც აღწერილია მოყვანილ მაგალითებში. საბუღალტრო აღრიცხვის, პროცესთა სრულყოფის სტრატეგიების, სასაქონლო-მატერიალური მარაგების მართვის, კადრების მართვისა და კლიენტებთან ურთიერთობების სპეციალისტები ორგანიზაციას ყოველთვის განიხილავდნენ, როგორც მიმდინარე განმეორებადი ოპერაციების ერთობლიობას. ორიენტაცია მიმდინარე ოპერაციების მართვაზე აქტუალურია XXI ასწლეულშიც, თუმცა ამჟამად სპეციალისტებს უხდებათ ახალი მეთოდების ათვისებაც, რომელთა საშუალებით შეიძლება ვმართოთ დროებითი და უნიკალური ხასიათის მქონე სამუშაო.

5.2. პროექტების გართვის მეცნიერების ამოცანები და ეპოლუცია

სამუშაო, რომელიც ატარებს უნიკალურ და დროებით ხასიათს, გულისხმობს მართვის სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებას. ვინაიდან პროექტებისათვის ნიშანდობლივია მიმდინარე ოპერაციებისაგან განსხვავებული მახასიათებლები, პროექტების მართვა მოითხოვს სრულიად ახალი წრის ამოცანათა გადაჭრას.

ქვემოთ ჩამოთვლილია ამოცანებიდან ზოგიერთი, რომლებსაც აწყდებან პროექტების ხელმძღვანელები:

- **პერსონალი.** ყოველი პროექტი ხასიათდება განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი საკადრო გადაწყვეტილებებით. ადამიანების რაოდენობა (აგრეთვე, სპეციალური ცოდნა და კვალიფიკაცია, რომლებიც უნდა გააჩნდეთ ამ ადამიანებს) – უნიკალურია თითოეული პროექტისათვის. სად მოვიძიოთ საჭირო ადამიანები? და სად წავლენ

ისინი, როდესაც პროექტი დასრულდება? ასეთი საკადრო პრობლემები შეიძლება გართულდეს იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად ხდება რამდენიმე პროექტის რეალიზება. თუ ყველა პროექტი ერთდროულად შედის რესურსების მაქსიმალური მოხმარების რეჟიმში, მაშინ ორგანიზაციისათვის ასეთი დატვირთვა შეიძლება მეტად მძიმე აღმოჩნდეს. ხოლო, თუ ყველა პროექტი უნდა დასრულდეს დაახლოებით ერთსა და იმავე დროს, კომპანიამ, შესაძლოა, მიმართოს თანამშრომელთა მასობრივ დათხოვნას;

- **შეფასება.** იმისათვის, რომ შეფასებულ იქნეს ამა თუ იმ პოტენციური პროექტის რეალიზაციის მიზანშეწონილობა, ორგანიზაციამ ზუსტად უნდა გამოითვალის შესაბამისი სამუშაოების შესრულების გრაფიკები და დანახარჯები. თუმცა, რადგან თითოეული პროექტი უნიკალური ხასიათისაა, მაშინ ეს გათვლებიც შეიძლება ატარებდეს უფრო პროგნოზების, ვიდრე ფაქტების ხასიათს;
- **ფორმალური უფლებამოსილებები.** კომპანიის მუშაობის ორგანიზაციული სქემები ასახავს მის შიგნით ფორმალურ უფლებამოსილებათა განაწილებას, თუმცა ყველაზე ხშირად ეს ეხება უფრო ფირმის მიმდინარე ოპერაციებს. როდესაც პროექტები სცილდება მოცემული ორგანიზაციული საზღვრების ფარგლებს, ჩნდება განუსაზღვრელობა იმასთან მიმართებაში, თუ, სახელმძღვანელო, ვინაა პასუხისმგებელი ამა თუ იმ გადაწყვეტილებების მიღებაზე. ამან შეიძლება წარმოშვას პოლიტიკური მანევრირება და მიგვიყვანოს ჩიხურ სიტუაციამდე, რაც ხელს უშლის პროექტის წარმატებით რეალიზაციას;
- **კონტროლის მექანიზმები.** საბუღალტრო აღრიცხვების ჩვეულებრივ მეთოდებს ურთიერთშესაბამისობაში მოჰყავს აპერაციული ბიუჯეტები და ოპერაციული დანახარჯები კვარტალურ და წლიურ საფუძველზე. მაგრამ ეს დროე-

ბითი ჩარჩოები არ პასუხობენ პროექტის შესრულების მსვლელობისთვის თვალყურის დევნების მოთხოვნილებას. მომენტისთვის, როდესაც კვარტალური საბუღალტრო ანგარიშები გვიჩვენებს, რომ პროექტმა გადააჭარბა საბიუჯეტო ზარჯოთაღრიცხვას, სიტუაცია შეიძლება იმდენად გამოვიდეს კონტროლიდან, რომ ნორმალურ კალაპოტში დაბრუნება შეუძლებელი იქნება.

ამოცანებისა და სირთულეების ჩამონათვალის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, თუმცა უკვე ახლავე მკითხველისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ პროექტების მართვა ფრიად განსხვავებულია მიმდინარე ოპერაციების მართვისაგან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროექტების მართვა უფრო რთულია ან მარტივი, ვიდრე მიმდინარე ოპერაციებისა. ეს ნიშნავს შხოლოდ იმას, რომ პროექტების მართვა გულისხმობს სრულიად სხვა წრის ამოცანების გადაჭრას.

რა თქმა უნდა, გარკვეულწილად პროექტები და მიმდინარე ოპერაციები გადაკვეთენ და ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე. შესაძლებელია შემთხვევები, როდესაც პროექტები ხორციელდება მიმდინარე ოპერაციათა ჩარჩოებში. შესაძლებელია საპირისპირო სიტუაციებიც. ორივე ვარიანტი შეიძლება დაფინანსდეს ერთი ბიუჯეტის ფარგლებში ისევე, როგორც მათში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სპეციალისტთა ერთსა და იმავე ჯგუფებს. ორივე ვარიანტი მოითხოვს ანალოგიური მმართველობითი უნარ-ჩვევების ფართო სპექტრის: წერილობითი და ზეპირი ურთიერთობის ხელოვნების, კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრისა და ხელქვეითთა მოტივირების უნარის, საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლების ცოდნის, მოლაპარაკებათა წარმოების უნარისა და სხვა მრავალის გამოყენებას.

მაგრამ აღწერილი მსგავსებები შეიძლება დაბრკოლებად იქცეს მიმდინარე ოპერაციების მართვასა და პროექტების მართვას შორის რეალურ განსხვავებათა შეფასებაში. გაარკვევთ რა ამ

განსხვავებებს, თქვენ შეძლებთ უკეთ გაიგოთ ამოცანათა სპეციფიკა, რომელთა გადაჭრა საჭიროა ერთსა და მეორე შემთხვევაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროექტები ხასიათდება ამოცანათა უნიკალურობით, რომელთა გადაჭრა მოითხოვს განსაკუთრებული მმართველობითი ტექნიკის გამოყენებას. პროექტის ეფექტუანი ხელმძღვანელისათვის აუცილებელია, აითვისოს მთელი ეს ტექნიკა. ამ მხრივ ნიშანდობლივია იქსო ქრისტეს სწავლება სახარებისეულ იგავში აღწერილი, კოშკის აშენების პროექტის ხელმძღვანელისადმი: „რამეთუ, რომელიმე თქვენგანმა რომ კოშკის აშენება მოისურვოს, არ დაჯდება უწინ და არ იანგარიშებს ღირებულებას, თუ აქეს დასამთავრებლად? რადგან საძირკველს რომ ჩაყრის და დამთავრებას ვერ შეძლებს, ყველა, ვინც დაინახავს, დაუწყებს დაცინვას და იტყვის: ამ კაცმა შენება დაიწყო და დამთავრება ვერ შეძლო“ (ლუკა, 14, 28-30).

პროექტები და პროექტების მართვა უხსოვარი დროიდან არსებობს, როდესაც ადამიანები პირველად შეიკრიბნენ ერთად, რათა აუგოთ საცხოვრებელი ან მოუყვანათ მოსაგალი. თუმცა პროექტების მართვის ფორმალური მუციკერება წარმოიშვა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მეორე მსოფლიო ომის დროს და მისი დასრულებისთანავე ამერიკის მთავრობამ განახორციელა იარაღის ახალი სისტემების შემუშავებასთან დაკავშირებული მასშტაბური პროექტების ინიციორება. მანკეტენის პროექტი, რომლის განმავლობაში შემუშავებულ და დამზადებულ იქნა პირველი ატომური ბომბი, საყოველთაო აღიარებით ითვლება მსოფლიოში პირველ პროექტად, რომელშიც გამოყენებული იყო საპროექტო მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდები.

ბირთვულ რეაქტორებზე მომუშავე სამხედრო გემებისა და წყალქეცეშა ნავების მშენებლობასთან დაკავშირებულმა შემდგომმა სამთავრობო ინიციატივებმა მოითხოვა ისეთი მასშტაბური ინოვაციები, გამოგონებები და ფინანსური სახსრები, რომ მათი პრაქტიკული განხორციელება არ შეიძლებოდა მართვის ტრადიციული

მეთოდების საშუალებით. პროექტების მართვის პირველი თანამედროვე მეთოდები შემუშავებულ იქნა სწორედ ამ კოლოსალური პროექტების განსახორციელებლად.

თანამჯდომავე მსოფლიოში საპროექტო მენეჯმენტის ჰეშმარიტი მნიშვნელობის გაგება შეიძლება, მასი, როგორც სამუნიციალისტურის განხილვის საფუძველზე. მეორე მსოფლიო ომამდე პროექტების მართვა განიხილებოდა, როგორც ტექნიკურ ცოდნათა რაღაც ქვესიმრავლე. მაგალითად, ჯონ რობლინგი, რომელმაც დაპროექტა და სათავეში ჩაუდგა ცნობილი ბრუკლინის ხიდის მშენებლობას, სამოქალაქო ინჟინერი იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ და სხვა ხიდების მშენებლობასთან დაკავშირებული მისი ტრიუმფი მნიშვნელოვანწილად აიხსნებოდა ამ ადამიანის გამორჩეული მმართველობითი შესაძლებლობებით. ზუსტად ასევე, მიქელანჯელო, რომში წმ. ჰეტრეს ბაზილიკის შემქმნელი, ხელმძღვანელობდა ამ ტაძრის აგების პროექტს, თანაც ეს საქმიანობა მოიცავდა მშენებლობის დაფინანსების თაობაზე საეკლესიო ხელმძღვანელობასთან კონფლიქტების გადაჭრის ამოცანასაც. ამჟამადაც კი, როდესაც პროექტების მართვამ პოვა საყოველთაო აღიარება, როგორც დამოუკიდებელმა დისციპლინამ, უწინდებურად მრავალი თვლის მას ტექნიკური სპეციალისტების – ინჟინრების, ბუღალტრების ან ექიმების ხვედრად.

ბირთვული ენერგეტიკული დანადგარების შემუშავებისა და ატომური ბომბის შექმნის პროექტების რეალიზაციის დროს ამერიკის მთავრობის მიერ მიღებულმა გამოცდილებამ სათავე დაუდო საპროექტო მენეჯმენტის შესახებ წარმოდგენების გადასინჯვას. ვინაიდან ასეთი გიგანტური პროექტებისთვის დამახასიათებელია მრავალასპექტურობა, რთულია ვიმედოვნებდეთ, რომ გამოჩნდება ერთი ადამიანი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ყველა ტექნიკური გადაწყვეტილების მიღებაზე. კომუნიკაციებისა და სამუშაოების კოორდინაციასთან დაკავშირებული ვიწრო ას-პექტები ამჟამუშებდნენ პროგრესს. გარდა ამისა, აშშ-ის კონ-

გრესმა მოითხოვა ამ პროექტებზე დაშვებული კოლოსალური ფულადი სახსრების თუნდაც ელემენტარული აღრიცხვა. ცვლილებათა „საღნობი ქვაბი“ – ასე უწყობდა ხელს პროექტების დაგეგმვისა და მართვისათვის განკუთვნილი პირველი ფორმალური მმართველობითი პროცედურების შემუშავებას. მიუხედავად იმისა, რომ ბირთვული ფიზიკის ან წყალქვეშა ნავების საშუალებით საბრძოლო მოქმედებების წარმოების პრინციპთა ღრმა ცოდნა უწინდელივით მოთხოვნადი იყო, სამხედრო პროექტების ხელმძღვანელებს უკვე არ მოეთხოვებოდათ შესაბამის დარგებში მოწინავე ექსპერტები ყოფილიყვნენ.

იმ დროიდან ამერიკის შეერთებული შტატები უცვლელად გამოდის ლიდერის როლში პროექტების მართვის ახალი მეთოდების შემუშავებისა და დაწინაურების საქმეში. მიზეზი მარტივია: ამ მეთოდების გარეშე არ შეიძლება სამოქალაქო მშენებლობის, კოსმოსური სივრცის კვლევების ან თავდაცვის სფეროში მასშტაბური პროექტების ეფექტიანი მართვა.

XX ასწლეულის მეორე ნახევარში პროექტების მართვა იქცა ცოდნის, ჩვევებისა და უნარის ნაკლებად შესწავლილი კომპლექსიდან საყოველთაოდ აღიარებულ პროფესიად, რომელშიც იღვწის მრავალი ადამიანი სამეცნიერო ხარისხითა და მაღალი წოდებებით. მაგრამ ჩვენ ყველამ ჯერ კიდევ პასუხი უნდა გაცემ მნიშვნელოვან კითხვებს კერძოდ: წარმოადგენს თუ არა პროექტების მართვა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთობლიობას, რომლებიც შეიძლება აკითვისოთ და გამოვიყენოთ იმის მიუხედავად, თუ რომელ ტექნიკურ სფეროზეა საუბარი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში? რამდენად სჭირდება პროექტის ხელმძღვანელს ტექნიკური ცოდნა კონკრეტულ სფეროში, რათა ეფექტიანად მართოს პროექტი? შეძლებდა თუ არა ჯონ რობლინგის ხიდის დაპროექტებასა და პროექტის ხელმძღვანელის როლში გამოსვლას, თუ არ ექნებოდა აუცილებელი ტექნიკური ცოდნა?

5.3. პროექტის ხელმძღვანელის ზოგადმოხილულ-დარგობითი პროფესიონალიზმი და პროექტის შარმატების ფანამდვრები

უკანასკნელ პერიოდში პროექტების მართვის პოპულარობა ბევრად აიხსნება ამ მეცნიერების შესაძლებლობით – ადვილად დასძლიოს საზღვრები დარგებს შორის. ამ წიგნში აღწერილი მეთოდების გამოყენება შეიძლება ნებისმიერი დარგის პროექტთან მიმართებაში.

კონკრეტული დარგებიდან დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა პროექტების მართვის, როგორც ცალქე დისკიპილინის, ჩამოყალიბებაში, თუმცა ეს დამოუკიდებლობა არ ვრცელდება ამ მეცნიერების ჩარჩოებში მომუშავე ადამიანებზე. პროექტების ხელმძღვანელებმა უნდა იკავდნენ, თუ მთლიანობაში როგორ უნდა მართონ პროცესები, იმუქმედონ ბიზნესის გარემოსა და დაპროექტებაში, ამასთან, ისინი კარგად უნდა ორიენტირებდნენ კონკრეტული პროექტების თემატიკაში.

კერძოდ, პროექტების ხელმძღვანელები უნდა იყვნენ პროფესიონალები სამ სხვადასხვა სფეროში:

1. პროექტების მართვა „სუფთა“ მეცნიერებაა;
2. ბიზნესის წარმოების უნარი. მოლაპარაკებათა წარმოების, ფინანსური პრობლემების გადაჭრის, პოტენციური შემკვეთების ძიების, ორგანიზაციული საკითხების გადაჭრის, ადამიანებთან ურთიერთობისა და მათი მოტივირების უნარი – ყველაფერი ეს თვისებებია, რომლებიც მოეთხოვება ნებისმიერ კარგ ხელმძღვანელს, მათ შორის, პროექტების ხელმძღვანელსაც;
3. პროექტის საგნობრივი სფერო. პრაქტიკულად თითოეულ კომპანიაში, რომელმაც შექმნა ხელსაყრელი შესაძლებლობები პროექტების ხელმძღვანელების სამსახურებრივი ზრდისთვის, ასეთი ზრდის საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი ტექნიკური ცოდნა. რა საგნობრივ სფეროზეც არ

უნდა იყოს საუბარი – საბუღალტრო აღრიცხვა, რეკლამა, კომპიუტერის მიკროსქემები ან ნავთობსადენები – პროექტის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დიდი ცოდნა ამ სფეროში. თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პროექტის ხელმძღვანელი ყველა თავის ხელქვეთზე უკეთ უნდა ერკეოდეს გადასაჭრელი პრობლემის ტექნიკურ მხარეში.

პროექტის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს სწორ მართვაზე და იზრუნოს პროექტის უეჭველ წარმატებაზე. როგორია წარმატებული პროექტის შემადგენლები? როგორ განისაზღვრება ეს წარმატება? აი, რამდენიმე პასუხი ამ კითხვებზე:

- პროექტი რეალიზებულ უნდა იქნეს წინასწარ შედგენილი გრაფიკის თანახმად. პროდუქტი, ე.ი. პროექტის საბოლოო შედეგი, უნდა წარედგინოს შემკვეთს დადგენილ ვადაში;
- პროექტი უნდა ჩაეტიოს მისთვის გათვალისწინებულ ბიუჯეტში. პროექტები – ეს ინვეტისტიციებია. პროექტებმა, რომლებიც არ ეტევიან ბიუჯეტში, ორგანიზაცია-შემკვეთს მოსალოდნელი შემოსავლების ნაცვლად შეიძლება მხოლოდ ზარალი მოუტანოს;
- მაღალი ხარისხი. პროდუქტი, ე.ი. პროექტის საბოლოო შედეგი, უნდა იყოს მაღალხარისხიანი. პროექტების მართვის კონტექსტში ხარისხის ცნება მიეკუთვნება პროექტის შესრულების შედეგს. ეს შედეგი მოიცავს ორ შემადგენლებს:
 1. ფუნქციურობა. რას ველით მოცემული პროდუქტისაგან? როგორია მისი სწრაფებელება?
 2. რეალური ფუნქციონირება. რამდენად კარგად ხდება ფუნქციურობის უზრუნველყოფა? კომპიუტერულ პროგრამაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ყველა საჭირო შესაძლებლობა (ფუნქცია), მაგრამ პრაქტიკაში, თუ ეს ფუნ

ქციები არ მუშაობს, შეიძლება ვისაუბროთ პროდუქტის ცუდ ხარისხზე.

როგორც ფუნქციურობა, ისე პროდუქტის რეალური ფუნქციონირებაც შეიძლება – და უნდა მოცემულ იქნეს პროექტის შესრულების სხვადასხვა სტადიაზე. თუ, სახელდობრ, როგორ იქნება ისინი მოცემული, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ პროდუქტზეა საუბარი. მაგალითად, მოთხოვნები სავადმყოფოს რეკონსტრუქციის პროექტის დოკუმენტურად გაფორმებისადმი რადიკალურად განსხვავდება სამოქალაქო თვითმფრინავის ახალი მოდელის პროექტის მოთხოვნებისაგან.

დანახარჯები, სამუშაოთა შესრულების გრაფიკი და ხარისხი – ნებისმიერი პროექტის სამი მნიშვნელოვანი ცვლადია. ამ ცვლადებიდან ერთის ან ორის შეცვლა დანარჩენების ცვლილებას იწვევს. თუ, მაგალითად, შევამცირებთ განსაზღვრული პროექტისათვის გამოყოფილ ბიუჯეტსა და დროს, ეს თითქმის უცილობლად მიგვიყვანს საბოლოო პროდუქტის ხარისხის შემცირებამდე. პროექტის ხელმძღვანელის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ბალანსირებულ იქნეს ეს ცვლილებები და მივაღწიოთ ოპტიმალურ წრინასწორობას დანახარჯებს, სამუშაოთა შესრულების გრაფიკსა და პროექტის ხარისხს შორის.

როდესაც საუბარია გარემოზე, სადაც ძირითადი ყურადღება ეთმობა მაღალხარისხის პროდუქტის დროულ მიწოდებას მოცემული ბიუჯეტის დაცვით, პროექტების ხელმძღვანელებს ხშირად უჩნდებათ შეუძლებელის მიღწევის ცდუნება, პროექტის მონაწილეების ინტერესების მსხვერპლად შეწირვის ხარჯზე. ეს დროდადრო ხდება პრაქტიკულად ყველა დარგში და ყოველთვის ერთი და იმავე მიზეზით: პროექტის მიზნის მიღწევის უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე საპროექტო გუნდის ცალკეული წევრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ადამიანები მუშაობენ ქანცის გაწყვეტამდე, დემორალიზდებიან და ბოროტდებიან.

ამრიგად, პროექტის ხელმძღვანელის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მივაღწიოთ მიზნებს, რომლებიც დანახარჯების, სამუშაოების გრაფიკისა და პროექტის პროდუქტის ხარისხის შევერებადია, მაგრამ არა ადამიანების საზიანოდ. ეს ნიშნავს, რომ პროექტის დასრულების შემდეგ მისი შემსრულებლები უნდა იყვნენ სულიერად კარგ განწყობაზე და საუცხოო ურთიერთობაში დარჩნენ შემკვეთებთან და მომწოდებლებთან, რომლებიც მოუთმენლად უნდა ელოდნენ წუთებს, როდესაც ისინი ერთად შეუდგებიან ახალ პროექტს.


5.4. საპროექტო მეცნიერების ფუნქციები

რეალისტური მოლოდინის ფორმირება, ყველა დაინტერესებული მხარის თანხმობის მიღწევა და შემკვეთისთვის მზა პროდუქტის მიწოდება – ყველა ამ ამოცანის შესრულება ხშირად ძალზე როგორია და მოითხოვს მეთოდთა საკმარის ფართო წრის გამოყენებას (ნახ. 5.1).

ყველაზე მაღალ დონეზე ეს მეთოდები შეიძლება დაყოთ პროექტების მართვის სამ ფუნქციად:

1. პროექტის განსაზღვრა საფუძველს უქმნის მომავალ პროექტს. ამ საფუძვლის ჩაყრასთანაა დაკავშირებული ორი სახის საქმიანობა:

- პროექტის ხელმძღვანელმა უნდა ჩამოაყალიბოს საბოლოო მიზანი, შეაღედური მიზნები და მომავალი პროექტის შეზღუდვები. მან პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს: „რისთვის ვაკეთებთ ამას?“ და „რას ვგულისხმობთ ამ პროექტის წარმატებით რეალიზაციაში?“ ამ კითხვებზე პასუხები საფუძველი ხდება მოცემულ პროექტზე ყველა შემდგომი გადაწყვეტილებების მისაღებად, რადგან ისინი იძლევიან დანახარჯების, სამუშაოთა შესრულების გრაფიკისა და პროექტის პროდუქტის ხარისხის თანა-



ნახ. 5.1. პროექტის მართვის სამი ფარგლევა

ფარდობას, მოცემულ პროექტს აკავშირებენ იმ ორგანიზაციის მისიასთან, რომელიც მოახდენს მის რეალიზებას;

- პროექტის ხელმძღვანელმა უნდა განსაზღვროს პროექტის მართვის კონტროლის ბაზური მექანიზმები. მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რომელი ადამიანები და ორგანიზაციები მიიღებენ მონაწილეობას პროექტში და რა როლს შეასრულებენ ისინი. გარდა ამისა, პროექტის ხელმძღვანელმა უნდა ააგოს ურთიერთობათა იერარქია პროექტის გუნდში, ურთიერთობის სტრატეგია და ცვლილებების მართვის პროცესი. მიღებული გადაწყვეტილებებისა და სტრატეგიების წერილობით დაფიქსირებული თანხმობა წარმოადგენს კონკრეტული პროექტის მართვის შესაძლო ხერხებთან დაკავშირებული მოლოდინების ფორმულირებას. გარდა ამისა, ეს დოკუმენტები თამაშობენ წერილობითი ვალდებულებების როლს, რომელზეც დაყრდნობა შეგიძლიათ, როდესაც საჭირო გახდება პროექტის მონაწილეებს შეახსენოთ მათი ვალდებულებები პროექტის ჩარჩოებში.

წერილობით დოკუმენტს, რომელიც ხდება ფორმულირების პროცესის საბოლოო შედეგი, შეიძლება ვუწოდოთ პროექტის წესები, რადგან, ნებისმიერი თამაშის წესების მსგავსად, ისინი შეიცავენ იმის მითითებას, თუ, სახელდობრ, როგორ უნდა ვითამაშოთ და რას ნიშავას „დარჩე მოგებული“;

2. პროექტის დაგევმჯობარებელი საშუალებას იძლევა ერთ მთელად შევკრიბოთ დაწვრილებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება რეალიზებულ იქნეს პროექტის მიზნები, ყველა შეზღუდვის გათვალისწინებით. კალებარული დაგეგმვისა და შეფასების ტიპური მეთოდები საშუალებას იძლევა დაწვრილებით გავწეროთ, თუ სამ-

- უშაოების რა მოცულობებს გულისხმობს პროექტი, სახელდობრ, ვინ შეასრულებს კონკრეტულ სამუშაოს, რა ვადებში და რა დაჯდება მისი შესრულება. რისკების მართვის მეთოდთა პარალელური გამოყენება მოგვცემს შესაძლებლობას გამოვავლინოთ ყველაზე განუსაზღვრელი სფეროები და შევიმუშაოთ სტრატეგიები, რომლებიც შესაძლო პრობლემების გადაჭრის საშუალებას იძლევიან. პროექტის გეგმაში გადმოცემული დაწვრილებითი სტრატეგია სასინჯი ქვაა დანახარჯების, სამუშაოთა შესრულების გრაფიკებისა და პროექტის პროდუქტის ხარისხის გაწონასწორებულობის შესამოწმებლად, რომელიც შემუშავებულია პროექტის განსაზღვრის ეტაპზე;
3. **პროექტის მართვა** მოიცავს საქმიანობის ყველა სახეს, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას, თვალყური ვადევნოთ პროექტის განვითარებას საბოლოო მიზნის მიმართულებით. საქმიანობის ასეთ სახეებს მიეკუთვნება პროგრესის შეფასება, კომუნიკაციები და მაკორექტირებელი მოქმედებები:
- **პროგრესის შეფასება.** პროგრესის, პროექტის შესრულების მიმდინარეობის შეფასება საშუალებას იძლევა დროულად გამოვავლინოთ წარმოქმნილი პრობლემები, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს მათ გადაჭრას. გარდა ამისა, პროგრესის შეფასება წარმოადგენს უკუკავშირის მექანიზმს, რომელიც იძლევა საშუალებას, შევამოწმოთ გეგმაში ჩადებული დანახარჯების, სამუშაოების გრაფიკებისა და პროექტის პროდუქტის ხარისხის გაწონასწორებულობის შეფასების კრიტერიუმთა უტყუარობა;
 - **კომუნიკაციება.** კომუნიკაციები ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროექტის მართვის თვალსაზრისით, უზრუნველყოფს რა პროექტის ყველა მონაწილის მოქმედებათა კოორდინაციას, აგრეთვე, მათ დროულ ინფორმირებუ-

ლობას პროექტის შესრულების მსვლელობისა და მასში ცვლილებების შესახებ;


- **მაკორექტირებელი მოქმედებები.** მაკორექტირებელი მოქმედებები წარმოადგენს მიმდინარე რეაქციებს ამა თუ იმ დაბრკოლებასა და პრობლემებზე, რომლებსაც დროდადრო აწყდება ნებისმიერი პროექტი.

ეს ფუნქციები, არსებითად, ასახვენ პროექტის ხელმძღვანელის მოვალეობათა სრულ ჩამონათვალს. ისინი თანმიმდევრულად სრულდება: ნებისმიერი პროექტი დაწყებულ უნდა იქნეს განსაზღვრილან, შეძლებ მოდის დაგევმზა, დაბოლოს, მართვა. პროექტის შესრულებისას ეს ფუნქციები კვლავ და კვლავ ხორციელდება, რადგან დაგეგმვას გარდუვალად მოჰყვება განსაზღვრის კორექტირება, ხოლო მართვა მოითხოვს ცვლილებათა მუდმივ შეტანას გეგმაში, ხოლო ზოგჯერ – განსაზღვრაში. პროექტის შესრულების დროს მისი ხელმძღვანელი პრაქტიკულად ყოველდღე დაკავებულია პროექტის განსაზღვრით, დაგევმვითა და მართვით.

5.5. პროექტისა და პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი

პროექტის სასიცოცხლო ციკლი წარმოადგენს მის თანმიმდევრულ რეალიზაციას, დაწყებული პროექტის განსაზღვრილან, გეგმის შედგენილან, სამუშაო ამოცანების შესრულებილან და პროექტის დახურვით დამთავრებული (ნახ. 5.2.). ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვნოს, რომ, პრინციპში, ეს სასიცოცხლო ციკლი არაფრით არ განსხვავდება პროექტების მართვის ფუნქციებისაგან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროექტის სასიცოცხლო ციკლის თანმიმდევრული სტადიების შესაბამისი განსაზღვრა, დაგეგმვა და შესრულება წარმოადგენს განსაზღვრის, დაგეგმვისა და მართვის უშუალო

ასახვას, რომლებიც პროექტის მართვის ფუნქციებია, მაგრამ სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ სასიცოცხლო ციკლი ატარებს წრფივ ხასიათს, ხოლო მის სხვადასხვა სტადიას შორის საზღვრები გადაწყვეტილებათა მიღების წერტილებია



ნახ. 5.2. პროექტის სტანდარტული სასიცოცხლო ციკლი

დაწვრილებით განვიხილოთ გადაწყვეტილებათა მიღების ეს ოთხი წერტილი:

- განვსაზღვრა.** ეს სტადია იწყება მომენტიდან, როდესაც თვით პროექტი და მისი ხელმძღვანელი მითითებულია პროექტის წედებაში. სტადია მთავრდება პროექტის წესების დამტკიცების შემდეგ. ამ წერილობითი დოკუმენტის დამტკიცება ნიშნავს, რომ ყველა მონაწილემ მიაღწია თანხმობას პროექტის მიზნებთან, რეალიზაციისადმი მიღომასთან და დანახარჯების, სამუშაოების შესრულების გრაფიკებისა და პროექტის პროდუქტის ხარისხის გაწონასწორებულობასთან დაკავშირებით.
- დაგეგმვა.** პროექტის წესების დამტკიცების შემდეგ პროექტის ხელმძღვანელი შეუდგება პროექტის გეგმის შედგენას. რა თქმა უნდა, იმის მიხედვით, თუ როგორ შემუშავდება დაზუსტებები იმასთან მიმართებაში, თუ, სახელდობრ, როგორ უნდა შესრულდეს პროექტი, მოხდება პროექტის წესებში დაფიქსირებული გადაწყვეტილებებიდან ზოგიერთის გარკვეული ცვლილება. დაგეგმვის

სტადიის ბოლოს პროექტის ყველა მონაწილემ უნდა დაამტკიცოს არა მარტო გეგმა, არამედ პროექტის წესებში შეტანილი შესაბამისი ცვლილებებიც.

განსაზღვრისა და დაგეგმვის სტადიები შეიძლება საკმაოდ ხანმოკლე იყოს, განსაკუთრებით, თუ საუბარია მცირე პროექტებზე. ვინაიდან დაგეგმვას ხშირად მიყვავართ პროექტის წესების ცვლილებამდე, ზოგიერთი კომპანია ამჯობინებს განსაზღვრისა და დაგეგმვის სტადიების გაერთიანებას, რომელიც ატარებს ინიციაციის სახელწოდებას (ნახ. 5.2.). ამ სტადიებად დაყოფის სასარგებლოდ ყველაზე დამაჯერებელ მოსაზრებას წარმოადგენს ის, რომ განსაზღვრის სტადიაზე საჭიროა ვუპასუხოთ რიგ შეკითხვებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია დაწვრილებითი გეგმის შედგენა. განსაზღვრის სტადიაზე შემუშავებული ძირითადი ვარაუდები და შეთანხმებები უზრუნველყოფენ დაგეგმვის სტადიის მეტ კონკრეტულობასა და პროდუქტიულობას.

- შესრულება.** ჩვენ გადავდივართ პროექტის გეგმით გათვალისწინებული ფაქტობრივი სამუშაოს შესრულების სტადიაზე. ამ სტადიის წილზე, ჩვეულებრივ, მოდის პროექტის რეალიზაციის მთელი დროის არანაკლებ 90%. შესრულების სტადია ითვლება დასრულებულად, როდესაც მიღწეულია შესაბამისი პროექტის მიზანი.
- დასრულება.** ეს არის პროექტის რეალიზაციის ყველაზე ხანმოკლე სტადია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე დანარჩენები. პროექტის დასრულებასთან დაკავშირებული მოქმედებები ასრულებენ სამ მნიშვნელოვან ფუნქციას: 1) გადასვლას შემდგომ სტადიაზე, რომელიც შეიძლება იყოს ოპერატორი ამოცანები ან ახალი პროდუქტის შემუშავების ფაზა; 2) პროექტის დასრულების ფორმალურ პროცედურას, რასაც შეიძლება პქონდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა პროექტის შემკვეთისთ-

ვის; 3) პროექტის წარმატებისა და წარუმატებლობის ანალიზს, რაც აუცილებელია მომავალი პროექტების ხარისხის ასამაღლებლად.

უაღრესად მნიშვნელოვანია პროექტის სასიცოცხლო ციკლის პირველი ორი – განსაზღვრისა და დაგვაგმვის სტადია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ სტადიაზე, ჩვეულებრივ, მოდის პროექტის რეალიზაციის მთლიანი დროის არა უმცეს 10%, ისინი უზრუნველყოფენ შესრულების სტადიაზე ეფექტიანი მუშაობისთვის საპროექტო გუნდის სათანადო მომზადებას.

პროექტების მართვის მეთოდების პოპულარობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი მდგომარეობს მათ მაღალ ეფექტიანობაში, კერძოდ, ახალი პროდუქტების შემუშავებასთან დაკავშირებით. რომელ პროდუქტზეც არ უნდა იყოს საუბარი – ახალ სამკურნალო პრეპარატზე, საპროგრამო პროდუქტზე, ავტომობილის მოდელზე თუ ბეისბოლის სტადიონზე – მისი შემუშავება ატარებს ერთჯერად ზასიათს და მივყავრთ უნიკალური პროდუქტის შექმნამდე. ვინაიდან ახალი პროდუქტის შემუშავებას გააჩნია ისეთივე მახასიათებლები, როგორც ნებისმიერ პროექტს, ამ ახალი პროდუქტების შექმნა გვაძლევს შესანიშნავ შესაძლებლობებს პროექტების მართვის მეთოდების გამოსაყენებლად.

ახალი პროდუქტის შექმნის ოთხ სტადიას ეწოდება პროდუქტის შემუშავების სასიცოცხლო ციკლი:

1. **მოთხოვნათა შემუშავება.** ამ სტადიაზე განისაზღვრება ფუნქციები და ყალიბდება მოთხოვნები პროდუქტის ტექნიკური მახასიათებლებისადმი. რაც არ უნდა შევქმნათ ჩვენ – შენობა, თვითმფრინავი თუ საინფორმაციო სისტემა, – პროდუქტისადმი მოთხოვნებით დადგინდება, თუ როგორ

დააკმაყოფილებს ეს პროდუქტი მისი პოტენციური მყიდველის მოთხოვნილებებს;

2. **დაპროექტება.** დაპროექტების დროს მუშავდება პროდუქტის მონახაზები, რომელიც დააკმაყოფილებს მითითებულ მოთხოვნებს. ეს მონახაზები უნდა წარმოადგენდეს პროდუქტის დაწვრილებით აღწერას. მაგალითად, სამშენებლო ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოადგენს მომავალი სახლის დაწვრილებით აღწერას;
3. **შექმნა.** შემდეგ მზადდება თვითონ პროდუქტი და დგინდება ამ პროდუქტის ეფექტიანი ექსპლოატაციის მანორმირებელი ტექნიკური დოკუმენტაცია. თუ, მაგალითად, საუბარია შენობის მშენებლობის შესახებ, მაშინ ამ სტადიაზე გაკეთდება თხრილი მომავალი საძირკვლისათვის, ჩაისობა ხიმინჯები და ა.შ. თუკი საუბარია თვითმფრინავის ახალი მოდელის შექმნაზე, მაშინ იგულისხმება სამუშაოთა ფართო წრე, მათ შორის, ახალი საწარმოო პროცესების შემუშავებაც (ასეთ შემთხვევაში პროდუქტია არა მარტო ახალი თვითმფრინავი, არამედ თვითმფრინავის აწყობის მთელი ახალი ტექნოლოგიური პროცესი).
4. **ექსპლოატაცია.** მას შემდეგ, რაც შემუშავდება ახალი პროდუქტი, იწყება მისი პრაქტიკული გამოყენების ეტაპი. ამ ეტაპზე ხდება პროექტების გარდაქმნა მიმდინარე ოპერაციებად: ბეისბოლის ახალ სტადიონზე ტარდება მატჩები, ხდება ავტომობილის ახალი მოდელის სერიული წარმოება, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებით დაკავებული კომპანია ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს საპროგრამო პროდუქტების მომხმარებლებს. ექსპლოატაციის სტადია შეიძლება გაგრძელდეს მრავალი წლის განმავლობაში და მოიცავდეს უამრავ პროექტს.

მოთხოვნათა შემუშავება	დაპროექტება	შექმნა	ექსპლოატა- ცია
--------------------------	-------------	--------	-------------------

ნახ. 5.3. ახალი პროდუქტის შემუშავების პროექტის
სასიცოცხლო ციკლი

ახალი პროდუქტის შემუშავების სასიცოცხლო ციკლის თეორიაში
მნიშვნელოვანია გავარკვით თრი მოძრები.

ჯერ ერთი, ჩვენ ვსაუბრობთ სასიცოცხლო ციკლის გამა-
რტივებულ მოდელზე. ნებისმიერი ფირმა, რომელსაც დოკუმენ-
ტურად გაუფორმებია ახალი პროდუქტების შემუშავების პრო-
ცესი, წასწყდომია გაცილებით უფრო რთული მოდელის შექმნის
აუცილებლობას, რომელიც მოიცავდა არა მარტო დიდი რაოდე-
ნობით ძირითად სტადიებს, არამედ რიგ დამხმარე, „ჩადებულ“
სტადიებსაც. მაგალითად, ახალი საინფორმაციო სისტემების შე-
მუშავების დაწვრილებითი სასიცოცხლო ციკლი შეიძლება
მოიცავდეს 50-დან 100-მდე ცალკეულ ეტაპს. ახალი სამკურნა-
ლო პრეპარატის შემუშავების პროცესი საწყისი კვლევების
ჩატარების მომენტიდან სათანადო ორგანიზაციის მიერ პრეპარა-
ტის დამტკიცების მომენტამდე შეიძლება მოიცავდეს უამრავ
ეტაპს.

მეორეც, მარტივი ხასიათის მიუხედავად, ნახ. 5.3.-ზე წარმოდ-
გენილი ახალი პროდუქტების შემუშავების სასიცოცხლო ციკ-
ლის მოდელი თითქმის დანამდვილებით შეეფერება დარგს ან
გარემოს, რომელშიც თქვენ გიხდებათ მუშაობა (თუნდაც საუბარი
იყოს მომსახურების სფეროზე). ამასთანავე, მოდელის სიმარტივის
მიუხედავად (რომელიც, სხვათა შორის, განაპირობებს მის უნი-
ვერსალურობას), ის ასახავს ძირითად განსხვავებებს პროექტის
სასიცოცხლო ციკლსა და ახალი პროდუქტების შემუშავების
სასიცოცხლო ციკლებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი პროდუქტის შემუშავების

პროცესს, ისევე როგორც პროექტს, დასაწყისი და დასასრული
აქვს და უნიკალური პროდუქტის შექმნამდე მივყავართ, ეს პრო-
ცესი შეიძლება რამდენიმე პროექტს მოიცავდეს. ახალი პროდუქტე-
ბის შემუშავების პროცესში პროექტების მართვის მეთოდების გამოყ-
ენების მსურველს უნდა ესმოდეს განსხვავებები პროდუქტის
სასიცოცხლო ციკლსა და პროექტის სასიცოცხლო ციკლს შორის.

მათი ფორმულირება მარტივია. ახალი პროდუქტის შემუშავების
სასიცოცხლო ციკლი დამოკიდებულია კონკრეტულ დარგზე. კერძოდ,
ზოგიერთ ორგანიზაციაში უცხო პირთა შეშვების პროცედურაში
ცვლილებათა შეტანის პროცესის სტადიები განსხვავდება ნავ-
თობსახლელი ქარხნის მშენებლობის სტადიებისაგან. პროექტის
სასიცოცხლო ციკლი არ არის დამოკიდებული რომელიმე კონკრეტულ
დარგზე, ვინაიდან პროექტების მართვის თეორია საერთოა ყველა დარ-
გისათვის.

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლსა და პროექტის სასიცოცხლო
ციკლს შორის სხვა განსხვავებებიც არსებობს:

- ახალი პროდუქტის შემუშავების სასიცოცხლო ციკლი
განეკუთვნება სამუშაოს, რომლის შესრულება აუცილებე-
ლია პროდუქტის შესაქმნელად;
- პროექტის სასიცოცხლო ციკლი ორიენტირებულია სამ-
უშაოს მართვაზე;
- ახალი პროდუქტის შემუშავების სასიცოცხლო ციკლი
შეიძლება მოიცავდეს მრავალ პროექტს, რომელთაგან თი-
თოეულმა, თავის მხრივ, უნდა გაიაროს სრული სასი-
ცოცხლო ციკლი.

პროექტების მართვის საქმეში წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელო-
ვანი ფაქტორია არის იმის გაცნობიერება, რომ ნებისმიერი შემუშავება
შეიძლება მოიცავდეს მრავალ პროექტს და რომ საჭიროა ყოველი
მათვანის, როგორც ცალკეული სრულფასოვანი პროექტის, მართვა.

5.6. საპროექტო სამუშაოების ორგანიზაცია


გარკვეული ფირმები მუშაობენ მხოლოდ და მხოლოდ საპროექტო სამუშაოების შესრულების პრინციპით. ასეთებს მიეკუთვნებიან, მაგალითად, მსხვილი სამშენებლო კომპანიები, რომელთა ორგანიზაცია ორიენტირებულია, ძირითადად, კონკრეტული პროექტების რეალიზაციაზე. მათი საპირისპიროა კომუნალური საწარმოები, რომელებიც ასრულებენ მხოლოდ მიმდინარე ოპერაციებს. თუმცა კომპანიათა უმრავლესობა დაკავებულია ერთდროულად მიმდინარე ოპერაციებითაც და პროექტებითაც.

როგორც ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა, რომელიც შეძლებდა უზრუნველყო პროექტიანი რეალიზაცია. ბოლოს და ბოლოს, თუ კომპანიას მოუწევს მხოლოდ ერთი პროექტის შესრულება, რომლისთვისაც საჭირო გახდება განსაკუთრებული იერარქიული სტრუქტურის მქონე სპეციალისტთა უნიკალური კოლექტივის ჩამოყალიბება, აუცილებელია კი მისთვის ორგანიზაციული სქემის შექმნა, რომელიც ამ ერთადერთ პროექტზე უფრო მეტ ხანს იარსებებს? მიუხედავად იმისა, რომ პროექტებს შეუძლია ნეგატიური ზეგავლენის მოხდენა ფირმის ორგანიზაციულ სქემებზე, მრავალი წლის განმავლობაში კომპანიებმა შეძლეს საპროექტო ფორმატში მუშაობის რიგი კლასიკური ფორმების შემუშავება (ნახ. 5.4). ორგანიზაციულ სტილთა ქვემოთ მოყვანილი სპექტრის ერთ-ერთი პოლუსი პასუხობს მიმდინარე ოპერაციათა მოთხოვნებს, ხოლო მეორე – საპროექტო გარემოს მოთხოვნებს.

ფუნქციურად თრიენტირებული ფირმების საქმიანობა ორგანიზებულია ძირითადი სამუშაო ფუნქციების ირგვლივ – რეკლამა, კონსტრუირება, საინფორმაციო სისტემები, წარმოება, კადრების მართვა (ნახ. 5.5). მუშაკების მოქმედებებს ხელმძღვანელობს ერთი მენეჯერი, რომელიც ანაწილებს სამუშაოს და აკონტროლებს მის შესრულებას, აგრეთვე, წყვეტს ადმინისტრაციულ ამოცანებს,

კერძოდ, შრომის ანაზღაურების საკითხებს. ასეთი ფუნქციური ჯგუფების ჩარჩოებში შესრულებული პროექტები არ იწვევს რაიმე ორგანიზაციულ სირთულეს. ძალზე რთულია ისეთი პროექტების მართვა, რომლებიც მოიცავენ რამდენიმე ფუნქციურ ჯგუფს, რადგან პროექტების ხელმძღვანელებს არ გააჩნიათ ფუნქციური ძალაუფლებრივი უფლებამოსილებები და მათ უხდებათ ფუნქციური ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა მოზიდვა სამუშაოების გასანაწილებლად, მონიტორინგისა და კოორდინაციისთვის.


ზეცილებად
მომდინარეობის მატრიცული მომდინარეობის



ნახ. 5.4. ორგანიზაციულ სტილთა სპექტრი

მატრიცული ორგანიზაცია ხელსაყრელია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ფუნქციურ საზღვრებს ერთდროულად კვეთს რამდენიმე პროექტი. ასეთი სტრუქტურა ძალაუფლებრივ უფლებამოსილებებს ანიჭებს პროექტების მენეჯერებსაც და ფუნქციურ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებსაც. ეს მიღწევა იმით, რომ ორივე ხელმძღვანელი ემორჩილება უფრო მაღალი რანგის ერთსა და იმავე ხელმძღვანელს (ნახ. 5.6). ფუნქციური ქვედანაყოფების ხელმძღვანელები მონაწილეობენ საპროექტო გუნდების პირად შემადგენლობასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტაში. პარალელურად ისინი პასუხისმგებელი არიან გრძელვადიანი აღმინისტრაციული ამოცანების გადაწყვეტაზე. პროექტების ხელმძღვანელები დაკავებული არიან საპროექტო გუნდის წევრებს შორის სამუშაოების

**ვიცე-პრეზიდენტი
ოპერაციების სფეროში**




მათთვის საპროცესო განვითარებული ერთ-ერთ წევას

ნახ. 5.5. ფუნქციურად ორგანიზობული ორგანიზაცია. ფუნქციალური კორპუსების მართვა მაღაზი როგორია, რადგან პროცესურის ხელმძღვანელების მაღაზულობების უფლებმომმდებრივი მართვის მიზანით მართვის მიზანით მდგრადი მუშაობითა ხელმძღვანელებითა.

მათთვის საპროცესო განვითარებული ერთ-ერთ წევას

— — მათთვის კორპუსური არაა



ნახ. 5.6. მატრიცული ორგანიზაცია


- რეგიონი მუშაკებით ემართდებან უზნებარენ ქვეყნისაფრთხოა ხელმძღვანელებს, აგრძელებს, პროექტებს, პროექტების ხელმძღვანელებს
- პროექტების ხელმძღვანელების მაღაზულობრივი უფლება-მასლებითა იყოფება, რაგორც უზნებარ ქვეყნისაფრთხოა ხელმძღვანელების მაღაზულობრივი უფლებამისალებები.

განაწილებით, მონიტორინგითა და კოორდინაციით. მუშაობის მატრიცული ორგანიზების ძირითადი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ პროექტში ჩართულ ყოველ მუშაკს ორი უფროსი ჰყავს, ხოლო, თუკი ვინმე ერთდროულად რამდენიმე პროექტითაა დაკავებული, უფროსების რაოდენობა იზრდება.

პროექტ-ორიენტირებული ორგანიზაცია შესაფერისია კომპანიებისთვის, რომლებიც მუშაობენ მასშტაბურ, გრძელვადიან პროექტებზე. ასეთ შემთხვევაში პროექტები სრულდება არა მარტო ცალკეული ფუნქციური ქვედანაყოფების, არამედ რამდენიმე ფუნქციური ქვედანაყოფის ჩარჩოებშიც. უფრო სწორად, ფუნქციური ქვედანაყოფები არსებობენ შესასრულებელი პროექტის ჩარჩოებში (**ნახ. 5.7.**). პროექტ-ორიენტირებულ ფირმებში (რომლებსაც, აგრეთვე ეწოდებათ **საპროექტო ფირმები**) რამდენიმე პროექტის ერთდროული რეალიზაცია წარმოშობს დიდი რაოდენობით ოპერაციებს, მაგრამ ეს კომპანიები მზად არიან მოითმინონ გარკვეული ორგანიზაციული არაეფექტურობით იმისათვის, რომ მოახდინონ პროექტის მმართველობითი ეფექტურობის მაქსიმიზირება. მაგალითად, მძიმე მანქანათმშენებლობის პროექტ-ორიენტირებული ფირმების მთელი ორგანიზაციული სტრუქტურა ექვემდებარება მათი მასშტაბური პროექტების თითოეული ასპექტის მართვას.

პროექტ-ორიენტირებული ორგანიზაციების მუშაობის კიდევ ერთ სტილს წარმოადგენს **პროგრამების რეალიზაცია**. პროგრამები შედგება მრავალი ურთიერთდაკავშირებული პროექტისაგან, მაგრამ, პროექტისაგან განსხვავებით, პროგრამას არ გააჩნია დასრულების კონკრეტული თარიღი. მაგალითად, როდესაც კომპანია Boeing ამუშავებს თვითმფრინავის ახალ მოდელს, ის ასრულებს ყოვლისმომცველ პროგრამას – თვითმფრინავის გაყიდვისა და კლიენტთა მომსახურების პროცესთა შემუშავების ჩათვლით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ დროს ხდება ცალკეული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული პროექტების ფართო წრის შესრულება. პროგრამათა ერთ-ერთი სახესწაობა იქნება **სტრუქტურული ზებულო**

სტრუქტურა, რომელშიც კომპანიის პროდუქცია ასრულებს ძირითადი მამოძრავებელი ორგანიზაციული ფაქტორის როლს. სპეციალიზებულ ორგანიზაციებში ისეთი ფუნქციები, როგორიცაა მარკეტინგი და პროდუქტის შემუშავება, არსებობს ინდივიდუალურად თითოეული ცალკეული პროდუქტისთვის. სპეციალიზებული ორგანიზაციის მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებით დაკავებული კომპანია. ასეთ კომპანიაში იქმნება ჯგუფები კონკრეტული პროდუქტების მიხედვით (მაგალითად, ელექტრონული ცხრილების მართვის პროგრამათა ან ტექსტის პროცესთა შემუშავების ჯგუფი), თანაც თითოეულ ასეთ ჯგუფს ჰყავს თავისი სპეციალისტები ამ ჯგუფის მიერ შექმნილი პროდუქციის შემუშავების, ტესტირებისა და მარკეტინგის საკითხებში.



ნახ. 5.7. პროექტ-ორიენტირებული ორგანიზაცია

5.7. ორგანიზაციული სტრუქტურა და პროექტის ხელმძღვანელი

სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურის განხილვა ხდება არა შემუცნების ინტერესის გამო. **რეალურ პრაქტიკაში, ორგანიზაციული სტრუქტურის წრიო არჩევანს შეუძლია ფირმისთვის უზრუნველყოს ეფექტური კონკურენტული უპირატესობა.** საინტერესოა, როგორ ახდენს ზუგადებას სტრუქტურის შერჩევა პროექტის ხელმძღვანელზე?

განვიხილოთ ამასთან დაკავშირებული ხუთი ფაქტორი:

- ფორმალური უფლებამოსილებები.** ცხადია, რომ სხვაობა ორგანიზაციულ სტრუქტურის შორის მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი სტილისთვის პირველ პლანზე დგას პროექტები, ხოლო სხვებისთვის – მიმდინარე ოპერაციები (ნახ. 5.4). ფუნქციურად ორიენტირებულ ორგანიზაციაში პროექტის ხელმძღვანელს პრაქტიკულად არ გააჩნია არანაირი უფლებამოსილებები, ხოლო პროექტ-ორიენტირებულ ფირმაში მას აქვს მთელი სისრულის ძალაუფლება. რაც უფრო ნაკლები ფორმალური უფლებამოსილებები გააჩნია ხელმძღვანელს, მით უფრო მეტი ძალისხმება სჭირდება მას პროექტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და მათი პრაქტიკული რეალიზაციისთვის;
- კომუნიკაციები.** კომუნიკაციები არის ნებისმიერი პროექტის წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, იმის მიუხედავად, თუ რომელ ორგანიზაციულ სტილს იყენებს მისი ხელმძღვანელი. ხშირად კომპანიების ორგანიზაციული სტრუქტურები ხელს უწყობენ ვერტიკალური კომუნიკაციების („ზევიდან ქვევით“ ან „ქვევიდან ზევით“) არსებობას, მაგრამ ხელმძღვანელის კომუნიკაციური მოთხოვნები შეიძლება არ დაემთხვეს ორგანიზაციაში მიღებულ კომუნიკაციათა სქემებს. ფორმალური ორგა-

ნიზაციული საზღვრების გადაკვეთა ყოველთვის მოითხოვს დიდ ძალისხმებას. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ხელმძღვანელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს პროექტით დაინტერესებული ყველა მხარის დროული და სრული ინფორმირებისა და მოქმედებათა კოორდინაციისთვის;

- პრიორიტეტების სისტემა.** ყველაზე ხშირად კომპანიის პარალელური პროექტები კონკურენციას უწევენ ერთმანეთს ისედაც შეზღუდული ადამიანური რესურსების, მოწყობილობისა და დაფინანსებისათვის. ეს განსაკუთრებით ეხება მართვის ტრადიციული, ფუნქციურად ორიენტირებული სტილის მქონე კომპანიებს. ფუნქციურად ორიენტირებულ სტრუქტურაში პროექტების ხელმძღვანელებს ხშირად უხდებათ მუშაობა სპეციალისტთა ჯგუფებთან და რესურსებთან, რომელთა პერიოდულად განყენება და ამოღება ხდება მიმდინარე ოპერაციების პრობლემათა გადასაჭრელად ან სხვა პროექტის შესასრულებლად;
- ფირმის ორიენტაცია.** პროექტ-ორიენტირებული ფირმის ფურადლების ცენტრშია პროექტები, რომლებიც, ფაქტობრივად, წარმოადგენენ მისი არსებობის ძირითად მიზეზს. ამ შემთხვევაში ყველას აქვს საერთო მიზანი, რომელიც განაპირობებს ყველა მისაღებ გადაწყვეტილებას და გვეხმარება მწარმოებლურობის ამაღლებაში. ეს თავისებურება კარგად განასხვავს პროექტ-ორიენტირებულ ფირმებს მატრიცული და ფუნქციურად ორიენტირებული ორგანიზაციებისაგან, სადაც საპროექტო გუნდების წევრები ხშირად პროექტებზე მუშაობას უთმობენ თავიანთი სამუშაო დროის ნახევარზე ნაკლებს. ასეთი კომპანიებისათვის დამახასიათებელი რესურსებისა და ფურადლების გაბნევა, ჩვეულებრივ, იწვევს, მუშაკების ემოციურ მოდუნებასა და დაბალ მწარმოებლურობას;

5. ინსტანციების ჯაჭვი. თუ უფლებებისა და პასუხისმგებლობის დელეგირება რომელიმე პროექტის ჩარჩოებში წინააღმდეგობაში მოდის კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურასთან, საჭირო ხდება დამატებითი ძალისხმევა, რათა მოხდეს შესაბამისი ხელმძღვნელის ყურადღების მიმართვა ამა თუ იმ პრობლემაზე. როდესაც პროექტი მოიცავს რამდენიმე ფუნქციურ ქვედანაყოფს, ამა თუ იმ გადაწყვეტილების დამტკიცებაში მონაწილეობის მიღება უხდება სხვადასხვა ფუნქციურ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებს. ხოლო, თუ ამ ფუნქციურ ქვედანაყოფებს აქვს სხვადასხვა (ჩშირად საწინააღმდეგო) ინტერესები, ეს ქმნის პროექტის შესრულებისთვის სერიოზულ დაბრკოლებებს.

აქედან გამომდინარეობს, რომ პროექტ-ორგენტირებული ფირმების ორგანიზაციული სტრუქტურა სხვაგვერდში მეტად უწყობს ხელს პროექტების წარმატებით შესრულებას. თუმცა ორგანიზაციათა უმრავლესობაში პროექტების ხელმძღვანელები, როგორც წესი, განიცდიან ფორმალური უფლებამოსილებების ბუნებითა და სტრუქტურით წარმოშობილ სირთულეებს. ასეთ შემთხვევაში ისინი უფრო მეტად ეყრდნობიან საკუთარ ცოდნასა და კვალიფიკაციას, აგრეთვე, ამ პროექტების მართვის აპრობირებულ ინსტრუმენტებს.

დისკიპლინა, რომელიც ატარებს პროექტების მართვის სახელწოდებას, შეიძლება შევადაროთ ხის დამამუშავებელი ინსტრუმენტების ნაკრებს. ერთიცა და მეორეც განკუთვნილია კონკრეტული მიზნებისთვის; ერთსაც და მეორესაც ოსტატის ხელში საოცრებების მოხდენა შეუძლია.

თთოვეული პროექტისთვის საჭიროა ადამიანი, რომელიც – როგორიც არ უნდა იყოს მისი თანამდებობა და წოდება – შეძლებს ხელმძღვანელის ფუნქციის შესრულებას. ეს არის როლი, რომელსაც, მცირე პროექტის შემთხვევაში, შეიძლება წარმატებით გავართვათ თავი კვირაში მხოლოდ რამდენიმე საათის მუშაობით.

მსხვილმასშტაბიანი პროექტის დროს, ერთ ადამიანს უბრალოდ არ შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს პროექტის ხელმძღვანელის ყველა ფუნქცია. მაგრამ არ შეიძლება ამ როლის განსაზღვრა მხოლოდ და მხოლოდ პროექტების მართვისათვის ინსტრუმენტთა ნაკრების ან პროექტების მართვის ფუნქციათა თვალსაზრისით. პროექტის ხელმძღვანელის მთავარი მოვალეობაა ყველა დაინტერესებული პირის – შემკვეთების, ფირმის ხელმძღვანელობის, მოწოდებლებისა და საპროექტო გუნდის წევრების – მოქმედებათა კოორდინაცია და მათი ერთობლივი ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველყოფა პროექტის შესრულების დროს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ერთი მშართველობითი მეთოდის გამოყენება ვერ მოიტანს სასურველ შედეგს, თუ პროექტის ხელმძღვანელი არ იქნება ლიდერი. მხოლოდ ხელმძღვანელის ენერგია და ენთუზიაზმი ანიჭებს ამ მეთოდებს ჰეშმარიტ ძალას. პროექტის ხელმძღვანელი ასრულებს კატალიზატორის – ინიციატორის ფუნქციას, რომელიც საკუთარ ხელში იღებს პროექტს და მოჰყავს ის მოქმედებაში.

საპითხები თვითშემოვალისა და გამეორებისათვის

ინდივიდუალურად, წყვილებში ან გუნდებში განიხილეთ შემდეგი თემატიკა:

1. პროექტები და მიმდინარე ოპერაციები;
2. პროექტისთვის ნიშანდობლივი ორი მნიშვნელოვანი მახასიათებელი;
3. პროექტის ხელმძღვანელის ამოცანები;
4. საპროექტო მენეჯმენტი, როგორც სამეცნიერო დისციპლინა;
5. პროექტის ხელმძღვანელის პროფესიონალიზმის სამისურო;
6. წარმატებული პროექტის შემადგენლები;

7. პროექტის ხელმძღვანელის მთავარი ამოცანა;
8. პროექტების მართვის სამი ფუნქცია;
9. პროექტის სტანდარტული სასიცოცხლო ციკლი;
10. პროდუქტის შემუშავების სასიცოცხლო ციკლი;
11. განსხვავებები პროდუქტის სასიცოცხლო ციკლსა და პროექტის სასიცოცხლო ციკლს შორის;
12. ფუნქციურად ორიენტირებული ორგანიზაცია;
13. მატრიცული ორგანიზაცია;
14. პროექტ-ორიენტირებული ორგანიზაცია;
15. სტრუქტურის შერჩევა და პროექტის ხელმძღვანელი.

თავი 6

პროექტის მონაწილეობი

- 6.1. პროექტის მონაწილეები – პროექტის ფარმატებით შესრულების საწილეარი

მრავალი მეცნიერის აზრით, ეკონომიკის ზრდას უზრუნველყოფს ტექნოლოგიური მიღწევები. მაგრამ, თუ უფრო ღრმად ჩავწერდეთ, ნებისმიერი ტექნოლოგია მომზედებაში მოჰყვავთ ადამიანებს. პროექტების შემთხვევაში, ამ ადამიანებს უწოდებენ პროექტის მონაწილეებს, რადგან თითოეული მათგანი თავის ძალისხმეულას დებს პროექტის რეალიზაციაში და თავისებურადაა დაინტერესებული ამით.

პროექტის ხელმძღვანელის პირველი ამოცანაა პროექტის მონაწილეთა სწორად განსაზღვრა. მათ, უკველად, მიეკუთვნებიან: შემკვეთები; გადაწყვეტილების მიმღები პირები; მომწოდებლები და პასუხისმგებელი თანამშრომლები. უფრო ფართო გაგებით კი – დაინტერესებული პირი იქნება თითოეული, ვინც ასე თუ ისე მონაწილეობს პროექტში, და ყოველი, რომელზეც ზეგავლენას მოახდენს პროექტის შესრულების შედეგები.

პროექტის ყველა მონაწილის გამოვლენა არის პროექტის ხელმძღვანელის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იმიტომ, რომ პროექტის განსაზღვრისას და დაგეგმვის სტადიათა ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს დებულობენ სწორედ ეს ადამიანები. პროექტის მონაწილეები – არიან ის ადამიანები, რომლებიც პროექტის ხელმძღვანელის ხელქვეთად ყოფნისას ამუშავებენ შეთანხმებებს პროექტის მიზნებთან და შეზღუდვებთან მიმართებაში, აყალიბებენ სტრატეგიებს, განრიგებს და ამტკიცებენ პროექტის ბიუჯეტს.

პროექტის მონაწილეთა გამოვლენა – პროექტის ხელმძღვანელის მიერ მუდმივად შესასრულებელი ამოცანაა. პროექტის საწყის სტადიებზე პროექტის ხელმძღვანელი დაკავებულია მონაწილეებისა და როლების განსაზღვრით, რომლებსაც ისინი შეასრულე-

ბენ მოცემულ პროექტში. ამ თავში აღწერილია ხუთი მთავარი მონაწილის – პროექტის ხელმძღვანელის, საპროექტო გუნდის, ფუნქციური ხელმძღვანელობის, სპონსორისა და შემკვეთის როლები, ავრეთვე, თითოეული ამ მხარის ზეავლენა პროექტის საერთო წარმატებაზე. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ აქ ჩვენ ვსაუბრობთ როლებზე. ამ როლებიდან თითოეულის თამაში შეუძლია ერთ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს და, პირიქით, – ერთ ადამიანს შეუძლია ერთდროულად რამდენიმე როლის შესრულება.

როგორც ამბობენ, კლიენტი ყოველთვის მართალია. **პროექტის ხელმძღვანელის დევიზი კი – პროექტის ყველა მონაწილის დაქმაყფილებაა.** მისი ამოცანა არა მარტო შემკვეთის გულის მოგებაა. წარმატებული პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მონაწილის მოლოდინს. გავიხსენოთ: პროექტის წარმატების პირველი ფაქტორი მდგომარეობს იმაში, რომ საპროექტო გუნდმა, შემკვეთმა და ფირმის ხელმძღვანელობამ უნდა მიაღწიონ თანხმობას შესასრულებელი პროექტის მიზნების თაობაზე. პროექტის ყველა მონაწილის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არ არის ადვილი ამოცანა, განსაკუთრებით, თუ ისინი თავს იჩენენ პროექტის უფრო გვიანდელ სტადიებზე და აყენებენ ახალ გაუთვალისწინებელ მოთხოვნებს (რაც პრაქტიკაში არცთუ იშვიათად ხდება!). **სწორედ ამიტომ, პროექტის ხელმძღვანელისათვის ძალზე მნიშვნელოვანია პროექტის დაწყებიდანვე გამოვლინებების მისი ყველა მონაწილე, გაირკვეს მათი მოთხოვნები და მოლოდინი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს პროექტის ხელმძღვანელი მისი მთავარი ამოცანის შესრულებას – ყველა დაინტერესებული მონაწილის მოთხოვნებისა და მოლოდინის დაქმაყოფილებას.**

მონაწილეთა მოლოდინის დაკმაყოფილება არა მარტო პროექტის ხელმძღვანელის მთავარი ამოცანაა, არამედ მისი უშუალო სარგებელიც, რადგან პროექტის თითოეულ მონაწილეს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მის რეალიზაციაში. ყველა მხარე, რომელიც ასე თუ ისე მონაწილეობს პროექტში, მარ-

თლაც დაინტერესებულია მის წარმატებაში, და თითოეულ მათგანს შეუძლია გააკეთოს პროექტისთვის რაიმე სასარგებლო. ეს სარგებლობა შეიძლება მდგომარეობდეს ფორმალურ უფლებამოსილებებში, რომლებიც მინიჭებული აქვს მონაწილეებს; დაფინანსებაში, რომლის უზრუნველყოფაც მას შეუძლია; მისი მხრიდან შესაბამისი პროდუქტისადმი მოთხოვნების ყოველმხრივ ცოდნაში – საბოლოო ჯამში, ყველაფერი ეს საჭიროა პროექტის წარმატების უზრუნველყოფად. პროექტები, რომლებსაც არ ყოფნით მნიშვნელოვან მონაწილეთაგან ვინმეს მეურვეობა, რისკავენ დარჩენენ დაუსრულებელნი ან სერიოზულად გადაიხარონ ადრე დასახული კურსიდან.

ზოგჯერ პროექტის ყველა მონაწილის გამოვლენა ადვილია ხოლმე, ზოგჯერ კი – რთული. მონაწილის გამოვლენისას არ არის საჭირო კითხვა: „ვინ იქნება პროექტის შემკვეთი?“ ან „ვინ შედის საპროექტო გუნდის შემადგენლობაში?“ კითხვა უნდა უღერდეს ასე: „ვის შეუძლია შეიტანოს წვლილი პროექტის რეალიზაციაში?“

6.2. პროექტის ხელმძღვანელი

რაში მდგომარეობს პროექტის ხელმძღვანელის წვლილი და მუშაობის საუციფიკა? პროექტის ხელმძღვანელის საქმიანობა წააგავს მაგიას, უფრო ზუსტად – პრაქტიკულ მაგიას. ისევე, როგორც სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი უვლენს სამყაროს მუსიკის მომზიბლაობას („ჯადოსნურობას“), პროექტის ხელმძღვანელს, უმორჩილებს რა თავის ნებას სხვადასხვა ადამიანის (პროექტის მონაწილეების) მოქმედებებს, პარმონიაში მოჰყავს ეს მოქმედებები და უვლენს სამყაროს პროექტების მართვის მომზიბლაობას („ჯადოსნურობას“). დაკავებულია რა პროექტის დაგეგმვით, ავლენს რა მონაწილეებს, ღებულობს რა ზომებს, რათა პროექტი არ გასცდეს ბიუჯეტის ჩარჩოებს, ან აწესრიგებს კონ-

ფლიქტურ სიტუაციებს პროექტის მონაწილეებს შორის, პროექტის ხელმძღვანელი ასრულებს წამყვან როლს ნებისმიერ პროექტში. და მიუხედავად იმისა, რომ პროექტის მრავალი ამოცანის გაწონასწორების უნარი მის ხელმძღვანელს ჯადოქარს ამსგავსებს – ცოდნა და უნარი, რომლებიც შეადგენენ ამ „პრაქტიკული მაგის“ საფუძველს, ხელმისაწვდომია მრავალი ჩვენგანისთვის.

პროექტის ხელმძღვანელმა თავიდანვე მკაფიოდ უნდა განსაზღვროს პროექტის ყველა მონაწილის მიერ შესასრულებელი როლები, მათ შორის საკუთარი როლიც.

კერძოდ, პროექტის ხელმძღვანელმა თვითონ უნდა უპასუხოს შეძლევ კითხვებს: „როგორია ჩემი ფორმალური უფლებამოსილებები?“, „ვის დაქვემდებარებაში ვარ?“, „ნიშნავს თუ არა პროექტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ჩემი დანიშვნა ყველა დანარჩენი ვალდებულებისაგან გათავისუფლებას?“, „რა მოლოდინს ვუკავშირებ ამ პროექტს?“.

პროექტის ხელმძღვანელი, ამავე დროს, მისი მთავარი მონაწილე-ცაა. იგი თვითონ უნდა იყოს ქმაროვილი საკუთარ პროექტზე მუშაობით.

ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვნია პროექტის ყველა მონაწილის გამოვლენა. ეს, აისწნება, ჯერ ერთი, იმით, რომ პროექტის წარმატებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მისი შედეგებით ყველა მონაწილის დაკმაყოფილებულობის ხარისხით და, მეორეც, იმით, რომ თითოეულ მონაწილეს არსებითი წვლილი შეაქვს ამ პროექტში. პროექტის ხელმძღვანელი არა მარტო კარგად უნდა იცნობდეს მის ყველა მონაწილეს, არამედ სათავეში უნდა ჩაუდგეს ადამიანთა ამ ჭრელი შემადგენლობის ჯგუფს.

გინაიდან პროექტის შესახებ ყველაზე მტკი იცის მისმა ხელმძღვანელმა, სწორედ მან უნდა წაიყვანოს პროექტი სწორი კურსით. ხელმძღვანელმა უნდა გამოიყენოს შემდეგი ორი ხერხი, რომელთა საშუალებით მას შეუძლია შესასრულოს ლიდერის ფუნქცია:

- პროექტის მონაწილე პირთა წრის გაკონტროლება. როგორც უკვე აღინიშნა, ფუნქციურ ხელმძღვანელებსა და კლიენტებს შორის ყოველთვის გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებსაც სურთ თქვენს პროექტზე ზეგავლენის მოხდენა. მაგრამ, თუ რომელიმე მათგანს არ აქვს ასეთი ზეგავლენის უფლება, საჭიროა „მათ თავიანთი ადგილი მივუჩინოთ“. ამ მნიშვნელოვან საქმეში კი, რასაკვირველია, უნდა გვქონდეს პროექტის სპონსორის ან მისი სხვა მონაწილეების მხარდაჭერის იმედი. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში ხელმძღვანელმა უნდა გამოიყენოს დარწმუნების მთელი ძალა, რათა შეზღუდოს პირთა წრე, რომლებსაც ნებადართული აქვთ პროექტზე ზეგავლენის მოხდენა;
- პროექტის მართვა პრინციპით „ქვევიდან ზევით“. პროექტის ზოგიერთ მონაწილეს (სპონსორს, ფუნქციურ ხელმძღვანელებს და სხვ.) შეიძლება უფრო ფართო ძალაუფლებრივი უფლებამოსილებები ჰქონდეს, ვიდრე პროექტის ხელმძღვანელს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელი სათავეში უნდა ჩაუდგეს ადამიანთა მთელ ამ ჯგუფს, დაუსვას რთული კითხვები, შესთავაზოს გონივრული ვარიანტები, დააყენოს ისინი ფაქტის წინაშე, პირადი შეუპოვარი შრომითა და ენთუზიაზმით მუდმივად ახდენდეს ეფექტიანი შრომისათვის მათ მოტივირებას.

6.3. საპროექტო გუნდი

ვინ უნდა იქნეს დაკავებული პროექტის უშუალო შესრულებასთან დაკავშირებული სამუშაოთი? პასუხი: საპროექტო გუნდი პროექტის ხელმძღვანელთან ერთად. ყველა ჯგუფი და ცალკეული სპეციალისტები, რომლებიც ხარჯავენ თავიანთ სამუშაო დროს, ცოდნას, უნარს, კვალიფიკაციასა და ძალებს პროექტის შესრულებაზე,

თოვლებიან საპროექტო გუნდის წევრებად. კომპანიის თანამშრომლების გარდა, რომლებსაც დაგალებული აქვთ მოცემულ პროექტში ძონაწილეობა, საპროექტო გუნდის წევრები შეიძლება იყვნენ მოივარები, მომწოდებლები და შემკვეთებიც (კლიენტებიც) კი.

ამ კუთხით კლიენტების, როგორც საპროექტო გუნდის წევრების ხსენება, ერთი შეხედვით, შეიძლება რამდენადმე გასაკვირიც იყოს, რადგან პრინციპში ისინი შესასრულებელი პროექტის საბოლოო შედეგის შემკვეთები არიან. სინამდვილეში კი არაფერი უჩვეულო არ არის იმაში, რომ სწორედ კლიენტები ასრულებენ გარკვეულ ამოცანებს შესაბამისი პროექტის ჩარჩოებში. თუ, მაგალითად, ავიღებთ პროექტებს, რომლებიც ეხება საინფორმაციო სისტემებს, კლიენტები ხშირად არიან პროექტის აქტიური მონაწილები სისტემის დაპროექტებისა და განსაზღვრის სტადიებზე. ან შემთხვევაში, როდესაც პროექტი ეხება კომპანიის გადასვლას ახალ საოფისე კომპლექსში, სწორედ კლიენტს (შემკვეთს) შეუძლია აიღოს საკუთარ თავზე ახალ ობიექტზე მუშაობასთან დაკავშირებული სწავლების ორგანიზაციაზე პასუხისმგებლობა.

საპროექტო გუნდის შემადგენლობა უნდა ჩამოყალიბდეს პროექტის შესრულების დასაწყისში – პროექტის დაგეგმვისა და განსაზღვრის სტადიებზე. საპროექტო გუნდის ფორმირების პროცესი მთავრდება, როდესაც მისი წევრები მიღიან შეთანხმებამდე საკუთარ ვალდებულებებთან და როლებთან მიმართებაში შესაბამისი პროექტის ჩარჩოებში.

განვიხილოთ ამ პროცესის ეტაპები დასაწყისიდან მის დასრულებამდე:

- შესაბამისი პროექტის ჩარჩოებში შესასრულებელ რთულ ამოცანათა დაყოფა ხდება შუალედურ ამოცანებად ისე, რომ ჩნდება შესაძლებლობა მათდამი გამოყენებულ იქნეს პროექტის შემსრულებლების კონკრეტული ცოდნა, უნარი და კვალიფიკაცია;

- შემდეგ პროექტის ხელმძღვანელი და სპონსორი სამუშაოდ იზიდავენ შესაბამისი ცოდნის, უნარისა და კალიფიკაციის მქონე ცალკეულ სპეციალისტებსა და ორგანიზაციებს;
- პროექტის ხელმძღვანელი აწარმოებს მოლაპარაკებებს პროექტში ამ სპეციალისტებისა და ორგანიზაციების მონაწილეობის კონკრეტულ ფორმებზე;
- პროექტის ხელმძღვანელი აზუსტებს გეგმას და აღწევს საპროექტო გუნდის ყველა წევრის მიერ მის მკაფიო გაგებას;
- საპროექტო გუნდის თითოეული წევრის მოვალეობათა წრის დოკუმენტირება ხდება საგარაუდო სამუშაოების ჩამონათვალსა და პროექტის გეგმაში.

როგორც წესი, პროექტის მნიშვნელოვანი მონაწილეების განსაზღვრა არ წარმოადგენს სირთულეს, როდესაც საუბარია შედარებით მცირე პროექტებზე. მსხვილმასშტაბიანი პროექტების შემთხვევაში ეს ამოცანა არსებითად რთულდება და მის გადასაჭრელად საჭიროა გაცილებით დიდი დრო და ძლისხმევა.

საპროექტო გუნდის ზოგიერთი წევრი პროექტის რეალიზაციაში ასრულებს მნიშვნელოვან, მაგრამ არამთავარ როლს. პროექტის ხელმძღვანელს უნდა ესმოდეს სხვაობა საპროექტო გუნდის დროებით წევრებსა და გუნდის ბირთვში შემავალ სპეციალისტებს შორის, რადგან პროექტის მონაწილეების თითოეული ამ ორი ჯგუფისთვის გამოიყენება სხვადასხვა კომუნიკაციური სტრატეგიები. მაგალითად, პროექტის რეალიზაციაში რომელიმე ქვედანაყოფის თანამშრომელთა წვლილი შეიძლება შეადგენდეს პროექტის სამუშაოთა მთელი მოცულობის 10%-ზე ნაკლებს, ხოლო ამ პროექტში მათი მონაწილეობის დრო – მხოლოდ რამდენიმე კვირას. მიუხედავად ამისა, სანამ პროექტის მონაწილეები შეუდგებიან სამუშაოების შესრულებას, აუცილებელია მათი ინფორმირება მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოსთან

დაკავშირებული პროგრესის შესახებ; ამავე დროს, ისინი სრულიადაც არ არიან ვალდებული, მიიღონ მონაწილეობა პროექტის გუნდის ყოველგვირეულ სამუშაო თათბირებში. გარდა ამისა, ძალაშე ვიწრო სპეციალიზაციის მქონე მუშაკებიდან ზოგიერთს შეუძლია საკმაოდ შეზღუდული, მაგრამ ფრიად არსებითი წვლილის შეტანა პროექტში. ხელმძღვანელმა არა მარტო უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ასეთ მუშაკებს მათ ამოცანებთან დაკავშირებული სამუშაოების მიმღინარეობის შესახებ, არამედ უნდა გამართოს მათთან კონსულტაცია, რათა მზად იყვნენ – საჭირო მომენტში შეუდგნენ ამ სამუშაოთა შესრულებას.

6.4. ფინანსურის სამუშაოების საშუალო რგოლი

ფირმის ხელმძღვანელობასთან პროდუქტული თანამშრომლობა უდიდეს როლს თამაშობს ნებისმიერი პროექტის წარმატებაში. მოცემულ შემთხვევაში ფირმის ხელმძღვანელობაში ვვულისხმობთ ფუნქციურ ხელმძღვანელობას, რომელსაც ეწოდება ფირმის საშუალო ხელმძღვანელი რგოლი. პროექტ-ორიენტირებული ტიპის ორგანიზაციითა გამოკლებით, ფუნქციური ხელმძღვანელები პასუხისმგებელი არიან ამა თუ იმ ორგანიზაციულ ქვედანაყოფებზე, მაგალითად, საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების განყოფილებაზე ან შიდა აუდიტის განყოფილებაზე და არა კონკრეტულ პროექტებზე. ფუნქციური ხელმძღვანელები სანგრძლივ პრესპექტივაზე გათვლით ხელმძღვანელობენ ადამიანებს და ფირმის სხვა რესურსებს. ისინი, აგრეთვე, მონაწილეობენ კომპანიის პოლიტიკის შემუშავებაში, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს კონკრეტულ პროექტზეც.

ფირმის ხელმძღვანელობის მხრიდან მხარდაჭერა განისაზღვრება, როგორც პროექტის წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელო-

ვანესი ფაქტორი. როდესაც პროექტების ხელმძღვანელებს ეკითხებიან, თუ, სახელდობრ, რა მხარდაჭერა სჭირდებათ ყველაზე მეტად ფირმის ხელმძღვანელობის მხრიდან, როგორც წესი, გვიხდება ასეთი პასუხების მოსმენა: „საჭირო სპეციალისტების შემოთავაზება საჭირო მომენტში“ და „საპროექტო გუნდის მიერ ჩამოყალიბებულ ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების დროული მიღება“. ეს პასუხები საშუალებას იძლევა შევიქმნათ გარკვეული წარმოდგენა რეალურ წვლილზე, რომელიც ფუნქციურ ხელმძღვანელობას შეაქვს პროექტების რეალიზაციაში. გარდა ამისა, ფირმის ხელმძღვანელობას შეუძლია პროექტის ხელმძღვანელს გააცნოს, თუ ვინ შედის ფუნქციური ხელმძღვანელებიდან შესაბამისი პროექტის შესრულებაში დაინტერესებულ პირთა ჩამონათვალში.

პროექტის ხელმძღვანელმა უნდა იმუშაოს ფუნქციურ ხელმძღვანელებთან მჭიდრო კონტაქტში პროექტზე სამუშაოდ ფირმის საუკეთესო სპეციალისტების მოსაზღვად. მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა მოახდენს პროექტის ინიციორებას და განსაზღვრავს მის ჩარჩოებს, პროექტის ხელმძღვანელი ადგენს სამუშაო გეგმას, რომელშიც დაწვრილებითაა მითითებული, თუ რა კვალიფიკაციის სპეციალისტებია საჭირო მოცემულ პროექტზე მუშაობისთვის და რომელმა ქვედანაყოფებმა უნდა მიავლინონ პროექტზე სამუშაოდ ასეთი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები. გააჩნია რა მსგავსი ინფორმაცია, პროექტის ხელმძღვანელს შეუძლია მიმართოს ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებს, რომელშიც მუშაობენ ასეთი სპეციალისტები და გაარკვიოს მათი აზრი, თუ, სახელდობრ, როდის გადავლენ მის განკარგულებაში ეს სპეციალისტები. ამ ხელმძღვანელებმა უნდა დაამტკიცონ მომავალი სამუშაოს ფორმულირება და პროექტის გეგმა, რადგან ამ დოკუმენტებში მითითებული საპროექტო გუნდის პოტენციური წევრები წარმოადგენენ იმ ქვედანაყოფთა მუშაკებს, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელებენ. პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის გან-

მავლობაში ამ ფუნქციურ ხელმძღვანელებს შეუძლიათ უაღრესად ფასეული დახმარების გაწევა საკადრო ან საწარმოო პრობლემების გადაჭრაში.

ხელმძღვანელობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვალეობაა საპროექტო გუნდისთვის შესატყობინებელი ფაქტების საფუძველზე გადაწყვეტილებათა დროული მიღება. ხელმძღვანელების გამოვლენა, რომლებიც მიიღებენ საჭირო გადაწყვეტილებებს, შეიძლება აღმოჩნდეს ძალზე რთული ამოცანა. უნდა დავიწყოთ თვალსაჩინო ვარიანტებიდან:

- ხელმძღვანელები, რომელთა მუშაობაზე ზეგავლენას მოახდენს პროექტის შესრულების შედეგები;
- ხელმძღვანელები, რომლებიც წარმოადგენენ სხვა დაინტერესებულ პირებს, ისეთებს, როგორებიც არიან კლიენტები;
- ხელმძღვანელი, რომელსაც ემორჩილება პროექტის ხელმძღვანელი.

აუცილებელია გვესმოდეს, თუ რატომა დაინტერესებული ამ ხელმძღვანელებიდან თითოეული პროექტის შესრულებაში და რა გადაწყვეტილებათა მიღებაზე შეუძლიათ მათ ზეგავლენის ძოხდენა.

გამოავლენს რა პირთა თვალსაჩინო წრეს, რომლებიც მიიღებენ გადაწყვეტილებებს, პროექტის ხელმძღვანელმა უნდა გამოავლინოს ზეგავლენიან პირთა (მაგალითად, იმათი, რომლებსაც აქვთ „ვეტოს“ უფლება) ნაკლებად თვალსაჩინო წრე. ამ ამოცანის მნიშვნელობის დამადასტურებელი მაგალითის სახით განვითაროთ ერთ-ერთ მსხვილ კომპანიაში კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების განყოფილების ისტორია. ამ განყოფილების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მოეხდინა სწავლების კურსის ორგანიზება „პროექტების მართვა“. მასწავლებელმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ამ კურსის გაძლილა, წარმოადგინა სწავლების პროგრამის საკუთარი ვარიანტი, ბაზური თემებიდან დაწყებული (მაგალითად, კალენდარული დაგეგმვა) და პროგრამების

მართვისა და მოლაპარაკებათა წარმოების უფრო რთული თემებით დამთავრებული. ეს იყო კომპანიის სხვადასხვა სტრუქტურების მიერ ჩამოყალიბებულ მოთხოვნებზე, აგრეთვე, მისი მომწოდებლების მიერ ორგანიზებულ სწავლების უკვე მოქმედ კურსებზე ბაზირებული სწავლების საგულდაგულოდ მოფიქრებული კურსი. თუმცა პროექტი არ იქნა განხორციელებული. სასწავლო კურსის ადმინისტრირებასა და დაფინანსებაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელი, გაანალიზა რა თითოეულ წელიწადზე დაგეგმილი მსმენელების რაოდენობა (როგორც საბაზო, ისე რთულ თემებზეც), მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კურსდამთავრებულებზე რეალური მოთხოვნა არ ამართლებს კურსების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ამ ხელმძღვანელის გადაწყვეტილების გაპროტესტება ძალზე რთული იყო, რადგან ის ეყრდნობოდა დროის მიერ შემოწმებულ კომპანიის პოლიტიკას.

კურსის ორგანიზაციაზე პასუხისმგებელმა მასწავლებელმა მხედველობაში არ მიიღო ეს დაინტერესებული მხარე, აგრეთვე, „ვეტოს“ უფლება, რომელიც მას გააჩნდა, რომლის შედეგად დამტკიცებულ იქნა სწავლების მნიშვნელოვნად შეკვეცილი კურსი. სავსებით ცხადია, რომ მოცემული პროექტის ხელმძღვანელი არ გაისარჯა პასუხი გაეცა შეკითხვაზე: „ვინ დაამტკიცებს კურსს?“

ხელმძღვანელებიდან რომელი მიიღებს გადაწყვეტილებებს? რომელ მათგანს გააჩნია „ვეტოს“ უფლება? რომელ მათგანზე მოახდენს (თუმცა ირიბად) ზეგავლენას ეს გადაწყვეტილებები? ეს ის კითხვებია, რომლებზეც უნდა გასცეს პასუხი პროექტის ხელმძღვანელმა, ფირმის ხელმძღვანელობიდან პროექტის მონაწილეთა შერჩევის დროს.

6.5. პროექტის სპონსორი

მრავალი პროექტი წარმოადგენს „ორგანიზაციულ ანომალიას“, რაც გამოიხატება შემდეგ ში:

- პროექტები ანგარიშს არ უწევენ საზღვრებს ქვედანაყოფებსა და კორპორაციებს შორის;
- ისინი იყენებენ სპეციალისტებს დროის შედარებით მოკლე პერიოდის განმავლობაში, რომლის შემდეგ საპროექტო გუნდი იშლება;
- მათ შეუძლიათ მოიცვან საბიუჯეტო ციკლის განსაზღვრული ნაწილი და, ამავე დროს, მოიზიდონ დაფინანსება ერთი კომპანიის ჩარჩოებში მოქმედი რამდენიმე ჯგუფიდან.

გარკვეული „ერთჯერადი“ ამოცანის გადასაჭრელად შესასრულებელ პროექტთა დროებითი ხასიათი სერიოზულ სირთულეებს ქმნის პროექტთა ხელმძღვანელებისთვის, რადგან მათი ფორმალური უფლებამოსილები, როგორც წესი, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გაუმჯლავდნენ წარმოქმნილ ორგანიზაციულ პრობლემებს. ამ პრობლემათა გადასაჭრელად არის სწორედ საჭირო პროექტის სპონსორი.

სპონსორი არის ფორმალური ძალაუფლებრივი უფლებამოსილებების მქონე ადამიანი, რომელიც, საბოლოო ჯამში, ჰასუხისმგებელია პროექტზე. სპონსორი შეიძლება იყოს კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობიდან, თუმცა ეს როლი შეიძლება დაკისროს დაბალი რანგის ხელმძღვანელსაც. ორგანიზაციის შიგნით პროექტის სპონსორის მიერ დაკავებული თანამდებობა და მისი ფორმალური უფლებამოსილები არანაირად არ უნდა იყოს დაკავშირებული რომელიმე პროექტთან, რათა მას პქონდეს შესაძლებლობა გამოვიდეს დამაკავშირებელი რგოლის როლში პროექტსა და გადაწყვეტილებათა მიღების ჩვეულებრივ პროცესს შორის. სპონსორს შეუძლია

გამოიყენოს თავისი ფორმალური უფლებამოსილებები პროექტის ხელმძღვანელის თხოვნით, მისცეს მას რეკომენდაციები ან ზეგავლენა მოახდინოს პროექტის პრიორიტეტულობაზე. ამრიგად, სპონსორი არის ფორმალურ უფლებამოსილებათა წყარო, რომელიც, როგორც წესი, არ გააჩნია პროექტის ხელმძღვანელს.

პროექტის წარმატების საქმეში სპონსორთა მნიშვნელობის საკითხში უნდა აღინიშნოს ორი საბაზო კონცეფცია:

1. სწორედ სპონსორები არიან, საბოლოო ჯამში, ჰასუხისმგებელნი პროექტის წარმატებაზე. ამ ჰასუხისმგებლობას მათ აკისრებს რეალური ფორმალური უფლებამოსილები, რომელთა წყაროც იქნება წოდება და თანამდებობა ორგანიზაციაში;
2. სპონსორის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს საპროექტო გუნდისთვის დახმარების აღმოჩენაში. სპონსორს უნდა ესმოდეს, რომ ის მუურვობს არა პროექტს, არამედ პროექტის ხელმძღვანელსა და საპროექტო გუნდს. სპონსორი მოწოდებულია დაეხმაროს ამ ადამიანებს წარმატების მიღწევაში. ამიტომაც უწოდებენ სპონსორს საპროექტო გუნდის დამცველსა და ქომაგს. ამასთან დაკავშირებით სპონსორებისაგან ზოგჯერ გვსმენია: „მე ვიცავ ამ საპროექტო გუნდის ინტერესებს და არავის არ მივცემ ნებას, ხელი შეუშალოს მათ!“ და სხვა მსგავსი ფრაზები.

პროექტში სპონსორის ძირითადი წვლილი მის ფორმალურ უფლებამოსილებებში გამოიხატება. არსებობს მრავალი ხერხი, რომელთა საშუალებითაც სპონსორებს შეუძლიათ „დააბანდონ“ თავიანთი ფორმალური უფლებამოსილები პროექტში. კერძოდ, სპონსორს შეუძლია შემდეგი:

1. მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა პროექტის ხელმძღვანელისთვის პროექტის წესდების შედგენაში. ეს წესდება წარმოადგენს თავისებურ განცხადებას, რომელშიც მი-

- თითებულია ახალი პროექტის სახელწოდება, მისი მიზანი და ხელმძღვანელი;
2. დახმარების გაწევა **პასუხისმგებლობის მატრიცის** შემუშავებაში. პასუხისმგებლობის მატრიცა ასახავს დაინტერესებულ პირთა სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობას პროექტში;
 3. **სამუშაოს შინაარსის** (SOW – Statement of Work) განხილვა და დამტკიცება. სამუშაოს შინაარსში აღწერილია პროექტის მიზნები, მისი შეზღუდვები, აგრეთვე, მითითებები პროექტის ხელმძღვანელობის განხორციელებაზე;
 4. **პროექტის გეგმის** განხილვა და დამტკიცება. სპონსორმა უნდა დაამტკიცოს პროექტის გეგმაში წარმოდგენილი დანახარჯების, გრაფიკებისა და სამუშაოების ხარისხის კრიტერიუმების თანაფარიღობა;
 5. პროექტის ხელმძღვანელს მისცეს რეკომენდაციები და მასთან ერთად რეგულარულად განიხილოს პროექტის მიმდინარე მდგომარეობა. სპონსორი უნდა ჩაერთოს პროექტის შესრულებაში რაიმე პრობლემის წარმოიქმნაშე, რაც გაადვილებს პრობლემების გადაჭრას. ცუდად ინფორმირებულ, ანუ ფორმალურ სპონსორებს არ შეუძლიათ პროექტის ხელმძღვანელისთვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა რაიმე დაბრკოლების წარმოქმნისას;
 6. სხვებთან მიმართებაში პროექტის პრიორიტეტულობაზე დაკვირვება და მისი შენარჩუნება. ვინაიდან ნებისმიერ ორგანიზაციას გააჩნია მეტ-ნაკლებად განსაზღვრული რესურსები, ამიტომ ადრე თუ გვიან, იწყება კონკურენცია სხვადასხვა პროექტს შორის ისეთი რესურსების მოპოვებისათვის, როგორიცაა დრო, ფული და სპეციალისტები. პროექტების ეფექტიანი შესრულებისთვის ორგანიზაციაში არ უნდა არსებობდეს აზრთა სხვაობა ამა თუ იმ პროექტის, აგრეთვე, დაფინანსების მოცულობისა და თითოეული

მათგანისთვის გამოყოფილი სხვა რესურსების პრიორიტეტულობის თაობაზე. თუმცა, პრაქტიკაში, კრიტიკული სიტუაციების წარმოქმნისას, შემსრულებლები ძალზე ხშირად გადაერთვებიან ერთი პროექტიდან მეორეზე. ასეთი „ყაჩაღობა დღისით, მზისით“ შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ არ დაიწყებს დაშლას პროექტი, რომლიდანაც მოხსნეს შემსრულებელთა ნაწილი სხვა, „უფრო სასწრაფო“ პროექტის შესასრულებლად. სპონსორის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მსგავსმა პრაქტიკამ არ გამოიწვიოს სიტუაციაზე კონტროლის სრული დაკარგვა. სპონსორი ვალდებულია იზრუნოს იმისათვის, რომ საპროექტო გუნდის რიცხოვნობა და პროექტის ბიუჯეტის მოცულობა შეძლებისდაგვარად შენარჩუნებულ იქნეს მუდმივ დონეზე;

7. დახმარება პროექტის ხელმძღვანელისთვის ორგანიზაციული დაბრკოლებების დაძლევაში. როდესაც პროექტის ხელმძღვანელს არ ყოფნის საკუთარი ფორმალური უფლებამოსილებები ამა თუ იმ ბიუროკრატიული დაბრკოლების დასაძლევად, მაშინ პროექტის დასაცავად უნდა გამოვიდეს სპონსორი. ასეთი ჩარევის დასაბუთებულობის მტკიცებულებად შეიძლება გამოდგეს Fortune 500-ის სიაში შემავალი ერთ-ერთი ფირმის საინფორმაციო სისტემების განყოფილების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. ამ შედეგებმა გვიჩვენეს, რომ პროექტის ავტორიტეტული და აქტიური სპონსორის არსებობა წარმოადგენს პროექტის წარმატების მთავარ ფაქტორს, რადგან მისი შესრულების მსვლელობაში წარმოქმნილი ნებისმიერი პრობლემა შეიძლება დროულად გადაიჭრას სწორედ ისეთი ადამიანის მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს ამისათვის საჭირო ყველა ფორმალური უფლებამოსილება.

კოორპორაციულ გარემოცვაში დაინტერესებული სპონსორის არ-სებობა, რომელსაც მინიჭებული აქვს საჭირო უფლებამოსილებები, ძალზე ხშირად ხდება პროექტის წარმატების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

6.6. პროექტის შემავათი

პროექტის შესასრულებლად აუცილებლად უნდა არსებობდეს მისი დამფინანსებელი მხარე. სწორედ დამფინანსებელი სარგებლობს უფლებით – გამოთქას პირველი და ბოლო სიტყვა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პროდუქტის აღწერა, ბიუჯეტი, ავრეთვე, კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით მოხდება პროექტის წარმატების ან წარუმატებლობის განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ სხვა დაინტერესებულ პირებსაც შეუძლიათ წაუყენონ პროექტს თავიანთი მოთხოვნები, ბოლო სიტყვა პროექტის საბოლოო პროდუქტთან მიმართებაში რჩება შემკვეთს, რადგან სწორედ ის იხდის თანხას პროექტის შესრულებაზე.

ყველაფერი ეს მარტივად და დამაჯერებლად უღერს ცნობილ ფრაზაში: – „ვინც იხდის, ის უკვეთავს მუსიკას“; მაგრამ პრაქტიკაში ჭეშმარიტი შემკვეთის (კლიენტის) გამოვლენა არც ისე ადვილია. განვიხილოთ, მაგალითად, სიტუაცია, როგორსაც პროექტის ხელმძღვანელს დავალებული აქვს Microsoft ოპერაციული სისტემის უკანასკნელი ვერსიის დაყენება კომპანიის ყველა კომპიუტერზე. რადგან ამ ოპერაციული სისტემის დაყენებისას დაშვებულია რიგი დამატებითი შესაძლებლობების ჩართვა, ჩნდება რამდენიმე კითხვა:

- ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ სახელდობრ, რა დამატებითი შესაძლებლობები იქნება ჩართული?
- უნდა მიიღოს თუ არა ეს გადაწყვეტილება კომპიუტერების გამოყენებელმა ყველა 335 მუშაკმა?

- შეიძლება თუ არა ამ ჯგუფის კლიენტებად (შემკვეთებად) ჩათვლა?
- იქნებ ასეთ შემკვეთად უნდა ჩაითვალოს კომპანიის პრეზიდენტი, რომელიც აფინანსებს პროექტს? ასეთ შემთხვევაში პროექტის ხელმძღვანელი არ უნდა შემოიფარგლოს კითხვით: „ვინ არის პროექტის შემკვეთი?“, არამედ პასუხი გასცეს კითხვას: „რა პროცესი უნდა გამოვიყენოთ ოპერაციული სისტემის ინსტალაციისადმი მოთხოვნათა განსაზღვრისას და ვინ მიიღებს მონაწილეობას იმ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომლებიც ეხება დანახარჯებისა და შედეგების თანაფარდობას?

როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, ამა თუ იმ პროექტში კლიენტის (შემკვეთის) ზუსტი განსაზღვრა შეიძლება ძალზე როგორი აღმოჩნდეს. როდესაც საუბარია კლიენტთა საკმაოდ მსხვილ და „ჭრელ“ ჯგუფზე, ყოველთვის არ არის ცხადი, თუ, სახელდობრ, ვინაა უფლებამოსილი წარმოადგინოს ამ ჯგუფის ინტერესები.

ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ კლიენტთა სხვადასხვა ჯგუფთან:

- პროექტის ხელმძღვანელმა უნდა გაარკვიოს სხვაობა: 1) პროდუქტისადმი ამა თუ იმ მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებულ საკითხებში ფაქტობრივი პასუხისმგებლობის მატარებელ ადამიანებს შორის; 2) ადამიანებს შორის, რომლებთანაც კონსულტაცია აუცილებელია ამ მოთხოვნათა შემუშავების დროს; 3) ადამიანებს შორის, რომელთა ინფორმირებულობა ამ მოთხოვნათა არსებობის შესახებ უბრალოდ აუცილებელია. შემთხვევებში, როდესაც არსებობს ცნობილი შემკვეთი (როგორც ეს, ჩეკულებრივ, ხდება თავდაცვასთან, მშენებლობასთან, პროფესიულ მომსახურებასთან ან საინფორმაციო სისტემებთან დაკავშირებულ პროექტებში), ამ მონაწილის გამოვლენა საკმაოდ

- ადვილია. პრობლემა, თუმცა, მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზაცია-შემკვეთში ადამიანთა ძალზე დიდ რაოდენობას სურს თავისი მოთხოვნების წამოყენება პროექტის საბოლოო პროდუქტისადმი და მხოლოდ ძალზე მცირე მათგანს აქვს თუნდაც რაიმე სახის დამოკიდებულება პროექტის ანაზღაურებისადმი;
- როდესაც საუბარია დარგებზე, რომელთა პროდუქციას იძენს კლიენტების დიდი რაოდენობა (ავტომობილები, პროგრამული უზრუნველყოფა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ა.შ.), პროექტის ხელმძღვანელმა უნდა განსაზღვროს, თუ რომელი ქვედანაყოფები უნდა იქნეს განხილული პროექტის მონაწილეთა რანგში. ასეთი სახის კომპანიებში არსებობს იმდენად ბევრი საბოლოო კლიენტი, რომ შესაბამისი პროექტი უნდა ითვალისწინებდეს „კლიენტების დამატებითი, ან სათადარიგო წარმომადგენლების“ შესაძლებლობას. ხშირად ამ როლში გამოდიან მარკეტინგული განყოფილებები, რომლებიც იკვლევენ ბაზარს, ცდილობენ რა გაარკვიონ, თუ როგორი უნდა იყოს მორიგი პროდუქტი, მაგრამ პრობლემები შეიძლება წარმოიქმნას იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ პროცესთან მიერთებას მოისურვებენ სხვა ქვედანაყოფები;
 - სახელმწიფო სექტორთან დაკავშირებულ პროექტებში პროექტის ხელმძღვანელმა უნდა დაიცვას ტრადიციები და კანონები, რომლებიც ახდენენ საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულების პროექტთა რეგლამენტირებას. ეს მუნიციპალური პროექტები ქმნიან განსაკუთრებულ პრობლემებს, რადგან მოცემულ შემთხვევაში კლიენტთა ჯგუფს წარმოადგენს ყველა მოქალაქე, რომლებიც ისარგებლებენ ახალი კომუნალური სამსახურის მომსახურებით, გზებით, ან პროექტის შესრულების დროს შექმნილი რაიმე სხვა პროდუქტით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საზოგა-

დოებრივი სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული პროექტები ხშირად იწვევენ მძაფრ დისკუსიებს. ასეთი პროექტების შესრულება ხდება მოქალაქეთა ჯგუფის მიერ სასამართლო სარჩელების შეტანის მიზეზი ან საბაზი ამა თუ იმ პოლიტიკური ამოცანის გადასაჭრელად. ასეთ შემთხვევებში პროექტის ხელმძღვანელმა საჯაროდ უნდა გაავრცელოს მასთან არსებული მთელი ინფორმაცია მოცემულ პროექტზე, ზუსტად დაიცვას კანონები და პქონდეს უკეთესის იმედი.

კლიენტთა წვლილი მდგომარეობს პროექტის დაფინანსებასა და მისი საბოლოო პროდუქტისადმი მოთხოვნათა ფორმულირებაში. იმის განსაზღვრა, თუ, სახელმძღვანელო, ვინ გამოდის კლიენტის როლში, შეიძლება იქცეს როგორ ამოცანად (ვარკვეულ პროექტადაც კი) პროექტის ხელმძღვანელისთვის. ამ პრობლემის გადასაჭრელად მან პასუხი უნდა გასცეს ორ მნიშვნელოვან კითხვას: „ვინ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილებები პროექტის საბოლოო პროდუქტზე?“ და „ვინ აფინანსებს ამ პროექტს?“.

საპირსები ივითშემოწმებისა და გამოწვევისათვის

ინდივიდუალურად, წყვილებში ან გუნდებში განიხილეთ შემდეგი თემატიკა:

1. პროექტის მონაწილეები;
2. პროექტის ხელმძღვანელის წვლილი და მუშაობის სპეციფიკა;
3. ხელმძღვანელის მიერ ლიდერის ფუნქციის შესრულების ხერხები;
4. საპროექტო გუნდის ფორმირების პროცესის ეტაპები;
5. ფირმის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობის მნიშვნელობა;

6. ხელმძღვანელების გამოვლენა, რომლებიც მიიღებენ საჭირო გადაწყვეტილებებს;
7. პროექტის სპონსორის მნიშვნელობის საბაზო კონცეფციები;
8. სპონსორის შესაძლებლობები;
9. პროექტის შემქვეთის (კლიენტის) როლი;
10. რეკომენდაციები – თუ როგორ უნდა მოვიქცეთ კლიენტთა სხვადასხვა ჯგუფთან.

თავი 7

რესეპტის უმუშავებები

7.1. პროექტის ფასები – მისი სამირპავლია

ყველა პროექტი უნიკალურია. ყოველ პროექტს აქვს თავისი განრიგი, საბოლოო პროდუქტი და პყველი შესაბამისი სპეციალისტებით დაკომბლექტებული გუნდი. პროექტის ყველა მონაწილეს (დაინტერესებულ პირებს) შეიძლება პქონდეს საკუთარი წარმოდგენა პროექტის მიზანზე. პროექტის ხელმძღვანელმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ პროექტის თითოეულ მონაწილეს სწორად ესმოდეს მისი არსი და წარმატების მნიშვნელობა.

ტერმინი პროექტის წესები არ გვხვდება პროექტების მართვის ყველა სახელმძღვანელოში ან ლექსიკონში. თუმცა „თამაშის წესების“ გარკვევა მნიშვნელოვანია ნებისმიერ პროექტში, რაც უნდა გააკეთოს პროექტის ყველა კვალიფიციურმა ხელმძღვანელმა.

პროექტის წესების შემუშავება ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ყოველი ახალი პროექტის ხელმძღვანელისათვის. ვინაიდან არ არსებობს ორი აბსოლუტურად იდენტური პროექტი, ახალი პროექტის ხელმძღვანელს უხდება მართვის პროცესებისა და მირითადი როლების ხელახლა შემუშავება.

გავიხსენოთ მე-2 თავში განხილული ხუთი წესი, რომელიც განსაზღვრავენ ნებისმიერი პროექტის წარმატებას: 1) სავალდებულო თანხმობა პროექტის მიზნებთან მიმართებაში; 2) პროექტის გეგმა; 3) ეფექტური კომუნიკაციები; 4) პროექტის შინაარსის კონტროლი და 5) მხარდაჭერა ხელმძღვანელობის მსრიდან. პროექტის წარმატების ამ მნიშვნელოვანი ფაქტორებიდან არაა კლებ სამი დამკიდებულია პროექტის წესების საგულდაგულო ფორმულირებაზე:

1. თანხმობა პროექტის ყველა მონაწილეს შორის პროექტის მიზნების თაობაზე;
2. პროექტის შინაარსის კონტროლი;

3. მხარდაჭერა ხელმძღვანელობის მხრიდან.

წინამდებარე თავში გადმოცემულია, თუ როგორ მუშავდება პროექტის წარმატების ამ სამი ფაქტორის პრაქტიკაში რეალიზების საშუალების მომცემა პროექტის წესები. პროექტის მართვასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება გამომდინარეობს ამ წესებიდან და მათზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ პროექტის შესრულების დაწყებამდე ყველა მისი მონაწილე უნდა გაეცნოს მათ და დაადასტუროს თავისი მზაობა მათ მხარდასაჭერად. პროექტის ყველა მონაწილემ – საპროექტო გუნდმა, ხელმძღვანელობამ და კლიენტმა – უნდა მიაღწიოს თანხმობას პროექტის მიზნებთან და წესებთან მიმართებაში. ასეთი თანხმობა უნდა გაფორმდეს დოკუმენტურად, რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი სპონტანური ცვლილებები. პროექტის წესების მეშვეობით ერთმანეთს უკავშირდება მუშაობის ყველა ასპექტი, რითაც აღმოიფხვრება შესაძლო წინააღმდეგობები.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ, თუ როგორ შეიძლება ახდენდეს გავლენას პროექტის წესების საგულდაგულო ფორმულირება პროექტის წარმატების ჩამოთვლილ ფაქტორებზე:

1. **თანხმობა პროექტის მიზნების თაობაზე.** პროექტის წესების შეთანხმება ძალზე რთულ პროცესს წარმოადგენს. ეს აიხსნება პროექტის ყველა მონაწილის თვალსაზრისის მოსმენისა და გათვალისწინების აუცილებლობით. აზრთა ურთიერთგაცვლის პროცესი შეიძლება იმდენად გაგრძელდეს, რომ მონაწილეებში გაჩნდეს სურვილი „სწრაფად მოაგვარონ ეს ყველაფერი და შეუდგნენ ნამდვილ საქმეს“. თუმცა აჩქარება პროექტისათვის მხოლოდ ზიანის მომტანი იქნება. პროექტის წარმატების ერთ-ერთ აუცილებელ პრობას წარმოადგენს ყველა მონაწილის მოლოდინის შესრულება. მონაწილეთა მოლოდინები ფიქსირდება პროექტის წესებში.

პროექტის წესები წარმოადგენს ისეთ საშუალებასაც, რომლის მეშვეობითაც, აუცილებლობის შემთხვევაში, პროექტში შეიძლება შევიტანოთ ცვლილებები მისი განხორციელების უფრო გვიანდელ სტადიუბზე. ცვლილებების ასეთი მართვა გულისხმობს იმას, რომ იგივე მონაწილეები, რომლებიც დათანხმდნენ თავდაპირველ წესებზე, უნდა ამტკიცებდნენ ნებისმიერ ცვლილებას ამ წესებში.

პროექტში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მთელი ინფორმაციის დეტალური დოკუმენტირების აუცილებლობას პროექტის დაწყებამდე. ასეთი ინფორმაციის მეშვეობით პროექტის ხელმძღვანელი შეძლებს დაწვრილებით გამოთვალოს ამა თუ იმ ცვლილების გავლენა განსახორციელებელი პროექტის ხაჯებზე, ხარისხსა და განრიგზე.

2. **პროექტის შინაარსის კონტროლი.** პროექტების უნიკალური ხასიათის გამო თითოეული მათგანი თავდაპირველად წარმოადგენს „უცნობ სიდიდეს“. ეს უნიკალურობა მნიშვნელოვნად ართულებს პროექტების რეალიზაციას და იწვევს სახსრების გადახარჯვას და განრიგით გათვალისწინებული ვადების დარღვევას. ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე ხერხს, რომელთა საშუალებითაც შეიძლება თავიდან ავიცილოთ სახსრების გადახარჯვა და ვადების დარღვევა, მეტყობენ ჩამოვაყალიბებთ რა პროექტის შინაარსს.

3. **მხარდაჭერა ხელმძღვანელობის მხრიდან.** იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს პროექტის ისეთი ხელმძღვანელი, რომელსაც ექნებოდა ფორმალური უფლებამოსილებების მთელი სისრულე, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ უკარნახოს თავისი ნება პროექტის ყველა მონაწილეს. ამიტომ არსებობა სპონსორისა, რომელიც, ჩვეულებრივ, კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობიდან შეირჩევა, ნებისმიერი პროექტის წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი

ფაქტორია. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ აისახება პროექტის წესებში მხარდაჭერა ხელმძღვანელობის მხრიდან. არსებობს ოთხი მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფებულია დაინტერესებული მხარის მიერ პროექტის წესების გავებას და მათ თანხმობას – დაიცვან ეს წესები. ამ მეთოდებიდან პირველი, პროექტის წესდება, წარმოადგენს თავისებურ განცხადებას შესაბამისი პროექტის არსებობის შესახებ. შემდეგი სამი მეთოდი, მუშაობის შინაარსი, პასუხისმგებლობის მატრიცა და კომუნიკაციების გეგმა – მუშავდება პარალელურად და წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომელიც შეიცავს პროექტის წესებს.

7.2. პროექტის წესდება

პროექტის წესდება აცხადებს ახალი პროექტის დაწყების შესახებ. წესდების ამოცანა – მოახდინოს კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან შესაბამისი პროექტისა და მისი ხელმძღვანელისადმი მხარდაჭერის დემონსტრირება. პროექტის წესდება მარტივი, მაგრამ ძალზე მძლავრი ინსტრუმენტია.

პროექტის წესდებაში მკაფიოდაა მითითებული პროექტის ხელმძღვანელის უფლებამოსილება – მითოს გადაწყვეტილებები და უხელმძღვანელოს პროექტის მიზანიარებას.

პროექტის წესდება, არსებითად, წარმოადგენს განცხადებას პროექტის დაწყების შესახებ. მას შეიძლება ჰქონდეს ელექტრონული ფოსტით გასაგზავნი შეტყობინების ან კომპანიის რომელიმე უმაღლესი ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის ფორმა. წესდებაში მითითებულია პროექტის სახელწოდება და მიზანი, პროექტის ხელმძღვანელის გვარი, აგრეთვე, ასახულია ამ წესდების გამომქვენებული პირის მხრიდან მხარდაჭერის გარანტიები. მოიცავს რა პირთა ვრცელ წრეს, პროექტის წესდება ეგზავნება ყველას, ვისაც რაიმე კავშირი აქვს პროექტთან, რად-

გან წესდების მიზანია – აცნობოს მათ ახალი პროექტისა და მისი ხელმძღვანელის შესახებ.

ითვალისწინებს რა ფორმალურ უფლებამოსილებათა დროებით ხასიათს, პროექტის ხელმძღვანელი ძირითადად ეყრდნობა გამოცდილი სპეციალისტის საკუთარ ავტორიტეტს შესაბამის სფეროში, აგრეთვე, თავის კანონიერ უფლებამოსილებებს. გამოცდილი სპეციალისტის ავტორიტეტი პროექტის ხელმძღვანელს მოპოვებული აქვს სათანადო სფეროში თავისი მიღწევების საფუძველზე. პროექტის ხელმძღვანელს კანონიერ უფლებამოსილებებს ანიჭებს შესაბამისი ორგანიზაცია. პროექტის წესდება ადგენს პროექტის ხელმძღვანელის კანონიერ უფლებამოსილებებს პროექტის სპონსორის შესაბამის კანონიერ უფლებამოსილებებზე მითითებით.

პროექტის წესდებას ხელს აწერს სპონსორი, რადგან სწორედ ის დაუჭირს მხარს აქტიურად და „წინ წასწევს“ ამ პროექტს. ზოგჯერ ხელმოწერას აკეთებს პროექტის შემკვეთი. ორივე შემთხვევაში პროექტის ხელმძღვანელი მოგებული რჩება პროექტის შემკვეთისა და სპონსორის მხრიდან ნდობის ასეთი დემონსტრაციით.

ტერმინი პროექტის წესდება გამოიყენება ორი სხვადასხვა აზრობრივი მნიშვნელობით. მოცემულ წიგნში პროექტის წესდებაში კვლისხმობათ პროექტის ხელმძღვანელის ფორმალურ უფლებამოსილებათა ფუნქციალურ აღიარებას. სწორედ ამ აზრს დებს ამ ტერმინში პროექტის მართვის ინსტიტუტიც (Project Management Institute – PMI). პროექტის წესდების მეორე აზრობრივი მნიშვნელობა უშუალოდ ეხება პროექტის განმსაზღვრელ დოკუმენტს, რომელიც ამ წიგნში განიხილება როგორც SOW (Statement of Work) – სამუშაოს შინაარსი.

ამ თავში აღწერილია პროექტის წესების დოკუმენტურად განმტკიცების სამი ხერხი: სამუშაოს შინაარსი, პასუხისმგებლობის მატრიცა და კომუნიკაციათა გეგმა, რომელიც წარმოადგენს თავისებურ შეთანხმებებს პროექტის მონაწილეებს შორის.

ამთვან განსხვავებით, წესდება წარმოადგენს განცხადებას. აქედან გამომდინარეობს, ჯერ ერთი, ის, რომ პროექტის წესდების შემუშავება წინ უნდა უსწრებდეს სხვა ღოკუმენტების შემუშავებას, რადგან პროექტის ხელმძღვანელის უფლებამოსილებათა ფორმალური აღიარება აუცილებელია სხვა საპროექტო შეთანხმებათა მისაღებად. მეორეც, პროექტის წესდებას არანაირი კავშირი არა აქვს პროექტში შესაძლო მომავალ ცვლილებებთან. პროექტის წესდება ერთჯერადი განცხადება. თუკი პროექტში ივეგმება ცვლილება, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება პროექტის თავდაპირველ წესდებას, საჭიროა ახალი წესდების შემუშავება, მისი საწყისი ვარიანტის შესწორების ნაცვლად.

7.3. სამუშაოს შინაარსი

ქადალდზე მკაფიოდ გადმოცემული და ყველა მონაწილისთვის საერთო, მომავალ პროექტთან დაკავშირებული მოლოდინი იწყება სამუშაოს შინაარსიდან (SOW-Statement of Work). შინაარსში ჩამოთვლილია შესაბამისი პროექტის მიზნები, შეზღუდვები და წარმატების კრიტერიუმები, ე. თუ ცხადდება „თამაშის წესები“ წერილობითი სახით წარმოდგენილი სამუშაოს შინაარსი შემდეგ ყველა მონაწილისთვის მოლაპარაკებებისა და დაზუსტების საგანი ხდება. სამუშაოს კონკრეტული შინაარსის თაობაზე ფორმალური თანხმობის მიღწევის შემდევ ეს დოკუმენტი ხდება შესაბამისი პროექტის წესების კრებით.

სამუშაოს შინაარსი – პროექტების მართვის ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელსაც, მისი ფართო გამოყენების მიუხდავად, სხვადასხვავარად უწოდებენ. ყოველ შემთხვევაში, სამუშაოს შინაარსის ტერმინის გამომყენებელ კომპანიათა ნახევარი მასში დებს სწორედ იმ აზრს, როგორიც ამ წიგნშია გადმოცემული. **მაგრამ ყურადღება მივაკითო შემდევ სხვაობებს ტერმინლოგიაში:**

- იურიდიულ პირთა შორის ხელშეკრულებათა გაფორმებისას, რომლებიც მოიცავენ სამუშაოს ერთ ან რამდენიმე

შინაარსს, იყენებენ **სამუშაოს შინაარსის** (SOW - Statement of Work) პროდუქტისადმი მოთხოვნათა ან შეალედური პროექტების განსაზღვრისთვის, რომელთა შესრულება ხდება შესაბამისი ხელშეკრულების ჩარჩოებში;

- ტერმინ **სამუშაოს შინაარსის** ნაცვლად ზოგიერთი ფირმა იყენებს ტერმინ **წესდებას**. ტერმინებში მსგავსმა არეულ-დარეულობამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს, რადგან, პროექტების მართვის ლექსიკონების თანახმად, ტერმინი **წესდება** მოიცავს რამდენადმე სხვაგვარ მნიშვნელობას.

თუ, სახელმომართო, რომელ ტერმინს გამოიყენებს სამუშაოს შინაარსის აღნიშვნისთვის რომელიმე კონკრეტული კომპანია, საბოლოო ჯამში, არა აქვს დიდი მნიშვნელობა. მნიშვნელოვანია ის, თუ რა აზრი და შინაარსი ჩაიდება ამ ტერმინში. მთავარია, ამ ტერმინის შინაარსში პროექტის ყველა მონაწილეს ჩამოუყალიბოს მკაფიო მოლოდინები შესასრულებელ პროექტთან დაკავშირებით.

სამუშაოს შინაარს ბევრი რამ აქვს საერთო ხელშეკრულებასთან. კერძოდ, მათ აერთიანებთ ის, რომ სამუშაოს შინაარსიცა და ხელშეკრულებაც წარმოადგენს ერთმანეთთან გარკვეულ ურთიერთობებში შემავალ მონაწილეთა ვალდებულებების გასარკვევ ინსტრუმენტებს, ავრეთვე, ამ მონაწილეთა შესაძლო მოქმედებებს. სამუშაოს შინაარსისა და ხელშეკრულებას შორის სხვაობა მდგომარეობს პირთა წრეში, რომლებზეცა გათვლილი ეს დოკუმენტები. მაშინ, როდესაც ხელშეკრულება წარმოადგენს ფორმალურ შეთანხმებას ორ სხვადასხვა იურიდიულ პირს შორის, სამუშაოს შინაარსი განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ პროექტის მონაწილეებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ ერთსა და იმავე იურიდიულ პირს.

დაგაზუსტოთ სხვაობა ხელშეკრულებასა და სამუშაოს შინაარსის შორის:

- როდესაც შემკვეთი და საპროექტო გუნდი წარმოადგენენ

- ერთსა და იმავე კომპანიას, ერთადერთი ხელშეკრულება, რომელიც უნდა დაიდოს პროექტის ჩარჩოებში, იქნება სამუშაოს შინაარსი;
- როდესაც შემკვეთი და საპროექტო გუნდი წარმოადგენენ სხვადასხვა იურიდიულ პირებს, მათ შორის იღება ფორმალური ხელშეკრულება. თუკი ეს ხელშეკრულება ძალზე რთულია და იყოფა რამდენიმე შუალედურ პროექტად, პროექტის ხელმძღვანელს შეუძლია სამუშაოს შინაარსის გამოყენება საკუთარი პროექტის ქვეპროექტებად დაყოფისა და მათი განაწილებისთვის საკუთარი კომპანიის ჩარჩოებში.

მუხლებად იმისა, რომ, ხელშეკრულების მსგავსად, სამუშაოს შინაარსი გამოიყენება მოლოდინთა მართვისა და პროექტის მონაწილეებს შორის შეთანხმებათა ფორმირებისათვის, სამუშაოს შინაარსი – იმ სახით, რა სახითაც ის ამ წიგნში გამოიყენება, – არ ცვლის ხელშეკრულებას.

სამუშაოს შინაარსი შეიძლება მოიცავდეს მრავალ პუნქტს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი აუცილებლად უნდა იყოს მასში ასახული. განვიხილოთ ეს უმთავრესი პუნქტები.

1. პროექტის მიზნის დასაბუთება

რისთვის ვასრულებთ ამ პროექტს? სწორედ ამ კითხვაზე იძლევა პასუხს პროექტის მიზნის დასაბუთება. საერთოდ, კითხვა რისთვის? დასმულ უნდა იქნეს ცხოვრების მრავალ შემთხვევაში, განსაკუთრებით – როდესაც საუბარია დროისა და ფულის მნიშვნელოვან ხარჯებზე. ამ კითხვაზე პასუხი საპროექტო გუნდს აძლევს შესაძლებლობას, მიღოთ უფრო აწონილ-დაწილი გადაწყვეტილებები პროექტის შესრულების დროს და მკაფიოდ აყალიბებს პროექტის მნიშვნელობას კლიენტისთვის.

არც მიზნის დასაბუთება, არც სამუშაოს შინაარსი არ იძლევა ამომწურავ პასუხებს მომავალი პროექტის ეკონომიკურ პე-

სპექტივებთან დაკავშირებულ საკითხთა მთელ კომპლექსზე. ეს პერსპექტივები ნათლად უნდა გამოვლინდეს სხვა დოკუმენტში, რომელსაც, ჩვეულებრივ, ეწოდება პროექტის ეკონომიკური დასაბუთება ან დანახარჯებისა და შედეგების ანალიზი. პროექტის ეკონომიკური დასაბუთების არსებობისას შეიძლება დავიმოწმოთ ის ან მოვახდინოთ მისი განზოგადებული ვარიანტის კოპირება პროექტის სამუშაოს შინაარსში.

2. პროექტის შინაარსის კონსტატაცია

პროექტის შინაარსის კონსტატაცია განსაზღვრული ჩარჩოებით შემოფარგლავს შესაბამის პროექტს. პროექტის ჩარჩოებიდან გამოსვლა – პროექტის ერთ-ერთი ყველაზე ტიპური პრობლემა. პროექტის ჩარჩოებიდან გამოსვლა ნიშნავს სამუშაოს მოცულობის თანდათანობით ზრდას იმ დონემდე, როდესაც დანახარჯების თავდაპირველი შეფასებები და პროექტის განხორციელების განრიგი სრულიად არარეალური აღმოჩნდება. პროექტის შინაარსის კონსტატაცია უნდა შეიცავდეს მოცემულ პროექტთან დაკავშირებულ ძირითად სამუშაოთა აღწერას, თანაც ეს აღწერა უნდა იყოს ისეთი, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტში გაჩნდება რაიმე დამატებითი სამუშაო, ეს მაშინვე გახდეს ცხადი პროექტის ყველა მონაწილისთვის.

განვიხილოთ სწავლებასთან დაკავშირებული პროექტის შინაარსის კონსტატაცია (ცხრ. 71). პროექტის შინაარსის კონსტატაცია არც ისე დაწვრილებითია, როგორც პროექტის გეგმა, მაგრამ ძირითადი სამუშაოები აღნიშნულია საკმაოდ მკაფიოდ, რათა შემდეგში მარტივად შევძლოთ იმის განსაზღვრა, თუ რომელი სამუშაოები უნდა შესრულდეს ამ პროექტზე და რომელი – არა.

ცხრილი 7.1.

პროექტის შინაარსის კონსტატაციის ფორმულირება

სწავლების კურსის მოკლე შინაარსი პროგრამით „პროექტების მართვა“

<p>ეს პროექტი მოიცავს სასწავლო კურსი „პროექტების მართვის“ შემუშავებასა და სწავლებასთან დაკავშირებული ყველა სახეობის სამუშაოს. კურძოდ, ეს პროექტი წყვეტს შემდეგ ამოცანებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სწავლების მიზნების ვრცელი ჩამონათვალის შემუშავება, რომელიც დასამტკიცებლად გადაეცემა საპროექტო განყოფილებას, ვიცე-პრეზიდენტს საოპერაციო საქმიანობის დარგში და კადრების განყოფილების გამგეს; • აუცილებელი მოწყობილობის შესყიდვა და სასწავლო კაბინეტების მომზადება კომპანიის თითოეულ ქვედანაყოფში; • სასწავლო კურსი „პროექტების მართვის“ მიმწოდებლების მიერ შემუშავებული სასწავლო მასალების გამოყენებასა და შეცვლაზე უფლებების მიღება; • ცვლილებების შეტანა ან სასწავლო მასალებში შეტანილი ცვლილებების გადასინჯვა იმ შემთხვევებში, თუ ასეთები საჭირო გახდება პროექტების მართვის პრაქტიკისადმი კომპანიის სტანდარტებთან შესაბამისობისათვის; • სასწავლო მასალების გამოშვება საკუთარი ძალებით ან მათი გამოშვების დავალება გარეშე ორგანიზაციისთვის; • ლექტორების სწავლება და მათი სერტიფიცირება; • სასწავლო კურსი „პროექტების მართვის“ პროპაგანდა ყველა ქვედანაყოფის ხელმძღვანელებს შორის; • სასწავლო მეცადინეობების განრიგის, პედაგოგთა მუშაობისა და საჭირო სასწავლო მასალების მიღების კონტროლი; • მივლინებებზე მოთხოვნილების კონტროლი და ასეთი მივლინებების სანქციონირება მათი აუცილებლობის შემთხვევაში.

ყველა პროგნოზირებადი დანახარჯები, პროექტის განხორციელების განრიგი და გამოყენებული რესურსები ეფუძნება პროექტის შინაარსის კონსტატაციას.

პროექტის შინაარსის კონსტატაცია შეიძლება გამოყენებული იქნეს რომელიმე უფრო მსხვილ სცენარში პროექტის აღვილის განსაზღვრისთვის. მაგალითად, თვითმფრინავის ახალი კვანძის შემუშავებასთან დაკავშირებული პროექტი წარმოადგენს მთლიანობაში პროდუქტის (ე.ი. მთელი თვითმფრინავის) სასიცოცხლო ციკლის ქვესიმრავლეს. პროექტის შინაარსის კონსტატაცია – საპროექტო დოკუმენტაციის სწორების ნაწილია, სადაც შეიძლება ხაზი გავუსვათ მოცემული პროექტის კავშირს სხვა პროექტებთან და მთლიანობაში პროდუქტის შემუშავების პროგრამასთან.

3. პროექტის შედეგები

პროექტის შედეგი – ტერმინია, რომელიც ხშირად გამოიყენება პროექტების მართვაში, რადგან ის ეხება უშუალოდ პროექტის პროდუქტს. პროექტის შედეგის აღწერისას მიუთითეთ პროდუქტის ნებისმიერი არსებული აღწერა, მაგალითად, მისი ნახაზები.

პროექტის შედეგები შეიძლება იყოს სამოლოო და შუალედური. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი:

- დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილია მოთხოვნები ახალი პროგრამული პროდუქტისადმი, იქნება პროექტის შუალედური შედეგი, მაშინ, როდესაც დასრულებული პროგრამული პროდუქტი წარმოადგენს პროექტის საბოლოო შედეგს;
- მიზნობრივი ბაზრის აღწერა წარმოადგენს პროექტის შუალედურ შედეგს, ხოლო სარეკლამო კამპანია, რომლის მსვლელობაშიც გამოიყენება სარეკლამო განცხადებები ჟურნალებში და სარეკლამო რომლები ტელევიზიაში, წარმოადგენს პროექტის საბოლოო შედეგს;
- იმ ოთახში შესვლის ახალი პროცედურის შესწავლა, სა-

დაც დაიშვება პირთა განსაზღვრული წრე, იქნება პროექტის შეუძლებული შედეგი. ასეთ ოთახში შესვლის ფაქტობრივი პროცედურა კი წარმოადგენს პროექტის საბოლოო შედეგს.

მნიშვნლოვანია ხაზი გაესვას იმას, რომ საკუთრივ პროექტების მართვას გააჩნია შედეგები (მაგალითად, მე-5 თავში განხილული პროექტის სასიცოცხლო ციკლის თითოეულ სტადიასთან დაკავშირებული შედეგები). სამუშაოს შინაარსი შეიძლება ითვალისწინებდეს განხორციელებული პროექტის ისეთ შედეგებს, როგორიცაა ანგარიშები მიმდინარე მდგომარეობის შესახებ და ცვლილებების შეტანის ურნალები (მათი პერიოდულობისა და იმ პირთა წრის მითითებით, რომლებისთვისაც განკუთვნილია ისინი).

4. განრიგისა და დანახარჯების შეფასება

თითოეული პროექტისთვის გათვალისწინებულია გარკვეული ბიუჯეტი და პროექტის შესრულების საბოლოო ვადა. ამასთან, გარკვეული ფულადი თანხისა და ვადების ასახვასთან ერთად ჰასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- რამდენად მკაცრია ბიუჯეტის ჩარჩოები?
- როგორ იქნა შეთანხმებული პროექტის შესრულების საბოლოო ვადა?
- რამდენად შეგვიძლია გადავაჭარბოთ ბიუჯეტს ან დავარღვიოთ პროექტის შესრულების ვადები, დავიცავთ რა ამავე დროს მოცემული პროექტის წარმატებულობის კრიტერიუმებს?
- გვაქვს თუ არა საკმარისი ცოდნა იმისათვის, რომ გავითვალოთ უტყუარი შეფასებები?

გარდა ამისა, რადგან დანახარჯებთან და განრიგთან დაკავშირებული მიზნები უნდა იყოს რეალისტური, სასურველი იქნებოდა ჰასუხების მიღება ასეთ კითხვებზეც:

- პროექტის ბიუჯეტი რატომ შეადგენს 2,5 მლნ. ლარს?
- რატომაა საჭირო ჩვენი პროექტის დასრულება 31 დეკემბრისთვის?

ვინაიდან პროექტის მიზანი მდგომარეობს მისი ყველა მონაწილის მოლოდინთა შესრულებაში, ყველა ეს მაჩვენებელი რეალისტური და ზუსტი უნდა იყოს.

5. პროექტის დამატებითი მიზნები

ხშირად სამუშაოს შინაარსში უმთავრეს მიზანთან ერთად საჭიროა მნიშვნელოვანი დამატებითი მიზნების ასახვაც. მიზნები უნდა იყოს საესებით კონკრეტული და ზომებადი. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი პროექტზე თანხმობის მიღწევა და მისი წარმატებული შესრულება. მაგალითად, ეკოლოგიურად მეტად მგრძნობიარე ტერიტორიაზე ნავთობსადენის მონაკვეთის შეცვლის პროექტში მთავარი გარემოსდაცვითი მიზნის („პროექტის შესრულება ზიანს არ მიაყენებს გარემოს“) გარდა, ერთ-ერთი დამატებითი მიზნის სახით დასახელებულ იქნა: „ნავთობის გაუონვის თავიდან აცილება სპეციალური ტექნიკისა და საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების მეშვეობით“. ასეთი ფორმულირება იქცა ორიენტირად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მისაღებად პროექტის შესრულების დროს. მის გარეშე საპროექტო გუნდს არ ექვებოდა კონკრეტული კრიტერიუმი, რომლის საშუალებით ის შეძლებდა მთავარი მიზნის მიღწევის შეფასებას.

6. პროექტის მონაწილეები

სამუშაოს ნებისმიერ შინაარსში პროექტის ხელმძღვანელმა უნდა მიუთითოს თითოეული, ვინც მის პროექტზე მოახდენს ზეგავლენას, ე.ო. — მისი ყველა მონაწილე და აღწეროს მათი როლები. ნებისმიერ პროექტში არის ხუთი უმნიშვნელოვანესი მონაწილე: პროექტის ხელმძღვანელი, საპროექტო გუნდი, პროექტის სპონსორი, ფირმის


ხელმძღვანელობა და კლიენტი. მონაწილეების ამ ხუთი ჯგუფი-დან თითოეული აუცილებელია პროექტის წარმატებისათვის.

7. დაქვემდებარებულობის იერარქია

ვინ ვის ექვემდებარება მოცემული პროექტის ჩარჩოებში? ამ კითხვაზე მაფიო პასუხი უნდა მოგვცეს სამუშაოს შინაარსში. ყველაზე ხელსაყრელია ამ დაქვემდებარების იერარქიის ილუსტრირება ორგანიზაციული სქემის საშუალებით. დაქვემდებარებულობის მკაფიო იერარქიაში მოთხოვნილება იზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტი მოიცავს რამდენიმე ფუნქციურ ქვედანაყოფს. ნახ. 7.1.-ზე ნაჩვენებია ორგანიზაციული სქემა შიდა პროექტისათვის, როდესაც პროექტის ყველა მონაწილე ექვემდებარება ერთსა და იმავე პირს. ამ სქემიდან ჩანს, თუ ვინ ღებულობს გადაწყვეტილებებს და ზემდგომი პირებიდან რომელს უნდა მივმართოთ ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად. ვინაიდან კლიენტები, აგრეთვე, ღებულობენ გადაწყვეტილებებს, ხშირად მათი იერარქიული სტრუქტურების ჩართვა ასევე ხდება სამუშაოთა შინაარსში.

მთლიანობაში, სამუშაოს შინაარსი უნდა იყოს ინსტრუმენტი, რომლის საშუალებით შეძლებთ ეფექტიანდ მართოთ პროექტის ყველა დაინტერესებული პირი. პროექტის ხელმძღვანელმა წერილობითი სახით უნდა გადმოსცეს სამუშაოს შინაარსი, ხოლო შემდეგ გააცნოს ის პროექტის ყველა მონაწილეს.

**დაქვემდებარებულობის იერარქია
სასტაციურ პურსის – „პროექტების მართვა“
ორგანიზაციის დროს**



- პროექტის ხელმძღვანელი და საპროექტო გუნდი ექვემდებარებიან კადრების განყოფილებას, რადგან სწავლა იქნება კადრების განყოფილების ფუნქცია;
- საპროექტო განყოფილება გამოდის პროექტების მართვის ექსპერტის როლში;
- დაქვემდებარებულობის ეს სქემა ავსებს ცხრილ 7.2.-ში მოტანილ პასუხისმგებლობის მატრიცას.

ნახ. 7.1. ორგანიზაციული სქემას მაგალითი

სამუშაოს შინაარსი – ეს ცვლილებათა შეტანისა და მოღოღითა მართვისათვის განკუთხილი ინსტრუმენტია. თუ პროექტის შესრულების დაწყების შემდეგ მონაწილეებს შორის ჩნდება რამე უთანხმობა, ხდება საწყისი შეთანხმებებისა და ვარაუდების შეცვლა. ასეთ შემთხვევაში პროექტის ყველა მონაწილემ უნდა მიაღწიოს თანხმობას, რის შემდეგაც პროექტის ხელმძღვანელმა ეს ცვლილებები უნდა შეიტანოს სამუშაოს შინაარსში. ამრიგად, პროექტის დასრულების მომენტისთვის სამუშაოს შინაარსი შეიძლება საგრძნობლად განსხვავდებოდეს მისი თავდაპირველი ვარიანტისაგან. აუცილებლია, რომ პროექტის თითოეული მონაწილე ინფორმირებული იყოს შემოთავაზებული ცვლილებების შესახებ და მათ ეთანხმებოდეს.

7.4. პასუხისმგებლობის მატრიცა

სამუშაოს შინაარსი შეიცავს პასუხებს მრავალ კითხვაზე, რომელიც ეხება პროექტს, მისი მიზნის, მნიშვნელობის, შესრულების შედეგებისა და დაქვემდებარებულობის იერარქიის ჩათვლით. მაგრამ თქვენ უნდა შეადგინოთ კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელშიც საქმაოდ დაწვრილებით იქნება მითითებული პროექტში მონაწილე თითოეული ჯგუფის ვალდებულებები. ამ დოკუმენტს ეწოდება პასუხისმგებლობის მატრიცა. ამ დოკუმენტის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება მაშინ, როდესაც ფირმები ატარებენ რეორგანიზაციას, ქმნიან პარტნიორულ კავშირებსა და ვირტუალურ კომპანიებს. აღმოჩნდებიან რა მსგავს გარემოში, მრავალი ჯგუფი ერთიანდება პროექტზე ერთობლივი მუშაობისთვის.

პასუხისმგებლობის მატრიცა არის იდეალური ინსტრუმენტი ორგანიზაციათაშორისი თანამოქმედების დემონსტრაციისთვის. მაგალითად, როდესაც სატვირთო აეტომობილების მწარმოებელი ამუშავებს ძარის ახალ დიზაინს, ეს მოითხოვს ცვლილებათა შეტანას თვით კომპანიის ამწყობი კონვეირის თანამშრომლებისა

და მომწოდებლების მუშაობაშიც. ასეთ შემთხვევაში გარდუგალად ჩნდება შემდეგი კითხვები:

- ვინ მიიღებს კონსტრუქციის ცვლილებებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს?
- მიიღებს თუ არა მომწოდებელი ხმის უფლებას ასეთი გადაწყვეტილებების მიღების დროს?
- რა მომენტებში შედის მოქმედებაში ესა თუ ის ჯგუფი?
- ვინ არის პასუხისმგებელი ამ პროექტის თითოეულ ნაწილზე?

ამ და მათ მსგავს კითხვებზე პასუხის გასაცემადაა მოწოდებელი პასუხისმგებლობის მატრიცა.

პასუხისმგებლობის მატრიცის აგება

პასუხისმგებლობის მატრიცაში მითითებულია შესაბამისი პროექტის უმნიშვნელოვანესი სამუშაოები და პროექტის შესრულებაში დაინტერესებულ პირთა საკვანძო ჯგუფები. პასუხისმგებლობის მატრიცის გამოყენება ხშირად იძლევა საშუალებას, თავიდან ავიცილოთ გაუგებრობები, რომლებიც დროდადრო ჩნდება ქვედანაყოფებსა და ორგანიზაციებს შორის გაურკვევლობის გამო, თუ ვის უნდა მივმართოთ ამა თუ იმ საკითხზე.

განვიხილოთ პასუხისმგებლობის მატრიცის აგებასთან დაკავშირებული ეტაპები:

1. პროექტის ძირითადი სამუშაოების ჩამოთვლა. როგორც ცხრილი 7.2-დან გამომდინარეობს, ვერტიკალზე ჩამოთვლილია მხოლოდ პროექტის ძირითადი სამუშაოები, ამოცანების დაწვრილებითი განაწილება მოხდება პროექტის გეგმაში (ცხრილი 7.2 წარმოადგენს პასუხისმგებლობის მატრიცის მაგალითს ცხრილი 7.1-ში აღწერილი სასწავლო კურსის – „პროექტების მართვა“ ორგანიზაციის პროექტისთვის). რადგან პასუხისმგებლობის მატ-

რიცა ასახავს თანამოქმედებას ორგანიზაციებს შორის, მან ხაზი უნდა გაუსვას თითოეული ამოცანის შესრულებისათვის აუცილებელ სხვადასხვა როლს. ხაზს უსვამს რა პროექტის ძირითადი სამუშაოების შესრულებით დაკავებული ამა თუ იმ მონაწილის როლს, **ცხრილი 7.2.-ში** წარმოდგენილი პასუხისმგებლობის მატრიცა იყენებს დეტალიზაციის იმავე დონეს, რასაც – **ცხრილი 7.1.-ში** წარმოდგენილი შინაარსის კონსტატაციის შედგენაში. როდესაც საუბარია ძალზე მსხვილ პროექტებზე, ზოგჯერ საჭირო ხდება დეტალიზაციის განსხვავებული დონეების მქონე პასუხისმგებლობის რამდენიმე მატრიცის შემუშავება. ამ მატრიცებმა უნდა განსაზღვროს უფრო მსხვილი პროექტის ჩარჩოებში შესარულებელი ქვეპროექტები.

ცხრილი 7.2.

პასუხისმგებლობის მატრიცა „პროექტების მართვა“ სასწავლო კურსის ორგანიზაციასთან დაკავშირებული პროექტის შესრულებისას

სამუშაო	პროექტის ხელმძღვანელი	საპროექტო განყოფილება	ვიცე-პრეზიდენტი თანატიული საქმიანობის საკითხებში (სპონსორი)	ადგილობრივი კოორდინატორები	კადრების განყოფილების უფროსი
სწავლების მიზნების შემუშავება	E	C/A	A	A	A
შენობების აღჭურვა, რომლებშიც ჩატარდება მეცადინეობები	E		A	E	

სასწავლო მასალების შეცვლასა და გამოყენებაზე უფლებათა მოპოვება	E	C	A		C
სასწავლო მასალებში საჭირო ცვლილებების შეტანა	E	I			
მასალების წარმოების პროცესის შემუშავება	E		A		C
სამუშაოზე კვალიფიციური მასწავლებლების მიღება	I	C/A	A		E
ინსტრუქტორების სწავლა და სერტიფიცირება	E				I
კომპანიის ქვედანაყოფებში სასწავლო კურსის პროპაგანდირება	E	E	E	E	E E
სასწავლო მეცადინეობების განრიგის შედეგება	E	I	I	E	
მივლინებების აღმინისტრირება	E		I		I

პროექტების მართვის მე- თოდების სტანდარტიზება	I	E	A	I	
სასწავლო კურსის მომა- ვალ მსმენელთა გამოვლენა			E	E	
ადგილებზე სწავლების ლოგისტიკის ადმინისტრი- რება	I			E	

პირობითი აღნიშვნების სისტემა: E - პასუხისმგებელი შემსრულებელი; A - საბოლოო დამტკიცების უფლება; C - უნდა გაუწიოს საკონსულტაციო მომსახურება; I - ინფორმირებულ უნდა იქნეს.

- საპროექტო გუნდი და პროექტის ხელმძღვანელი ექვემდებარებიან კადრების განყოფილების უფროსს.
- საპროექტო განყოფილება არ ხელმძღვანელობს მოცემულ პროექტს; ამ განყოფილების თანამშრომლები არიან ექსპერტები განსაზიდვები პრობლემის საკითხებზე.
- ყურადღება მიაქციეთ იმსას, თუ როგორ განისაზღვრება პასუხისმგებლობის ამ მატრიცაში ძირითადი ამოცანები; ეს ამოცანები განისაზღვრება ზუსტად ისევე, როგორც სამუშაოთა შინაარსის კონსტატაციაში (**ცხრ. 7.1**).
- ამოცანის დონე ხაზს უსვამს თანამოქმედებას ამ დაინტერესებულ პირებს შორის პროექტის შესრულების დროს.

2. **მონაწილეთა ჯგუფების ჩამოთვლა.** მონაწილეთა ჯგუფები ჩამოთვლილია პასუხისმგებლობის მატრიცის პორიზონტალურ ღერძებზე. პასუხისმგებლობის მატრიცაში მითითებულია ჯგუფები (მაგალითად, საპროექტო გუნდი და მომსახურებლები) და არა კოლექტივის ცალკეული წევრები; პროექტის ცალკეულ მონაწილეებს შორის ამოცანათა განაწილება მითითებულია პროექტის გეგმაში. მაგრამ პასუხისმგებლობის მატრიცაში ცალკეული გვრცების მითითება მიზანშეწონილია იმ შემთხვევებში, როდესაც გარკვეული პირი დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებებს ან აიღებს სრულ პასუხისმგებლობას პროექტის მნიშვნელოვან ნაწილზე.
3. **პასუხისმგებლობის მატრიცის კოდირება.** ეს კოდები მიუთითებენ პროექტში მონაწილეობის ხარისხზე, ფორმალურ უფლებამოსილებებსა და პროექტის თითოეული მონაწილის პასუხისმგებლობაზე. მაშინ, როდესაც კოდებზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს პასუხისმგებლობის მატრიცაში, რაიმე შეზღუდვა არ არის. ქვემოთ ჩამოთვლილია ყველაზე გავრცელებული კოდები:
 - E - პასუხისმგებელი შემსრულებლები. ეს ჯგუფი დაკავებულია სამუშაოთა უშუალო შესრულებით;
 - C - კონსულტანტები. ამ ჯგუფმა უნდა გასწიოს კონსულტაციური მომსახურება შესაბამისი სამუშაოების შესრულების დროს. ხდება ამ ჯგუფის აზრის გათვალისწინება, მაგრამ არ იქნება გადამწყვეტი;
 - I - პირები, რომლებიც ექვემდებარებიან მიღებული გადაწყვეტილებების გაცნობას. ამ ჯგუფმა, უბრალოდ, უნდა იცოდეს, თუ სახლდობრ, რა გადაწყვეტილებების მიღება ხდება;
 - A - საბოლოო გადაწყვეტილებების მიმღები პირები (ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, საუბარია პროექტის ცალკეულ

მონაწილეებზე). მოცემულ პირს ეკუთვნის საბოლოო სიტყვა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაში (დამტკიცებაში). გარდა ამისა, ასეთი პირები ღებულობენ პროექტის სხვა მონაწილეების მიერ შესრულებულ სამუშაოს.

ფურადღება მიაქციეთ იმას, თუ როგორ შეიძლება გავაკონტროლოთ გადაწყვეტილებები I, C და A სპეციალისტების დახმარებით. ფორმალურ უფლებამოსილებათა ამ სხვადასხვა დონის მკაფიო მითითება უაღრესად ხელსაყრელი ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც მრავალ დაინტერესებულ პირს სურს პროექტისადმი განსაკუთრებული მოთხოვნების წაყენება. მაგალითად, **ცხრილი 7.2-ში** საპროექტო განყოფილებას მინიჭებული აქვს უფლება აირჩიოს სასწავლო კურსის ბაზური მასალები და სამუშაოზე მიიღოს მასწავლებლები, მაგრამ არა აქვს უფლება ცვლილებები შეიტანოს სასწავლო კურსში ან მოახდინოს ინსტრუქტორთა სერტიფირება. იყენებს რა პასუხისმგებლობის მატრიცას ამ უფლებებისა და ვალდებულებების მითითებისთვის, პროექტის ხელმძღვანელი (კომპანიის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მომზადების განყოფილებაში) წარმატებით ასრულებს საპროექტო განყოფილების როლს.

4. **პროექტის წესებში პასუხისმგებლობის მატრიცის ჩართვა. პასუხისმგებლობის მატრიცა ხდება პროექტის წესების ნაწილი. ეს ნიშნავს, რომ, მას შემდეგ, რაც პასუხისმგებლობის მატრიცა მიღებულ იქნება შესასრულებლად, ამ მატრიცაში ყველა ცვლილება უნდა დაამტკიცონ მათ, რომლებმაც დაამტკიცეს მისი თავდაპირველი ვერსია. ცვლილებების მართვის ამ ფორმალური პროცესის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ პროექტის ხელმძღვანელის განკარგულებაში ყოველთვის არის დოკუმენტი, რომელსაც ის შეიძლება დაეყრდნოს ამა თუ იმ სადავო სიტუაციათა წარმოქმნისას.**

პასუხისმგებლობის მატრიცის აგებისას საჭიროა მივაღწიოთ

იმას, რომ მათ, რომლებიც შემდგომში ისარგებლებენ ამ მატრიცით, არ დარჩეთ ეჭვი იმასთან მიმართებაში, თუ ვისთან უნდა ჰქონდეთ კონსულტაცია და ვის რჩება ამა თუ იმ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებათა მიღების უფლება. მსგავსი მიდგომა იძლევა სამუალებას, გავაქარწყლოთ ნებისმიერი ეჭვი და წინააღმდეგობრიობა პროექტის შესრულების ყველაზე ადრეულ სტადიებზე. მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება ადრე გავმიჯნოთ ყველა ფორმალური უფლებამოსილება, უფლებები და მოვალეობები, სანამ ადამიანები ჯერ კიდევ არ ჩამულან მუშაობაში. გაცილებით რთულია პასუხისმგებლობის მატრიცის შემუშავება, როდესაც პროექტის შესრულება უკვე სრული სვლით მიმდინარეობს, რადგან ამ დროისთვის პროექტის მონაწილეებს უყალიბდებათ საკუთარი წარმოდგენები პროექტში თავისი ადგილის შესახებ. ამიტომ მათი გადარწმუნება ძალზე რთულია. პროექტის შესრულების უწრო გვიან სტადიებში აზრთა სხვადასხვაობა შეიძლება გადაიზარდოს გაჭიანურებულ კონფლიქტებში, რომლებმაც შეიძლება სრულად ჩაშალონ პროექტის შესრულების გრაფიკი.

7.5. კომუნიკაციათა გეგმის შედგენა

პროექტს ასრულებენ ადამიანები. ეს ადამიანები წყვეტინ პრობლემებს, ღებულობენ გადაწყვეტილებებს, დებენ აგურებს, აგებენ მოდელებსა და ა.შ. პროექტის ხელმძღვანელის ამოცანაა – უზრუნველყოს პროექტის დანარჩენ მონაწილეთა ძალისხმევის რაც შეიძლება მეტი ეფექტიანობა. პროექტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშების, რეკომენდაციების, გეგმების, შეთანხმებების საშუალებით პროექტის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს პროექტის ცალკეული მონაწილეების საქმიანობას და ახდენს მათზე ზეგავლენას, აწვდის რა მათ უწრო პროდუქტიული მუშაობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ინფორმაციას. გარდა ამისა, პროექტის ხელმძღვანელი მართავს კლიენტთა

მოლოდინს. როგორიც არ უნდა იყოს კონკრეტული ამოცანა, რომელ-საც ამ თუ იმ მოძებული წყვეტის პროექტის ხელმძღვანელი, თითქმის მთელი მისი საქმიანობა დაკავშირებულია კომუნიკაციებთან – ურთი-ერთობებთან.

კომუნიკაციათა გვემა წარმოადგენს წერილობითი საწილა გადმოცე-მულ, პროექტის ყველა მონაწილის მიერ საჭირო ინფორმაციის საჭირო დროს მიღების სტრატეგიას. სამუშაოს შინაარსში, ორგანიზაციულ სქემასა და პასუხისმგებლობის მატრიცაში მითითებული პროექტის ყველა მონაწილე შეადგენს პირთა წრეს, რომლებიც ჩართული იქნებიან აქტიურ კომუნიკაციებში. მაგრამ დაინტერესებული მსარეები პროექტში განსხვავებულად მონაწილეობენ, ამიტომ მათი საინფორმაციო მოთხოვნილებებიც არაერთგვაროვანია.

ქვემოთ გადმოცემულია საკვანძო საკითხები და რეკომენდაციები, რომლებიც პროექტის ხელმძღვანელმა კომუნიკაციის პროცესში უნდა გაითვალისწინოს.

1. ვისთვისა საჭირო ინფორმაცია?

სპონსორი. ივარაუდება, რომ სპონსორი არის პროექტის აქტიური მონაწილე. მას შემდეგ, რაც მომზადდება სამუშაოს შინაარსი, ერთმნიშვნელოვნად უნდა დადგინდეს თუ, სახელდობრ, ვინ იქნება პროექტის სპონსორი.

ფუნქციური ხელმძღვანელობა. კომპანიის ფუნქციურ ხელმძღვანელობას აქვს ორი ძირითადი მოვალეობა – საჭირო რესურსების მიწოდება და კორპორაციული პოლიტიკის საკითხთა გადაჭრა. სწორედ ეს განსაზღვრავს მათ საინფორმაციო მოთხოვნილებებს. კომუნიკაციათა გეგმაში მითითებულ უნდა იქნეს ყოველი მათგანის გვარი და თანამდებობა. ფუნქციური ხელმძღვანელები შეიძლება გავაერთიანოთ რამდენიმე ჯგუფად, რომელთაგან თითოეული ხა-სიათდება საკუთარი საინფორმაციო მოთხოვნილებებით.

კლიენტები. კლიენტები ღებულობენ „გლობალურ“ გადაწყვეტილებებს: რას უნდა წარმოადგენდეს მოცემული პრო-

ექტის პროდუქტი, რა დროისთვის უნდა იქნეს მიღებული ეს პროდუქტი და როგორი უნდა იყოს მისი თვითლირებულება. შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროექტში კლიენტთა მონაწილეობის რამდენიმე დონე, რასთან დაკავშირებითაც აუცილებელია თითოეული მათგანის თანამდებობისა და გვარის მითითება.

საპროექტო გუნდი. საპროექტო გუნდი შეიძლება გახდეს კომუნიკაციათა გეგმის განსაკუთრებით რთული ნაწილი. კომუნიკაციები გუნდის ბირთვთან არ უნდა წარმოადგენდეს განსაკუთრებულ პრობლემას, რადგან პროექტში მათი მონაწილეობა ყველაზე აქტიური და უშუალოა. საპროექტო გუნდის სხვა წევრებს, მაგალითად, მომწოდებლებს, სუბმოიჯარებსა და სხვა ქვედანაყოფების პერსონალს, შესაძლოა, მოუხდეს მრავალი კომუნიკაციური ბარიერის გადალახვა, ამიტომ თითოეული ეს შემთხვევა ინდივიდუალურ მიღომას მოითხოვს.

პროექტის ხელმძღვანელი. პროექტის ხელმძღვანელი აუცილებლად უნდა იყოს ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილის გამცემიცა და მიმღებიც.

2. რა ინფორმაცია აუცილებელი პროექტის მონაწილეებისთვის?

განრიგების დაცვისა და მიმდინარე დანახარჯების შესახებ აუცილებელი ანგარიშების გაფორმების გარდა, პროექტის შესრულების დროს აუცილებელია სხვა ინფორმაციის გაცვლაც. არსებობს სამი კატეგორიის ინფორმაცია (იმის მიხედვით, თუ რა მიზნისთვის გამოიყენება ეს თუ ის ინფორმაცია):

დამტკიცებები. სავალდებულო დამტკიცებას ექვემდებარება პროექტის გეგმები, სამუშაოს შინაარსი, ბიუჯეტები და პროდუქტის სპეციფიკაციები. ნებისმიერი დოკუმენტისთვის, რომელიც წარმოადგენს ამა თუ იმ შეთანხმებას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს დამტკიცების განსაზღვრული პროცედურა, მათ შორის, ეტაპები, რომელთა გამოყენება ხდება წინადადებათა გადასინჯვისა და მასში ცვლილებათა შეტანის დროს. მივუთითებთ

რა, თუ, სახელდობრ, ვინ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, უნდა ვიყოთ მაქსიმალურად ზუსტი და კონკრეტული.

ინფორმაცია პროექტის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ანგარიშები მოცემული მომენტისათვის დახსარჯული სახსარებისა და პროექტის შესრულების განრიგის დაცვის შესახებ. ამავე კატეგორიას მიეკუთვნება წარმოქმნილი პრობლემების უურნალები. მიღებულია პროექტის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ ანგარიშების შედგენა, თუმცა თითოეული ასეთი ანგარიშის შინაარსი უნდა პასუხობდეს იმათ მოთხოვნილებებს, ვისთვისაცაა ეს ანგარიში განკუთვნილი.

კოორდინაცია. პროექტის გეგმა გვეხმარება მოცემული პროექტის ყველა მონაწილის მოქმედებათა კოორდინირებაში. პროექტის გეგმა მოიცავს თითოეული მონაწილის ამოცანებსა და მოვალეობებს, განსაზღვრავს ურთიერთობებს მონაწილეთა სხვა-დასხვა ჯგუფს შორის, აგრეთვე, შეიცავს სამუშაოთა ეფექტიანი შესრულებისათვის საჭირო სხვა წვრილმანებს. თუ პროექტის მიმდინარეობისას ჩნდება ამა თუ იმ ცვლილების შეტანის აუცილებლობა, სხვადასხვა ჯგუფის ან გეოგრაფიულად დაცილებული ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია პრაქტიკულად ყოველდღიურად უნდა განხორციელდეს. პროექტში ამა თუ იმ ცვლილების შეტანის შემთხვევაში კომუნიკაციათა გეგმაში უნდა აისახოს ყველა დაინტერესებული მხარის დროულად ინფორმირებულობის პროცესი.

იმსათვის, რომ ინფორმაციას რეალური სარგებელი მოჰქმნდეს, მისი მიწოდება უნდა მოხდეს დროულად. კომუნიკაციათა გეგმაში მათთვებულ უნდა იქნეს, თუ როგორ ხშირად და რომელ ინფორმაციას უნდა მიმართოს თითოეულმა დაინტერესებულმა პირმა. არსებითად, პროექტის ამა თუ იმ მონაწილის რეაქცია მისთვის შეთავაზებულ კომუნიკაციათა გეგმაზე პროექტში თითოეული მათგანის მონაწილეობის ნამდვილი დონის გარკვევის ერთ-ერთი ხერხია. მაგალითად,

სპონსორი, რომელსაც არ სურს ხელი მოაწეროს პროექტის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ ანგარიშების წარდგენის ან თათბირების ხშირი ჩატარების მისთვის შეთავაზებულ გეგმას, ახდენს თავისი ჭეშმარიტი განზრახვის დემონსტრირებას მოცემული პროექტების მხარდაჭერასთან მიმართებაში. **ცხრილი 7.3.-ში** ნაჩვენებია მატრიცა, რომელიც მიგვითითებს, თუ რა ინფორმაცია და როგორი პერიოდულობით უნდა მიეწოდოს თითოეულ მონაწილეს. ყურადღება მაქციეთ იმას, რომ ცხრილში მითითებულია პასუხისათვის გამოყოფილი დრო; თუ მონაწილე არ არის თანახმა უპასუხოს დადგენილი დროის ფარგლებში, მისი ნამდვილი დაინტერესებულობა ამ პროექტში კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.

ყველაზე უკეთესია, თუ კომუნიკაციათა გეგმაში გათვალისწინებულია პროექტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ თათბირების რეგულარული ჩატარება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ უზჯობესია პრობლემების თავიდან აცილება, ვიდრე ზომების მიღება მათი წარმოქმნის შემდეგ. მაგრამ პრაქტიკაში პროექტების მხარდაჭერის უზრუნველყოფი მრავალი ხელმძღვანელი ან სპონსორი უპირატესობას ანიჭებს თათბირების ჩატარებას მხოლოდ აუცილებლობის მიხედვით, ხოლო კიდევ უფრო ხშირად – სერიოზული პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში. ისინი ამჯობინებენ, რომ პროექტის ხელმძღვანელი დამოუკიდებლად წყვეტილი ყველა საკითხს, სანამ ყველაფერი მეტ-ნაკლებად მწყობრად მიდის (თვითონ ისინი გვერდზე გადგომის მსგავს ტიპს უწინდებენ „პროექტის ხელმძღვანელისადმი ნდობას“). პრაქტიკაში, როდესაც ჩნდება სერიოზული პრობლემები, მომენტისათვის, როდესაც მაღალი რანგის ეს ხელმძღვანელები ერევიან სიტუაციაში, ხშირად უკვე გვიანია პროექტის ხელმძღვანელისთვის ქმედითი დახმარების გაწევა. აი, რატომაა ასე მნიშვნელოვანი გეგმური თათბირების ჩატარება. თუ ყველაფერი მეტ-ნაკლებად მწყობრად მიდის, ასეთ თათბირებს არ მიაქვს დიდი დრო,

პროცესის მარნაწლები	რა ინფორმაციაა მიზნობის აუცილე- ბელი?	მდგრადგარეთი პერიოდულობა	კომუნიკაციის ხერხი	პასუხი
სპონსორი	<ul style="list-style-type: none"> დანახულჯერ გვიჩვით აუცილებელი განრიგი, ხარისხი და მემორაქიული ლონისიტებით კრიტიკული და შემოთავაზებული ლონისიტებით 	ფრკვლკვირული ურად ურად	წერილი კვირული აქციაში და თათბირი	საჭიროა სამი ფრკვლი განცხად- ოւთავის მიერ განცხადების სახით, არის სამი უზრუნველყო- ვა კრიტიკული და შემოთავაზებული ლონისიტებით, აუცილებელი დანართება
პროცესის ხელმძღვანელი	<ul style="list-style-type: none"> დანახულჯერ (დაწერილებით დღინით), განრიგი, ხარისხის უზრუნველყოფა კრიტიკული და შემოთავაზებული ლონისიტებით კრიტიკული და შემოთავაზებული ლონისიტებით, რომელიც მიღე- ბულ უნდა იქნეს კლიენტის მიერ 	ფრკვლკვირული ურად ურად	თათბირი პროცე- სის სპონსორთან, კრების გამო- ცემის მიერ	საჭიროა სამი ფრკვლი განცხად- ოւთავის მიერ განცხადების სახით
ფრანგის-კლი- ნიტის ხელმძღვა- ნებისად- გენერალ- გენერალი	<ul style="list-style-type: none"> დანახულჯერ (დაწერილებით დღინით), კრიტიკული შესტესლების განრიგი, ხარისხის უზრუნველყო- ფა კრიტიკული და შემოთავაზებული ლონისიტებით, რომელიც მდგრ- ავს უნდა იქნეს კლიენტის მიერ საპროდუქციასთან ინფორმაცია, რომლის საფრანგელოზე კალინტები დასტულობენ ზომებს 	წერილი ბიუ- ლუ ურად	წერილი ბიუ- ლუ ანგარიში და თათბირი, ჩართული იქნება საპროდუქციის გენერალური გუნდი, თათბირში	საჭიროა სამი ფრკვლი განცხად- ოւთავის მიერ განცხადების სახით

ფრანგის-კლი- ნიტის ხელმძღვა- ნების	<ul style="list-style-type: none"> დანახულჯერ (დაწერილებით დღინით), კრიტიკული შესტესლების განრიგი, ხარისხის უზრუნველყო- ფა კრიტიკული და შემოთავაზებული ლონისიტებით, რომელიც მდგრ- ავს უნდა იქნეს კლიენტის მიერ საპროდუქციასთან ინფორმაცია, რომლის საფრანგელოზე კალინტები დასტულობენ ზომებს 	წერილი ბიუ- ლუ ურად	საპროდუქციო გუნდის თათბირი, კრების ოქების გამოცემის მიერ
საპროდუქცი- ობის გუნდი	<ul style="list-style-type: none"> დანახულჯერ (დაწერილებით დღინით), კრიტიკული შესტესლების განრიგი, ხარისხის უზრუნველყო- ფა კრიტიკული და შემოთავაზებული ლონისიტებით, ინფორმაცია საპროდუქციასთან ინფორმაცია მდგრადული და შემოთავაზებული აზრით მიღებული არ იყო აზრი ამგენ კლიენტის და სარიკისაგან 	წერილი ბიუ- ლუ ურად	საპროდუქციო გუნდის თათბირი, კრების ოქების გამოცემის მიერ

მარტივი გეგმაც კი კომუნიკაციის უზრულყოფისთვის წარმოაჩვენს და ასახვებს ამა თუ იმ მარტივი გეგმაზე – მონაცემთა მიზნებით თათბირებები და ადრინდელი რუსებით მოახდინონ მიღებულ ინფორმაციაზე.

მაგრამ, თუ წარმოიშობა სერიოზული პრობლემა, ამ თათბირებიდან ხელმძღვანელებმა შეიძლება მიიღონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც მათ გამოადგებათ პრობლემის გადაჭრისათვის.

კომუნიკაციათა დაგენტის უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, სწორია ისიც, რომ ყველაზე ეფექტურ კომუნიკაციებად ზშირად გვვლინება არაფორმალური და დაუგვევმავი კომუნიკაციები. აუცილებელია გამოძებნოთ ნებისმიერი შესაძლებლობა არაფორმალური კომუნიკაციებისთვის. ხელიდან არ გაუშვათ არც-ერთი შესაძლებლობა ადამიანებთან ურთიერთობისთვის. რაც შეიძლება ხშირად შეიხედეთ იქ, სადაც სრულდება რეალური სამუშაო, და იქაც კი, სადაც საპროექტო გუნდის წევრებს ხანმოკლე და შემთხვევითი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან (მაგალითად, სასადილოში ან კაფეში, სადაც ადამიანები იკრიბებიან შესვენების დროს). მოუსმინეთ მათ საუბარს. დააკვირდით ადამიანების აღტაცების, უხერხულობის, დაუკმაყოფილებლობის ან დაქანცულობის არავერბალურ, არაოფიციალურ ნიშნებს.

საკითხები თვითშემოწმებისა და გამორჩებისათვის

ინდივიდუალურად, წყვილებში ან გუნდებში განიხილეთ შემდეგი თემატიკა:

1. პროექტის წესების გავლენა პროექტის წარმატების ფაქტორებზე;
2. პროექტის წესდება;
3. სამუშაოს შინაარსი – პროექტების მართვის ერთ-ერთი ინსტრუმენტი;
4. სამუშაოს შინაარსის უმთავრესი პუნქტები;
5. პროექტის შინაარსის კონსტატაცია;
6. პასუხისმგებლობის მატრიცა და მის აგებასთან დაკავშირებული ეტაპები;
7. რეკომენდაციები კომუნიკაციის პროცესის წარმართვისათვის.

თავი 8

მაღალი უფასოების საუროვებო გუნდის მართვა

8.1. საპროექტო გუნდის ფორმირება

პროექტის მართვა მოიცავს საპროექტო მენეჯმენტის ხელოვნებასა და მეცნიერებას, ანუ ერთსულოვანი კოლექტივის (საპროექტო გუნდის) ფორმირებას და წარმართვას პროექტის გეგმის პრაქტიკული რეალიზაციის დროს. პროექტის მართვა გულისხმობის პრობლემების გამოვლენასა და გადაჭრას, მიღწეული პროგრესის შეფასებასა და საპროექტო გუნდის წევრებს შორის თანხმობის უზრუნველყოფას.

დაწვრილებითი გეგმების არსებობისა და თათბირების რეგულარულად ჩატარების მიუხედავად, ზოგჯერ ვერ ხერხდება საპროექტო გუნდების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

მხოლოდ პროექტების მართვის მეცნიერების რეკომენდაციათა უნაკლო შესრულება არ არის საკმარისი პროექტის წარმატებით დასრულებისთვის. მეორე აუცილებელი პირობაა პროექტის შემსრულებელი გუნდის მოწესრიგებული, მეობრული მუშაობა.

გუნდი – ეს ერთმანეთთან მშენდრო უთიერთობაში მყოფი ადამიანთა ჯგუფია, რომლის მიზანია შედეგის მიღწევა, რისთვისაც ისინი პასუხისმგებელი არიან მთელი გუნდისა და ერთმანეთის წინაშე საპროექტო გუნდისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ ის იქმნება მხოლოდ დროის განსაზღვრულ მონაკვეთზე გარკვეული მიზნის მისაღწევად, რის შემდეგაც ხდება მისი დაშლა.

მაღალი უფასოების საპროექტო გუნდად ჩამოყალიბებისათვის საპროექტო გუნდმა უნდა დაძლიოს ორი ცენტრალური პრობლემა, ორი მნიშვნელოვანი დაბრკოლება:


1. საპროექტო გუნდები იქმნება როგორი ამოცანების გადასაჭრელად, რაც მათ უხდებათ ერთობლივი ძალისხმევით;
2. საპროექტო გუნდები, როგორც წესი, იქმნება დროის შე-

დარებით მცირე პერიოდისათვის, ამიტომ მათ უნდა ისწავლონ ერთად მუშაობა.

ამ ორი პრობლემის მნიშვნელობის გაგება მოიცავს პასუხს კითხვაზე იმის შესახებ, თუ რატომ აღწევს ზოგიერთი საპროექტო გუნდი მაღალ შედეგებს, ხოლო ზოგიერთი – არა. საპროექტო გუნდები, რომლებიც ახერხებენ ერთად მუშაობის შესწავლას, პროექტის შესრულების დროს ზრდიან თავიანთ დარაზმულობასა და მწარმოებლურობას.

თითოეულ პროექტს აქვს დასაწყისი და დასასრული. იგივე შეიძლება ითქვას საპროექტო გუნდზეც. პრობლემა მდგომარეობს არა მარტო საპროექტო გუნდების დროებით ხასიათში, არამედ ფუნქციათაშორისი, კორპორაციათაშორისი, და ბოლო პერიოდში, საერთაშორისო კოლექტივების შექმნაშიც. ეს კი ზრდის იმის ალბათობას, რომ მორიგ ახალ საპროექტო გუნდში აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებსაც მანამდე ერთად არ უმუშავიათ. ასეთ კოლექტივში მოსალოდნელია აზრებისა და პიროვნებების განსხვავება-დაპირისპირება. ამიტომ გუნდში ურთიერთნდობის, პატივისცემის, მხარდაჭერის უნარისა და ეფუქტიანი კომუნიკაციის მოღვაწების შემუშავება მოითხოვს გარკვეულ დროსა და მნიშვნელოვან ძალის ხელში პროექტის ხელმძღვანელის მხრიდან.

განვიხილოთ სტრუქტურა, რომელიც დაგვეხმარება ნათლად წარმოვიდგინოთ საპროექტო გუნდის შემადგენლები. თავის დანარჩენი მასალა ეძღვნება თითოეული ამ შემადგენლის დაწვრილებით განხილვას. ყოველივე ეს ასახულია ნახ. 8.1-ზე წარმოდგენილ მოდელში.



საპროექტო გუნდს პროექტი გადაჰყავს ა წერტილდან B წერტილდან A წერტილდან, მოგვავს რა ამ მანძილს ისევე, როგორც ხილი, რომელიც გადაჰყოლია ქრთი წერტილიდან მეორემდე. ხილის გასამაგრებლად გამოიყენება თაღლენება და მანიფესტაცია. კილევტივის განსამტკიცებლად გამოიყენება თაღლენა კანისტრუქცია მაღალუცვეჭრიანი გუნდის სახით.

ნახ. 8.1. მაღალუცვეჭრიანი საპროექტო გუნდის მოდელი

მაღალეფექტიან საპროექტო გუნდებში იგულისხმება არა უბრალოდ მაღალმწარმოებლური გუნდები. გამოცდილი, კვალიფიციური და უნარიანი ადამიანებისაგან შემდგარ გუნდს შეუძლია ძალზე მაღალი მწარმოებლურობის დემონსტრირება იმ მომენტამდე, სანამ არ წააწყდება რამე დაბრკოლებას ან მოულოდნელ პრობლემას. სწორედ ასეთ დროს ვლინდება გუნდის რეალური ღირსებები და შეზღუდული შესაძლებლობები. გუნდებს, რომლებიც წარმატებით უმკლავდებიან ასეთ დაბრკოლებებსა და სირთულეებს, როგორც წესი, გააჩნია ნახ. 8.1-ზე გამოსახული მოდელით წარმოდგენილი მახასიათებლები.

სქემის მიხედვით, ძლიერი საპროექტო გუნდის შემადგენლები შეიძლება დაყვოთ სამ კატეგორიად, რომლებიც ერთობლიობაში მოქმედებენ დაახლოებით ისევე, როგორც ხიდის სიმტკიცის უზრუნველმყოფი თაღოვანი კონსტრუქციები. კოლექტიური მოქმედების მაღალი ეფექტიანობის უზრუნველმყოფ თაღოვან კონსტრუქციას ისეთივე ნიშან-თვისებები გააჩნია, როგორც ჩვეულებრივი ხიდის თაღს:

1. ძლიერი საპროექტო გუნდის არსებობის აუცილებელი პირობაა ყველა მითითებული შემადგენლის არსებობა;
2. ასეთი თაღოვანი კონსტრუქციის სიმტკიცე მდგომარეობს მისი ცალკეული ელემენტების ერთობლივი მოქმედების წესში;
3. ერთ-ერთი რომელიმე შემადგენლის სისუსტე არ შეიძლება კომპენსირებულ იქნეს სხვა რომელიმე შემადგენლის სიმტკიცით.

წარმოდგინეთ თქვენი საპროექტო გუნდის მიზანი, როგორც გადანაცვლება A წერტილიდან B წერტილში. ნახ. 8.1-ზე წარმოდგენილი მოდელის თანახმად, საპროექტო გუნდმა უნდა გაფოს „ხიდი“ A წერტილიდან B წერტილში. მარტივი პროექტების შემთხვევაში, შეიძლება უბრალოდ შევკრიბოთ სპეციალისტების გარკვეული რაოდენობა, დავავალოთ მათ შესაბამისი პროექტის შესრულება

და, საბოლოო ჯამში, ეს ადამიანები მიაღწევენ A წერტილიდან B წერტილში. ამ შემთხვევაში რთული არ იქნება საპროექტო გუნდის ჩამოყალიბება. ანალოგიურად, თუ მოგიწევთ პატარა არხზე გადასვლა, თქვენ ააგებთ რაღაც ხიდის მსგავსს, უბრალოდ, განათავსებთ რა ამ არხზე რამდენიმე მაგარ ფიცარს და გადასვალთ მეორე ნაპირზე – მიზანს სწრაფად და იაფად მიაღწევთ. მაგრამ ის, რაც გამოსადეგია მარტივი პროექტებისა და ვიწრო არხებისათვის, გამოუსადეგარია დიდი პროექტებისა და წყალუხვი, განიერი მდინარეებისთვის. იმისათვის, რომ თქვენმა „ხიდმა“ გაუძლოს დიდი პროექტის წონას, ის უნდა იყოს მტკიცე. ამისათვის გამოიყენება თაღოვანი კონსტრუქცია, რომელიც უზრუნველყოფს თქვენი საპროექტო გუნდის სიმტკიცესა და მდგრადობას.

ქვემოთ გავაცნობთ მოდელის სამ ძირითად შემადგენელს: 1)პოზიტიურ ატმოსფეროს კოლექტივში; 2) პრობლემების ერთობლივ გადაჭრასა და 3) ლიდერობის ხელოვნებას.

1) პოზიტიური ატმოსფერო კოლექტივში

პოზიტიური ატმოსფერო ხელს უწყობს კოლექტივის წევრებს შორის ურთიერთდობისა და პატივისცემის ზრდას. გარდა ამისა, გუნდში უფრო პროდუქტიული მუშაობის უნარ-ჩვევების დანერგვასთან ერთად, პოზიტიური ატმოსფერო ამაღლებს კოლექტივის მწარმოებლურობას. ასეთი გარემოცვის ჩამოყალიბება გულისხმობის ოთხი მნიშვნელოვანი ელემენტის არსებობას:

1. ქცევის ნორმები, რომლებიც აღწერენ მოცემული კოლექტივის საქმიანობის მოდელებსა და ფასეულობებს, რომლებზეცაა ორიენტირებული ეს კოლექტივი. ქცევის ნორმები – ეს ნათლად გამოხატული მოლოდინებია, რომლებიც ეხება კოლექტივის თითოეული წევრის პირად ქცევას და რომლებიც ასახავენ კოლექტივის ფასეულობებს;
2. კოლექტივის ინდივიდუალურობა და განუმეორებლობა, რომელიც ეფუძნება ყველა წევრისთვის საერთო მიზნისკენ კოლექ-

- ტივის სწრაფვას.** საერთო მიზნის მისაღწევად მუშაობის ასეთი მზაობა დაფუძნებულია შესასრულებელი პროექტის მასშტაბისა და დასახული მიზნის სიცხადეზე, პროექტის სპონსორის მკაფიო მხარდაჭერაზე, აგრეთვე, მოცემული კოლექტივის თითოეული წევრის რეალური წვლილისა და ღირსებების გაებაზე;
3. **თანამდებობის მოსმენის უნარი.** ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია აზრია გაცვლა-გამოცვლის გარეშე. აზრების ასეთი გაცვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო გუნდის თითოეულ წევრს შეუძლია კოლეგების აზრის მოსმენა და მათი შეხედულების აღქმა (განსაკუთრებით – თუ კოლეგის თვალსაზრისი ეწინააღმდეგება თქვენს შეხედულებას);
 4. **თათბირების ჩატარების ეფექტურიად მართვის უნარი.** კოლექტიური მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა სრულდებოდეს თათბირების დროს. ისევე, როგორც პროექტს, თითოეულ თათბირსაც უნდა გააჩნდეს გარკვეული მიზანი და გეგმა.

პოზიტიური ატმოსფეროს შემადგენლების გაცნობით, კრწმუნდებით იმაში, რომ ასეთი ატმოსფერო არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც აბსტრაქტული წარმოდგენა, არამედ – როგორც უნარ-ჩვევების გარკვეული ერთობლიობა, რომელიც პროექტის ხელმძღვანელმა უნდა შთაუნერგოს თავის კოლექტივს.

გარდა ამისა, პოზიტიური ატმოსფერო კოლექტივში განაპირობებს მაღალი უფლებას საპროექტო გუნდის ორ მნიშვნელოვან მხასიათებლებს:

1. **კოლექტივის თითოეული წევრის პირადი დაინტერესება საერთო მაზნის მიღწევაში.** კოლექტივის თითოეული წევრი თავის საკუთარ წარმატებას აიგივებს გუნდის საერთო მიზნის მიღწევასთან. ამით საერთო წარმატება ხდება პირადი და პროფესიული სიამაყის საგანი, რაც იმას ნიშ-

ნავს, რომ პროექტის ხელმძღვანელმა გუნდში აამოქმედა მიზანსწრაფვისა და მოტივაციის მნიშვნელოვანი წყარო;

2. **ურთიერთნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული მტკიცე პიროვნებათაშორისი ურთიერთობები.** ბევრისათვის, ვისაც უმუშავია მაღალუფებრივი გუნდებში, პროექტის შესრულების დროს ადამიანებს შორის ჩამოყალიბებული მეგობრული ურთიერთობები უფრო მეტად ფასეულია, ვიდრე თვით დასახული მიზნის მიღწევის ფაქტი. ნდობა წარმოშობს საპასუხო ნდობას, ხოლო პატივისცემა – საპასუხო პატივისცემას. ურთიერთნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროში მომუშავე ადამიანები სრულად ეყრდნობიან ერთმანეთს, რაც აბსოლუტურად აუცილებელია, როდესაც მთლიანი წარმოადგენს უფრო მეტს, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების მარტივი ჯამი.

2) პრობლემების ერთობლივი გადაჭრა

ამოცანათა ერთობლივად გადაჭრის უნარის გამომუშავება დამოკიდებულია გუნდის წევრებში შემძევი ოთხი მნიშვნელოვანი თვისების ფორმირებაზე:

1. **ამოცანათა გადაჭრა პრობლემების ანალიზის საფუძველზე.** ადამიანებისაგან შემდგარმა კოლექტივმა, რომელთაგან თითოეულს გააჩნია განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი ნიჭი და მუშაობის სტილი, საფუძვლად უნდა მიიღოს რომელიმე პროცესი, რომელსაც ყველა ისინი მიემსრობიან როგორც დიდი, ისე მცირე პრობლემების ანალიზისა და ამოცანების გადაჭრის დროს. ყველასთვის ერთიანი ამოცანათა გადაჭრის პროცესის გამოყენება საშუალებას აძლევს საპროექტო გუნდის თითოეულ წევრს – ამ პროცესს მოარგოს მუშაობის საკუთარი სტილი;

- გადაწყვეტილებათა მიღების სხვადასხვა ხერხის გაგება და გამოყენება.** ზოგიერთ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ და მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელი; სხვა გადაწყვეტილებებს ღებულობს მთელი საპროექტო გუნდი. ეს მხოლოდ ორი ხერხია გადაწყვეტილებათა მიღების ხერხების მთელი სიმრავლიდან. გადაწყვეტილებათა ეფექტიანი მიღებისთვის აუცილებელია, რომ საპროექტო გუნდის ყველა წევრს ესმოდეს გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლო ხერხები და გაცნობიერებულად ირჩევდეს მათგან იმას, რომელიც ყველაზე მეტად შესაფერისია ამა თუ იმ კონკრეტული სიტუაციისათვის;
- კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრის უნარი.** ხარისხიანი გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელია შემოქმედებითი მიდგომა, რაც აუცილებლად წარმოშობას აზრთა სხვადასხვაობას. მომწიფებული კოლექტივები აცნობიერებენ აზრთა სხვადასხვაობისა და კონფლიქტების გარდუვალობას. უფრო მეტიც, ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ასეთი კონფლიქტები სასარგებლოც კია. მაღალეფებიან კოლექტივებს შეუძლიათ კონფლიქტების გამოყენება საუკეთესო გადაწყვეტილებების შესამუშავებლად, თუმცა, — არა ისე, რომ ამ კონფლიქტებმა გააფუჭონ ურთიერთობები ადამიანებს შორის;
- უწყვეტი სწავლება.** როდესაც საუბარია ნოვატორული, კარდინალური გადაწყვეტილებების მიღებაზე, საპროექტო გუნდის კულტურა უნდა ითვალისწინებდეს გარკვეული რისკის მიღების შესაძლებლობას. საკუთარი საქმიანობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგების შესწავლა-გათვალისწინებით გუნდს უნდა შეეძლოს პროექტის შესრულების დროს მუშაობის მაჩვენებლების გაუმჯობესება.

ჩამოთვლილი თვისებები უზრუნველყოფებ ნამდვილი სინერგიული შედეგის მიღწევას. ასეთ საფუძვლზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და პროდუქტების გამორჩეული ხარისხი აიხსნება იმით, რომ ისინი შექმნილია კოლექტივის მიერ, რომლის თითოეულ წევრს გააჩნია განსაკუთრებული, მნილობრივი მისივის ნიშანდობლივი ნიჭი და მუშაობის სტილი.

3) ლიდერობის ხელოვნება

მაღალეფებიანი საპროექტო გუნდის მოდელის ქვაკუთხედად გამოისახოდის ლიდერი, რომელიც აღუდაბებს თავის კოლექტივს და არის თაღოვანი კონსტრუქციის ორივე ნახევრისთვის ნიშანდობლივი უმნიშვნელოვანესი თვისებების მატარებელი. არც ერთ კოლექტივს არ შეუძლია მთელი თავისი პოტენციალის რეალიზება, თუ მასში არ აღმოჩნდება ერთი ან რამდენიმე ადამიანი, რომლებიც შეგნებულად ზრუნავენ ამ გუნდის „სიკანსაღებებს“.

მოდელში ძირითადი ყურადღება ეთმობა თვისებებს, რომლებიც უნდა გააჩნდეს კოლექტივს. სწორედ ამიტომ ქვემოთ განიხილება ლიდერის მხოლოდ ისეთი თვისებები, რომლებიც უზრუნველყოფს ქმედუნარიანი, მაღალეფებიანი კოლექტივის ჩამოყალიბებასა და გამართულ საქმიანობას.

პროექტის ხელმძღვანელი ასრულებს ლიდერის ფუნქციებს კონკრეტული მოქმედებების საშუალებით. პროექტის ხელმძღვანელის იდეალები და წარმოდგენები არაფერს ნიშანავს საპროექტო გუნდის წევრებისთვის. პრაქტიკულად ყველაფერი, რაც მათ იციან თავიანთ ხელმძღვანელზე, წარმოადგენს მისი კონკრეტული მოქმედებების შედეგს.

პროექტის ხელმძღვანელის, როგორც კოლექტივის ლიდერის მოქმედებები, რომლებიც ხელს უწყობენ მაღალეფებიანი საპროექტო გუნდის ფორმირებას, შეიძლება დავყოთ შემდეგ ხუთ კატეგორიად.

1. ზრუნვა კოლექტივის „სიჯანსაღებები“

გამოვდივართ რა პროექტების ხელმძღვანელთა როლში, ჩვენ რეგულარულად ვატარებთ თათბირებს, რომლებიც ეძღვნება პროექტის შესრულების მსვლელობას, ვჭრით ამ პროცესში წარმოშობილ პრობლემებს, აგრეთვე, ვასრულებთ ჩვენს უშუალო მოვალეობებს. პროექტის სპონსორსა და კლიენტებს შეუძლიათ მოვალეობონ პროექტების მართვის მეცნიერების „მატერიალური“ პროდუქტები: პროექტის სამუშაოების, კალენდარული გეგმის ან რისკების მართვის გეგმის სტრუქტურები. ჩვენი წარმატება იზომება იმით, თუ რამდენად ჯდება შესასრულებელი გეგმა პროექტის ბიუჯეტში და სამუშაოების შესრულების გრაფიკში, აგრეთვე, იმით, თუ რამდენად ზუსტადაა დაცული სპეციფიკაციები. პროექტის შესრულების მსვლელობის შესახებ ანგარიშში ჩვენ, რა თქმა უნდა, არ მივუთითებთ, თუ რამდენად უწყობს ხელს საპროექტო გუნდში შექმნილი ატმოსფერო საპროექტო გუნდის თითოეული წევრის შემოქმედებითი ნიჭის გამოყენებასა და სწავლებას; ამ ანგარიშში არ არის გათვალისწინებული ისეთი მაჩვენებელიც, როგორიცაა „საპროექტო გუნდის შედებაბებულობა“. საეჭვოა, რომ ვინმებ მოვალეობის მაღალებებითი საპროექტო გუნდის ჩამოყალიბების გეგმის წარმოდგენა. საეჭვოა, ისიც, რომ პროექტის კალენდარულ გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს დრო და რესურსები ასეთი გუნდის ფორმირებისთვის.

ამ რეალიების გათვალისწინებით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მაღალებულებითი საპროექტო გუნდის ჩამოყალიბება მოითხოვს პერსონალურ რწმენას იმაში, რომ საპროექტო გუნდის „სიჯანსაღებუშუალო გავლენას ახდენს პროექტის შედეგებზე“.

2. გადასაჭრელი პრობლემის სტრატეგიული ხედვისადმი უნარის შენარჩუნება.

საპროექტო გუნდის წევრები კონცენტრირებული არიან მოკ-

ლევადიანი ამოცანებისა და პრობლემების გადაჭრაზე. პროექტის ხელმძღვანელი კი ვალდებულია ყოველთვის ფიქრობდეს პროექტის საბოლოო შედეგსა და ამ მიზნის მიღწევის გზებზე. საბოლოო შედეგზე მუდმივი კონცენტრირება ხელმძღვანელის ყოველდღიური საქმიანობის საიმედო ორიენტირია და იძლევა იმის გარანტიას, რომ ყველა მიმდინარე პრობლემა და ამოცანა გადაჭრილ იქნება შესასრულებელი პროექტის „გლობალური“ მიზნების კონტექსტში. პროექტების მართვის მეცნიერებას მკაფიო წვლილი შეაქვს ლიდერის მოვალეობების შესრულებაში, რადგან მომავალი სამუშაოს ფორმულირება, პროექტის სამუშაოების სტრუქტურა და დაგეგმვის სხვა მეთოდები მის განკარგულებაში წარმოადგენს სტრუქტურირებულ მეთოდებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ დავინახოთ „არა მარტო ცალკეული ხები, არამედ მთელი ტყეც“.

3. დამოკიდებულება გუნდის წევრებისადმი

საპროექტო გუნდის წევრები ჩვეულებრივი ადამიანები არიან თავიათი განცდებით, თავმოყვარეობით, ინტერესებით, მიზნებით, რომლებიც არ უკავშირდება მათ ძირითად სამუშაოს და არც შესასრულებელ პროექტს. ყოველი მათგანის პერსონალური საწარმოო მაჩვენებლები დამოკიდებულია მათ საკუთარ მოტივაციაზე, პროექტის ხელმძღვანელისადმი რწმენასა და პატივისცემაზე, რომელსაც ავლენენ კოლეგები მის მიმართ. მათი საქმიანობა და მიღწევები მოითხოვენ აღიარებას როგორც კოლეგების, ასევე პროექტის ხელმძღვანელის შხრიდან. ნუ ამუშავებთ ადამიანებს „ქანცის გაწყვეტამდე“. მოეპყარით მათ ისეთივე პატივისცემით, როგორსაც თქვენი ისურვებდით სხვებისაგან. ასეთი ზრუნვის შედეგად გუნდის წევრები თავისით გამოიჩინენ მაქსიმალურ ენერგიას და მობილიზებას, როდესაც რაიმე რთული სიტუაცია ამას მოითხოვს.

4. თითოეული პასუხს უნდა აგებდეს დავალებულ საქმეზე

პროექტის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეჭყრობიან მისი შემსრულებლები მათთვის დავალებულ სამუშაოს. გეგმები კარგავს ყოველგვარ აზრს, თუ შემსრულებლებს არ მიჰყავთ თავიანთი სამუშაო ლოგიკურ დასრულებამდე. ტონს იძლევიან ისეთი ლიდერები, რომლებიც განუხრელად ასრულებენ თავიანთ დაპირებებსა და სამსახურეობრივ მოვალეობებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვთ მათ მორალური უფლება იმავეს მოელოდნენ ხელქვეითებისგანაც. ხელმძღვანელს ხშირად უხდება იძულების, სიმტკიცისა და სიმკაცრის გამოვლენა იმისათვის, რომ გუნდის წევრებმა სათანადო შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. ხელმძღვანელი ვალდებულია გააკეთოს ეს თუნდაც იმის გამო, რომ ზოგიერთის კეთილსინდისიერი შრომა არ იყოს ნიველირებული სხვების უპასუხისმგებლო საქმიანობით.

5. პერსონალური ენერგია, რომელიც კოლექტივს შთაბერავს სულს პირადი მაგალითით

ნებისმიერ კოლექტივს სჭირდება ლიდერი. აუცილებლად უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს კოლექტივი, მის ყურადღებას მიმართავს გარკვეულ მიზნებზე, ადგენს მოქმედებათა გეგმას და აძლევს დასახული მიზნისკენ მოძრაობის იმპულსს. საპროექტო გუნდის ენერგია, დაინტერესებულობა და მიზანსწრაფულობა იშვიათად თუ აჭარებს პროექტის ხელმძღვანელის ენერგიას, დაინტერესებულობასა და მიზანსწრაფულობას. ტყუილად კი არ თქვა რალთ ემერსონმა: „როგორი დამაჯერებელიც არ უნდა იყოს თქვენი სიტყვები, ისინი უფრო მეტად ვერ დამარწმუნებენ, ვიდრე თქვენი ქცევა“.

ზემოთ აღწერილი ლიდერის მოვალეობები მაღალეფებით საპროექტო გუნდის სტრუქტურის ქვაკუთხედია. ლიდერის არარსებობით ამ სტრუქტურის დანარჩენი შემადგენლები მნიშვნელოვანწილად კარგავენ თავიანთ სასარგებლო თვისებებს.

8.2. ქცევის ნორმები

პროექტის ხელმძღვანელს შეუძლია მიზანმიმართულად ჩამოაყალიბოს პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ კოლექტივში პოზიტიური ატმოსფეროს შენარჩუნებას. მაღალეფებიც გუნდის შექმნის ეს მნიშვნელოვანი შემადგენელი მოკლედ არის აღწერილი ნახ. 8.1-ზე, თაღოვანი კონსტრუქციის მარცხენა მხარეს. თავის მხრივ, ეს შემადგენლი მოიცავს ოთხ კონკრეტულ უნარსა და ატრიბუტს, რომლებიც ყოველდღიურ ზეგავლენას ახდენენ გუნდში არსებულ ატმოსფეროზე. ესენია:

1. ქცევის ნორმები;
2. კოლექტივის ინდივიდუალურობა და განუმეორებლობა;
3. თანამოსაუბრის მოსმენის ხელოვნება;
4. თათბირების ჩატარების მართვა.

თითოეული ეს თემა შედარებით მარტივია. მიუხედავად ამისა, რომელიმე მათგანის არარსებობა უარყოფითად აისახება კოლექტივის ფისქოლოგიურ მდგომარეობაზე. ამ თემების განხილვას ეთმობა თავის შემდეგი მასალა.

კოლექტივში პოზიტიური ატმოსფეროს ფორმირება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც საპროექტო გუნდის წევრები პირველად იკრიბებიან ერთად. კოლექტივის წარმოქმნის სტადიაზე გუნდს სჭირდება გარკვეული სტრუქტურა. ამისათვის საჭიროა გუნდის კულტურის ფორმირება, რაც მიიღწევა მისი ქცევის ნორმების დადგენით.

ქცევის ნორმები – ეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოლოდინებია, რომლებიც ეხება საპროექტო გუნდის ფასეულობებსა და ქცევას. ამ მოლოდინთა მკაფიო ფორმულირება საშუალებას იძლევა გადავჭრათ სამი ამოცანა:

1. საპროექტო გუნდის წევრებს ესმით, თუ, სახელდობრ, რას მოელიან მათგან, როგორც ჯგუფის წევრებისაგან – ურთიერთდამოკიდებული და თანამოქმედი ადამიანებისაგან;

2. კოლექტივი დებულობს შესაძლებლობას ჩამოაყალიბოს საკუთარი კულტურა;
3. იქმნება გუნდის სტრუქტურა.

ქცევის ნორმები მოიცავს ორ ძირითად კატეგორიას:

1. **კოლექტიური ფასეულობები.** ქცევის ნორმები განამტკიცებენ კონკრეტულ ფასეულობებს, მიუთითებენ რა წარმოდგენებს ან ქცევის მოდელებს, რომლებიც შეესაბამება ამ ფასეულობებს. მაგალითისთვის გამოდგება ფირმაში შრომის ანაზღაურების სისტემის მოდერნიზაციასთან დაკავშირებული პროექტი: საპროექტო გუნდს შეუძლია ყურადღება გაამახვილოს კონფიდენციალობის დაცვის მნიშვნელობაზე;
2. **ქცევა თათბირების დროს.** თათბირების დროს ქცევის ნორმათა ფორმულირება წარმოადგენს მათი გამოყენების კლასიკურ მაგალითს. გადაწყვეტილებების მისაღებად ჩვენ ხშირად ვიყენებთ „გონებრივი შტურმის“ მეთოდს, განვიხილავთ სხვადასხვა ვარიანტს, ვანაწილებთ გუნდის წევრებს შორის ახალ სამუშაოს და ვასრულებთ შემოქმედებითი შორმის სხვა სახეობებს. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების აზრისადმი პატივისცემის გამოხატვა და თათბირებისათვის გამოყოფილი დროის ეკონომიკური გამოყენება.

ქცევის ნორმები – ის საფუძველია, რომელიც საშუალებას აძლევს კოლექტივის ლიდერს, მიაღწიოს თანხმობას მოსალოდნელი ქცევის თაობაზე. გარდა ამისა, მათი საშუალებით ადამიანებს შეიძლება დროდადრო შევახსენოთ, თუ როგორ ქცევას ელიან მათგან სხვები. გუნდის ხელმძღვანელმა უნდა შეიმუშაოს წესები რამდენიმე პირველი თათბირის ჩასატარებლად და თითოეული თათბირის დროს დაეყრდნოს ამ წესებს. მას შემდეგ, რაც კოლექტივი აითვისებს ამ წესებს, თავისთავად გაქრება ასეთი

ქცევის ნორმების სანიმუშო ჩამონათვალი

ქვემოთ მოტანილი მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ აყალიბებენ ქცევის ნორმები მკაფიო მოლოდინებს კოლექტივის წევრთა ქცევის თაობაზე. ყოველ ქონირეტულ შემთხვევაში ეს ჩამონათვალი შეიძლება არსებითად გაფართოვდეს.

კოლექტივის ფასეულობები:

- **კონფიდენციალობა.** ჩვენ არ განვიხილავთ გარეშე პირებთან ინფორმაციას ჩვენა პროექტის შესახებ;
- **კოლექტივის სწავლება.** ჩვენ ვაცხადებთ ახალი მიღომებისადმი გახსნილობის შესახებ. კითხვების დასმა და დახმარების თხოვნა არ ითვლება საძრახისად. მისასალმებელია ცოდნისმოყვარებისა;
- **ურთიერთპატივისცემა.** არავითარი პირადი გაციცხვა. არც ერთი იდეა ან წინადადება არ უნდა იქნეს დასაცინად აგდებული;
- **პასუხისმგებლობა.** აღებული ვალდებულებებისა და დაგალებული სამუშაოს განუხრელი და დროულად შესრულება. კოლეგების გაფრიხილება იმის შესახებ, რომ სამუშაოს შესრულება შეიძლება შეფერხდეს.

ქცევა თათბირების დროს:

- **აუცილებელია იყოთ აქტიური მსმენელი.** თუ თქვენთვის რაიმე გაურკვეველია, დასვით შეკითხვები. არ ვანსაჯოთ რაიმე იდეა ან ვამონათქვამი მანამ, სანამ არ გაიგებთ მათ არსა. არნაირი გარეშე საუბრები;
- **ყურადღება გამახვილევთ გადაწყვეტილებათა ძიებაზე.** საჭიროა არა სხვისი იდეების ფორმალური გარიტიკება, არამედ – საკუთარის შეთავაზება. უნდა გავაკრიტიკოთ იდეები და არა მათი გამომსატველი ადამიანები;
- **გამორიცხეთ ყველაფური.** რამაც შეიძლება გაგაფინტიროთ ყურადღება. მაგალითად: გამორთეთ მობილური ტელეფონები, არ ათვალიეროთ გაზეთები, სხვა თემაზე არ გადართოთ კოლეგები და სხვ.;
- **საჭიროა თათბირების დაწყება და დასრულება დროულად.** თათბირზე გამოცხადდით ზუსტად დანიშნულ დროს, ისაუბრეთ ზუსტად და ლაკონიურად;
- **იყვათ აქტიური.** შემოქმედებითად განიხილეთ შემოთავაზებული იდეები და მოსაზრებები. არ „ამოერთოთ“ განხილვიდნ იმის გამო, რომ მოერიდოთ კონფლიქტების:
- **უნდა მოქმედოთ თათბირისთვის.** წინასწარ გაეცანით თათბირთან დაკავშირებულ მასალებს და გაიაზრეთ თქვენი პოზიცია. საჭიროების შემთხვევაში ქაღალდზე გადმოეცით თქვენი მოსაზრებები.

წესების არსებობის შესახებ მუდმივად შეხსენების აუცილებლობა.

საპროექტო გუნდის პირველი თათბირისთვის უნდა შედგეს ქცევის ნორმების სანიმუშო ჩამონათვალი, რომელთა საფუძველზე შემდგომში შეიძლება შემუშავდეს უფრო ამომწურავი ჩამონათვალი. სანიმუშო ჩამონათვალიდან ადამიანები სწრაფად გაიგებენ ქცევის ნორმების კონცეფციას. ამის შემდეგ მათ შეიძლება შევთავაზოთ ამ თავდაპირველი ჩამონათვალის შევსება.

8.3. პოლექტივის ინდივიდუალურობა და განუმეორებლობა

საჭიროა საპროექტო გუნდის თითოეული წევრი დავარწმუნოთ იმაში, რომ, მისთვის არ შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი მიზანი, ვიდრე ის, რომელიც დაყენებულია ამ კოლექტივის წინაშე.

ამ ამოცანის გადაჭრაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქვემოთ აღწერილ, ფორმირებადი კოლექტივის განსაკუთრებული ინდივიდუალურობისა და განუმეორებლობის ოთხი შემადგენლის პრაქტიკულ რეალიზაციას. ყველა ეს შემადგენლი ერთობლიობაში ქმნის პოზიტიური ატმოსფეროს კიდევ ერთ კომპონენტს კოლექტივში.

საპროექტო გუნდის პირველ თათბირზე პროექტის მიზნის გამოცხადება საშუალებას მისცემს პროექტის ყველა მონაწილეს, უკეთ გავოს მისი დანიშნულება. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ასეთი მიზანი იქნება საპროექტო გუნდისთვის გზის მაჩვენებელი შუქურა, ათვლის წერტილი, რომელიც განსაზღვრავს გუნდის მთელ შემდგომ საქმიანობას. საპროექტო გუნდის თითოეულმა წევრმა ღრმად უნდა გააცნობიეროს პროექტის მიზანი და აქციონ ის თავის საკუთარ მიზნად. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ხშირი გამეორებით.

ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე მარტივი მოქმედება, რომელთა საშუალებით პროექტის სელმძღვანელმა შეიძლება მიაღწიოს საჭირო შედევს:

- მიუთითეთ პროექტის მიზანი ყოველი მორიგი თათბირის დღის წესრიგის პირველ პუნქტად. შესაძლოა, თვით თათბირის დროს არც კი დაგჭირდეთ ამ მიზნის ხსენება, თუმცა საჭირო შედევს მაინც მიაღწევთ დღის წესრიგში მისი ფორმალური მითითებითაც;
- აცნობთ რა პროექტის შინაარსს საპროექტო გუნდის თითოეულ ახალ წევრს ან ყოველ ახალ დაიტერესებულ პირს, დაიწყეთ ამ პროექტის მიზნის მითითებით;
- რეგულარულად ახსენეთ პროექტის მიზანი პირველი თათბირების ჩატარების დროს, განსაკუთრებით ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას. მაგალითად: „აბა, გავიხსენოთ, რომ ჩვენი პროექტის საბოლოო მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ, ... , ამიტომ საჭიროა...“. ამით საპროექტო გუნდის წევრებს დაანახვებთ, თუ როგორაა პროექტის მიზანი დაკავშირებული გუნდის კონკრეტულ საქმიანობასთან.

ჩამოაყალიბეთ შესაბამისი კონტექსტი პროექტისათვის საკუთარი ორგანიზაციის ჩარჩოებში. უნდა ვიცოდეთ ნამდვილი ადგილი, რომელიც პროექტს უკავია „საერთო სურათში“. მომავალი სამუშაოს ფორმულირება და კონკრეტული ეკონომიკური სიტუაცია საშუალებას იძლევა შეიქმნათ გარკვეული წარმოდგენა თქვენი პროექტის რეალურ წვლილზე ორგანიზაციის მთელი საქმიანობის შედევებში. ასეთი ინფორმაციის შესაფერისი წყარო შეიძლება იყოს თქვენი პროექტის სპონსორიც.

პროექტის სპონსორის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მხარი დაუჭიროს პროექტის ხელმძღვანელობასა და საპროექტო გუნდს. პროექტისადმი ყურადღება მისი სპონსორის მხრიდან მოწმობს იმას, რომ პროექტი და მისი შემსრულებლები მნიშვნელოვანნი არიან ორგანიზაციისათვის.

პროექტის სელმძღვანელმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ პროექ-

ტის სპონსორი და ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობის სხვა წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობდნენ საპროექტო გუნდის საქმიანობაში.

გადმოვცემთ პროექტის სპონსორის საქმიანობის რამდენიმე კლასიკურ მაგალითს:

- მონაწილეობა საპროექტო გუნდის პირველ (ორგანიზაციულ) თათბირში, სადაც სპონსორი საუბრობს პროექტის დანიშნულებისა და ორგანიზაციისათვის მისი მნიშვნელობის შესახებ;
- პერიოდული მონაწილეობა საპროექტო გუნდის შემდგომ თათბირებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პროექტის შესრულების დროს მიღწეულ იქნება მნიშვნელოვანი პროგრესი. ასეთ შემთხვევაში სპონსორი აღნიშნავს ცალკეული შემსრულებლებისა და მთელი გუნდის მიღწევებს;
- ცალკეული შემსრულებლების მიღწევების აღნიშვნა (ტელეფონით ან პირადი ურთიერთობის დროს).

პროექტისადმი პირადი ინტერესის დემონსტრირებით სპონსორი გუნდის წევრებში აღვივებს ენთუზიაზმს და ზრდის პასუხისმგებლობის გრძნობას.

მხარდაჭერა კომპანიის ხელმძღვანელების მხრიდან არის ნებისმიერი პროექტის წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ასეთი მხარდაჭერა, ზემოაღწერილთან ერთად, გამოიხატება სამუშაოს შესახერულებლად საჭირო რესურსებით უზრუნველყოფასა და ამა თუ იმ პრობლემების გადაჭრაში დახმარების დროულ გაწევაში.

მტკიცე კოლექტივებისათვის დამახასიათებელია პოზიტიური, პროდუქტიული ურთიერთობები კოლექტივის წევრებს შორის. პროექტის ხელმძღვანელმა მიზანმიმართულად უნდა ჩამოაყალიბოს ასეთი ურთიერთობები თავის საპროექტო გუნდში.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საპროექტო გუნდის შესახებ,

რომელიც ხასიათდება პოზიტიური, პროდუქტიული ურთიერთობებით მის წევრებს შორის, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ასეთი საპროექტო გუნდის ყველა წევრი აუცილებლად უნდა იყოს არა მარტო კოლეგა სამუშაოზე, არამედ „ცხოვრების“ მეგობარიც. ასეთი ურთიერთობები გულისხმობს უფრო იმას, რომ, საერთო მიზნის მქონე გუნდის წევრები შეძლებენ დიდი წარმატების მიღწევას, თუ ერთმანეთის მიმართ გამოხატავენ პატივისცემას, მჭიდროდ ითანამშრომლებენ ერთმანეთთან და შეინარჩუნებენ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას კოლეგების წინაშე.

ეს ურთიერთობები ხასიათდება პროექტის ხელმძღვანელის კონტროლის ქვეშ მყოფი რამდენიმე ფაქტორით:

- კოლექტივისთვის ცნობილია მისი წევრების ძლიერი და სუსტი მხარეები. ყოველ მათგანს აქვს მუშაობის საკუთარი სტილი, ტექნიკური ცოდნა, კლიენტის მოთხოვნათა გაგება, ეკონომიკური სიტუაციის ცოდნა და მრავალი სხვა უნარ-ჩვევა. თითოეული წევრის ძლიერი და სუსტი მხარეების ცოდნა საშუალებას აძლევს კოლექტივის წევრებს დაეყრდნონ საკუთარი კოლეგების ნიჭა და უნარს;
- იმედი გვაქვს, რომ ჩვენი კოლეგების სიტყვები არ იქნება მათი საქმეების საპირისპირო;
- კოლეგებში ჩვენ ვხედავთ არა მარტო სპეციალისტებს, არამედ ჩვეულებრივ ადამიანებსაც. ეს „ჩვეულებრივი ადამიანები“ ზოგჯერ ავადმყოფობენ, ზოგჯერ მათ აქვთ თაფლობის თვე ან დაბადების დღე, უსიამოვნებები ოჯახში ან სამუშაოზე, ადამიანური განცდები, ემოციები, საკუთარი ცხოვრებისული გამოცდილება, რომელიც, რა თქმა უნდა, არ შემოიფარგლება მხოლოდ სამუშაოთი.

ყველა ამ ფაქტორის ჩამოყალიბება იწყება იქიდან, რომ კოლექტივის ხელმძღვანელი ქმნის შესაძლებლობებს ერთმანეთთან გუნდის

წევრების რაც შეიძლება უკეთ გასაცნობად უკეთ პროექტის შესრულების აღრეულ სტადიუმზე ეს უნდა მოხდეს შემდეგი რეკომენდაციების გამოყენებით:

- გაესაუბრეთ საპროექტო გუნდის თითოეულ მომავალ წევრს და შეეცადეთ მიიღოთ სრული ინფორმაცია მისი მუშაობის წინანდელ გამოცდილებაზე, მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აგრეთვე, პირად მიზნებზე პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით. შემდეგ, საპროექტო გუნდის მომდევნო თათბირის დროს, ეს სპეციალისტი წარუდგინეთ საპროექტო გუნდის დანარჩენ წევრებს;
- თათბირისთვის მოამზადეთ ბუტერბოდი ან რაიმე სხვა საუზმე. კიდევ უფრო უკეთესია საპროექტო გუნდის წევრებისთვის სპეციალური „სამუშაო საუზმის“ მოწყობა. ასეთი შეხვედრა არაფორმალურ ვითარებაში, სასადილო მაგიდასთან, ქმნის კარგ შესაძლებლობას თქვენი კოლექტივის წევრების უფრო ძალდაუტანებელი და მჭიდრო ურთიერთობებისათვის;
- რეგულარულად ჩაატარეთ პირადი შეხვედრები თქვენი საპროექტო გუნდის წევრებთან.

კველაფერი ეს – საქმაოდ მარტივი ღონისძიებებია, რომლებიც შეიძლება განხორციელებულ იქნეს პროექტის შესრულებასთან დაკავშირებულ ამოცანათა კონტექსტში. ამ ღონისძიებებიდან თითოეული ხელს უწყობს იმას, რომ აღამიანები უკეთ ეცნობან და უგებენ ერთმანეთს.

ვუთმობთ რა მომეტებულ ყურადღებას ურთიერთობებს კოლექტივში უკვე პროექტის შესრულების ადრეულ სტადიებზე, ჩვენ არსებითად გაჩქარებთ კოლექტივის ფორმირების პროცესს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ურთიერთობები კოლექტივში სტატიკური არ არის. პროექტის ხელმძღვანელის ამოცანა მდვომარეობს იმაში, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ამ ფაქტორს პროექტის

შესრულების მთელი დროის განმავლობაში და ნებატიური ელფერის გამოვლენისას დროულად მოახდინოს ურთიერთობათა კორექტირება.

8.4. კოლეგიას მოსახლეობის ხელოვნება

კოლეგების აზრის მოსმენის უნარი პერსონალური ურთიერთობების ხელოვნების ერთ-ერთი ნაირსახეობაა. პრობლემათა ჯგუფურ გადაჭრასთან დაკავშირებული სამუშაო მოითხოვს, რომ კოლეგებივის თითოეულ წევრს შეეძლოს საკუთარი კოლეგების აზრის მოსმენა. მაშასადამე, პროექტის ხელმძღვანელის ამოცანაა – მოახდინოს ამ უნარის მოდელირება, შეასწავლოს და ყველა ზერნით შეუნარჩუნოს თავის ხელქვეითებს ეს უნარი.

სხვა აღამიანების მიერ თქვენს მიმართ გამოთქმული აზრების აქტიურად მოსმენა რთული ხელოვნებაა.

აქტიურად მოსმენისათვის აუცილებელია გარკვეული უნარის, ოსტატობისა და ძალისხმევის გამოხენა მსმენელის მხრიდან. არსებობს ფაქტორები, რომლებიც ქმნიან დაბრკოლებებს სხვის მოსმენა-გავებისათვის:

- ფიზიკური და განყენებული ფაქტორები, ისეთები, როგორიცაა ჰაერის მომეტებული ტემპერატურა, ოთახში ადამიანთა მეტისმეტი რაოდენობა, სატელეფონო ზარები ან კომპიუტერის ეკრანი, რომელზეც აისახება ელექტრონული ფოსტით შემოსულ შეტყობინებათა ფანჯარა, ახდენს ჩვენი ყურადღების გადატანას იმისაგან, რაზეც საუბრობს გამომსვლელი;
- განხილვადი თემის მეტ-ნაკლები ცოდნა წინასწარვე გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას იმაზე, რაზეც ლაპარაკობს ჩვენი თანამოსაუბრე. ამ ცოდნაზე დაფუძნებულ ჩვენს იდეებსა და წარმოდგენებს შეუძლია ჩვენი ყურადღების გადატანა იმ აზრებიდან, რომელთა გახმოვანე-

ბასაც ცდილობს თანამოსაუბრე;

- ხშირად, გამომსვლელის გადმოცემის სტილი და ორატორული ოსტატობა არსებითად განსხვავდება ჩვენი ანალოგიური უნარებისაგან. ეს ხელს უშლის ჩვენ მიერ გამომსვლელის აზრების აღქმას. ყველას არ შეუძლია საკუთარი იდეების მკაფიოდ და ლაკონიულად გადმოცემა. რომელიმე რეგიონში ან ორგანიზაციაში მიღებული იდიომები და ჟარგონი ხშირად გაუგებარია სხვა რეგიონის ან ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის;
- ჩვენი ყურადღების გამფანტავი ფაქტორებია: გარეშე აზრები და პირადი პრობლემები; მოსაუბრესთან წარსული ურთიერთობის გამოცდილება; ხანგრძლივი თათბირით გამოწვეული დაღლილობა ან გაღიზიანება. ჩვეულებრივ, ადამიანი ფიქრობს ორჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე საუბრობს და ესეც ხშირად განაშორებს მსმენელთა აზრს განსახილველი თემიდან.

რეკომენდაციები აქტიურად მოსმენის უნარის განვითარებისათვის
— გადმოცემულია ჩანართში 8.1.

სხვა ადამიანების აზრის მოსმენა თათბირების დროს უფრო როგორია, ვიდრე პირისპირ საუბრისას. თათბირის მსვლელობაში, ჩვეულებრივ, წარმოიქმნება მრავალი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის სხვა ადამიანების აზრების აღქმას. ცხადია, რომ ხელმძღვანელი, რომელიც ატარებს თათბირს, აგრეთვე, ხელს უნდა უწყობდეს აქტიურ მოსმენას, მაგრამ ესეც არ არის საკმარისი. პატიოსანი, ღია და საგნობრივი საუბრისათვის საჭიროა რამდენიმე მონაწილემ ისარგებლოს აქტიური მოსმენის მეთოდებით (მაგალითად, რეზიუმირება ან დამაზუსტებელი კითხვების დასმა თათბირის რომელიმე მონაწილის შეხედულების ნათელყოფისათვის). ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აქტიური მოსმენის ხელოვნებას დაუფლოს საპროექტო გუნდის ყველა წევრი.

ზემოთ ჩამოთვლილი მოქმედებებით ჩვენ ვაზრზებთ ყურადღების

გამოხატვას თანამოსაუბრის სიტყვებისადმი, თუმცა მოსმენის ნამდვილი ხელოვნება ძღვომარეობს იმაში, რომ არ ვიჩქაროთ საკუთარი დასკვნების გამოტანა-გახმოვანება გავონილის თაობაზე მანამდე, სანამ თანამოსაუბრე ხრულად არ გადმოსცემს საკუთარ შეწყდულებას. სხვაგვარად, ეს არის გადავადგებული მსჯელობის ხელოვნება. როდესაც ასეთ უნარს იჩენს ხელმძღვანელი, ეს განსაკუთრებულ ფასეულობას მატებს მას ხელქვეითების თვალში, რაც განამტკიცებს პოზიტიურ ატმოსფეროს კოლექტივში.

ჩანართი 8.1.

რეკომენდაციები აქტიურად მოსმენის უნართან დაკავშირებით

უსმენთ რა სხვა ადამიანებს – პირისპირ საუბრისას ან თათბირის დროს – გამოიყენეთ ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები, რათა უკეთ გაარკვითოთ აზრები, რომელთა გადმოცემასც ცდილობს თქვენი თანამოსაუბრე:

1. შეეცადეთ თავიდან მოიშოროთ გარეშე, გამცდენი ფაქტორები. შექმენით გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მსმენელებს თანამოსაუბრის აზრების აღქმას;
2. გამოიყენეთ არავერბალური ნიშნები, რომელებიც მოსაუბრისთვის მოახდენდნენ თქვენი დაინტერესებულობის დემონსტრირებას (მაგალითად, თავის დაქნევა, ტანის წინ გადახრა, მოსაუბრესთან მზედველობით კონტაქტში შევლა);
3. მოსაუბრეს მიეცით უკუკავშირის სიგნალები. გაიმეორეთ ან შეაჯამეთ თანამოსაუბრის ნათქვამი, რითაც დარწმუნდებით, რომ თქვენ სწორად გაიგეთ მისი აზრები;
4. მოსაუბრეს დაუსვით ახსნა-განმარტებითი ან დამაზუსტებელი შეკითხვები;
5. შეეცადეთ იპოვოთ ბირითადი იდეა, რომელიც იმაღება

გამომსვლელის მიერ გადმოცემული ფაქტებისა და მონაცემების მიღმა;

6. არ იჩქაროთ მოსმენილიდან დასკვნების გამოტანა-გახმოვანება. შეეცადეთ, თავდაპირველად გაიგოთ გამომსვლელის შეხედულება. უსვამთ რა შეკითხვებს ან ეცნობით რა გამომსვლელის აზრს, შეინარჩუნეთ სიმშვიდე მის გამოთქმებზე. მიმართეთ მას შემდეგნაირად: „ამრიგად, თქვენ გსურთ თქვათ, რომ...“; „თქვენი აზრით,...“. თანამოსაუბრეს აჩვენეთ, რომ თქვენ გაიგოთ მისი აზრები, თუმცა არ გამოამჟღავნოთ ამ აზრებისადმი საკუთარი დამოკიდებულება.

აქტიურად მოსმენის დროს თავი უნდა აარიდოთ ქვემოთ ჩამოთვლილ მოქმედებებს:

1. არ სცადოთ რაიმე პრობლემის გადაჭრა ან რჩევის მიცემა მანამ, სანამ არ გთხოვენ ამას. შესაძლოა, საბოლოო ჯამში, თანამოსაუბრეს დაეხმარებით მისთვის საინტერესო პრობლემის გადაჭრაში, თუმცა, თავდაპირველად საჭიროა ყურადღებით მოისმინოთ ყველა მისი მოსაზრება ამის თაობაზე;
2. არ იჩქაროთ საკუთარი დადებითი ან უარყოფითი დასკვნების გამოტანა-გახმოვანება გაგონილის თაობაზე. თავი აარიდეთ ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა: „ეს არალოგიკურია“; „საიდან მოგაქვთ ეს“; „რა უცნაური მსჯელობაა“ და სხვ.;
3. არ გადართოთ სხვების ყურადღება საკუთარ პერსონაზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც თქვენ ცდილობთ საერთო ენის გამონახვას თანამოსაუბრესთან, მაგრამ, საბოლოო ჯამში, საუბარი გადაგაქვთ საკუთარ გამოცდილებაზე, აზრებზე ან ემოციებზე;
4. ნუ ეცდებით თანამოსაუბრის „სულში ქექვას“, რათა არ

წააწყდეთ მკვეთრ დაცვით რეაქციას მისი მხრიდან. ყველა თანამოსაუბრე არ არის მზად თქვენში დაინახოს ფსიქიატრი ან ფსიქოანალიტიკოსი, რომელთანაც გულის გადაშლა შეიძლება.

ეს მარტივი რეკომენდაციები დაგეხმარებათ აქტიურად მოსმენის ათვისებაში. ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ხელოვნების ათვისება, ადამიანების მოსმენის უნარიც მოითხოვს დიდ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას.

თანამოსაუბრის თვალსაზრისის ყურადღებით მოსმენისა და გარკვევის შემდეგ გაქვთ სრული უფლება – არ დაეთანხმოთ მის მსჯელობას. საკუთარი სიტყვებით მისი შეხედულების გადმოცემის ან რეზიუმირების საშუალებით თქვენ დაუმტკიცეთ თანამოსაუბრეს, რომ გაერკვით მის თვალსაზრისში, რთაც გამოხატეთ მისდამი პატივისცემა. ახლა გაქვთ უფლება – გამოთქვათ საკუთარი აზრი განსახილელი პრობლემის თაობაზე.

კოლეგების მოსმენის უნარი – ეს არის ჩვევა, რომელიც უნდა გააჩნდეს თქვენი კოლეგების თითოეულ წევრს. ამ ჩვევის დაუფლების პროცესი შეიძლება დავაჩქროთ პროექტის შესრულების დასაწყისშივე გადაღვმული შემდეგი ნაბიჯებით:

- თქვენ, როგორც ხელმძღვანელმა, უნდა იცოდეთ საკუთარი კოლეგების წევრთა ოსტატობის ნამდვილი დონე. ასეთი ცოდნა დაგეხმარებათ გააკეთოთ სწორი დასკვნა, თუ რამდენად სწრაფად და ფორმალურად უნდა გააუმჯობესოთ მათი უნარ-ჩვევები;
- დაგეგმეთ დრო საჭირო ჩვევების სწავლებისთვის. პროექტის შესრულების დროს ხელმძღვანელმა გარკვეული დრო უნდა დაუთმოს საპროექტო გუნდის ეფექტუანობის ამაღლებას. აჩვენეთ მათ შესაბამისი ვიდეომასალები, მათთან ერთად განიხილეთ სათანადო ლიტერატურა, ან მოი-

- წვიეთ პროფესიონალი მასწავლებელი, რომელიც შეძლებს თქვენი კოლექტივის წევრებში საჭირო ჩვეულების დანერგვას;
- საკუთარი ქცევით აჩვენეთ ხელქვეითების ეფექტიანი მოსმენის ხელოვნება;
 - გამოავლინეთ საპროექტო გუნდში ეფექტიანი მოსმენის მაგალითები. განიხილეთ ეს მაგალითები მორიგი თათბირის დროს და ხაზი გაუსვით აქტიური მოსმენის როლს მსჯელობის ეფექტიანობის ამაღლების საქმეში;
 - საპროექტო გუნდის ქცევის ნორმები შეავსეთ „აქტიურად მოსმენის“ მოთხოვნით. გამოიყენეთ ქცევის ეს ნორმები შეხსენების სახით თათბირების დროს, თუ დისკუსია საპროექტო გუნდის წევრებს შორის გადადის შეხლა-შემოხლაში.

კოლუგების აზრის მოსმენის უნარის სწავლებას სწრაფად მოაქვს საჭირო შედეგი საპროექტო გუნდის წევრებისათვის. ამ ოსტატობის დაუფლება არც ისე როგორია – საჭიროა მხოლოდ პრაქტიკა და მთანმიმართული ძალისხმევა მისი სრულყოფისათვის.

კოლუგების მოსმენის უნარი საშუალებას აძლევს ადამიანებს სხვადასხვა აზრებისა და შეხედულებების განხილვისა და შესაფერისი გადაწყვეტილების ძიების პროცესში გამართონ ეთიკური დისკუსიები და შეინარჩუნონ პოზიტიური ურთიერთობები კოლექტივში.

მთლიანობაში, კოლუგების წევრების მიერ კოლუგების მოსმენის უნარი დიდ როლს ასრულებს მაღალეფებისათვის საპროექტო გუნდის მოდელში: საპროექტო გუნდის წევრთა ყველა სხვა თვისება დამოკიდებულია მათ უნარზე – ეფექტიანად მოუსმინონ თავის კოლუგებს.

8.5. თათბირების ჩატარების მართვა

საპროექტო გუნდის საქმიანობის მნიშვნელოვანი წილი მოდის თათბირებზე. თათბირების დროს ჩვენ ერთად ვიკრიბებით და ერთმანეთს ვუზიარებთ ინფორმაციას, ვახდეთ საკუთარი მოქმედებების კოორდინირებას, ვავლენთ ახალ პრობლემებს, ერთმანეთს შორის ვანაწილებთ ამოცანებს და ვღებულობთ გადაწყვეტილებებს. გარდა ამისა, თათბირები განამტკაცებენ კოლექტივის იდენტურობას, რომელიც შექმნილია საერთო მიზნის განხორციელებისათვის. პროდუქტიული თათბირები ახდენენ მაღალეფებისათვის საპროექტო გუნდის ყველა მასასიათებლის დემონსტრირებას და მოაქვთ შედეგი, რომლის დამოუკიდებლად მიღწევასაც ვერ შეძლებდა საპროექტო გუნდის ვერც ერთი წევრი. **თათბირების ჩატარება არის უკანასკნელი იმ ოთხი ფაქტორიდან,** რომლებიც უზრუნველყოფენ კოლექტივში პოზიტიური ატმოსფეროს შექმნას.

სამწუხაროდ, ზოგჯერ ტარდება უსაგნო თათბირები, რომელთა ერთადერთი შედეგია დაკარგული დროისა და იმედგაცრუების გრძნობა. საპროექტო გუნდის ხელმძღვანელმა უნდა შეადგინოს თათბირების ჩატარების წესები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველასათვის.

ჩანართში 8.2. – ჩამოთვლილია ყველაზე ტიპური რეკომენდაციები ეფექტიანი თათბირების ჩატარებისათვის.

თათბირის დროს მოქმედებაში შედის მაღალეფებისათვის საპროექტო გუნდის მოდელის თითოეული შემადგენელი, რომელთაგან ნებისმიერის სისუსტე ვლინდება მონაწილეთა ქცევაში, რაც ამცირებს თათბირის ფასეულობას.

საპროექტო გუნდის თათბირების ჩატარების წესები და ნორმები, აგრეთვე, მათი სტრუქტურა განიცდის ცვლილებებს კოლექტივის ფორმირების ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლის დროს. „კოლექტივის წარმოქმნის“ სტადიაზე ხორციელდება სტრუქტურა, რომელიც მდგომარეობს დღის წესრიგში,

მოქმედებათა გეგმებსა და კრების ოქმებში. „პირველ უთანხმოებათა“ სტადიაზე თათბირების ჩატარება გაცილებით რთულია, რაც განაპირობებს თათბირების მართვის განსაკუთრებული ინსტრუმენტების გამოყენებას. მას შემდეგ, რაც საპროექტო გუნდი გადავა „კოლექტივის წარმოქმნის“ სტადიაზე, სტრუქტურიზებული თათბირების უპირატესობები გამოვლინდება გუნდის წევრების მიერ ეფექტური თათბირების ჩატარების უნარ-ჩვევების ათვისებაში. ასეთ დროს თათბირების ჩატარება გუნდის ხელმძღვანელმა შეიძლება დაავალოს ვინმე სხვას. ხელქვეითებისათვის თათბირების ჩატარების სრულად მინდობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაქსიმალურ მწარმოებლურობაზე საპროექტო გუნდის გასვლის სტადიაზე.

ჩანართი 8.2.

რეკომენდაციები ეფექტიანი თათბირების ჩატარებისათვის

თათბირები ტარდება გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად. ეს რეკომენდაციები ეხება თათბირებს, რომლებშიც მონაწილეობს ორიდან 20-მდე ადამიანი. როდესაც საპროექტო გუნდის რაოდენობა მეტია, მისი დინამიკა არსებითად იცვლება და ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციებიდან ზოგიერთი აზრს კარგავს.

თათბირამდე

1. თათბირის მონაწილეთათვის მოსაწვევების გაგზავნა. მოსაწვევში მითითებულ უნდა იქნეს თათბირის მიზანი, ჩატარების ადგილი, დაწყებისა და დამთავრების დრო. თათბირის ყოველი მონაწილისათვის წინასწარ ცნობილი უნდა იყოს თათბირზე დამსწრები პერსონალის სრული შემადგენლობა.
2. მონაწილეებისათვის თათბირის დღის წესრიგის გაგზავნა,

რომელშიც უნდა აისახოს თათბირის მიზანი და განსახილებელი თემები. აუცილებელია მითითებულ იქნეს: თემის მიზანი, თემის დეტალური დახასიათება, განხილვის სავარაუდო დრო და თემის განხილვის ლიდერი. მკაფიო დღის წესრიგის არსებობა საშუალებას აძლევს ადამიანებს უკეთ მოემზადონ თათბირისათვის.

თათბირის დროს

1. თათბირი უნდა დაიწყოს ზუსტად დანიშნულ დროს. პუნქტუალობა ყოველმხრივ უნდა იქნეს წახალისებული, ხოლო დაგვიანება – გაკიცხული.
2. მოკლედ ჩამოაყალიბეთ თათბირის ჩატარების პროცედურა. თუ აუცილებელია, დაადგინეთ ქცევის წესები და განსაზღვრეთ გადაწყვეტილებათა მიღების ხერხი (მაგალითად, კონსენსუსით, ხმის მიცემით ან „ნებელობითი გადაწყვეტილებით“).
3. აუცილებელია მდივნის დანიშვნა, რომელიც წაიყვანს თათბირის ოქმს. ოქმში უნდა აისახოს მიღებული გადაწყვეტილებები და საკვანძო მომენტები, რომლებსაც დაუფუნდა ნებისმიერი გადაწყვეტილება. თათბირის ოქმი არ არის სტენოგრამა, არამედ – მიღებულ გადაწყვეტილებათა მოკლე რეზიუმე და მათი დასაბუთება.
4. თათბირის სტრუქტურირებისათვის გამოიყენეთ დღის წესრიგი. თუკი რომელიმე თემა აღმოჩება ძალზე „მოცულობითი“, სპეციფიკური და მისი განხილვა არ მოითხოვს მთელი ჯგუფის მონაწილეობას, – შეიძლება მისი გადატანა სხვა დროისათვის, მოცემული თათბირის ჩარჩოებს გარეთ.
5. თითოეული პრობლემის განხილვა მიმართულ უნდა იქნეს მისი კონსტრუქციული გადაწყვეტის კალაპოტში. შეაჯამეთ მოცემულ თემაზე ადამიანების მიერ გამოთქმული

აზრები და მიზანმიმართულად მიყვანეთ ჯგუფი სათანა-
დო გადაწყვეტილების მიღებამდე.

6. განხილვის პროცესში ვინმებ უნდა აკონტროლოს განხ-
ილვის მიმდინარეობა და მასში ყველა დაინტერესებული
მხარის მონაწილეობა. თუ თათბირის წამყვანს სურს გან-
სახილველ თემაზე კონსენსუსის მიღწევა, მან უნდა უზ-
რუნველყოს მოცემული პრობლემის განხილვაში ყველა
დაინტერესებული მხარის თანასწორუფლებიანი მონაწი-
ლეობა.

თათბირის დასრულება

1. მიღებული გადაწყვეტილებებისა და თათბირის დღის წეს-
რიგის პუნქტების მოკლე მიმოხილვის მეშვეობით შეაჯამეთ
და შეაფასეთ თათბირის შედეგები.
2. შეფასებისათვის იყენებენ „პლუს-დელტა“-ს (Plus-Delta)
მეთოდს. თათბირის ყველა მონაწილე აკეთებს ჩამონათ-
ვალს, თუ რა მოეწონათ მათ მოცემული თათბირის მსვ-
ლელობისას, მიუთითებენ რა თითოეული ასეთი პუნქტის
გვერდით „+“ ნიშანს (დადებითი შეფასება). ამასთან,
საჭიროების შემთხვევაში უნდა ჩამოთვალონ ისეთი მო-
მენტებიც, რაც, მათი აზრით, სრულყოფასა და ცვლილე-
ბას მოითხოვს, აღნიშნავენ რა ასეთ პუნქტებს Δ ნიშნით
(შეიცვალოს).
3. გამოაცხადეთ მომდევნო თათბირის ჩატარების ზუსტი
თარიღი.
4. თათბირი დასრულეთ ზუსტად დანიშნულ დროს ან, თუ
ეს არ ხერხდება – მიიღეთ ჯგუფის თანხმობა თათბირის
გაგრძელებაზე დღის წესრიგის სრულ ამოწურვამდე.

თათბირის შემდეგ

ყველა მონაწილეს მალევე გაუგზავნეთ თათბირის მასალები,
რათა საფუძვლიანად გაეცნონ მათ და მოახდინონ სათანადო რე-
აგირება.

8.6. პრობლემების ანალიზი

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირად ადამიანთა ჯგუფის მიერ
მიღებულ გადაწყვეტილებათა ხარისხი ხელმძღვანელის მიერ ერთ-
პიროვნულად მიღებულ გადაწყვეტილებათა ხარისხზე უფრო მაღალია.
როგორც წესი, ჯგუფს აქვს დიდი გამოცდილება, ინფორმაციის
დიდი მოცემულობა და შემოქმედებითი პოტენციალი, რომელთა
გამოყენება მას შეუძლია არსებულ ამოცანათა გადაჭრის დროს.
ამასთან, ჯგუფური მეთოდით გადაწყვეტილების მიღება ამაღლებს
გუნდის ყველა წევრის პასუხისმგებლობას ამ გადაწყვეტილების
პრაქტიკულ რეალიზაციაზე.

პროექტის ხელმძღვანელობა მიზანმიმართულად უნდა შეწყოს
ხელი კოლექტივში ამოცანათა ერთობლივად გადაჭრის მოგვარებას.
მაღალეფებიანი საპროექტო გუნდის შექმნის ეს მნიშვნელო-
ვანი შემადგენელი მოკლედ არის აღწერილი ზემოთ, ნახ. 8.1-
ზე, თაღოვანი კონსტრუქციის მარცხენა მხარეს. თავის მხრივ,
ეს შემადგენელი მოიცავს ოთხ კონკრეტულ უნარსა და ატრიბუტს,
რომლებიც ყოველდღიურ ზეგავლენას ახდენენ გუნდის ერთობლივ
საქმიანობაზე. ესენია:

1. პრობლემების ანალიზი;
2. გადაწყვეტილებათა მიღების ხერხები;
3. კონფლიქტური სიტუაციების მართვა;
4. უწყვეტი სწავლება.

თთოველი ამ საკითხის მოუგვარებლობა უარყოფითად აისახება
პრობლემების ერთობლივ გადაჭრაზე. ამ თემების ვანხილვას ეთმობა
თავის შემდეგი მასალა.

როდესაც საუბარია პრობლემათა დამოუკიდებულ ანალიზზე, თი-
თოველი ჩევნვანი იყენებს საკუთარ მიღვომებსა და შესაძლებლობებს.
პრობლემების კოლექტიური განხილვის შემთხვევაში, ანალიზის
მონაწილეთა მიღვომებისა და შესაძლებლობების დად მრავალფერ-
ოვნებას მოაქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები.

მაგალითად, კოლექტივის ყოველი ცალკეული წევრის შემო-

ქმედებითი შესაძლებლობები გვაძლევს საშუალებას – დავინახოთ საკუნძული „ახლებური, კოლექტიური ხედვით“ და არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ ჩვეული, პიროვნული გადაწყვეტილებების ჩარჩოებით. ამასთან, გუნდის წევრმა, როგორც ინდივიდმა, შეიძლება დაკარგოს ერთობლივი მუშაობის სურვილი იმ შემთხვევაში, თუ კოლექტივი არ გაიზიარებს მის მოსაზრებებსა და წინადადებებს.

პრობლემათა კოლექტიური ანალიზის უპირატესობების მაქსიმზაცია და რისკების მინიმიზაცია მოითხოვს პრობლემათა გადაჭრის საყოველთაოდ მიღებული პროცესისა და პრობლემათა ანალიზის მეთოდების მოხერხებულ გამოყენებას.

ჩვენ, როგორც კოლექტივი, მხოლოდ მოვალეული ვართ იმთ, რომ ვიყენებთ პრობლემათა გადაჭრის საყოველთაოდ აღიარებულ მეთოდს. ეს აიხსნება სამი მიზეზით:

1. ჩვენ გვინდა შევქმნათ გარანტია, რომ ჩვენი საპროექტო გუნდი გამოიყენებს პრობლემათა ანალიზის საიმედო მეთოდს. ჩვენს განკარგულებაში არის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და მეთოდების ფართო არჩევანი, რომელთა გამოყენება გაზრდის ჩვენი გადაწყვეტილებებისა და, საბოლოო ჯამში, ჩვენი პროექტების ხარისხს;
2. პრობლემათა გადაჭრის საყოველთაოდ აღიარებული პროცესის გამოყენება უზრუნველყოფს ერთიან შეხედულებას იმაზე, რაც მიჩნეულია პრობლემათა გადაჭრის სწორ ეტაპებად;
3. პრობლემათა გადაჭრის საყოველთაოდ აღიარებული პროცესის გამოყენება გულისხმობს, ამასთანავე, კოლექტივის მიერ საერთო ენის გამონახვას, რომლის საშუალებითაც კოლექტივი აღწერს თავის მოქმედებებს. იგი სრულყოფს პრობლემათა გადაჭრის პროცესს, საშუალებას აძლევს რა საპროექტო გუნდის წევრებს დაუბრკოლებლად განიხილონ შესასრულებელი სამუშაო. მაგალითად: „ჩვენ მივეღით დასკვნამდე, რომ შევძელით პრობლემის მკაფიო

ფორმულირება“ ან „ჩვენ უნდა გავაგრძელოთ პრობლემათა გადაჭრის სხვადასხვა ვარიანტის შემუშავების ეტაპი.“

ჩანართი 8.3.-ში ჩამოთვლილი ეტაპები ასახავენ პრობლემათა ანალიზის საყოველთაოდ აღიარებულ სტადიებს. თქვენ შევიძლოთ შეცვალოთ თქვენ მიერ ამ პროცესის გამოყენების მასშტაბები გადასაჭრელი პრობლემის სირთულის მიხედვით. შესაძლებელია, მაგალითად, ერთი თათბირის განმავლობაში რამდენჯერმე შესრულდეს მითითებული ეტაპები შედარებით მცირე პრობლემის გადასაჭრელად. ხოლო დღიდ პრობლემის შემთხვევაში, გადაწყვეტის პროცესი შეიძლება გაგრძელდეს კვირები ან თვეებიც კი; ასეთი პროცესი ასახულ იქნება შესაბამისი პროექტის სამუშაოთა სტრუქტურაში. პრობლემათა გადაჭრის რომელ კონკრეტულ ეტაპებსაც არ უნდა იყენებდეს საპროექტო გუნდი (კერძოდ, მან შეიძლება შეიმუშაოს პრობლემათა გადაჭრის საკუთარი ეტაპები), პროექტის ხელმძღვანელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ გამოყენებულ იქნეს პრობლემათა ანალიზის ერთიანი პროცესი.

ჩანართი 8.3.

პრობლემათა ანალიზის ეტაპები

1. **პრობლემის ფორმულირება.** გუნდი მიღის ერთიან აზრამდე განსაზიდველი პრობლემის არსის, სირთულისა და მისი გადაჭრის სასურველი შედეგის თაობაზე. პრობლემის ფორმულირების ხერხი ზეგავლენას მოახდენს მის შემდგომ ანალიზზე, ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია მთელი საპროექტო გუნდის მიერ პრობლემის მკაფიო გაგება.
2. **მოცემული პრობლემის მიზეზის ძიება.** სიღრმისული მიზეზის ანალიზმა უნდა უზრუნველყოს ის, რომ, ვცდილობთ რა მოვძებნოთ წარმოქმნილი პრობლემის ნამდვილი წყარო, არ შემოვიფარლოთ მხოლოდ ამ პრობლემის სიმპტომე-

- ბით, არამედ ვიპოვოთ მისი ფესვები. პრობლემის სიღრმისეული მიზეზის განსაზღვრისათვის შეიძლება დაგვჭირდეს ძიების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, გასაუბრება ყველა დაინტერესებულ მხარესთან, ინფორმაციის შეკრება პერიოდისთვის, რომელიც წინ უსწრებს განსახილველი პრობლემის წარმოქმნასა და გამოცდების ჩატარება.
3. **პრობლემათა გადაჭრის შედეგებისადმი მოთხოვნათა ფორმულირება.** ეს მოთხოვნები აღწერენ, ჩვენი აზრით, იდეალურ მდგომარეობას მას შემდეგ, რაც განსახილველი პრობლემა გადაჭრილი იქნება. ამ მოთხოვნების გამოყენება მოხდება ეტალონის სახის განსახილველი პრობლემის გადაჭრის ვარიანტთა შედარებისას. ქვემოთ მოტანილია პრობლემის გადაჭრის შედეგებისადმი მოთხოვნათა ფორმულირების ფორმატის მაგალითი.
- პრობლემა გადაჭრილად ჩათვლება პირობისას, თუ:
- ჩვენ გვეცოდინება, რომ -----
 - ჩვენს განკარგულებაში იქნება -----
 - ჩვენ შევძლებთ -----
 - ჩვენ გავაკეთებთ-----
4. **პრობლემის გადაჭრის ვარიანტების შემუშავება.** ეს ეტაპი უაღრესად მნიშვნელოვანია. კარდინალური გადაწყვეტილებების პოვნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დროსა და ძალ-ღონეს არ დავიშურებთ განსახილველი პრობლემის გადაჭრის საქმაოდ დიდი რაოდენობის ვარიანტების შემუშავებაზე.
5. **შესაფერისი ვარიანტის არჩევა.** იდეალში, წინა ეტაპზე უნდა შეგვემუშავებინა რამდენიმე გონივრული ვარიანტი. ამ ეტაპზე განვლენთ ამ ვარიანტების „გაცრასა“ და პრიორიტეტიზაციას. რაოდენობრივი და თვისებრივი შედარების მეთოდების გამოყენებით ვირჩევთ განსახილველი პრობლემების გადაჭრის საუკეთესო ვარიანტს.

6. **ხარჯების, შედეგებისა და რისკების ანალიზის ჩატარება პრობლემის გადაჭრის არჩეული ვარიანტისადმი მიმართებაში.** რისკების ანალიზი დაიყვანება ჩვენ მიერ არჩეული პრობლემის გადაჭრის ვარიანტის ძლიერი და სუსტი მხარეების განხილვამდე. დანახარჯებისა და შედეგების ანალიზმა უნდა უზრუნველყოს ის, რომ „ჩიტი ბრდლვნად ღირს“, ე.ი. ის, რომ არჩეული გადაწყვეტილება დაგვიჯდება უფრო იაფი, ვიდრე პრობლემა, რომლის გადაჭრა ჩვენ გვსურს ასეთი ხერხით.
7. **შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და მოქმედებათა გეგმის შედგენა.** შეადგინეთ მოქმედებათა გეგმა და გაანაწილეთ მოვალეობები მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციის თაობაზე და ასახეთ ყოველივე ეს თათბირის ოქმში ან პროექტის გეგმაში. ღოკუმენტურად გააფორმეთ განსახილველი პრობლემის ანალიზის შედეგები იმ შემთხვევისათვის, თუ მომავალში კიდევ მოგიწევთ დაუბრუნდეთ ამ პრობლემის გადაჭრას.

8.7. გადაწყვეტილებათა მიღების სპეციალის სამართლებრივი მიზანი

ყოველი ჯგუფის განკარგულებაში არის გადაწყვეტილებათა მიღების მრავალი სერხი. საპროექტო გუნდი ფუნქციონირებს იდეალურად იმ შემთხვევებში, როდესაც მისი მონაწილეებისათვის ცნობილია, გადაწყვეტილებათა მიღების თუ რომელი სერხი უნდა იქნეს გამოყენებული ამა თუ იმ სიტუაციაში. კოლექტივის ლიდერს კარგად უნდა ესმოდეს გადაწყვეტილებათა მიღების ამა თუ იმ სერხის არჩევის მიზეზები.

ქვემოთ მოტანილია გადაწყვეტილებათა მიღების ტიპური სერხების აღწერა თითოეული ამ სერხის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების მითითებით.

- **კონსენსუსი.** გადაწყვეტილებათა მიღებაში – პრობლემის

გარევევისა და მისი გადაჭრის ვარიანტების შემუშავების ჩათვლით – მონაწილეობას ღებულობს საპროექტო გუნდის ყველა წევრი. კონსენსუსით გადაწყვეტილებათა მიღება, ამ ხერხის სწორად გამოყენების შემთხვევაში, არის მთელი კოლექტივის პოტენციალის ამოქმედების მძლავრი ინსტრუმენტი, რადგან გადაწყვეტილების შემუშავება ხდება კოლექტივის თითოეული წევრის მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე.

უპირატესობები

კონსენსუსის მეთოდით მიღებული გადაწყვეტილებები სხვა ხერხებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე გაცილებით უფრო ხარისხიანია. ვინაიდან გადაწყვეტილებათა შემუშავებაში მონაწილეობს საპროექტო გუნდის ყველა წევრი, ისინი პირადად არიან დაინტერესებული ამ გადაწყვეტილების წარმატებით რეალიზაციაში და პირად პასუხისმგებლობას გრძნობენ.

ნაკლოვანებები.

კონსენსუსის მეთოდით გადაწყვეტილებათა მიღების დიდ დროს მოითხოვს, განსაკუთრებით თუ საპროექტო გუნდის წევრებს არ გააჩნიათ ასეთი შემთხვევისათვის საჭირო ცოდნა და კვალიფიკაცია (ამას ეძღვნება **ჩანართი 8.4.** „რეკომენდაციები კონსენსუსის მეთოდით გადაწყვეტილებათა მისაღებად“). გარდა ამისა, კონსენსუსის მეთოდით გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილე ადამიანების რაოდენობა შეზღუდულია. თუ ეს ჯგუფი აღემატება 15 ადამიანს, კონსენსუსით გადაწყვეტილებათა მიღება ძალზე პრობლემატური ხდება.

რა შემთხვევაში უმჯობესი ამ მეთოდის გამოყენება

კონსენსუსით გადაწყვეტილებათა მიღება შესაძლებელია მაშინ, როდესაც გვიჩდება რთული გადაწყვეტილებების მიღება

შორს მიმავალი შედეგებით. ანუ როდესაც მისაღები გადაწყვეტილების ხარისხი და ამ გადაჭრის წარმატებით რეალიზაციაში საპროექტო გუნდის თითოეული წევრის პირადი დაინტერესებულობა აღემატება გადაწყვეტილებათა სწრაფი მიღების მოთხოვნას. საპროექტო გუნდი, რომელიც გავიდა თავისი მაქსიმალური მწარმოებლურობის სტადიაზე, ალბათ, საკმაოდ ხშირად იყენებს კონსენსუსის მეთოდს, რადგან ასეთ კოლექტივს სჭირდება საუკეთესო გადაწყვეტილების მიღება და განვითარების ამ სტადიაზე კონსენსუსი მისთვის არ წარმოადგენს რაიმე სირთულეს და არ მოითხოვს დიდ დროს.

- **ხმის მიცემა.** ეს მეთოდი გამოირჩევა თავისი დემოკრატიულობით. ეს მეთოდი გამოდის იქიდან, რომ საპროექტო გუნდის წევრებმა კარგად გაითავისეს განსახილველი პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ვარიანტი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მარტივი უმრავლესობის საფუძველზე.

უპირატესობები

ეს მეთოდი გამოირჩევა გადაწყვეტილებათა მიღების ოპერატიულობით. ამავე დროს, ხმის მიცემაში მონაწილეობის მიღება შეუძლია საკმაოდ ბევრ ადამიანს.

ნაკლოვანებები

როდესაც პრობლემის გადაჭრის შემთავაზებული ვარიანტები საკმაოდ რთულია, დიდია იმის ალბათობა, რომ ეს ვარიანტი გასავები არ არის ყველასათვის, ვინც მონაწილეობს მოცემულ პრობლემაზე გადაწყვეტილების მიღებაში. გარდა ამისა, თუ შემოთავაზებული ვარიანტების რაოდენობა ორზე მეტია, მაშინ ნამდვილი უმრავლესობის გამოსავლენად შეიძლება საჭირო გახდეს ხმის მიცემის რამდენიმე რაუნდის ჩატარება. ამ მეთოდით გადაწყვეტილებათა მიღებასთანაა დაკავშირებული მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციაში სუსტი დაინტერესებულობის რისკი

იმათი მხრიდან, ვინც ხმის მიცემის შემდეგ აღმოჩნდა უმცირე-სობაში.

რა შემთხვევებშია უმჯობესი ამ მეთოდის გამოყენება

ხმის მიცემის მეთოდით გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევებში, როდესაც პრობლემის გადაჭრის შემოთავაზებული ვარიანტები საკმაოდ გასაგებია და განსაკუთრებით, როდესაც გადაწყვეტილებათა შემუშავებაში მონაწილეობს ადამიანთა საკმაოდ დიდი რაოდენობა. ამ მეთოდის გამოყენებამდე, დარწმუნდით იმაში, რომ მიღებული გადაწყვეტილების ოპოზიცია იმათი მხრიდან, რომლებიც ხმის მიცემის შემდეგ აღმოჩნდებიან უმცირესობაში, ხელს არ შეუშლის ამ გადაწყვეტილების რეალიზაციას. ხმის მიცემა ზოგჯერ გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების სათადარიგო ხერხის სახით, როდესაც კონსენსუსის მიღწევის პროცესი ჩიხში შედის, მაგრამ ესა თუ ის გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული.

• **უფლებამოსილებათა დელევირება.** საპროექტო გუნდის ერთ ან რამდენიმე წევრს დაევალება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რადგან, საერთო აზრის მიხედვით, სწორედ ამ ადამიანებს გააჩნიათ აუცილებელი ინფორმაცია და საჭირო ცოდნა.

უპირატესობები

ეს მეთოდი იძლევა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამარტივების საშუალებას, რადგან ასეთ პროცესში მონაწილეობას ღებულობს გაცილებით ნაკლები ადამიანი.

ნაკლოვანებები

გადაწყვეტილების მიმღები პირები უნდა სარგებლობდნენ უდავო ნდობით კოლექტივის მხრიდან, ხოლო ცოდნა, გამოცდილება და კვალიფიკაცია მათ აძლევდეს საშუალებას – იმოქმედონ დანარჩენი ჯგუფისაგან დამოუკიდებლად.

რა შემთხვევებშია უმჯობესი ამ მეთოდის გამოყენება

უფლებამოსილებათა დელევირების მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია იმ შემთხვევებში, როდესაც გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა სპეციალიზებული ცოდნა, რასაც უნდა ფლობდნენ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე კვალიფიციური მუშაკები.

• **ავტოკრატიული მეთოდი.** საჭირო გადაწყვეტილებას ღებულობს პროექტის ხელმძღვანელი. ამ მეთოდის გამოყენების კონკრეტული შემთხვევები განსხვავდება ერთმანეთისაგან მხოლოდ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში საპროექტო გუნდის წვლილის ხარისხის მიხედვით, რომელსაც განსაზღვრავს პროექტის ხელმძღვანელი (ზღვრულ შემთხვევაში ეს ხარისხი შეიძლება ნულის ტოლი იყოს).

უპირატესობები

ერთ ადამიანს უფრო სწრაფად შეუძლია საჭირო გადაწყვეტილების მიღება, ვიდრე მთელ ჯგუფს, განსაკუთრებით, როდესაც ეს ადამიანი კარგადაა ინფორმირებული. ხშირად პროექტის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის ან ინფორმირებულობის ხარისხი გაცილებით აღემატება პროექტის დანარჩენი მონაწილეების ანალოგიურ მაჩვენებლებს, რაც, უეჭველად, აძლევს მას გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღების უფლებას.

ნაკლოვანებები

ნაჩქარევ, არასაკმარისად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას შეიძლება მოჰყვეს კატასტროფული შედეგები. პროექტის ხელმძღვანელის მიერ ერთპიროვნულად მიღებულ გადაწყვეტილებაში საპროექტო გუნდის დაინტერესებულობა დამოკიდებული იქნება თვით პროექტის ხელმძღვანელისადმი საპროექტო გუნდის ნდობის ხარისხზე. თუ პროექტის ხელმძღვანელი მუდმივად ღებულობს ავტოკრატიულ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ხშირად

არ ეთანხმება საპროექტო გუნდი, ნდობა ხელმძღვანელისადმი და მიღებულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებაში საპროექტო გუნდის დაინტერესებულობა მცირდება.

რა შემთხვევებშია უძრობესი ამ მეთოდის გამოყენება

ერთი შეხედვით, ეს შეიძლება უცნაურად მოგეწვენოთ, მაგრამ ძლიერ კოლექტივებს სჭირდებათ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების უნარის მქონე ღილერი. „მტკიცე“, „გაბედული“ – მახასიათებლებია, რომლებსაც ხშირად მიაწერენ პროექტების კარგ ხელმძღვანელებს. ავტოკრატიული გადაწყვეტილებების მიღება ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული, თუმცა კოლექტივს არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია კონსენსუსის მეთოდის გამოსაყენებლად.

მთლიანობაში პროექტის ხელმძღვანელმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საპროექტო გუნდის წევრებს უნდა გააცნოს ხერხი, რომელიც გამოყენებულ იქნება ამ თუ იმ გადაწყვეტილების მიღების დროს.

ჩანართი 8.4.

რეპრეზენტაციები კონსენსუსის მეთოდით გადაწყვეტილებათა მისაღებად

კონსენსუსით გადაწყვეტილებათა მიღება ხშირად იძლევა საშუალებას – მივიღეთ ოპტიმალურ გადაწყვეტილებამდე, რადგან ასეთ შემთხვევაში გამოიყენება საპროექტო გუნდის თითოეული წევრის ცოდნა, გამოცდილება და კვალიფიკაცია. კონსენსუსი – იგივე არ არის, რაც ერთსულოვნება, როდესაც განხილვის თითოეული მონაწილე ეთანხმება იმას, რომ მიღებული გადაწყვეტილება საუკეთესოა. კონსენსუსს ჩვენ უფრო მივაღწევთ მაშინ, როდესაც განხილვის თითოეული მონაწილე ეთანხმება იმას, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი პატიოსანი და სამართლიანი იყო,

მოსმენილ და გაგებულ იქნა ყველას შეხედულება და ყოველ მათგანს შეუძლია ხელი შეუწყოს მიღებული გადაწყვეტილების პრაქტიკულ რეალიზაციას.

ქვემოთ ჩამოთვლილია ხუთი რეკომენდაცია, რომლებითაც კოლექტივის ღილერს შეუძლია კონსენსუსის მიღწევა თათბირების დროს.

1. დაიცავით პრობლემათა გადაჭრის სტრუქტურირებული პროცესი. დაიწყეთ განსახილველი პრობლემის ან მისაღები გადაწყვეტილების მკაფიო გარკვევიდან. გამოიყენეთ ეს სტრუქტურა განხილვის ყველა მონაწილის ყურადღების გასამახვილებლად პრობლემათა გადაჭრის პროცესის თითოეულ ეტაპზე.
2. დაარცვულირეთ ჯგუფის მონაწილეობა გადაწყვეტილებათა შემუშავებაში. შეაგულიანეთ ადამიანები, რათა მათ გამოიყენონ აქტიური მოსმენის ხერხები. „უზრუნველყავით „ძალაუფლების ბალანსი“: საშუალება არ მისცეთ ყველაზე „მყვირალებს“ დაიკავონ დომინირებადი მდგომარეობა განხილვის დროს, ხოლო ყველაზე „მორიდებულებს“ – დარჩნენ ჩრდილში. მთელი ძალისხმევა მიმართეთ იქითკენ, რომ პრობლემათა გადაჭრის პროცესის ყველა ეტაპზე მოსმენილ იქნეს განხილვის თითოეული მონაწილის ხმა.
3. მოეკიდეთ კონფლიქტს, როგორც შემოქმედებითი აზროვნების მოწმობას. განხილვის მონაწილეებმა არ უნდა შეიცვალონ საკუთარი პოზიციები მხოლოდ იმიტომ, რომ მოერიდონ კონფლიქტებს. საგულდაგულოდ გააანალიზეთ განსხვავებები მონაწილეთა მოსაზრებებში.
4. ჩამოაყალიბეთ კონსენსუსი. აირჩიეთ ვარიანტები, რომლებიც დააკმაყოფილებენ განხილვის ყველა მონაწილის მიზნებს. შეეცადეთ მოძებნოთ სხვადასხვა შეხედულების გაერთიანების ხერხების ხერხები.
5. თქვენ წინასწარ უნდა იცოდეთ, თუ, სახელდობრ, როგორ მიხვალთ საბოლოო გადაწყვეტილებამდე. წინასწარ განსაზ-

ღვრეთ გადაწყვეტილების მიღების სხვა მეთოდი იმ შემთხვევისათვის, თუ განხილვა ჩიხში შევა.

კონსენსუსით გადაწყვეტილების მიღწევის გასაღებია – თითოეულის პალანსირებული მონაწილეობის უზრუნველყოფა და ისეთი გადაწყვეტილების შემუშავება, რომლის პრაქტიკულ რეალიზაციას მნარს დაუჭრეს განხილვის ყოველი ძონაწილე. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად სარგებლობენ სკალით, რომელსაც ეწოდება „ხუთი L“. როდესაც ჯუფის ლიდერს უყალიბდება შთაბეჭდილება, რომ საჭირო გადაწყვეტილება ნაპოვნია, ის განხილვის ყოველ მონაწილეს სთავაზობს ამ გადაწყვეტილების შეფასებას სკალით „ხუთი L“: 1) თქვენ კატეგორიულად უარყოფთ (Loathe) ამ გადაწყვეტილებას; 2) თქვენ გამოხატავთ საკუთარ უკმაყოფილებას (Lament) ამ გაწყვეტილების მიმართ თათბირის შემდეგ; 3) თქვენ შევაუებით (Live) ამ გადაწყვეტილებას; 4) თქვენ გაწყობთ (Like) ეს გადაწყვეტილება; 5) თქვენ აღფრთოვანებული (Love) ხართ ამ გადაწყვეტილებით. თუ აღმოჩებიან ადამიანები, რომლებიც ან კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, ან რომლებსაც განსაზღვრული აქვთ გამოხატონ თავიანთი უკმაყოფილება მიღებული გადაწყვეტილების მიმართ თათბირის შემდეგ, მაშასადამე, საჭირო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი.

გადაწყვეტილებათა მიღების ხერხები, უკველად ასახავენ პროექტის ხელმძღვანელის მუშაობის სტილს, რომელზეც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს მისი საპროექტო გუნდის განვითარების სტადია. საპროექტო გუნდის უნარი – მონაწილეობა მიღლოს გადაწყვეტილებათა მიღების შესაფერისი სტილის არჩევაში, დამოკიდებულია მთელი საპროექტო გუნდის გათვათცნობიერებულობაზე ფაქტორების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ გადაწყვეტილებათა მიღების ამ თუ იმ ხერხის გამოყენების მიზანშეწონილობას.

8.8. პრცედისტური სიტუაციების მართვა

კონფლიქტი და უთანხმოებები არის გადაწყვეტილებათა ჯგუფური მიღების გარდუგალი შედეგი. ამიტომაც პროექტის ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს კონფლიქტური სიტუაციების მართვის ხელვებას.

პალანსირებული საპროექტო გუნდები ხშირად იყენებენ კონფლიქტურ სიტუაციებს პრობლემათა გადასაჭრელად. მათ ესმით, რომ კონფლიქტი არის კოლექტივისთვის ენერგიის ბუნებრივი, ფასეული წყარო. ხშირად კონფლიქტი აზრებში ბუნებრივ განსხვავებულობათა შედეგია. ამ განსხვავებულობათა აღმოფხვრა, რომელსაც ხშირად მიყვავართ პროექტის შესრულების მნიშვნელოვან დაწერამდე, შესაძლებელია მხოლოდ რეალური სწავლების გზით.

კონფლიქტური სიტუაციების წარმატებით გადაჭრა გულისხმობს კონფლიქტებზე ტიპური რეაქციების ცოდნასა და მეთოდების გაგებას, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ეფექტიანად გამოვიყენოთ კონფლიქტი, როგორც ასეთი.

ქვემოთ აღწერილია კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრისადმი ოთხი ტიპური, მაგრამ, როგორც წესი, არაეფუეტიანი მიღვომა. საპროექტო გუნდის ხელმძღვანელმა და გუნდის წევრებმა უნდა გაარკვიონ ქცევის ამ მოღლების არხის და გაიგონ, თუ რატომა ისინი არაეფუეტიანი პრაქტიკაში. გავარკვევთ რა ამას, უნდა ვისწავლოთ ამ მიღვომების ამოცნობა და მათი ნეიტრალიზება:

1. კონფლიქტისაგან თავის არიდება. კონფლიქტური სიტუაციების თავიდან არიდება და იმ ადამიანებისგან თავის დაღწევა, რომლებიც ასოცირდებიან კონფლიქტთან. ეს სტრატეგია დაფუძნებულია რწმენაზე იმის შესახებ, რომ უფრო ადვილია კონფლიქტის თავიდან აცილება, ვიდრე მისი გადაჭრა. თუ გადასაჭრელი პრობლემა საკმაოდ სერიოზულია, აღნიშნული მიღვომა მხოლოდ გადაავადებს გარდუგალ

- გართულებას და ხელს შეუწყობს დაძაბულობის ზრდას იმ მოქმედისთვის, როდესაც სიტუაცია გამწვავდება კონფლიქტის მოსაგვარებლად საჭირო დროის ნაკლებობით;
2. „**მახვილი კუთხეების“ მოსწორება.** მეტისმეტი ზრუნვა კოლექტივში პოზიტიური ურთიერთობის არსებობისათვის და სწრაფვა ნებისმიერ ფასად გადავიტანოთ ადამიანთა ყურადღება კონფლიქტის შესაძლო წყაროებიდან. ვასტორებთ რა „მახვილ კუთხეებს“, ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენთვის მთავარია პოზიტიური ურთიერთობები კოლექტივში. ამისათვის კი მზად ვართ „მსხვერპლად შევწიროთ“ უთანხმოებები, რომელიც ხელს უწყობს ეფექტურად გადაწყვეტილებათა მიღებას. მსგავსი სტრატეგია უნდა შეფასდეს როგორც არაშორსმჭვრეტელური;
 3. **კონფლიქტების გადაჭრის თავს მოხვევა.** მცდელობა – ძალადატანებით ვაძლეოთ სხვები გადაიხარონ ამა თუ იმ აზრისაკენ ან გადაწყვეტილებისაკენ კოლექტივში ურთიერთობათა გაუთვალისწინებლად. თავს მოხვევის მეთოდებია: ძალდატანებითი ზეგავლენა (მაგალითად, ხმის აწევა ოპონენტებზე), სხვა ადამიანთა აზრების დაცინვა ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება ხელქვეითებზე ზეწოლის მოსახლენად. მაგალითად: „მე თქვენი უფროსი ვარ, ამიტომაც გააკეთეთ ის, რასაც გიბრძანებთ“. უეჭველია, თავს მოხვევა მიუთითებს კოლექტივის სხვა წევრების აზრებისადმი უპატივცემულობაზე და შეიძლება ზიანი მიაყენოს პოზიტიურ ურთიერთობებს კოლექტივში, რომელთა გარეშე მაღალეფექტური საპროექტო გუნდის არსებობა, პრინციპიაში, შეუძლებელია.
 4. **სწრაფეა – მიღწეულ იქნეს ურთიერთკომპრომისი, მოღებულ იქნეს გადაწყვეტილება, სადაც არ იქნება არც გამარჯვებული, არც დამარცხებული.** სწრაფვა – იპოვნონ გადაწყვეტილება, რომლის დროსაც არც ერთი მხარე არ მიღებს იმას, რაც

მას სურდა. თითოეული მხარე ღებულობს იმაზე ნაკლებს, რაც მას თავდაპირველად სურდა, თანაც ნუგეშის სახით მათ უცხადებენ, რომ მათ არანაკლები მიღებს, ვიდრე სხვებმა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრატეგია მიმართულია ყველა დაინტერესებული მხარის დასაკმაყოფილებლად, ურთიერთკომპრომისი, ჩვეულებრივ, აღიქმება, როგორც სიტუაცია, როდესაც წაგებული რჩება ყველა, რადგან მიღებული გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებს არც ერთ დაინტერესებულ მხარეს. ასეთი კომპრომისული გადაწყვეტილებებით გამოწვეულმა იმედგაცრუებამ შეიძლება ყველა დაინტერესებული მხარის აღშფოთება გამოწვიოს.

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიისთვის შეიძლება მივუთითოთ ის სიტუაციები, რომლებიც ამართლებენ სწორედ ამ სტრატეგიის გამოყენებას. მაგალითად, არის სიტუაციები, როდესაც „მახვილი კუთხეების“ მოსწორების ან კონფლიქტის თავიდან არიდების მცდელობა გამართლებულია თუნდაც იმიტომ, რომ შესაბამისი პრობლემა არ ღირს ემოციური ენერგიის იმ დანახარჯებად, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მოცემული პრობლემის გადასაჭრელად ან იმით, რომ კოლექტივში ურთიერთობები ისედაც დაძაბულია. ანალოგიურად, როდესაც ყველას ესმის, რომ გადაწყვეტილება, რომელიც დააკმაყოფილებდა ყველა დაინტერესებულ მხარეს, მოცემულ შემთხვევაში უბრალოდ არ არსებობს და რომ მხოლოდ კომპრომისი მისცემს კოლექტივს შესაძლებლობას – შეიმუშავოს მეტ-ნაკლებად მისაღები გადაწყვეტილება და განაგრძოს მუშაობა, მაშინ შესაძლებელია მხოლოდ კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება. იშვიათად ისეთი მიზეზები, რომლებიც გაამართლებენ ამა თუ იმ გადაწყვეტილების თავს მოხვევას. განსაკუთრებით ეს შეეხება იმ კოლექტივებს, რომლებშიც სუჯექს ურთიერთპატივისცემა.

კონფლიქტურ სიტუაციებზე ზემოთ ჩამოთვლილი რეაქციების გაგება საშუალებას აძლევს საპროექტო გუნდის მონაწილეებს გაერკვნენ, თუ რა შემთხვევაში აირჩია საპროექტო გუნდის ხელმძღვანელმა კონფლიქტის გადაჭრის შეუფერებელი მეთოდი. როდესაც ასეთი არასწორი გადაწყვეტილების სიმპტომები აშკარა ხდება, მაშინ უნდა შევეცადოთ გამოვიყენოთ სხვა, უფრო შესაფერისი მეთოდი და გადავიდეთ **კონფლიქტის გადაჭრაზე**, ან პრობლემის გადაწყვეტაზე.

პროექტის ხელმძღვანელს და საპროექტო გუნდს მუდამ უნდა ახსოვდეთ კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნის შესაძლებლობის შესახებ და მიმართონ თავიანთი ენერგია პრობლემების პროდუქტულ გადაჭრაზე ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციების გამოყენებით:

- **შევეცადეთ თავიდან აიცილოთ კონფლიქტის შედეგები.** მაშინაც კი, თუ გვესმის კონფლიქტის წარმოქმნის გარდუვალობა, ჩვენ შეგვიძლია შევეცადოთ თავიდან ავიცილოთ ამ კონფლიქტის შედეგები, ვიზრუნებთ რა იმაზე, რომ ჩვენს კოლექტივს პქნონდეს მაღალეფებიანი საპროექტო გუნდის ყველა შემადგენელი: ქცევის ნორმები; ეფექტიანი მოსმენა; თათბირების ჩატარების სწორად ორგანიზებული პროცესი და პრობლემების გადაჭრის მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროცედურა;
- **ჩასწორით კონფლიქტის არსე.** ჩასწორით უთანხმოებათა არსე და გაერკვიეთ ამ კონფლიქტის ზედაპირზე გამოვლენილ ემოციებში. კონფლიქტის არსის აღწერა დაგეხმარებათ ყურადღების გამახვილებაში პრობლემაზე და არა იმ ადამიანებზე, რომელთა აზრებიც განსხვავდება თქვენი აზრებისაგან;
- **განსაზღვრეთ მოცემული კონფლიქტის აღვილი შესასრულებელი პროექტის ჩარჩოებში.** გაარკვიეთ როგორ აისახება განსახილველი გადაწყვეტილება სხვა გადაწყვეტილებებზე. შესასრულებელი პროექტის ჩარჩოებში განსახილ-

ველი გადაწყვეტილების კონტექსტის გაგება გვაძლევს, აგრეთვე, იმის საშუალებას, რომ გავარკვიოთ მოცემული პრობლემის გადაჭრის საჩქაროობა (შეიძლება დაველოდოთ დამატებით ინფორმაციას, თუ სასწრაფოდ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება);

- **ყურადღება გაამახვილეთ ინტერესებზე და არა დაკავებულ პოზიციებზე.** სიჯიუტე და დაუთმობლობა ხშირად გადაწონის ნებისმიერ მოსაზრებებს. საუბარია ე.წ. „ძალოვან რეაქციაზე“. ნაცვლად იმისა, რომ ჯიუტად დაიცვას საკუთარი პოზიციები, კონფლიქტის თითოეულმა მონაწილემ მკაფიოდ უნდა წარმოიდგინოს საკუთარი ინტერესები, მიზნები და შედეგისადმი მოთხოვნები. ასეთი მიდგომით გამოვავლენთ იმ საერთოს, რაც არსებობს გუნდის წევრებს შორის და შევძლებთ ვიპოვოთ წარმატებული ამოსავალი წერტილი იმ გადაწყვეტილების შესამუშავებლად, რომელიც დააკმაყოფილებდა ყველას;
- **შეეცადეთ დააყინოთ თავი სხვების აღვილას.** სხვა ადამიანის თვალთახედვიდან სიტუაციის წარმოდგენის ცდა. შეეცადეთ გაიგოთ, თუ რა მიზეზით არ ეთანხმება თქვენს თვალსაზრის ეს ადამიანი. მოუსმინეთ მას, თუ როგორ გადმოგცემთ ის თქვენივე თვალსაზრისს;
- **გამიჯნეთ ვარანტების განსაზღვრა საუკთხესო ვარიანტის არჩევისაგან.** როგორც ზემოთ იყო მითითებული, პრობლემების გადაჭრის მეთოდის აღწერისას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტების გამოვლენა. გამოიყენეთ ქცევის გამოხატული ნორმები, რომლებიც ასტიმულირებენ დიდი რაოდენობით იდეათა შემუშავებას, გადადებთ რა ამ იდეების შეფასებას შემდეგ ეტაპამდე. ისევე როგორც „გონებრივი შტურმის“ მეთოდის გამოყენებისას, ასეთ ტაქტიკას მივყავართ ახალი აზროვნების ჩამოყალიბებამდე;

- თუ არ შეგიძლიათ მიაღწიოთ თანხმობას საბოლოო გადაწყვეტილების თაობაზე, მაშინ შეუცადეთ მიაღწიოთ თანხმობას თუნდაც გადაწყვეტილების მიღების პროცესის თაობაზე. თუკი ვერ ხერხდება საწყისი წერტილიდან დაბრა, თუ არ იკვეთება რომელიმე ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მონახაზი და თუ არც ერთი მხარე არ არის მზად – შეურიგდეს განხილვის დანარჩენი მონაწილეების პოზიციებს, მაშინ მათი ყურადღება გადართეთ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის შემუშავებაზე, რომელიც მისაღები იქნებოდა ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მაგალითად, იქნებ კაპოვოთ „მედიატორი მოსამართლე“, რომელსაც მიენდობოდა ყველა დაინტერესებული მხარე მის მიერ საჭირო გადაწყვეტილების მიღებისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები განკუთვნილია ურთიერთნდობისა და პატივისცემის შესანარჩუნებლად კოლექტივებში, რომლებიც ცდილობენ დაძლიონო შიდა უთანხმოებები. ეს რეკომენდაციები ქმედუნარიანია იმიტომ, რომ საპროექტო გუნდის თითოეული წევრი იზიარებს ერთსა და იმავე, ყველასათვის საერთო ინტერესს – მიზანს, რომლის მიღწევა აუცილებელია შესაბამისი პროექტის შესრულების შედეგად. მეორე მხრივ, ეს რეკომენდაციები შეიძლება არაეფექტიანი აღმოჩნდეს თანხმობის მიღწევის მცდელობისას ისეთ ჯგუფში, რომლის წევრები ღიად უპირისპირდებიან ერთმანეთს.

კონფლიქტური სიტუაციების მართვისათვის საჭიროა დიდი ოსტატობა და თანდაყოლილი ნიჭიც კი, რომლებიც მხოლოდ ადამიანთა მცირე ნაწილს გააჩნია. შესაძლოა, ცხოვრებისეულმა და შრომითმა გამოცდილებამ ვერ გასწავლათ კონფლიქტურ სიტუაციებთან წარმატებით გამკლავება. თუ გრძნობთ, რომ თქვენი ხასიათიდან გამომდინარე, კონფლიქტური სიტუაციების გად-

აჭრა არ შეგიძლიათ, შეეცადეთ მიიღოთ საჭირო მხარდაჭერა სხვა მხრიდან.

მრავალ მსხვილ ორგანიზაციაში, როგორც წესი, არიან ორგანიზაციული განვითარების ან კადრების მართვის სპეციალისტები, რომლებმაც გაიარეს სპეციალური მომზადება კონფლიქტური სიტუაციების მართვის სფეროში. ისარგებლეთ ამ სპეციალისტთა მომსახურებით უკვე პროექტის შესრულების აღრეულ ეტაპზე. ეს საშუალებას მოგცემთ შეამციროთ კოლექტივის წარმოქმნის სტადიის ხანგრძლივობა და დააჩქაროთ გადასვლა ნორმალიზაციის სტადიიდან მაქსიმალური მწარმებლურობის სტადიაზე.

8.9. უფლებები სტავლება

უწყვეტი სწავლების კონცეფცია ნიშნავს, რომ საპროექტო გუნდი აცნობიერებს მუდმივი სწავლებისა და სრულყოფის აუცილებლობას პროექტის შესრულების მთელი დროის განმავლობაში. იგი მოიცავს როგორც კულტურას, ისე ჩვევებსაც, რომლებიც ხელს უწყობენ უწყვეტ სწავლებას პროექტის შესრულების პროცესში.

პროექტის ხელმძღვანელის ყოველდღიური საქმიანობა აისახება მისი საპროექტო გუნდის მუშაობაზე. **ჩანართი 8.5.-ში** გადმოცემულია მოსაზრებები, თუ რა უნდა გააკეთოს პროექტის ხელმძღვანელმა ყოველდღიურად, რათა მოახდინოს ხელქვეითებისთვის უწყვეტი სწავლების მნიშვნელობის დემონსტრირება.

ჩანართი 8.5.

რეკომენდაციები საპროექტო გუნდის სტანდარტის პროცესის ტარგეტისათვის

პროექტის ხელმძღვანელი, რომელიც აცნობიერებს თავისი საპროექტო გუნდის უწყვეტი სწავლების, განვითარებისა და სრულყოფის აუცილებლობას, მიჰყება ქვემოთ ჩამოთვლილ რეკომენდაციებს, აგულიანებს რა ხელქვეთებს თავის თავზე რისკის აღებითა და საკუთარ შეცდომებზე სწავლებით:

- მისაწვდომი იყავით ხელქვეთებისთვის. შემოქმედებითი მიღობა და ცოდნისმოყვარეობა არ ექვემდებარება დაგეგმვას. იყავით მისაწვდომი ხელქვეთებისთვის. ამით თქვენ მათ აგებინეთ, რომ მზად ხართ თანამშრომლობისთვის და რომ თითოეული მათგანის აზრი გათვალისწინებული იქნება და ღირსეულად შეფასებული;
- წაახალისეთ ინფორმაციის გაცვლა. ხელქვეთებს გამოუმუშავეთ ჩვევა – გაუზიარონ კოლეგებს ინფორმაცია და მორიდების გარეშე მოითხოვეთ მათგან თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია. რაც შეიძლება ხშირად დაინტერესდით ხელქვეთების აზრით, დაუსვით მათ შეკითხვები და მოითხოვეთ მათგან საჭირო ინფორმაცია. ხშირად ადამიანები არ უზიარებენ თავიანთ კოლეგებს მნიშვნელოვნენ ინფორმაციას ან ფასეულ მოსაზრებებს, თუ მათ ამის შესახებ პირდაპირ არ სთხოვენ. ალბათ, ვიღაცამ მათ ასწავლა ასეთი ინფორმაციის დამალვა. თქვენი ამოცანაა – ასწავლოთ მათ საპირისპირო;
- სწავლება აქციეთ საკუთარ გაცნობიერებულ მიზნად ვრმელ-ვადიანი პერსპექტივისათვის. პროექტზე მუშაობის გაანალიზებისას, საკუთარ თავს დაუსვით შემდეგი კითხვები: რა გინდოდათ, რომ გესწავლათ? რა ისწავლეთ? რომელ ინფორმაციას შეეძლო პრობლემის გაგების გაუმჯობესება?

ეცადეთ რომ, პრობლემის განხილვა გუნდის წევრებმა დაიწყონ კითხვების დასმით და არა მზა გადაწყვეტილებების გადმოცემით;

- მოახდინეთ თქვენი ხელქვეთებისთვის უწყვეტი სწავლების აუცილებლობის დემონსტრირება. დაახასიათეთ თქვენი გუნდის პროექტი როგორც ორგანიზაციული და არა წმინდა ტექნიკური ამოცანა (როგორ გადავჭრით ჩვენ ერთობლივად ამ ამოცანას?);
- გამოდით მისაბაზი მაგალითის, მოდელის როლში. აღიარეთ საკუთარი შეცდომები. ამით თქვენ მოახდინთ თქვენი ხელქვეთებისთვის იმის დემონსტრირებას, რომ შეიძლება პრობლემებისა და შეცდომების განხილვა დასჯის შიშის გარეშე;
- მოითოვეთ ხელქვეთების სრული მხარდაჭერა. ხაზი გაუსვით იმას, რომ საპროექტო გუნდის ამოცანა საკმაოდ როტულია და აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს გუნდის თითოეული წევრის მხრიდან;
- თავიდან მოიცილეთ შიში. ნუ შეგეშინდებათ იმისა, რომ დაკარგავთ იმიჯს ან პატივისცემას კოლეგების თვალში, თუ იტყვით შეუფერებელ რაიმეს ან ითხოვთ დახმარებას. ასეთი შიში ქმნის სერიოზულ დაბრკოლებას იდეების გასაცვლელად ან კოლეგებისაგან ინფორმაციის მისაღებად. ქცევის ნორმებში აუცილებელია დაფიქსირდეს ცოდნისმოყვარეობის, ჯგუფური სწავლებისა და პატიოსნების მაღალი ფასეულობა;
- არ შეუშინდეთ პროექტის მიზნის, შინაარსისა და გეგმის პერიოდულ გადასინჯვას. ეს საპროექტო გუნდის მთელი საქმიანობის საფუძველია. პროექტის მიზანი, მასშტაბები და გეგმა ყალიბდება პროექტის შესრულების დასაწყისში. პროექტის შესრულების პროცესში წარმოიშობა ახალი ვარაუდები და ფაქტები, რომელთა მიხედვითაც უნდა

- **სისტემატურად ჩატარეთ სათანადო ტრეინინგები.** ამისათვის ისარგებლეთ სპეციალისტთა მომსახურებით პროექტის შესრულების ყველა ეტაპზე;
- **აღიარეთ სწავლების პროცესში მიღწეული წარმატებები.** როგორც წესი, სწავლების პროცესი ხორციელდება თანდათანობით და შედარებით მცირე „დოზებით“. რაც შეიძლება ხშირად გამოიყენეთ არაფორმალური შესაძლებლობები იმის სადემონსტრაციოდ, თუ რისი მიღწევა მოხერხდა სწავლების პროცესში. სწავლების პროცესის მიმდინარეობის შესახებ ადამიანთა გათვითცნობიერებულობა მათ აძლევს ენერგიასა და რწმენას, რომელთა გარეშე შეუძლებელია ამ პროცესის საბოლოო წარმატება.

ჯგუფური სწავლების მნიშვნელობის აღიარება საპროექტო გუნდის ხელმძღვანელს აკისრებს დამატებით პასუხისმგებლობას პროექტის შესრულების დაწყებიდანვე. ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციების შესრულება საპროექტო გუნდის წევრებს უნერგავს სწავლებასთან დაკავშირებულ ფასეულობებსა და ჩვევებს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საპროექტო გუნდის წევრების თვითსრულყოფასა და აადვილებს პროექტის ხელმძღვანელის საქმიანობას.

კოლექტივის ხელმძღვანელობა და ამ თავში ჩამოთვლილი ფაქტორებისადმი მუდმივი ყურადღების გამოჩენა მოითხოვს პროექტის ხელმძღვანელისაგან დროისა და ენერგიის დიდ დანახარჯებს და ლიდერობის ხელოვნებას. როგორც წესი, პროექტის ხელმძღვანელისაგან მოითხოვენ რეგულარულ ანგარიშს პროექტის შესრულების მსვლელობის, დანახარჯების მოცულობისა და გეგმური ვადების დაცვის შესახებ, ხოლო კოლექტივში არსებული ვითარებით და საპროექტო გუნდის წევრებს შორის ურთიერთობებით ნაკლებად ინტერესდებიან. ამ დროს ავიწყდებათ, რომ მხოლოდ შეკავშირე-

ბულ კოლექტივს, რომელიც ფლობს პრობლემების გადაჭრის მეთოდებს, შეუძლია მწარმოებლურობის მაღალი დონის მიღწევა. ამასთან, მუშაობა მაღალეფექტიან საპროექტო გუნდში უზრუნველყოფს გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე მწარმოებლურობის ზრდაა – მას მოაქვს ადამიანებისთვის კმაყოფილება და სიხარული, რაც მათი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების შედეგია.

8.10. ტრეინინგების ორგანიზაცია და მეთოდიკა

დღევანდელ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესისა და ეკონომიკური განათლების სისტემის ოპტიმალურ რეფორმირებას, ყოველი ცალკეული სამუშაოების სუბიექტის ღონისძიებისა და მენეჯმენტის, მათ შორის პროექტების მართვის სატრენინგო სწავლების რადიკალურ გაუმჯობესებას, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს ეროვნული მეურნეობის უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური საკადრო პოტენციალით.

უცხოეთის ყველა სოლიდურ ორგანიზაციაში ხორციელდება კადრების მუდმივი სწავლება-გადამზადება, რასაც ჩვენში უკვე დამკიდრებული ტერმინის მიხედვით ტრეინინგი (*Training*) ეწოდება. ბიზნეს-სამსახურში მყოფ ადამიანს უნდა შეეძლოს და გალდებულიც არის საჭიროების შემთხვევაში თვითონ შეითვისოს ან სხვას გადასცეს ცოდნის ის მარაგი და დონე, რომელიც სჭირდება ყოველ კონკრეტულ მუშაკს მთელი ორგანიზაციისა და კონკრეტული საპროექტო გუნდების ინტერესების შესაბამისად. იგივე მოეთხოვება პიროვნებას, რომელიც მუშაობს სპეციალიზირებულ ინსტიტუტებში და საკონსულტაციო-სასწავლო ფირმებში, რომლებიც ტრეინინგების მეშვეობით ემსახურებიან დაინტერესებულ ბიზნეს-ორგანიზაციებს.

სამეურნეო ცხოვრებაში მიმდინარე რთული და მრავალფეროვანი პროცესები ნებისმიერი ბიზნეს-ორგანიზაციისაგან მოითხოვს

პერსონალის ტრეინინგს, რომლის მიზანია მიაღწიოს მუშაქთა ცოდნისა და კვალიფიკაციის მუდმივ ზრდას და გარემო პირობებთან სათანადო ადაპტაციას.

ამ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შევჩერდებით ტრეინინგების ორგანიზაციისა და მეთოდიკის ზოგიერთ უძრავრეს მომენტზე, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს პროექტის ხელმძღვანელის საპროექტო გუნდის უწყვეტი სწავლების პროცესში.

მაღალუფექტური ტრეინინგები ნასიათლება შემდეგი საეციფიკური თავისებურებებით:

- ტრეინინგისა და განვითარების პროგრამები ხორციელდება უმაღლესი ხელმძღვანელობის აქტიური ხელშეწყობით;
- ტრეინინგი წამოწეულია პრიორიტეტულ ადგილზე და კორპორაციული კულტურის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს;
- ტრეინინგი ორგანულად დაკავშირებულია ფირმის მიზნებთან, სტრატეგია-ტაქტიკასთან და პარმონიულად ერწყმის საბოლოო შედეგებს;
- ტრეინინგისადმი დამოკიდებულება და მიდგომა ყოველმხრივი და სისტემურია;
- ტრეინინგი და რეტრეინინგი ხორციელდება ყველა დონეზე და უწყვეტად;
- ტრეინინგს ახორციელებენ მაღალკვალიფიციური შიდა-ფირმული ან მოწვეული სპეციალისტები, პედაგოგები და მეცნიერები.

ტრეინინგისა და განვითარების პროცესი შემდეგი საფეხურებისაგან:

- ტრეინინგისა და განვითარების ქვესისტემებისა და სხვა სისტემებთან მათი ურთიერთქმედების ზედმიწევნითი ანალიზი;

- ტრეინინგის საჭიროების განსაზღვრა;
- ტრეინინგის მიზნებისა და ამოცანების მკაფიოდ და სრულად ჩამოყალიბება;
- ტრეინინგის ამოცანების სტრუქტურირება (სასწავლო და-ვალების დააწევრება შემადგენელ კომპონენტებად);
- სასწავლო გეგმის ნაწილების ოპტიმალური თანმიმდევრობის განსაზღვრა;
- სწავლების აღტერნატიული გზების განხილვა.

ტრეინინგს თითქმის არავითარი ღირებულება არ ექნება თუ არ მოხდება მისი შედეგების გამოყენება-გადატანა (ტრანსფერი) სამუშაო მოვალეობების შესრულების პროცესში. ტრანსფერი შესაძლოა იყოს პოზიტიური (გაუმჯობესოს შესრულება), ნეგატიური (შეაფერხოს შესრულება) და ნეიტრალური. ეს მნიშვნელოვანი გარემოება აუცილებლივ უნდა იყოს გათვალისწინებული ტრეინინგის დაგევმვისა და განხორციელების პროცესში.

პოზიტიური ტრანსფერის უზრუნველსაყოფად და გასაძლიერებლად ტრეინინგის პროგრამის შედეგისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი მომენტები:

- ტრეინინგისა და რეალური სამუშაოს გარემო მაქსიმალურად ახლოს უნდა იყოს ერთმანეთთან;
- ტრეინინგმა მონაწილეებს უნდა მისცეს რეალურ სიტუაციაში ეფექტური მოქმედებისათვის აუცილებელი უნარჩვევები და გამოცდილება;
- უზრუნველყოფილი იყოს ის, რომ მონაწილენი სწორად იგებდნენ მათოვის მიწოდებულ პრინციპებს, განსაკუთრებით, თუ ეს პრინციპები მათ რეალურ სამუშაოში უნდა გამოიყენონ;
- არსებობდეს მჭიდრო კავშირი ტრეინინგის შინაარსსა და სამუშაოს შინაარსს შორის;
- დარწმუნებული იყოს იმაში, რომ ადამიანს სამუშაო ად-

გილზე მოუწონებენ ტრეინინგის დროს ნასწავლის, ვინაიდან, თუ ხელმძღვანელი რამე უქსტით ან სიტყვით გამოხატავს თავის უნდობლობას ტრეინინგზე ნასწავლისადმი, მაშინ ნორმალურ შედეგებს არ უნდა ველოდეთ.

ტრეინინგის უფექტურობისათვის აუცილებელია მსმენელის მოტივაციის უზრუნველყოფა. მოტივაცია არის ის, რაც აღძრავს, წარმართავს, ენერგით კვებავს და უზრუნველყოფს მიზნის, მისწრაფებისა და კონკრეტული ქვევის წარმოშობა-შენარჩუნებას, ამასთანავე, განამტკიცებს ტრეინინგის დროს მიღებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

ტრეინინგში წარმატების მიღწევის მოტივაციაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- კარგი (ხელისშემწყობი) სამუშაო გარემო. ტრეინინგზე დასწავლილის სათანადო გამოყენებისათვის ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაო გარემოს გავლენას მუშაკის მოტივაციაზე. სახელდობრ, სამუშაოს კარგად შესრულებისათვის ადამიანს უნდა ჰქონდეს ყველა საჭირო რესურსი (მატერიალური, ფინანსური, ადამიანური). აუცილებელია აგრეთვე ნორმალური სოციალური გარემო, კარგი ურთიერთობები თანამშრომლებთან და ხელმძღვანელთან. კომუნიკაციები უნდა იყოს რეგულარული, გულახდილი, საქმიანი, უკროფლიქტო და ეფექტუანი უგუკავშირის საშუალებას იძლეოდეს. ასეთ სიტუაციაში ადამიანს ეძლევა და უმტკიცდება რწმენა, რომ იგი წარმატებით გამოიყენებს ტრეინინგის შედეგებს;
- უნდა არსებობდეს დასაბუთებული აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანს აქვს გარკვეული ხარვეზი ცოდნის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების მხრივ, რომელიც საჭიროა და შესაძლებელია გამოსწორდეს ტრეინინგის მეშვეობით;

- საჭიროა რწმენა იმისა, რომ ადამიანი შეძლებს ტრეინინგის შედეგების უფექტიანად გამოყენებას. ამ მხრივ დიდად მნიშვნელოვანია ორგანული ურთიერთკავშირი ლექტორს, ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს შორის;
- აუცილებელია მსმენელს სჯეროდეს, რომ ტრეინინგის წარმატებით დასრულება მას სასურველ შედეგებს მოუტანს (დაწინაურება, ხელფასის მომატება და სხვ.).

ცივილიზაციულ ქვეყნებში ბიზნეს-ტრეინინგების დროს, სხვა მოწინავე ტექნოლოგიებთან (მაგალითად, პროექტების მეთოდი, რომელიც მე-3 თავში იყო განხილული) ერთად, ძირითადად გამოიყენება კონკრეტული სიტუაციების მეთოდი – „ქეის-სთადი“ (Case-study), რომლის სამშობლოდ ითვლება ამერიკის შეერთებული შტატები. პირველად ეს მეთოდი გამოიყენეს პარვარდის უნივერსიტეტში 1924 წელს. იგი ითარებს როგორც „კონკრეტული სიტუაციების გარჩევა“.

„ქეისი“ (შემთხვევა, საქმე, გარემოება, სამეურნეო სიტუაცია) – ეს არის მაგალითი, რომელიც აღებულია რეალური ბიზნესიდან. იგი გადმოცემულია ტექსტის სახით, რომელიც მოგვაგონებს ეკონომიკური პროფილის გაზირებში გამოქვეყნებულ სტატიას, ან აღწერს კონკრეტული კომპანიის ჩამოყალიბებას, განვითარებას, მდგომარეობას და მართვას დინამიკაში. ეს ყოველივე გადმოცემულია ციფრებში, რეალური დასახელებებისა და გვარების მითითებით.

რიგ შემთხვევებში, სათანადო მასალის არარსებობის დროს, იყენებენ ვირტუალურ, წარმოსახვის მეშვეობით შექმნილ „ქეისებს“.

ტრეინინგის მსმენელებს ევალებათ განსაზღვრონ ბიზნესის განვითარების ამოცანები, აგრეთვე კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად გამოიმუშაონ მოქმედებათა საკუთარი ვარიანტები.

ცნობილია, რომ რეალურ ბიზნესში არ არსებობს ერთ-მნიშვნელოვნად სწორი გადაწყვეტილებები. „ქეისების“ მეთოდით სწავლების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი მონაწილე

აყენებს გარიანტებს, საკუთარი ცოდნიდან, პრაქტიკული გამოც-
დილებიდან და ინტეიციიდან გამომდინარე.

სხვადასხვა ინფორმაციის განხილვა და შეფასება ხდება
საერთო დისკუსიის პროცესში. „ქეისის“ გარჩევის პროცედუ-
რა მოიცავს შემდეგ მომენტებს: „ქეისის“ წაკითხვა; განხილვა
კვეთული; გადაწყვეტილების მიღება და პრეზენტაცია.

კონკრეტული სიტუაციების გარჩევა მსოფლიოს მოწინავე
ბიზნეს-ტრეინინგების ერთ-ერთ უმთავრესი სასწავლო მეთოდია.
იგი ძალის დაკავშირებული სალექციო სწავლების მე-
თოდთან და შემოქმედებითად ავთარებს მას. ორივეს საკუთარი
ადგილი და როლი აქვს სასწავლო პროცესში. ლექციის მეშვეო-
ბით შეუძლებელია გაკეთდეს ის, რასაც კარგად ართმევს თავს
„ქეისის“ მეთოდი და, პირიქით. ამიტომ დაუშვებელია რომელიმე
მათგანის გამორჩევა და გადაჭარბებული გამოყენება.

კონკრეტული სიტუაციების მეთოდით სწავლება მსმენელს ამ-
დიდრებს შეძლევი შესაძლებლობებით:

- დაინახოს და გაიაზროს პრობლემა ხელმძღვანელის ან
მონაწილის თვალით;
- ღრმად ჩასწვდეს და პრაქტიკულად გამოიყენოს ეკონომი-
კური კონცეფციები;
- შეადაროს ერთმანეთს სხვადასხვა მიღებობა და გამოი-
მუშაოს მათში გარკვეული ტიპოლოგია;
- არსებული გამოცდილების, ხედვისა და მსჯელობის მეშ-
ვეობით გაიაზროს და დააბალინოს პრობლემები და
ფაქტები. შეაჯეროს და სხვებს გაუზიაროს საკუთარი
გამოცდილება და ნააზრევი;
- გამოიყენოს თავისი ანალიტიკური უნარ-ჩვევები მოქმედე-
ბაში, რეალურ სიტუაციაში;
- განავითაროს თავისი დაჯერებულობა სიტუაციაში მონა-
წილეობისადმი და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები. შეის-
წავლოს, თუ როგორ დაიცვას საკუთარი პოზიცია, მოიტა-

ნოს სათანადო არგუმენტები, დაარწმუნოს სხვები, აგრეთვე
გაითავისოს ყოველივე ის, რაც შეუძლებელია გაკეთდეს
ლექციასა და მის ანალოგიურ მეცადინეობაზე;

- გაიღრმაოს ცოდნა თანამედროვე ეკონომიკის თეორიული
და პრაქტიკული პრობლემების სფეროში.

„ქეისის“ გარჩევისას ლექტორს შეუძლია დაიკავოს აქტიური
ან პასიური პოზიცია, უხელმძღვანელოს დისკუსიას ან მხო-
ლოდ შეაჯამოს არსებული სიტუაცია. მსმენელის საინტერესო
გამოსვლისას მასწავლებელს შეუძლია მხარი დაუჭიროს მას
ან მოითხოვოს ასეთი დებულებების პრიორიტეტულ პოზიციაზე
წამოწევა. ხშირად პედაგოგი კითხვების სერიისა და კამათის
მეშვეობით ცდილობს ჩამოაყალიბებინოს მსმენელს საბოლოო,
დასაბუთებული აზრი და გადაწყვეტილება.

გარჩევის დაწყებამდე აუცილებელია ჯგუფმა მოახდინოს საკ-
ვანძმ პრობლემების გამოვლენა და დაადგინოს, თუ მოცემული
ინფორმაციიდან რომელია მთავარი, დასახული ამოცანის გადა-
საჭრელად.

**არსებობს სიტუაციის ანალიზის რამდენიმე ტიპი, რომელთაგან
აღსანიშნავია:**

- 1) **ყოველმხრივი (დაწვრილებითი) ანალიზი.** იგი გულისხმობს
„ქეისის“ საკვანძო საკითხებში სიღრმისეულ წვდომას,
მათ შორის, რეკომენდებული მოქმედებების დეტალურ
განხილვას;
- 2) **სტეკიალიზებული ანალიზი.** რომელიც კონცენტრირებულია
კონკრეტულ საკითხზე ან პრობლემაზე;
- 3) **დასაწყისის ანალიზი.** ამ შემთხვევაში ლექტორი შემოი-
ფარგლება დისკუსიის მთავარი საკითხების მიმოხილვით.

**დისკუსიის დამთავრებისას მსმენელმა უნდა ჩამოაყალიბოს დასკვნები,
მოამზადოს გამოსვლის თეოროგია, გამოვიდეს ჯგუფის წინაშე და ვადომოს**

ცეს პრობლემის გადაჭრის მისეული ხედვა და დასახოს სათანადო გზა.

კონკრეტულ სიტუაციებს, როგორც წესი, წერებ გამოცდილი ლექტორები და სპეციალისტები. „ქეისში“ უნდა აისახოს რეალური კომპანიის განვითარების გზა ან რაიმე კონკრეტული პრობლემა. ამიტომ, გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც კომპანიას არ სურს ინფორმაციის გაცემა, „ქეისში“ შედგენა შეუძლებელი ხდება. ასეთი პრობლემები კი საქართველოში გაცილებით ხშირია, რის გამოც ამ ეტაპზე ჩვენი ბიზნესის მაგალითებზე „ქეისების“ შედგენა თთოქმის წარმოუდგენელია. შესაძლებელია მხოლოდ რომელიმე მცირე საჭარბოს მაგალითზე რაიმე პრობლემის შერჩევა, ციფრებისა და მონაცემების შეცვლა და საშუალო ხარისხის „ქეისში“ დაწერა. ასეთ შემთხვევებში დასაშვებია ვირტუალური „ქეისების“ შექმნა და გარჩევა.

დღვეუნდელ ეტაპზე მიზანშეწონილია ბიზნეს-ტრეინინგის პრცესში ფართოდ დავნერგოთ ის „ქეისები“, რომლებიც აპრობირებულია უცხოეთში და იმყოფება ზოგიერთ სახელმძღვანელოსა და სპეციალიზებულ ლიტერატურაში.

არსებობს ტრეინინგ-პროგრამების წარმატების შეფასების ხუთი კრიტერიუმი:

- 1) ტრენინგის მონაწილეთა რეაქციები (რამდენად მოსწონთ პროგრამა, როგორია მათი დამოკიდებულება);
- 2) დასწავლა (რა პრინციპები, ფაქტები და უნარ-ჩვევები შეითვისეს მსმენელებმა);
- 3) ქცვა (გამოიწვია თუ არა პროგრამამ ცვლილებები რეალურ სამუშაო სიტუაციაში, ანუ განხორციელდა თუ არა ტრანსფერი);
- 4) შედეგები (რამდენად იმოქმედა ტრეინინგ-პროგრამის შედეგებმა სამუშაოს შესრულების ხანგრძლივ და სტაბილურ გაუმჯობესებაზე, რაც აისახება გაცდენებისა და საჩივრების შემცირებაში ან მუშაობის ხარისხისა და ოდენობის გაუმჯობესებაში);
- 5) პერსპექტივები (რამდენად მოტივირებული ჩანს ორგა-

ნიზაციისათვის მომავალში ანალოგიური ტრეინინგების ჩატარება).

წარმატებული ტრეინინგ-პროგრამის აუცილებელი მახასიათებლები კი შემდეგია:

- 1) უნდა განისაზღვროს პროგრამის სპეციფიკური მიზნები ორგანიზაციის მიზნების, ამოცანებისა და პერსონალის დეტალური ანალიზის საფუძველზე. ძირითადი იდეა არის – ტრეინინგის რეალური მოთხოვნების დადგენა და იმის განსაზღვრა, თუ რა ცვლილებებია საჭირო;
- 2) უნდა შეიქმნას ტრეინინგის ისეთი გარემო, რომელიც მიგვიყვანს ამ მიზნების მიღწევამდე. ძირითადი გადამწყვეტი ასპექტები მოიცავს შესაბამისი დასწავლის პირობებისა და ტრეინინგის ტიპის განსაზღვრას;
- 3) პროგრამის აგებაში ნაგულისხმევი უნდა იყოს შეფასების პროცესები. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ტრეინინგის თითოეული მსმენელის მიერ დავალების შესრულების პრე-ტესტი, მონიტორინგი და პოსტ-ტესტი. ტრეინინგ-სიტუაციაში დასწავლილი მხოლოდ მაშინ არის ღირებული, თუ ის რეალურ სამუშაოზე იქნება გადატანილი. გადატანა უნდა გაიზომოს რეალური სამუშაოს არსებითი კრიტერიუმების საშუალებით;
- 4) ტრეინინგის შედეგები უნდა შევადაროთ საწყის მიზანს, რათა განვსაზღვროთ პროგრამის ეფექტიანობა, აუცილებლობის შემთხვევაში კი შევიტანოთ კორექცია.

ქვემოთ სანიმუშოდ მოვიტანთ მეცადინეობის ერთ-ერთი, 12-დღიანი ტრეინინგ-კურსის განრიგის დისციპლინაში „პროექტების მენეჯმენტი“, რომლის დროსაც ჩვენ მიერ გამოიყენება პროექტების, გუნდური მუშაობის, კვლევითი და კონკრეტული სიტუაციების მეთოდები.

ბიზნეს-ტრანზიგის კურსი დამზებათათვის:

„პროექტების მხეჯვები“

მუდმივების განრიგი

დღე 1.

1. მონაწილეების გაცნობა, მიმოხილვითი ლექცია-საუბარი და კონკრეტული კომედიური სიტუაციის ანალიზი (Case-Study) თემაზე: „დროის მენეჯმენტის მოთხოვნების დარღვევა პროექტის შედგენისას“ (1 სთ.);
2. გუნდური მიკროპროექტების შედგენა თემაზე: „ერთდღიანი რთველის დაგეგმვა და ორგანიზაცია“ (2 სთ.);
3. გუნდური მიკროპროექტების პრეზენტაცია და გამარჯვებული გუნდის დაჯილდოება (1 სთ.).

დღე 2.

1. ლექცია-დებატები თემაზე: „მენეჯმენტი“ (2 სთ.);
2. დებატები საპროექტო იდეების გენერაციის ირგვლივ (2 სთ.).

დღე 3.

1. ლექცია-დებატები თემაზე: „პროექტის მენეჯმენტი“ (2 სთ.).
2. ტესტის შევსება პროექტის მენეჯერის თვისებებზე (2 სთ.).

დღე 4.

1. ლექცია-დებატები თემაზე: „დროის მენეჯმენტი“ (2 სთ.).
2. ტესტის შევსება დროის მენეჯმენტში (2 სთ.).

დღე 5.

1. ლექცია-დებატები თემაზე: „პროექტის მენეჯმენტი“ (2 სთ.).
2. ლექცია-დებატები თემაზე: „დროის მენეჯმენტი“ (2 სთ.).

დღე 6.

1. ლექცია-დებატები თემაზე: „მენეჯმენტი“ და მენეჯმენტის ლექსიკონის ინდივიდუალური რეფერატების განხილვა (4 სთ.).

დღე 7.

1. სემინარი-ინტერაქტივი და დებატები თემაზე: „მენეჯმენტი“, „პროექტის და დროის მენეჯმენტი“ (4 სთ.).

დღე 8.

1. კონკრეტული სიტუაციის გარჩევა (Case-Study): „სპეციფიკური პროექტის მენეჯმენტი: – „ქართული ეროვნული ტანსაცმლის წარმოება“ და სათაადო პროექტის მონახაზის ინდივიდუალური შედგენა (2 სთ.);
2. კონკრეტული სიტუაციის წერითი ფორმით გარჩევა (Case-Study): „ნავთობსადენის პროექტის მენეჯმენტის მორალური და ეკოლოგიური ასპექტები“ (2 სთ.).

დღე 9.

1. პროექტების შედგენა გუნდებში (4 სთ.).

დღე 10.

1. პროექტების შედგენა გუნდებში (4 სთ.).

დღე 11.

1. პროექტების შედგენა გუნდებში (4 სთ.).

დღე 12.

1. პროექტების პრეზენტაცია და გამარჯვებულ გუნდებზე პრიზების გაცემა (3 სთ.).

2. ტრეინინგ-კურსის შეჯამება (1 სთ.).

სულ: 12 სამუშაო დღე (დღეში 4 აკად. საათი, სულ – 48 აკად. საათი).

ბიზნეს-ტრეინინგები უმნიშვნელოვანეს რვოლს წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, რის გამოც აუცილე-

ბელია მისი დანერგვა საქართველოს სამურნეო ცხოვრების ყველა დონეზე.

საკითხები თვითშემოტევისა
და გამორჩევისათვის

ინდივიდუალურად, წყვილებში ან გუნდებში განიხილეთ შემდეგი თემატიკა:

1. მაღალეფექტიან საპროექტო გუნდად ჩამოყალიბების პროცესები;
2. მაღალეფექტიანი საპროექტო გუნდის მოდელი;
3. პოზიტიური ატმოსფერო კოლექტივში;
4. პროცესების ერთობლივი გადაჭრა;
5. ლიდერობის ხელოვნება;
6. ქცევის ნორმების ძირითადი კატეგორიები;
7. ქცევის ნორმების სანიმუშო ჩამონათვალი;
8. კოლექტივის ინდივიდუალურობა და განუმეორებლობა;
9. აქტიურად მოსმენის დამაპრკოლებელი ფაქტორები;
10. რეკომენდაციები აქტიურად მოსმენის უნარის განვითარებისათვის;
11. კოლეგების მოსმენის უნარის დაუფლება;
12. რეკომენდაციები ეფექტიანი თათბირების ჩატარებისათვის;
13. პროცესებითა ანალიზის ეტაპები;
14. გადაწყვეტილებათა მიღების ტიპური ხერხების აღწერა;
15. რეკომენდაციები კონსენსუსის მეთოდით გადაწყვეტილებათა მისაღებად;
16. კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრისადმი ოთხი არაეფექტიანი მიღობა;
17. რეკომენდაციები კონფლიქტური სიტუაციების პროცესზე გადაჭრისათვის;
18. რეკომენდაციები საპროექტო გუნდის სწავლების პროცე-

- სის წარმართვისათვის;
19. ტრეინინგების ორგანიზაციისა და მეთოდიკის უმთავრესი მომენტები;
 20. კონკრეტული სიტუაციების მეთოდი – „ქეის-სთადი“ (Case-study);
 21. ტრეინინგ-პროგრამების წარმატების შეფასების კრიტერიუმი და მახასიათებლები;
 22. მეცადინეობის სანიმუშო განრიგი ტრეინინგ-კურსისა დისკიპლინაში „პროექტების მენეჯმენტი“.

თავი 9

კომუნიკაციაში და პროექტის დასრულება

9.1. კომუნიკაციები აროექტის შესრულების დროს

1) კომუნიკაციები საპროექტო გუნდში

პროექტის წარმატებისათვის აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნება მუდმივი, ეფექტური კომუნიკაციები პროექტის ყველა მონაწილეს შორის.

იმისათვის, რომ პროექტი სათანადო შესრულდეს, მასში მონაწილე ყველა დაინტერესებულ პირს მუდმივად უნდა ჰქონდეს ურთიერთობა ერთმანეთთან, ანუ ადამიანებს შორის უნდა იყოს კომუნიკაციები. თავისი დროის მნიშვნელოვან ნაწილს პროექტის ხელმძღვანელი ხარჯავს ურთიერთობაზე. კომუნიკაციების დროს ხდება მიზნების შეთანხმება, კოორდინირდება ადამიანთა მოქმედებები, ვლინდება და იჭრება პრობლემები, რეგულირდება ადამიანთა მოლოდინები. ეს ნიშნავს, რომ პროექტების მართვის თითოეული მეთოდი, არსებითად, კომუნიკაციის ერა თუ ის ხერხია.

კომუნიკაციათა ხელოვნების დაუფლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროექტის ხელმძღვანელისათვის. პროექტის ხელმძღვანელს კარგად უნდა შეეძლოს:

- საკუთარი აზრების გადმოცემა როგორც ზეპირად, ასევე წერილობით;
- შედეგიანი თაობირების ჩატარება;
- კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრა კონსტრუქციული სულისკეთებით;
- თანამოსაუბრეთა მოსმენა და მათი აზრების გაგება.

საპროექტო გუნდის წევრებს ვააჩნიათ ოთხი ძირითადი კომუნიკაციური მოთხოვნილება:

1. **მოვალეობები.** საპროექტო გუნდის თითოეულმა წევრმა ზუსტად უნდა იცოდეს, თუ პროექტის რომელ ნაწილზეა ის პასუხისმგებელი;
2. **კოორდინაცია.** ასრულებენ რა დავალებულ სამუშაოს, საპროექტო გუნდის წევრები დამოკიდებული არიან ერთმანეთზე. მაკოორდინირებელი ინფორმაცია უზრუნველყოფს საპროექტო გუნდის წევრების ერთობლივი მუშაობის მაღალეფებისას;
3. **პროექტის შესრულების მიმდინარეობა.** გარკვეული მიზნისაკენ მოძრაობა გულისხმობს მიღწეული პროგრესისთვის რეგულარული ყურადღების მიქცევას. ეს აუცილებელია პრობლემათა გამოსავლენად და საპასუხო ზომების მისაღებად. საპროექტო გუნდის წევრები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას პროექტის მიმდინარე მდგომარეობაზე;
4. **ინფორმირებულობა მისაღები გადაწყვეტილებების შესახებ.** საპროექტო გუნდის წევრები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას კლიენტების, სპონსორებისა და ფირმის ხელმძღვანელობის მიერ მისაღები გადაწყვეტილებების შესახებ, თუ ეს გადაწყვეტილებები ეხება შესასრულებელ პროექტსა და მის ეკონომიკურ კონტექსტს. საპროექტო გუნდის წევრები უნდა იცნობდნენ ამ გადაწყვეტილებებს, რაც აუცილებელია სინქრონიზაციისთვის ამ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის დროს.

2) სამუშაოების განაწილება შემსრულებლებს შორის

იმისათვის, რომ პროექტი წარმატებით შესრულდეს, ხოლო პროექტის ხელმძღვანელმა მიიღოს დამსახურებული აღიარება, მისი გადაწყვეტილებები და მთითებები უნდა იყოს მკაფიო და გასაგები თითოეული ხელქვეთისთვის.

გავალებთ რა განსაზღვრულ სამუშაოს ინდივიდუალურ ან კოლექ-

ტიურ შემსრულებელს, აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ შემდეგი საბაზო წესებით:

- აუხსენით შემსრულებელს, თუ როგორი უნდა იყოს მისი მუშაობის შედეგი. დარწმუნდით იმაში, რომ მან სწორად გაიგო თქვენი ახსნა-განმარტებები, მათ შორის, ისიც, თუ როგორი იქნება მისთვის დავალებული სამუშაოს შესრულების შეფასების კრიტერიუმები;
- აუხსენით შემსრულებელს შრომითი დანახარჯების მოსალოდნელი დონე და მიუთითეთ ვადა, რომლისთვისაც უნდა იქნეს შესრულებული დავალებული სამუშაო. აუხსენით ისიც, თუ რა ადგილი უკავია ამ სამუშაოს შესასრულებელ პროექტში;
- თუ თქვენთვის ცნობილია რაიმე დაბრკოლება, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს სამუშაოს შესრულებას, ან გაქვთ განსაკუთრებული ინფორმაცია, რომელიც შეიძლება დასჭირდეს მის შემსრულებელს, გააცანით მას ეს ცნობები. განაწყვეტ იგი დავალებული სამუშაოს წარმატებით დასრულებაზე;
- სამუშაოების განაწილება არ ანდოთ სხვა პირს ან არ დაზოგოთ დრო ახსნა-განმარტებებზე, კითხვებზე პასუხის გაცემაზე და ასევე იმის განხილვაზე, რაც შეიძლება აინტერესებდეს შემსრულებლებს. ამაზე დახარჯული დრო უნდა განიხილებოდეს, როგორც მნიშვნელოვანი წვლილი საპროექტო გუნდის წარმატებით ფუნქციონირებაში – რაც უფრო საგულდაგულოდ მოამზადებთ მას მომავალი სამუშაოსთვის, მით უფრო წარმატებით შესრულდება ეს სამუშაო.

დაგევმეთ დრო პროექტის ცალკეულ შემსრულებლებთან რეგულარული შეხვედრებისთვის. გახსოვდეთ, რომ თქვენი ამოცანა მდგრადია მიაში, რომ მათი მუშაობა იყოს მაქსიმალურად პროდუქ-

ტიული. პროდუქტიულობის ხარისხის შეფასებას თქვენ შეძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გემახსოვრებათ, რაზე მუშაობს თითოეული მათგანი და რა პრობლემების გადაჭრას ცდილობენ ისინი.

პროექტის შესრულების მიმდინარეობისადმი მიძღვნილი საპროექტო გუნდის თათბირები ვერ უზრუნველყოფს პროექტის შემსრულებლებთან ურთიერთობის ინდივიდუალურ დონეს. პროექტის ხელმძღვანელი უნდა ზრუნავდეს პროექტის ცალკეულ შემსრულებლებთან შეხვედრათა ორგანიზაციაზე. პროექტის ხელმძღვანელმა თავის საკვირაო განრიგში უნდა გაითვალისწინოს დრო საპროექტო გუნდის თითოეულ მონაწილეობას შესაბეჭდრად, როთაც წინასწარ იგეგმება დრო ხელჭევითებთან ურთიერთობისათვის.

3) ურთიერთობა ფირმის ხელმძღვანელობასა და შემკვეთებთან

წარმატებულია ის პროექტები, რომლებიც პასუხობენ ფირმის ხელმძღვანელობისა და შემკვეთების მოღვაწეობებს.

კომუნიკაციური გეგმა უნდა შეიცავდეს სტრატეგიის დაწვრილებით გადმოცემას, რომლის მიზანს წარმოადგენს არა მარტო ამ დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება, არამედ მათი მოლოდინების აქტიური მართვაც.

ამჟავებს რა კომუნიკაციურ გეგმას, პროექტის ხელმძღვანელმა უნდა უპასუხოს კითხვებს, რომლებიც ესება შემკვეთებისა და ფირმის ხელმძღვანელობის ინფორმირებას:

- ვისთვის და რატომ არის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება?
- სახელდობრ, რომელი ინფორმაციაა მათთვის აუცილებელი, რამდენად დაწვრილებითი უნდა იყოს ეს ინფორმაცია და რა სიხშირით უნდა იქნეს იგი წარდგენილი?
- თუ საუბარია ფირმის ხელმძღვანელობასა და შემკვეთებთან კომუნიკაციებზე, როგორი უნდა იყოს თქვენი მიზანი და ყველაზე უკეთ რა გზით მიიღწევა ეს მიზანი?

უპასუხებთ რა ამ კითხვებს, თქვენ შეძლებთ გაცილებით ეფექტიანად მართოთ ამ მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეების მოლოდინები და დროულად მიიღოთ მათგან თქვენთვის საჭირო გადაწყვეტილებები.

აუცილებლად დროულად აცნობეთ ფირმის ხელმძღვანელობა-სა და შემკვეთებს ყველაზე ფაქტი პროექტის შესრულების დროს წარმოქმნილი სირთულეების შესახებ. რაც უფრო სწრაფად გააკეთებთ ამას, მით უფრო ადვილად გადაჭრით წარმოქმნილ პრობლემას. ფირმის ხელმძღვანელობისა და შემკვეთებისაგან „ცუდი ახალი ამბების“ დამაღვა მჩიმე შედეგებს გამოიწვევს – მიჩქმალული პრობლემა გაღრმავდება და გადაუჭრელ დილემად გადაიქცევა, რაც სხვა ზიანთან ერთად, თქვენი რეპუტაციის სერიოზულ შეღარვასაც გამოიწვევს.

9.2. ორგანიზაციული უეპრება და პროექტის შესრულების მსვლელობისადმი მიმღვიწილი თათბირები

1) ორგანიზაციული შეკრება

თთოულ პროექტს უნდა პქონდეს მისი შესრულების დაწყების მასიმალული ზებულონი მოვლენა. ასეთი ნათელი და დასამახსოვრებელი მოვლენის როლს ასრულებს ორგანიზაციული შეკრება, რომლის გან- მავლობაში ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია შეხვდონ, ერთმა- ნეთის გაცნობა და კოლექტივის მიერ საკუთარი თავის გაცნობიერება, რომლის ყველა წევრი მიისწრაფვის გარკვეული, ყველასთვის საერთო მიზნისაკენ.

ორგანიზაციული შეკრება, ჩვეულებრივ, ახდენს პროექტის შესრულების ფაზის დაწყების სიმბოლიზებას. ამ დროისთვის უპევ დამტკიცებულია სამუშაოს შინაარსი და პროექტის გეგმა, შერჩეულია პროექტის შემსრულებელთა შემადგენლობა. ამრიგად, ორგანიზაციული შეკრება ყველა დაინტერესებულ მხარეს აძლევს

შესაძლებლობას – შესაფერის ვითარებაში დააფიქსიროს პროექტის შესრულების დაწყება. ქვემოთ ჩამოყალიბებულია ორგანიზაციული შეკრების სანიმუშო ფორმატი:

- ორგანიზაციული შეკრება მიჰყავს პროექტის სპონსორს. ის უხსნის ყველა დამსწრეს პროექტის მიზანსა და ადგილს, რომელიც უკავია ამ პროექტს ფირმის საქმიანობაში;
- დამსწრენი ეცნობიან პროექტის შემკვეთებს (კლიენტებს). ისინი განმარტავნ მოცემული პროექტის მნიშვნელობას მათი ბიზნესისთვის;
- პროექტის სპონსორი დამსწრებს წარუდგენს პროექტის ხელმძღვანელს;
- იწყება საპროექტო გუნდის წევრთა სახელობითი წარდგენა (თუ საპროექტო გუნდი არ არის ძალზე მრავალრიცხოვანი). მომწოდებლები და მოიჯარები, აგრეთვე, უნდა იქნენ წარდგენილნი ორგანიზაციული კრების მონაწილეებისთვის;
- დამსწრებს ურიგებენ საფირმო ყავის ფინანსებს, ჩოგბურთის მაისურებს ან სხვა სუვენირებს ფირმის ან მომავალი პროექტის სიმბოლიკით. ორგანიზაციული კრება უფრო შესაფერისი მომწოდია სუვენირების გადაცემისათვის, ვიდრე პროექტის დასრულება, რადგან ასეთი რიტუალი ხელს უწყობს ადამიანებში კოლექტივიზმისა და ერთობლივი მიზნისაკენ სწრაფვის გამომტავებას;
- არაფორმალური ნაწილი. პროექტის მომავალი მონაწილეები პირადად ეცნობიან ერთმანეთს და უზიარებენ აზრებს მომავალი სამუშაოს თაობაზე.

მსხვილი პროექტების შემთხვევაში შემსრულებელთა რაოდენობა იძლენად დიდია, რომ შეუძლებელი ხდება ყველას მოწვევა ორგანიზაციულ შეკრებაზე. ასეთ შემთხვევაში პროექტის ხელმძღვანელმა უნდა ჩატაროს შეკრებები საპროექტო გუნდის ცალკეულ ჯგუფებთან.

ყოველ ასეთ შექრებაზე დახარჯული დრო დიდ წელიღლის შეიტანს შეკავშირებული საპროექტო გუნდის ჩამოყალიბებისა და მისი მაღალი პროდუქტიულობის უზრუნველყოფაში.

2) პროექტის შესრულების მსვლელობისადმი მიძღვნილი თათბირები

პროექტის შესრულების მსვლელობაზე თვალყურის დევნება მოითხოვს თათბირების რეგულარულ ჩატარებას. ეს საჭიროა ინფორმაციის გაცვლისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

პროექტის შესრულების მსვლელობისადმი მიძღვნილი, სწორად ორგანიზებული თათბირი აქმაყოფილებს მრავალ კომუნიკაციურ მოთხოვნილებას, რომელიც წარმოეშობათ საპროექტო გუნდის მონაწილეებს.

პროექტის შესრულების მსვლელობისადმი მიძღვნილი თათბირები პროექტის ხელმძღვანელის შემდეგ შესაძლებლობებს უქმნის:

- ასეთი თათბირები ხელს უწყობს საპროექტო გუნდის შეკავშირებულობას და ამ გუნდის ყველა წევრს ერთად შეკრების იშვიათ შესაძლებლობას აძლევს;
- ინფორმაცია პროექტის შესრულების მსვლელობის შესახებ უნდა მივიღოთ, აგრეთვე, „გარეშე“ წყაროებიდანაც (პროექტის სპონსორი, შემკვეთი და ფირმის ხელმძღვანელობა);
- პროექტის შესრულების მსვლელობისადმი მიძღვნილი თათბირების დროს უნდა გამოვავლინოთ პოტენციური პრობლემები და გავიაზროთ მათი გადაჭრის გზები;
- საჭიროა მივაღწიოთ საპროექტო გუნდის ყველა წევრის მიერ პროექტის შესრულების მსვლელობისა და თათბირის ჩატარების მომენტისთვის მიღწეული შედეგების გაგებას. გუნდის წევრებმა ერთობლივად უნდა განსაზღვრონ პროექტის გეგმაში ამა თუ იმ ცვლილების შედეგის გამო არ შესრულებულა, აგრეთვე, შემდეგი ორი საანგარიშო პერიოდისთვის დაგეგმილი ამოცანები (სანგარიშო პერიოდი განისაზღვრება როგორც დროის მონაკვეთი პროექტის შესრულების მსვლელობისადმი მიძღვნილ ორ შემდგომ თათბირს შორის. თუ, მაგალითად, პროექტის აუცილებლობა;

- განუმარტეთ საპროექტო გუნდის წევრებს მათი პასუხისმგებლობა პროექტის წინაშე დასახული ყველა მიზნის მისაღწევად.

პროექტის შესრულების მსვლელობისადმი მიძღვნილი თათბირები ეფუძნება მართვის კოლექტიურ სტილს. ისინი გულისხმობენ საპროექტო გუნდის მონაწილეობას პროექტის დაგეგმვაში. გარდა ამისა, პროექტის ხელმძღვანელმა უნდა წაახალისოს საპროექტო გუნდის წევრთა აქტიური მონაწილეობა პროექტის შესრულებაში მათ მიერ ერთობლივად შემუშავებული პროექტის გეგმის თანახმად. ასეთი მიღვომა ეფუძნება იმას, რომ საპროექტო გუნდის თითოეული წევრის მონაწილეობა პროექტის მართვაში ხელს უწყობს შემსრულებელთა პირადი დაინტერესებულობისა და პასუხისმგებლობის ზრდას.

ეფექტუარი თათბირის ჩატარების ძირითადი წესების გარდა, რომელიც საუბარი იყო მე-8 თავში, პროექტის შესრულების მსვლელობისადმი მიძღვნილი თათბირების ჩატარებისას უნდა მივყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ რეკომენდაციებს:

- პროექტის შესრულების მსვლელობისადმი მიძღვნილი ყოველი მორიგი თათბირისთვის საგულდაგულოდ უნდა მოემზადოთ. ყოველი ასეთი თათბირისთვის ადგენენ დღის წესრიგს. გარდა ამისა, თათბირის დაწყებამდე მისმა თითოეულმა მონაწილემ უნდა შეადგინოს ანგარიში დაუმთავრებელი სამუშაოს შესახებ – OTR (Open Task Report). OTR წარმოადგენს პროექტის გეგმის ქვესიმრავლეს, რომელშიც ჩამოთვლილია ყველა ის ამოცანა, რომელიც უნდა შესრულდეს, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო არ შესრულებულა, აგრეთვე, შემდეგი ორი საანგარიშო პერიოდისთვის დაგეგმილი ამოცანები (სანგარიშო პერიოდი განისაზღვრება როგორც დროის მონაკვეთი პროექტის შესრულების მსვლელობისადმი მიძღვნილ ორ შემდგომ თათბირს შორის. თუ, მაგალითად, პროექტის

- შესრულების მსვლელობისადმი მიძღვნილი თათბირები ტარდება ყოველკირულად, მაშინ, საანგარიშო პერიოდი უდრის ერთ კვირას);
- საპროექტო გუნდის მუდმივი წევრების გარდა თათბირში მონაწილეობას უნდა იღებდნენ უშტატო შემსრულებლები, რომლებიც უკვე მუშაობდნენ გარკვეული ამოცანის შესრულებაზე ან რომლებსაც მოუხდებათ მუშაობა ამა თუ იმ ამოცანის შესრულებაზე შემდგომი ორი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში;
- თათბირი გამოიყენეთ შემკვეთების ან ფირმის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მონაწილეებისათვის გასაცნობად. აუცილებლად მიაწოდეთ თათბირის მონაწილეებს ამ დაინტერესებული მხარეებიდან შემოსული ნებისმიერი პოზიტიური ინფორმაცია;
- დაუმთავრებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის საფუძველზე განსაზღვრეთ თითოეული ამოცანის მდგომარეობა, რომლის შესრულება დაწყებულ ან დამთავრებულ უნდა იქნეს პროექტის მიმდინარეობისადმი მიძღვნილი ბოლო თათბირის ჩატარების მომენტიდან;
- გამოიყენეთ საპროექტო გუნდის ყველა წევრის თათბირზე დასწრება და განიხილეთ, თუ რა უნდა გაკეთდეს თითოეული პრობლემის გადასაჭრელად. თუ აუცილებელია რაიმე განსაკუთრებული ზომების მიღება, მაშინ საჭიროა მათი დოკუმენტირება პროექტის გეგმაში ჩართვით ან გამოვლენილ პრობლემათა უურნალში ასახვით. თითოეული განსახორციელებელი ღონისძიებისათვის მითითებულ უნდა იქნეს მისი რეალიზაციის თარიღი და პასუხისმგებელი შემსრულებელი;
- არ ეცადოთ გადაჭრათ რთული პრობლემები, რომელთა შესრულდება შეუძლებელია თათბირის დროს ან რომელთა სპეციფიკა არ მოითხოვს ყველას მონაწილეობას, ვინც

ესწრება თათბირს. თუ რომელიმე პრობლემის გადაჭრა მოითხოვს ხუთ წუთზე მეტს, ამისათვის გამოყავით განსაკუთრებული დრო (მოცემული თათბირის ჩარჩოებს გარეთ).

როდესაც საპროექტო გუნდის წევრები მონაწილეობას დებულობენ პროექტის მართვაში, ისინი უფრო მეტად არიან მზად აიღონ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა ამ პროექტის წარმატებისთვის. ასეთი გარემოება საშუალებას აძლევს პროექტის ხელმძღვანელს გამოვიდეს თანაშემწის და არა ზედამხედველის როლში. ასეთ შემთხვევაში საპროექტო გუნდის წევრები ინდივიდუალური შემსრულებლებიდან იქცევიან დარაზმული, ურთიერთდამხმარე კოლექტივის წევრებად. ურთიერთთანადგომა უფრო სწარაფად იძლევა სასურველ შედეგს, ვიდრე ხელმძღვანელის გავლენა.

9.3. პროექტის დასრულებაზე ანგარიშების შედგენა

1) საბოლოო პროდუქტის ფორმალური მიღება და პროექტის შესრულების შედეგების დოკუმენტირება

პროექტის დასრულება შეიძლება დაემთხვეს დროში შემკვეთისთვის საბოლოო პროდუქტის მიწოდებას, ან უბრალოდ აღმოჩნდეს შესაბამისი პროდუქტის შემუშავების ფაზის დამთავრებად.

ნებისმიერ შემთხვევაში პროექტის დასრულების შედეგი ემსახურება ორ მნიშვნელოვან მიზანს: 1) ისინი ახდენენ პროექტის დასრულების სიმბოლიზირებას ყველა დაინტერესებული მხარის თვალში და 2) იძლევიან შესაძლებლობას მივიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მაშასადამე, რამე ვისწავლოთ.

შემკვეთის მიერ საბოლოო პროდუქტის ფორმალური მიღება, შეს-

რულებული პროექტის ანგარიშების შედგენა, გამოვლენილი პრობლემების უკრნალებისა და ცვლილებათა შეტანის უკრნალების დახურვა – ყველაფერი ეს ადასტურებს პროექტის დასრულების ფაქტს.

პროექტის დასრულების რეალური დადასტურება მომდინარეობს შემკვეთისგან (კლიენტისგან). შემკვეთის მიერ საბოლოო პროდუქტის ფორმალური მიღება ან ფაზის დასრულების დადასტურება სამუშაოს დამთავრებაზე მიუთითებს.

პროექტის ხელმძღვანელმა თავიდანვე უნდა დავეგმოს საბოლოო პროდუქტის მიღება შემკვეთის მიერ. პროექტის ხელმძღვანელმა მკაფიოდ უნდა მიუთითოს, თუ რა ფორმით სრულდება ასეთი მიღება და რა მოსამაგრებელი სამუშაოს შესრულებაა აუცილებელი მიღების პროცედურისათვის. მიღების პროცესი შეიძლება საკმაოდ ხანგრძლივი იყოს და მოიცავდეს ვრცელ ტესტირებასა და შეფასებას, რომელიც უნდა დაიწყოს დიდი ხნით ადრე, ანუ მანამდე, სანამ შემკვეთისგან მიღებულ იქნება საბოლოო ხელმოწერა. მიღების პროცედურის გამართულობისათვის აუცილებელია ეს პროცესი ჩართულ იქნეს პროექტის სამუშაოთა სტრუქტურასა და გეგმაში.

პროექტის დასრულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი მოქმედება კლასიფიცირდება როგორც გადაცემის ამოცანები, რომლებსაც მიეკუთვნება:

- პროექტის ყველა მონაცილის გათვითცნობიერება ამ პროექტის ახალი სტატუსის შესახებ და ვის უნდა მივმართოთ მომავალში ამ პროექტთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. ეს ამოცანა სრულდება შემკვეთისათვის პროექტის შედეგების გადაცემის შესახებ მოხსენებითი ბარათის შედგენით;
- მომავალში ამ პროდუქტის თანმხლები სპეციალისტებისათვის საბოლოო პროდუქტის გაუმჯობესების თაობაზე იმ იდეათა შეტყობინება, რომლებიც არ იქნა რეალიზებული მოცემული პროექტის შესრულების დროს. რომე-

ლიმე იდეა შეიძლება კიდევ უფრო ფასეული აღმოჩნდეს მათი რეალიზაციის შემთხვევაში საბოლოო პროდუქტის შემდგომ ვერსიებში;

- ნებისმიერი დაუსრულებელი ამოცანის ან გადაუჭრელი პრობლემის დეტალიზაცია პროექტის განახლებული გეგმის საშუალებით. ეს გეგმა შეიძლება გადაეცეს შემდეგი ფაზის შესრულებაზე პასუხისმგებელ სპეციალისტს, რითაც მას გაუმარტივდება მის წინაშე დაყენებული ამოცანები.

ბოლოს, გამოიყენეთ შესაძლებლობა ორგანიზაციული ან პირადი სრულყოფისათვის. გაარკვეთ პროექტის მონაწილეებში – საპროექტო გუნდის წევრებში, შემკვეთებში, მომწოდებლებსა და ფირმის ხელმძღვანელებში – თუ რას ფიქრობენ ისინი პროექტის მართვის პროცესის ეფექტიანობაზე:

- რა იქნა სწორად გაკეთებული?
- რა უნდა იქნეს სხვაგვარად გაკეთებული შემდეგ შემთხვევაში?
- როგორ შეიძლება გაუმჯობედეს კომუნიკაციები, შეფასება, რისკების მართვა ან ცვლილებათა შეტანის კონტროლი?

მოხდენთ რა პროექტის შესრულების შედეგების დოკუმენტირებას, გადაცით ეს მასალები ყველა დანიტერესებულ მხარეს და ერთი გვარებისარი შეინახეთ თქვენთვის ისეთ აღვილზე, სადაც შესაძლებელი იქნება მისი აღვილად პრონა შემდეგი პროექტების შესრულების დროს.

2) კომუნიკაციური პროცესები, ხელმძღვანელის როლი და წარმატებული პროექტები

კომუნიკაციათა კარგად ორგანიზებული პროცესი ითვლება ყველა წარმატებული პროექტისათვის ტიპურ მახსინათებლად. როდესაც ადამიანები ერთად მუშაობენ რომელიმე უნიკალური მიზნის მიღწევაზე, მათ უხდებათ საკუთარი მოქმედებების კოორდინირება,

ერთმანეთს შორის ვალდებულებათა განაწილება და პერიოდულად წონასწორობის შეფასება პროექტის განრიგს, დანახარჯებსა და საბოლოო პროდუქტის ხარისხს შორის.

შესასრულებელი პროექტს მტკიცე საფუძვლს უქმნის კომუნიკაციების ხელშეწყობის მქანიზმების ფორმირება, მათი მოქმედებაში მოყვანა, პროექტის შესრულების მიმდინარეობისთვის განკუთვნილი კრებები, ანგარიშები, ცვლილებების მართვა.

პროექტის კომუნიკაციური სტრუქტურები ამარტივებენ თანამოქმედების პროცესს პროექტის მონაწილეებს შორის, მაგრამ თავისთავად ასეთი სტრუქტურების არსებობა არ იქნება სათანადო კომუნიკაციების უზრუნველყოფის საქმარისი პირობა.

პროექტის ხელმძღვანელი ტონს უნდა აძლევდეს კომუნიკაციებს პროექტის მონაწილეებს შორის. ამისი მიღწევა ხდება შემდეგი საშუალებებით:

- კომუნიკაციური არხების გამოყენების დისკიპლინა, რომლის დემონსტრირებას ახდენს პროექტის ხელმძღვანელი. თუ, მაგალითად, პროექტის ხელმძღვანელი რეგულარულად უგულებელყოფს ცვლილებათა მართვის პროცესს, მაშინ იგი სწრაფად კარგავს ავტორიტეტს პროექტის ყველა მონაწილის თვალში. ანალოგიურად, თუ პროექტის ხელმძღვანელი ადგენს ზუსტ, დროულ და სასარგებლო ანგარიშებს პროექტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, მისთვის ადვილია მოითხოვოს დანარჩენი მონაწილეებისაგან ანგარიშების წარმოდგენის თაობაზე ვალდებულებათა განუხრელი დაცვა;
- ხასიათის ნიშნები, რომელთა დემონსტრირებას ახდენს პროექტის ხელმძღვანელი პროექტის სხვა მონაწილეებთან ურთიერთობის დროს. პროექტის ხელმძღვანელს უნდა ახასიათებდეს: სიმტკიცე, პატიოსნება, ინფორმაციის გაზიარება, გონივრულობა, დარწმუნებულობა. კომუნიკაციები არის კოლექტივში ურთიერთობათა ფუნდამენტი. ხასიათის ნიშ-

ნები და სტილი, რომელთა დემონსტრირებას ახდენს პროექტის ხელმძღვანელი პროექტის სხვა მონაწილეებთან ურთიერთობებს კოლექტივის ყველა წევრს შორის. ამგვარად, ყველა თავისი მოქმედებით პროექტის ხელმძღვანელი მაგალითს უნდა აძლევდეს პროექტის დანარჩენ მონაწილეებს.

ურთიერთობის პროცესს გამარტივებელ სტრუქტურებთან ერთად, სათანადო კომუნიკაციების უზრუნველყოფის მეორე აუცილებელ პირობას წარმოადგენს პროექტის ხელმძღვანელის მტკიცე კომუნიკაციური უნარ-ჩვევები. მოლაპარაკებათა წარმოების, თანამოსაუბრეთა მოსმენის, კონფლიქტური სიტუაციების მოწესრიგების, წერილობითი სახით საკუთარი აზრების სწორად და გასაგებად გადმოცემის უნარი, აგრეთვე, მრავალი სხვა ჩვევა ძლიერ ზეგავლენას ახდენს პროექტის პერსონალთან ხელმძღვანელის ეფექტურობის თანამოქმედებაზე. ამიტომ ყველა ეს თვისება ძალზე მიიშნელოვანია პროექტის ხელმძღვანელისთვის.

ყოველივე ეს უზრუნველყოფს პროექტის შესრულების გამართულ მიმდინარეობას და შემკვეთისათვის საბოლოო პროდუქტის წარმატებულ გადაცემას.

საკითხები თვითშემოწმებისა და გამოყრებისათვის

ონდიგიდუალურად, წყვილებში ან გუნდებში განიხილეთ შემდეგი თემატიკა:

1. კომუნიკაციები საპროექტო გუნდში;
2. სამუშაოების განაწილება შემსრულებლებს შორის;
3. ურთიერთობა ფირმის ხელმძღვანელობასა და შემკვეთებთან;

- ორგანიზაციული შექრება;
- პროექტის შესრულების მსვლელობისადმი მიძღვნილი თათბირები;
- საბოლოო პროდუქტის ფორმალური მიღება და პროექტის შესრულების შედეგების დოკუმენტირება;
- კომუნიკაციური პროცესები, ხელმძღვანელის როლი და წარმატებული პროექტები.

თავი 10

პროექტის ოფისის ორგანიზაცია

10.1. პროექტის ოფისის ცენტრი

ამ თავში განიხილება სამართლო მმართველობითი პრაქტიკისთვის შედარებით ასალი, სპეციფიკური ინფრასტრუქტურის – პროექტის ოფისის ორგანიზაციის საყითხები. ეს ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს განსაზღვრულ, ტერიტორიულად განაწილებულ სივრცეს პროექტის გუნდის საქმიანობის განსახორციელებლად.

მსხვილი პროექტის მართვა, როგორც წესი, საჭიროებს საკმაოდ კვალიფიციურ გუნდს, რომელიც შედგება პროექტის ხელმძღვანელისაგან, მენეჯერებისა და სპეციალისტებისაგან საქმიანობის მიმართულებებისა და ფუნქციების მიხედვით.

საპროექტო გუნდის საქმიანობა სასათლება შემდეგი სპეციფიკი:

- გუნდი, როგორც ორგანიზაციული სტრუქტურა, არსებობს პროექტის რეალიზაციის პერიოდში;
- გუნდის შემადგენლობა არ წარმოადგენს სტაბილურ სტრუქტურას, ის იცვლება პროექტის ეტაპების შესრულების მიხედვით. ამის გამო პერსონალის ნაწილს იწვევენ მხოლოდ განსაზღვრული პერიოდით. **მაგალითად, გუნდის წევრებს შეუძლიათ:**

- პროექტზე მუშაობა არა სრული სამუშაო დღის, არა-მედ განსაზღვრული დროის განმავლობაში ძირითადი საქმიანობის პარალელურად;
- ერთდროულად სხვადასხვა სტაბილურ ორგანიზაციაში მუშაობა, ძირითადი სამუშაოს პარალელურად განახორციელებენ რა პროექტის რეალიზაციის ფუნქციებს;
- ტერიტორიის მიხედვით განაწილებულად ფუნქციონი-

რება არა მარტო ერთი ქალაქის, არამედ ერთმანეთი-საგან დაშორებული სხვადასხვა ქალაქის ფარგლებში, აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყანაში.

ამით განპირობებულია განსაკუთრებული მოთხოვნები გუნდის მუშაობის ორგანიზაციისადმი, რომელთაგან მთავარია ინფრასტრუქტურის შექმნის აუცილებლობა, რაც საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ პროექტის როგორც ცენტრალიზებული, ისე დეცნტრალიზებული ფუნქციები, უზრუნველყოთ კომერციული საიდუმლოს დაცვა და კონფიდენციალობა. ასეთ ინფრასტრუქტურას წარმოადგენს პროექტის გუნდის ოფისი.

სხვადასხვა ქვეყნაში მიღებული ოფისის იდეოლოგია განმარტავს ამ ცნებას არა მარტო და არა იმდენად ცალკე, კომპიუტერული და ორგტექნიკით აღჭურვილი სათავსი ოთახის (ოთახების) სახით, რომელმიც ხორციელდება პროექტის მენეჯმენტი, რამდენადც ინფრასტრუქტურის სახით, რომელიც უზრუნველყოფს მისი მართვის ყველა პროცესს.

პროექტის ოფისი სტეკიფიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის (ან პროექტების პროტოტოპის) ეფექტურობას კომპიუტერული, კომუნიკაციური და ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საქმართვის, ასევე კომუნიკაციების განხორციელების დახვეწილი სტანდარტების სისტემის ჩარჩოებში.

პროექტის ოფისის ძირითადი დანიშნულება, მოცემული განმარტებით, მდგომარეობს სამუშაოების ერთობლივი შესრულებისას პროექტის გუნდის წევრთა ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფაში, რაც შესაძლებელია მხოლოდ კავშირის განვითარებული საშუალებების, კომპიუტერებისა და სტეკიფიკური პროგრამული უზრუნველყოფის, ტელეკომუნიკაციის საშუალებების, სხვადასხვა ორგტექნიკისა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების არსებობისას.

პროექტის ოფისი – ეს ის ოპტიმალურად ორგანიზებული გარემოა (ტრადიციული გაგებით – ადგილი), სადაც პროექტის გუნდის წევრებს შეუძლიათ განსაკუთრებულ მისი მართვის პროცესში, ჩაატარონ

თათბირები, აწარმოონ მოლაპარაკება პარტნიორებთან, შეინახონ საპროექტო დოკუმენტაცია.

სამამულო პრაქტიკაში პროექტის ოფისის იდეოლოგია თითქმის არ გამოიყენება.

პროექტების მართვის დასავლურ სისტემაში პროექტის ოფისი განზოგადებული სახით გაგებულ იქნა:

- როგორც განსაზღვრული ნაკრები სამუშაო ადგილებისა, რომლებიც უკავშირდებიან კონკრეტულ გეოგრაფიულ კოორდინატებს, მათ შორის:
 - სათავო ოფისი, სადაც იმყოფება პროექტის მენეჯერი, ინახება ძირითადი დოკუმენტაცია, ტარდება მნიშვნელოვანი თათბირები. ის აღჭურვილია კავშირის საშუალებით, კომპიუტერული მოწყობილობით, ორგაზექნიკით და სხვა;
 - პროექტის გუნდის წევრთა ან ცალკეულ ჯგუფთა ტერიტორიულად განაწილებული ოფისების (სათანადოდ აღჭურვილი სამუშაო ადგილების, მათ შორის, საოჯახო, მობილური სამუშაო ადგილების) ნაკრები, რომლებშიც განთავსებულია საკომუნიკაციო საშუალებები, კომპიუტერები, ორგაზექნიკა.
- კირტუალური ოფისი, რომელიც დაკავშირებული არ არის განსაზღვრულ ადგილთან, არამედ წარმოადგენს საპროგრამო-სატელეკომუნიკაციო გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანი სტანდარტებით მუშაობისა და კომუნიკაციების შესაძლებლობას.

მასალაპროექტის სისტემაში პროექტის ოფისი, როგორც წესი, წარმოადგენს მრავალდონიან სისტემას.

ამ სისტემის პირველ დონეზე განიხილება კონკრეტული პროექტები და მათი მონიტორინგის პრინციპები, მუშაობს მენეჯერების ერთი ან რამდენიმე გუნდი, რომლებიც უზრუნველყოფენ პროექტების დაგეგმვას შეზღუდული რესურსების, საპროექტო ხარჯებისა და პროექტის მომავალი ღირებულების შეფასების გათ-

ვალისწინებით, აგრეთვე, პროექტის მიმდინარე მდგომარეობის კონტროლსა და ანგარიშების მომზადებას. აქ გამოიყენება პროექტების მონიტორინგის ტრადიციული ინსტრუმენტები და საინფორმაციო ტექნოლოგიები.

ძერუე დონეზე განიხილება ორგანიზაციის პროექტების პორტფელის ფორმირების საკითხები, მათი ურთიერთკავშირები და რაციონალური შევსება. ამ დონეზე საბაზოა პროექტების ჩარჩოებში ტენდერების (შეკვეთების პორტფელის შესავსებად), სტრატეგიული მენეჯმენტის, საერთო რესურსებისა და ხარისხის მართვის ინსტრუმენტები.

ძესამე დონეზე გაანალიზება საპროექტო ორგანიზაციის განვითარების კორპორაციული პოლიტიკის ამოცანები.

ერთპროექტობან სისტემაში ოფისი ორიენტირებულია კონკრეტული პროექტის მართვაზე. საექსპერტო შეფასება გვიჩვენებს, რომ ასეთი მიდგომა განსაზღვრავს პროექტებზე დანახარჯებისა და მათი რეალიზაციის დროის ეკონომიკის 30-40%-ს.

ძირითადი მოთხოვნები პროექტის ოფისის ორგანიზაციისადმი შემდეგია:

- რეალური მმართველობითი ოფისის – სათანადო სათავსი ფართობის (ოთახების) არსებობა;
- პროექტების (პროექტის) მომზადებისა და თანხლების ერთიანი ფირმისშიდა სტანდარტები;
- პროექტების მართვის საინფორმაციო ტექნოლოგია;
- პროექტებზე ტიპური გადაწყვეტილებების შაბლონებისა და მონაცემების ბაზა;
- ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერული ქსელი;
- კომპიუტერული ქსელების ბაზაზე არსებული ვირტუალური ოფისი, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის გუნდის ფუნქციონირებას რეალური დროის რეჟიმში, მიუხედავად გუნდის წევრთა ტერიტორიული განთავსებისა.

ვირტუალური ოფისის საფუძველია სატელეკომუნიკაციო ქსელების ბაზაზე განაწილებული კომპიუტერული სისტემა, რო-

მელიც იძლევა ერთიანი პროგრამული საშუალებების, მონაცემთა ბაზებისა და ცოდნის გამოყენების, ერთიანი აღრიცხვის, კონტროლის, პროექტზე მუშაობის მონიტორინგის წარმოების, ვიდეოკონფერენციების, სატელეკომუნიკაციო თათბირების ჩატარების საშუალებას დროის რეალურ რეჟიმში.

ვირტუალური ოფისის უპირატესობები დაკავშირებულია პროექტების მართვის ეფექტური განაწილებული სისტემის ორგანიზაციის შესაძლებლობასთან (საოჯახო და მობილური ოფისების ჩართვით). **ასეთი საპროექტო ოფისი შეიცავს პროგრამული საშუალებების ორ ჯგუფს „პლიტი – სერვერის“ ტექნოლოგიის ან სხვა ქსელური ტექნოლოგიის ჩარჩოებში. პროგრამული საშუალებების პირველი ჯგუფი თავსდება სერვერზე და რთავს მონაცემთა ბაზების წარმართვის საშუალებებს მენეჯერებთან პროექტის ურთიერთქმედებისთვის. მეორე ჯგუფი განლაგდება კლიენტის სამუშაო ადგილზე და ინტერნეტის ან ინფორმაციის გაცვლის სხვა სისტემის საფუძველზე ინარჩუნებს ვირტუალური ოფისის ფუნქციებს. პირველი დონის აღნიშნული ვირტუალური ფუნქციები პროექტის მენეჯერს საშუალებას აძლევს დააფიქსიროს თავისი მიმდინარე მდგომარეობა რესურსების, სამუშაოების შესრულებისა და დანახარჯების მიხედვით, მიუხედავად იმისა, თუ სად იმყოფებიან გუნდის წევრები. ამასთანავე, მობილური ტექნიკის გამოყენება (ნოუთბუკი + მოდემი + ფიჭური ტელეფონი) მობილურს ხდის ოფისის ვირტუალურ ნაწილს.**

10.2. დაპროექტების მიმითადი პრინციპები და პროექტის ოფისის შემადგენლობა

ოფისის თანამედროვე ცნება მოიცავს დიდი რაოდენობის ტექნიკურ და ორგანიზაციულ მომენტებს, რომლებიც ქვემოთაა ჩამოთვლილი.

1. სათავსი:

- სივრცობრივ-დაგეგმარებითი გადაწყვეტა – პროექტის სათავო ოფისის მიმდევრის დაპროექტება;

- ოთახების ინტერიერისა და შიდა მოპირკეთების, ავეჯით გაწყობის საკითხების დამუშავება.

2. ორგანიზაცია და დამხმარე მოწყობილობა:

- მოწყობილობა დოკუმენტბრუნვის ორგანიზაციისთვის;
- საორგანიზაციო საშუალებები – დაფები ხაზვისთვის, პლანშეტები კალენდარული გრაფიკებისთვის, მოწყობილობა თათბირების ჩასატარებლად და სხვა;
- საორგანიზაციო ტექნიკა – კოპირები, პროექტორები, ქაღალდის გამანადგურებლები;
- უსაფრთხოების საშუალებები – სიგნალიზაცია, ცალკეულ ოთახში დაშვების რეგლამენტაცია;
- სამეურნეო ინვენტარი და მოწყობილობა.

3. საპროგრამო-კომპიუტერული კომპლექსები, კავშირისა და ტელეკომუნიკაციების საშუალებები:

- კომპიუტერული ტექნიკა – ქსელური მოწყობილობა, კომპიუტერები, სერვერები, პრინტერები;
- პროგრამული უზრუნველყოფა;
- კავშირის საშუალებები – სატელეფონო სადგურები, სატელეფონო აპარატები, კავშირის არხები, მობილური ტელეფონები.

გველა ეს ასექტი ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან, რის გამოც პროექტის ოფისი წარმოგვიდგება როგორც ერთიანი ორგანიზაციულ-ტექნიკური სისტემა.

კონკრეტული პროექტი ხასიათდება ბიზნეს პროცესების სპეციფიკით, რომელიც მოქმედებენ მისი რეალიზაციისთვის. **ბიზნეს პროცესების ქვეშ** იგულისხმება მოქმედებების, პროცედურების ერთობლიობა, რომლებიც შეადგენენ ერთი დასრულებული ციკლის, ბიზნეს საქმიანობის აქტის შინაარსს. მაგალითად, გასაღების ბიზნეს პროცესი იწყება გასაღების განყოფილების მენეჯერის მიერ შეკვეთის ფორმის შესებიდან, გრძელდება წარმოების დაგეგმვით, დისტრიბუტორებისაგან მიწოდების დადასტურებით, ბუღალტერიაში ანგარიშ-ფაქტურის ფორმირებით, გაცემულ სასაქონლო

კრედიტზე კონტროლითა და მიმწოდებლის ანგარიშზე ფულის ჩარიცხვით.

ბიზნეს პროცესი იყოფა ცალკეულ ბიზნეს ოპერაციებად, მაგალითად, ანგარიშის გაფორმებად ან პროდუქციის მიწოდებად.

ბიზნეს პროცესის კონტროლის მიზანი: პროცესის ზოგადი მიმართულების განმსაზღვრელი იდეის გენერაცია; ჩანაფიქრის ფორმირება; მიზნების ფორმულირება; პროცესის შინაარსის დადგენა; ოპერაციის დაგეგმვა – დასახული ამოცანებისა და არსებული რესურსების ერთმანეთთან შეჯერება; კონტრაქტის დადება; რესურსული უზრუნველყოფის შემუშავება; პროცესის რეალიზაცია და მისი დასრულება.

არსებითად, თითოეული ბიზნეს პროცესი თავის მხრივ წარმოადგენს გარკვეულ პროექტს და მისი რეალიზაცია ხდება პროექტების მართვის მეთოდოლოგიის ჩარჩოებში. ყოველი კონკრეტული პროექტისთვის ხდება ბიზნეს პროცესების ცალკეულ სახებად დაყოფა.

ბიზნეს პროცესების რეალიზაცია პროექტის მართვის ჩარჩოებში რპტიმალურად უნდა იქნეს ორგანიზებული, რაც თავის მოთხოვნებს უყენებს ოფისის ორგანიზაციას:

- ბიზნეს პროცესის საინფორმაციო თანხლება ორიენტირებულ უნდა იქნეს დროითა და დანახარჯებით ოპტიმალურ ბიზნეს – პროექტის შესრულებაზე;
- აუცილებელია ბიზნეს ოპერაციების დუბლირების გამორიცხვა;
- მენეჯერები, რომლებიც მოქმედებენ ერთი ბიზნეს პროცესის ჩარჩოებში, დაკავშირებული უნდა იყვნენ კომუნიკაციების საშუალებებთან, ხოლო ერთ გეოგრაფიულ წერტილში მდებარეობის შემთხვევაში უნდა განცალკევდნენ იმ მენეჯერებისაგან, რომლებიც ასრულებენ სხვა ფუნქციებს.

ოფისის დაპროექტების თანმიმდევრობა მოყვანილია ნახ. 10.1-ზე.

პროექტის გუნდის ბიზნეს პროცესებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის დაპროექტება
სხვადასხვა რესურსის გამოყენების თვალსაზრისით ტექნიკურ და ორგანიზაციულ გადაწყვეტილებებზე სტრუქტურისა და პროცესების გავლენის გამოვლენა
ბიზნეს პროცესების ტერიტორიული სტრუქტურის დაპროექტება და მათი ოპტიმიზაცია
სივრცობრივ-დაგეგმარებითი მომენტების განსაზღვრა
პროექტის საინფორმაციო სისტემის დაპროექტება
პროექტის პროგრამული უზრუნველყოფის დაპროექტება
პროექტის აპარატული უზრუნველყოფის დაპროექტება (ლოგალური და განაწილებული ქსელები)
კავშირის არხებისა და საშუალებების დაპროექტება
ინტერიერისა და ავეჯის დაპროექტება
გადაადგილების საშუალებებზე მოთხოვნილების განსაზღვრა
მიმდინარე დანახარჯების ბიუჯეტის შემუშავება
პროექტის ოფისში ინვესტიციების ბიუჯეტის შემუშავება

ნახ. 10.1. პროექტის ოფისის დაპროექტების სქემა

ყველა ნაბიჯი უნდა ეფუძნებოდეს წინა საქმიანობის შედეგებს (სასურველია – ინტეგრაციით მონაცემთა ერთიან ბაზაში).

ორგანიზაციული სტრუქტურისა და ბიზნეს პროცესების დაპროექტება შეიძლება განხორციელდეს სპეციალიზებული პროგრამული საშუალებების გამოყენებით.

ამასთანავე, ბიზნეს ოპერაციებისა და ბიზნეს – პროცესების სხვადასხვა მაჩვენებლის სახით შეიძლება ჩაიდოს საჭირო რესურსები და მოთხოვნები.

სათავსების დაპროექტება, ჩვეულებრივ, წარმოებს სპეციალიზებულ პროგრამულ პროდუქტში.

სივრცითი, ორგანიზაციული გარემოს ფორმირებისადმი და ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციისადმი ერთანი მიღეომის მგალითი მოყვანილია ნახ.10.2-ზე. მასზე წარმოდგენილია რეალიზებადი ბიზნეს პროცესების შესაბამისად ოფისის დაგეგმვის, კომპიუტერებისა და კავშირის საშუალებების, აგრეთვე, პერსონალის განთავსების სქემა.

პროექტის გუნდის ორგანიზაციული სტრუქტურა და რეალიზებადი ბიზნეს პროცესები მათი მართვის ჩარჩოებში მიზანშეწონილია განვიხილოთ კომპლექსში ოფისის ოპტიმიზაციისა და ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური გადაწყვეტილებების სისტემური ანალიზითვის. მოცემული მიღეომა სასარგებლოა იმის გამო, რომ თანამედროვე გადაწყვეტილებები პროექტის ოფისის დაპროექტებისა და მისი მუშაობის ორგანიზაციის თაობაზე კომპლექსურია.

უსაფრთხოების სისტემა არა მარტო თავიდან აგვაცილებს არასანქციონირებულ შესვლას ოთახებში, არამედ მაგნიტური საკეტების საშუალებით განახორციელებს ორგტექნიკის, კომპიუტერების გამოყენების რეგლამენტაციას (თითოეული თანამშრომელი იყენებს თავის გასაღებს), გააკონტროლებს ორგტექნიკის გამოყენებას, საშუალებას მისცემს, განსაზღვროს თანამშრომლების ადგილსამყოფელი ოფისის შიგნით, მოახდენს ინფორმაციასთან წვდომის რეგლამენტაციას (როგორც ქაღალდის, ისე ელექტრონულის), გააკონტროლებს ავეჯის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური ფასეულობების ადგილმდებარეობას.


თანამედროვე კომპიუტერები, კავშირის საშუალებები და საინფორმაციო ტექნოლოგიები ისე შეერწყმნ ერთმანეთს, რომ ისინი უნდა განვიხილოთ როგორც ერთანი საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო სისტემა. კავშირის ერთი და იმავე არხებით გადაიცემა სატელეფონო შეტყობინებებიცა და მონაცემებიც, ამასთანავე, კომპიუტერიდან შეგვიძლია მივმართოთ სატელეფონო სადგურებსა და აპარატებს (მოვახდინოთ ავტომატური გადარეკვის, ფაქსის გაგზავნის, თათბირების ორგანიზაციისა და ჩატარების პროგრამირება).

არსებული სატელეფონო სადგურები შეიძლება ფუნქციონირებდეს ისე, რომ თანამშრომლებმა დაურეკონ და გადასცენ მონაცემები მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც უშუალოდ მათთან არიან დაკავშირებული ბიზნეს პროცესების შესრულებისას.

ბუნებრივია, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს ოფისის მუშაობის ორგანიზაციის თვალსაზრისით, წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის არჩევამ და დანერგვამ უნდა მოაგვაროს სრულფასოვანი ელექტონული ოფისის, როგორც ერთიანი ინტეგრალური ინტერნეტ გარემოს მუშაობა, რომელიც ახორციელებს თანამშრომლების მთელი ურთიერთკავშირის რეგლამენტაციას, ორგანიზებას უკეთებს დოკუმენტებთან მუშაობას, მათ შენახვას, არქივირებას, განადგურებას. ამასთანავე, შესაძლებელია პროგრამულ აპარატული კომპლექსების რეალიზება, რომლებიც ახდენენ როგორც ელექტრონული, ისე ქაღალდისმიერი დოკუმენტბრუნვის ორგანიზაციასა და სისტემატიზაციას.

ელექტრონული ოფისი პროექტირდება როგორც სისტემა, რომელიც ორიენტირებულია, პირველ რიგში, ინფორმაციასთან მუშაობაზე დოკუმენტების სახით, რაც გულისხმობს მათი დამუშავების ხელისმიერი მეთოდების შეცვლას ავტომატიზებული პროცედურებით.

ოფისის პროგრამულ-სატელეკომუნიკაციო გარემო ეყრდნობა პროექტის განვითარებულ საინფორმაციო უზრუნველყოფას, რომელიც უნდა იძლეოდეს სისტემაში მოცირკულირე ყველა სახის ინფორმაციის, მათ შორის ელექტრონული და ქაღალდისმიერი დოკუმენტბრუნვით წარმოშობილი დოკუმენტების ინტეგრირებული დამუშავების შესაძლებლობას: შიდა და გარეთა მიმოწერა, რომელიც ხორციელდება როგორც ელექტრონული, ისე ქაღალდისმიერი ფორმით.



ნახ. 10.2. პროექტის ოფისის სივრცით-ორგანიზაციული გარემო (ფრაგმენტი)

დოკუმენტების მონაცემთა ბაზა უნდა იყოს პროექტის გუნდის ინფორმაციისა და ცოდნის, მონაცემთა ერთიანი ბაზის ელემენტი. ის ყალიბდება როგორც დოკუმენტების ცენტრალიზებული ელექტრონული არქივი (რომელიც მოიცავს დოკუმენტების ქაღალდის-მიერ ორგინალებსა და მათ ელექტრონულ ასლებს).

დოკუმენტების მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს:

- სისტემაში მოცირკულირე ყველა დოკუმენტის რეგისტრაციას;
- დოკუმენტების ელექტრონული სახით შენახვას სხვადასხვა ფორმატში;
- პროექტის დოკუმენტების კატალოგის წარმოებას, რომელიც უზრუნველყოფს მათი ძებნის შესაძლებლობას (ძირითად ატრიბუტებზე, სრული ტექსტის ძებნის გამოყენებით და ა.შ.);
- დოკუმენტებთან მუშაობის სრული ისტორიის (ვინ, როდის, როგორ მუშაობდა დოკუმენტებთან), აგრეთვე, დოკუმენტების სხვადასხვა ვერსიის შენახვას;
- დოკუმენტების დაცვის საიმედო სისტემას, მათთან პერსონალის დაშვების რეგლამენტაციას;
- დოკუმენტების არქივების შენარჩუნების შესაძლებლობას ყველა სახის გარე მოწყობილობებზე, მაგნიტოოპტიკური მოწყობილობებისა და ლაზერული კომპაქტ-დისკების ბიბლიოთეკის ჩათვლით.

პროექტის ოფისის დოკუმენტრუნვის გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა უნდა შეიცვლეს შემდევ ძირითად კომპონენტებს:

- დოკუმენტების შენახვის მართვის სისტემას – პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ახდენს პროექტის ერთიანი დოკუმენტური ფონდის (ცენტრალიზებული არქივის) მართვის ფუნქციების რეალიზაციას;
- დოკუმენტრუნვის მართვის სისტემას – პროგრამულ


უზრუნველყოფას, რომელიც ახდენს დოკუმენტბრუნვის აღმინისტრირების, დოკუმენტების მარშრუტიზაციისა და მოძრაობის, დოკუმენტნაკადების კოორდინაციის, დოკუმენტების გადაადგილებაზე, მათ დროულ დამუშავებაზე კონტროლის და ა.შ. რეალიზაციას;

- სტანდარტული ბიზნეს – დანართების ნაკრებს, რომლებსაც იყენებს პროექტის გუნდი დოკუმენტების მოსამზადებლად, – ტექსტური პროცესორების, ელექტრონული ცხრილებისა და ა.შ. ნაკრებს, სპეციალიზებული ფუნქციები დანართების ნაკრებს (სტანდარტული ბიზნეს დანართებისაგან განსხვავებით, ისინი ურთიერთქმედებენ მონაცემთა ბაზასთან, რომელიც ინახავს სტრუქტურირებულ ინფორმაციას);
- დოკუმენტების ექსპორტ/იმპორტის სისტემას.

პროექტის ელექტრონული ოფისის არქიტექტურა წარმოდგენილია ნახ. 10.3-ზე.

ელექტრონული ოფისის პროგრამული უზრუნველყოფის ცენტრალური ბლოკის სახით გამოდის მომხმარებელთა უფლებამოსილებების მართვის სისტემა, რომელიც ახორციელებს:

- ინფორმაციასთან (მათ შორის, სხვადასხვა ხარისხის საიდუმლო დოკუმენტებთან) მომხმარებელთა წვდომის გამიჯვნას;
- სისტემით შემოთავაზებულ ფუნქციებთან მომხმარებელთა წვდომის რეგლამენტაციას.



ნახ. 10.3. ელექტრონული ოფისის არქიტექტურა

10.3. პროექტის გირგვინდური ოფისის ორგანიზაციის მიზანთაღი პრინციპები

ამჟამად პროექტის ვირტუალური ოფისის ცნება და იდეოლოგია სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ინტერნეტის ქსელის განვითარებასა და პროექტების მენეჯმენტის პროგრამულ-საინ-

ფორმაციო და კომუნიკაციურ ასპექტებთან დაკავშირებით.

ვირტუალური ინფრასტრუქტურების პრინციპები მუშავდება და პრაქტიკულად რეალიზდება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან.

მართვის მსოფლიო ოფირიასა და პრაქტიკაში განსაზღვრება „ვირტუალური“ საკვანძო ცნება გახდა. სულ უფრო ხშირად საუბრობენ ვირტუალურ გაყიდვებზე, საბანკო ოპერაციებზე, ფონდებზე, ფაბრიკებსა და ორგანიზაციებზე. პრინციპში, ვირტუალურ ინფრასტრუქტურას გააჩნია იგივე შესაძლებლობები და პოტენციალი, რაც ტრადიციულ ორგანიზაციას, მაგრამ, ამავე დროს, ის წარმოადგენს ორგანიზაციული სტრუქტურის პრინციპულად ახალ კონცეფციას XX ს. ბოლოსა და XXI ს. დასაწყისის საქმიანობის ინტეგრაციისთვის. ვირტუალური საწარმოს ცნება გაჩნდა კომპიუტერულად ინტეგრირებული წარმოების ცნების ბუნებრივი განვითარების შედეგად. ვირტუალური საწარმოს დამახასიათებელი მაგალითია კომპიუტერულ-ინტეგრირებული ორგანიზაციის აგება ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძველზე.

ვირტუალური საწარმო გულისხმობს ქსელურ, კომპიუტერულად განპირობებულ ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც შედგება სხვადასხვა ადგილას მდებარე არაერთგვაროვანი კომპონენტებისაგან. მაშინ ზედსართავი „ვირტუალური“ შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს როგორც „ხელოვნურად წარმოქმნილი“, ან როგორც „ცრუ“, რეალურ ფიზიკურ სივრცეში არარსებული“, ან როგორც „ერთობლივი რესურსების ხარჯზე გაფართოებული“. აქ სახეზეა აშენა კომპიუტერული ანალოგია ცნებით „ვირტუალური მანქანა“, სადაც არც ერთ პროცესს არ შეუძლია არანაირი რესურსის მონოპოლურად გამოყენება და ყველა სისტემური რესურსი პრინციპულად ითვლება ერთობლივი გამოყენების რესურსად.

ვირტუალური საწარმო იქმნება საჭირო ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური რესურსების შერჩევისა და კომპიუტერული ქსელის გამოყენებასთან მათი ინტეგრაციის გზით. მას მივყავრთ ისეთი

მოქნილი და დინამიკური ორგანიზაციული სისტემის ფორმირებამდე, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება სწრაფად ცვლად გარემოში წარმატებულ ბიზნესს.

სრულად ვირტუალური საწარმო, ე.ი. ისეთი საწარმო, რომელსაც არ გააჩნია ბაზური სტრუქტურები რეალურ ფიზიკურ სივრცეში, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არსებობდეს. აქ საუბარია ვირტუალურ სივრცეში რეალურად არსებული სხვადასხვა საწარმოს ქვედანაყოფებისა და სპეციალისტების ინტენსიური ურთიერთქმედების თაობაზე, რომელიც რეალიზებულია უახლესი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძველზე.


ამრიგად, შეიძლება გავყოთ ოფისის, როგორც ბაზური ადგილისა და ვირტუალური ოფისის, როგორც განაწილებული კომპიუტერულ-ინფორმაციული სივრცის საკითხები.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ვირტუალური საწარმო არის სხვადასხვა აღვილას მყოფი თავისუფლად ურთიერთობებით (და ურთიერთდამსარე) აგენტების ქსელი. ეს აგენტები ამჟამადენ კრიონალივ პროექტებს (ან რიგ ურთიერთდაკავშირებულ პროექტებს), იმყოფებიან რა ერთმანეთთან პარტნიორობის, კოოპერაციის, თანამშრომლობის, კოორდინაციისა და ა.შ. ურთიერთობებში.

ვირტუალური ინფრასტრუქტურის ცნება იდეალურად შეეფერება პროექტის ოფისის ფორმირებას. პროექტების ვირტუალური ოფისების შექმნისას რესურსების გაერთიანება ხასიათდება ტერიტორიული დამოუკიდებლობით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაწყვეტილებების მიღება და შრომის განაწილება ხდება რეგიონალური საზღვრების მოქედავად. პროექტის გუნდის წევრთა თანამშრომლობა დროებით ხასიათს ატარებს, მისი ორგანიზაცია ხდება განსაზღვრული ვადით. ასეთ შემთხვევაში ვირტუალური ქსელების უპირატესობები აშკარაა: მოქმედი რესურსები პოტენციალის გაფართოება ხდება მოქნილობის დაუკარგავად; შიდა კოორდინაცია ხორციელდება საინფორმაციო ტექნოლოგიის საშუალებით, რომელიც განმტკიცებულია ურთიერთნდობის კულტურ-

ით. შესაძლებელია პარალელური მართვა სხვადასხვა პროცესით პროექტების რეალიზაციის მსვლელობაში.

პროექტის ვირტუალური ოფისის ორგანიზაციის სანიმუშო სქემა წარმოდგენილია ნახ. 10.4-ზე.



ნახ. 10.4. პროექტის ვირტუალური ოფისის ორგანიზაციის სანიმუშო სქემა

ძირითად და სისტემათაწარმომქმნელ პრინციპს პროექტის დროებითი ქსელური ვირტუალური ოფისის ფუნქციონირებისთვის, რომელიც სცილდება ცალკეული ფირმის საზღვრებს, წარმოადგენს თანამედროვე საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების თანმიმდევრული და უჯაბტური გამოყენებას.

განვიხილოთ ვირტუალური ინფრასტრუქტურების ძირითადი პრინციპები.

ცხრილში 10.1 მოყვანილია ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურების ძირითადი განსხვავებები ვირტუალური ინფრასტრუქტურებისაგან.

ცხრილი 10.1.

ტრადიციული და ვირტუალური ინფრასტრუქტურების ძირითადი განსხვავებები

ფორმა	ძირითადი მიზანი	ტიპური ნიშნები	განსხვავებები ვირტუალური ორგანიზაციისაგან
ჯგუფური ან საპროექტო ორგანიზაცია	ცალკეული პროექტი როგორიცაციების მიზნით	დროებითი ორგანიზაციული სტრუქტურა. სხვადასხვა ქვედანაყოფისა და იერარქიული დონის თანამშრომლობა	დარგობრივი ან საბაზრო ვითარებით ნაკანახვი ამოცანების განსაზღვრული დარგებით შემოფარგლული სტრატეგიული შემართველობის არაინტენსიური გაფართოებისგან სარგებლის მისაღებად
შიდასაფირმო ორგანიზაციული წარმონაქმნი	ფსევდოდამუგიდებელი სტრუქტურები ეფექტურობის ასამაღლებლად	ფსევდოდამუგიდებელი ერთოფელები. თვითორგანიზაცია. შიდასაფირმო მეწარმება	არ წარმოადგენს დროებით კომპერაციულ ქსელს. არ ხდება კომპეტენციების შეთანხმება მესამე მშარესთან
სტრატეგიული აღიანვით ან ერთობლივი საწარმო	სამუშაოების დროში, დანახარჯებში, „ნოუ-პუშ“ უპირატესობის მისაღებად	ხანგრძლივი თანამშრომლობა დროში, ურთიერთმონაწილეობით. დოვლათის წარმოების ზოგადი პროცესის გამოყენება	ხანგრძლივი კომპრაცია მცირე რაოდნობის პარტნიორებთან. როგორც წესი, უსიიერთობისწილეობა კაპტალში. ჩვეულებრივ, ზისტი, მტკიცე სახელშერულებო კვშრების გადასაცემა

სამუშაოების გადაცემა	თავისებური ამოცანების გამოყენება და მესამე მსარისოვის მათი გადაცემა	კონცენტრაცია საკუთარ კომპეტენციებზე. სახელშეერთულებო და არა კულტურული კავშირები. დოკუმენტის წარმოების ცალკეული ფაზები	კლასიკური მიზანმიზანებისათვის ფილტრი. სახელშეერთულებო კავშირები, ჩვეულებრივ, ერთ პარტნიორთან. საწარმოს ფარგლების გარეთ წარმოების ნაწილების გადანაცვლება
მრავალეროვნული საწარმო	საწარმოთა საერთაშორისო, ზოგჯერ გლობალური საქმიანობა წარმოების მასშტაბების ან პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებისგან სარგებლის მისაღებად	სამართლებრივი შეთანხმება საწარმოების შემორის. ზოგადი სამუშაოების პოლიტიკა	სამართლებრივი ერთეული ხანგრძლივი ვარტიკალური გადასაცვლებლის სტაბილურობა. სუსტი საბაზრო მოძრაობა

ვირტუალიზაციის სივრცე მოიცავს ოთხი კატეგორიის მოვლენას – ვირტუალურ ბაზარს, ვირტუალურ რეალობას, აგრეთვე, ორგანიზაციისშიდა და ორგანიზაციათაშორის ქსელურ გაერთიანებებს. უკანასკნელები მოცულნი არიან ერთი ცნებით – „ვირტუალური ინფრასტრუქტურები – ორგანიზაციული ფორმები“.

ვირტუალური ბაზრის ქვეშ იგულისხმება ინტერნეტ სისტემით შემოთავაზებული კომერციული დანიშნულების საკომუნიკაციო და საინფორმაციო მომსახურება.

ვირტუალური რეალობა – ეს კომპიუტერულ სივრცეში შემუშავებებისა და წარმოების რეალური პროცესების იმიტაციაა, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს გარემოსაც და ინსტრუმენტსაც. ინსტრუმენტის სახით ის საშუალებას გვაძლევს ინტუიციით ავაგოთ რთული სტრუქტურები, გარემოს სახით კი – გვაძლევს გონიერებაში წარმოვიდგინოთ პროექტი, პროდუქტი, შენობები, სამუშაო ადგილები, მანქანები და მოწყობილობა მანამ, სანამ ისინი შეიძენება რეალურ არსებობას. ამ კვლევათა შედეგების გამოყენების ძირითადი დარგებია: პროექტების ვირტუალური პროტოტიპების შექმნა, აგრეთვე, შრომისა და წარმოების ვირტუალური დაგეგმვა.

ორგანიზაციისშიდა ქსელები მოიცავენ სამუშაოების ფართო გამას – როგორც შინ, ისე ტელეკომუნიკაციების საშუალებათა გამოყენებით, აგრეთვე, **ცოდნის ბანკების ან ცოდნის ქსელების** გამოყენებით. მათი ზოგადი ნიშანია საერთო ქსელში ცალკეული თანამშრომლის (პროექტის გუნდის წევრების) გაერთიანება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით.

მთავრი ნიშნები, რომელიც წარმოიქმნავთ როგორის „ცნების შინაარსს, შემდეგია:

- პროექტის სტრატეგიულად მიზანშეწონილი გუნდის ჩარჩოებში სხვადასხვა საწარმოს გამოცდილებისა და საუკეთესო საშუალებების ინტეგრაცია;
- ორგანიზაცია პროექტების მიხედვით ან საკვანძო პროცესების (პროექტის, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის გამჭოლი საქმიანი პროცესების) ირგვლივ;
- ავტონომიური სამუშაო ჯგუფების წარმოქმნა, ერთმანეთი-საგან სივრცობრივად დაშორებული პირებისა და კოლექტივების თანამშრომლობისა და კოორდინაციის უზრუნველყოფა;
- დროებითი ხასიათი, მოქნილობა, საჭირო დროს სწრაფი წარმოქმნის, განვითარების, ხელახლა სტრუქტურირებისა და დაშლის შესაძლებლობა;
- მართვის დეცენტრალიზაციისა და ცენტრალიზაციის შეთავსება დეცენტრალიზებული (განაწილებული) მართვის უპირატესი განვითარებისას, კოორდინაციული კავშირების პრიორიტეტი;
- უფლებამოსილებათა მაქსიმალურად ფართო და მოქნილი გადანაწილება, გადაწყვეტილებების მიღება ორგანიზაციული იურარქიის ყველა დონეზე, აღმავალი და დაღმავალი დაპროექტების შეთავსება;
- სპეციალისტების ჯგუფური ურთიერთქმედების ორგანიზაცია, იდეების თავისუფალი გაცვლის უზრუნველყო-

ფა ორგანიზაციული იერარქიის შიგნით და მის დონეებს შორის;

- არაერთგვაროვანი კომპიუტერული გარემოსა და ქსელების შემუშავება, კოლექტიური საქმიანობის უზრუნველყოფად სხვადასხვა კლასის პროგრამულ საშუალებათა გამოყენება.

აღნიშნული პრინციპები და კავშირებულია ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართო განვითარებასა და გამოყენებასთან ადამიანური რესურსების მართვისა და პროექტის გუნდის საქმიანობის დაგეგმვისთვის, გუნდის სხვადასხვა მენეჯერს შორის ურთიერთქმედების (კოოპერაციისა და კოორდინაციის) პროცესების მოვლინებისა და ოპტიმიზაციისთვის.

თანამედროვე ტელეკომუნიკაციების წყალობით პრინციპული აღარაა პარტნიორების გეოგრაფიული დაშორიშორება და სახელმწიფო კუთვნილება. საინფორმაციო ურთიერთქმედების ახალი შესაძლებლობები საშუალებას გვაძლევს ავაგოთ კოოპერაცია პროექტის ვირტუალური ოფისის ფორმით, რომელიც მოქმედებს მისი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

ვირტუალური ოფისის პროგრამულ-კომუნიკაციური გარემო ეყრდნობა პროექტის სასიცოცხლო ციკლის უწყვეტ საინფორმაციო შენარჩუნებას.

საკვანძო ცნება ვირტუალური საწარმოსთვის-მონაცემების მრავალმომხმარებლიანი ბაზის კონცეფციაა. ის უნდა შეიცავდეს პროექტის სასიცოცხლო ციკლის კომპიუტერული შენარჩუნებისთვის საჭირო მთელ ინფორმაციას და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ოპრატიულ რეჟიმში გუნდის ყველა წევრისთვის.

ინფორმაციული თვალსაზრისით კომუნიკაციები – ეს ცოდნის ძიება და გადაცემაა. **შეძლება გამოვლით ბიზნეს პროცესების საინფორმაციო უზრუნველყოფის მართვის მეთოდების შემდეგი სამი დიდი ჯგუფი**, მათ შორის, ოფისის მუშაობისა და პროექტის გუნდის საქმიანობის წარმოდგენა:

1. **რესურსებით** (ფინანსური, მატერიალური მარაგებით, კადრებით) უზრუნველყოფადობის თვალსაზრისით, ამასთანავე, უზ-

რუნველყოფილ უნდა იქნეს რესურსების მართვა და მათზე კონტროლი;

2. ბიზნეს პროცესების სისტემის სახით. აქ ცენტრალური ცნებებია **პროცესი, ფუნქცია, მონაცემები, მოვლენა**. ამ მეთოდებისთვის მართვის ძირითადი მიზანი – მოვლენებისა და ფუნქციების კოორდინაციის უზრუნველყოფა;
3. თანამშრომელთა მცირე კოლექტივების სისტემად, რომლებიც წყვეტის ზოგად ამოცანას, ხოლო მარგანიზებელი ფაქტორების როლში ამ დროს გამოდის ცოდნა და ეფექტური კომუნიკაციები. **მართვის მთავარი რესურსი წლება პროექტის ცოდნის ძახი**, რომელშიც გუნდის წევრებმა შეიძლება სწრაფად იპოვონ ინფორმაცია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად და ერთმანეთის გასაგებად. ეს ბაზა ახდენს გუნდის კოლექტიური გამოცდილების კონცენტრირებას და ქმნის საპროექტო კომუნიკაციების კონტექსტს. მართვის ძირითადი მიზანია – დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მისაღებად კოორდინაციის, კომუნიკაციისა და ინფორმაციის სწრაფი მოძიების უზრუნველყოფა.

მთლიანობაში, პროექტის ოფისის იდეოლოგია ახალია სამამულო მართველობითი პრაქტიკისთვის, რომლის ჩარჩოებშიც მტკიცე თრგანიზაციული სტრუქტურა და ოფისი მისთვის – ბიზნესის წარმოების პირობებია.

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში სულ უფრო დიდი ყურადღება ეთმობა მოქნილი და ადაპტური ორგანიზაციული სტრუქტურებისა და ვირტუალური ინფრასტრუქტურების შექმნას ბიზნესის მართვისთვის, კერძოდ კი, პროექტების მენეჯმენტისთვის. პროექტის ოფისის ვირტუალური, ტერიტორიულად განაწილებული სტრუქტურა, რომელიც ბაზირებულია პროგრამულ-კომუნიკაციურ საშუალებებზე, ერთიან საინფორმაციო ბაზაზე, ადეკვატურად პასუხობს პროექტის მართვის იდეოლოგიას.

საპითხები თვითშემოწმებისა და გამორჩებისათვის

ინდივიდუალურად, წყვილებში ან გუნდებში განიხილეთ შემდეგი თემატიკა:

1. რომელი არატრადიციული შემადგენლებია ჩართული „პროექტის ოფისის“ ცნებაში?
2. დაასახელეთ ცნებების „პროექტის ოფისისა“ და „კომპანიის ოფისის“ მთავარი განსხვავებები.
3. რაში მდგომარეობს პროექტის ვირტუალური ოფისის სპეციფიკა?
4. რაში მდგომარეობს ოფისის ვირტუალობის სპეციფიკა ტრადიციულ ინფისებთან შედარებით?
5. რაში მდგომარეობს ვირტუალური და ელექტრონული ოფისების განსხვავებები?
6. დაასახელეთ პროექტის ვირტუალური ოფისის ძირითადი შემადგენლები.

თავი 11

თორმიული ცოდნის გამოყენება პროექტში პროგლობურ სიტუაციები

პროექტის მართვის მეცნიერება საშუალებას გვაძლევს შევადგინოთ პროექტის განხორციელების განრიგი, გამოვიანგარიშოთ ბიუჯეტები, მოვახდინოთ რესურსების მოთხოვნილების პროგნოზირება, შევაფასოთ პროექტის განხორციელების მსელელობა, ამა თუ იმ რისკის აღმართობა და გადავჭრათ მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ამოცანა.

პროექტების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა დიდად ადგილებს მონაცემების დამუშავებასა და საინფორმაციო გაცვლასთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრას. მაგრამ კომპიუტერები თავისთავად არ მართავს პროექტების შესრულებას და ჩვენთვის საჭირო შეფასებები არ ჩნდება ჯადოსნული ჯოხის ერთი აქტევით. ამ წიგნში აღწერილი ხერხები და მეთოდები ერთობლიობაში შეადგენერ საქმაოდ მძლავრ ინსტრუმენტს, მაგრამ, როგორც ნებისმიერი სხვა ინსტრუმენტი, მას შეუძლია მოგვითაროს რეალური სარგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მარჯვე ადამიანის ხელშია მოკურებული. ამ თავში ნაჩვენებია, თუ როგორ გვეხმარება ინსტრუმენტების ეს ერთობლიობა ნებისმიერი მასშტაბისა და დარგის პროექტების შესრულებისას წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში.

ყოველ პრობლემას ან ამოცანას თან ახლავს ინსტრუმენტების გამოყენების კონკრეტული სტრატეგია, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ ამ წიგნის წინა თავებში. მრავალი ასეთი პრობლემა საქმაოდ ცნობილია, ხოლო ამ პრობლემების შემოთავაზებული გადაჭრა დაგვეხმარება პროექტების მართვის არსის უფრო ღრმად გაგებაში. თუმცა არ უნდა შემოვიფარგლოთ პასუხებით, რომლებიც ასახულია ამ თავში. პროექტების მართვის ხელოვნება მდგომარეობს დასახული მიზნების მისაღწევად პროექტების მართვის მეცნიერების დებულებათა პრაქტიკულ გამოყენებაში. ამ თავის მასალის, როგორც ამოსავალი წერტილის გამოყენებისას თქვენ

შეძლებთ პროექტების მართვის ხელოვნების პრაქტიკული ათვისების დაწყებას იმ პრობლემებზე, რომლებიც წამოიჭრება თქვენი პროექტების განხორციელებისას.

სიტუაცია 1. პასუხისმგებლობა თქვენი უფლებამოსილების ვარგლებს გარეთ

როდესაც პროექტი გადაკვეთს ორგანიზაციულ საზღვრებს, თქვენ უცრად აღმოჩნდებით დამოკიდებული იმ ადამიანებზე, რომლებზეც არ ვრცელდება თქვენი ძალაუფლებრივი უფლებამოსილებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ადამიანები არ მუშაობენ არც თქვენთვის, არც თქვენი პროექტის სპონსორისთვის.

როგორ მოვიპოვოთ მათი მხარდაჭერა და როგორ გამოვიყენოთ მათი მომსახურებ ა, როგორც საპროექტო გუნდის პასუხისმგებელ და დაინტერესებულ წევრთა, რომლებსაც შეიძლება სრულად ვენდოთ პროექტის განხორციელებისას?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- **წესდება.** სთხოვეთ თქვენი პროექტის სპონსორს – გამოაქვეყნოს პროექტის წესდება, რომლის გაცნობასაც შეძლებდა ყველა დაინტერესებული მხარე. მიაღწიეთ იმას, რომ ამ წესდებაში მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული მოცემული პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული თქვენი ფორმალური უფლებამოსილებები;
- **სამუშაოს შინაარსი.** პროექტის შემსრულებლებს განუმარტეთ მოცემული პროექტის განხორციელების მიზნები და წარუდგინეთ მათ მთელი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ გაიგონ ამ პროექტის მნიშვნელობა მთლიანად ორგანიზაციისათვის;
- **კომუნიკაციური გეგმა.** მოიზიდეთ ისინი თქვენი კომუ-

- ნიკაციის ძირითადი საშუალებების ასარჩევად. თუ ეს ადამიანები არ არიან თქვენი ორგანიზაციის თანამშრომლები, მაშინ ალბათ, დაგჭირდებათ პროექტის განხორციელების მსვლელობის შესახებ ამ ადამიანთა რეგულარული ინფორმირების რაომე ფორმალური საშუალება. ინფორმირების ეს საშუალება აუცილებლად უნდა იყოს ორმხრივი – პროექტის ხელმძღვანელსა და შემსრულებლებს შორის უკუკავშირის უზრუნველსაყოფად;
- **მუშაობის მცირე პაკეტები დასრულების მკაფიო კრიტერიუმებით.** პროექტის ცალკეულ შემსრულებლებს შორის განაწილებული სამუშაო უნდა იყოს გასაგები და მოხერხებული სამუშაოების შესრულებაზე თვალყურის დევნებისათვის. მიიზიდეთ ადამიანები ამოცანების შესრულების ხანგრძლივობისა და ღირებულების შესაფასებლად, აგრეთვე, ამ ამოცანების დასრულების კრიტერიუმების განსასაზღვრად. რაც უფრო მაღალი იქნება გეგმების შედგენაში ადამიანების მონაწილეობის ხარისხი, მით უფრო მეტი იქნება მათი პირადი დაინტერესება პროექტის წარმატებულ განხორციელებაში;
 - **ქსელური დიაგრამა.** თითოეულ შემსრულებელს მიუთითეთ მისი ადგილი პროექტის შესრულებაში. მისი ყურადღება გაამახვილეთ მის მიერ შესასრულებელი ამოცანის მნიშვნელობაზე, აგრეთვე, მთლიანად პროექტისთვის შესაძლო შედეგებზე, თუ ის ამოცანა არ იქნება დასრულებული განრიგით გათვალისწინებულ ვადაში. თუ შესასრულებელ ამოცანას გააჩნია საკმაოდ ფართო დროის რეზერვი, მაშინ მიეცით მის შემსრულებელს განრიგის დამოუკიდებლად შედგენის შესაძლებლობა, მაგრამ აუცილებლად გააგებინეთ, რომ ის უნდა ჩაჯდეს ამ ამოცანისათვის სტარტისა და ფინაშის დაგეგმილ ვადებში;
 - **პროექტის განხორციელების მსვლელობისადმი მიძღვნილი თათბირები, ანგარიშით დაუსრულებელი ამოცანების შესახებ.** რეგულარულად შეატყობინეთ მათ პროექტის განხორციელების მსვლელობის შესახებ იმ პერიოდებშიც კი, როდესაც ისინი არ ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას მის განხორციელებაში. მოიწვიეთ ისინი პროექტის განხორციელების მსვლელობისადმი მიძღვნილ თათბირებზე, როდესაც მათ მიერ შესასრულებელი ამოცანები უახლოვდება იმას, რომ ანგარიშში გამოჩნდეს დაუსრულებელი ამოცანების შესახებ. მათ უნდა იგრძნონ თავიანთი პასუხისმგებლობა განრიგის შესრულებაზე, აგრეთვე, პასუხისმგებლობა პროექტის დანარჩენი შემსრულებლების წინაშე;
 - **პროექტის სპონსორი.** დაამყარეთ საიმედო კავშირი პროექტის სპონსორთან, რეგულარულად შეატყობინეთ მას თქვენი გეგმებისა და პროექტის შესრულების მსვლელობის შესახებ. შესაძლებელია, თქვენ დახმარება დაგჭირდეთ პროექტის სპონსორისაგან ორგანიზაციული დაბრკოლებების დაძლევაში.
- სიტუაცია 2. პრიტიპული ელგომარეობიდან გამოსავალი პროექტის ხელმძღვანელის გათავისუფლებისას**
- ამ სცენარის მიხედვით პროექტი მოქცეულია კრიტიკულ სიტუაციაში. მას შეძლევ, რაც პროექტის ხელმძღვანელი ვერ შეძლებს განრიგით გათვალისწინებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპის მიღწევას, ფირმის ხელმძღვანელობა გაათავისუფლებს მას დაკავებული თანამდებობიდან. თქვენ გავალებენ ამ პროექტის ხელმძღვანელობას და კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლის პოვნას.

რას გააქცევეთ ასეთ სიტუაციაში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გათვალისწინეთ შეძლები რეკომენდაციები:

- **სამუშაოს შინაარსი.** უპირველეს ყოვლისა, დაუბრუნდით მოცემული პროექტის დაწყებას. როგორია მისი მიზნები? შეაფასეთ სამუშაოების დარჩენილი მოცულობა და დააზუსტეთ სანქციები განრიგით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის, აგრეთვე, პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული დანახარჯების გადაჭარბებისათვის;
- **პროექტის გვერდი.** პროექტის სამუშაოების იერარქიული სტრუქტურის გამოყენებით და კრიტიკული გზის¹ გაანალიზებით, განსაზღვრეთ განრიგის შესრულების საუკეთესო სცენარი იქიდან გამომდინარე, რომ თქვენ გნკარგულებაშია შეუზღუდავი რესურსები. ამით თქვენ მიიღებთ განრიგის შესაძლო ვარიანტებიდან უმოკლესს. შემდეგ, თქვენი გეგმიდან გამომდინარე, მოსთხოვეთ ფირმის ხელმძღვანელობას დამატებითი რესურსები და დამატებითი დრო პროექტის შესრულებაზე ან შესთავაზეთ მათ თქვენი პროექტის შინაარსის შემცირება (რა თქმა უნდა, შეგიძლიათ სთხოვოთ ერთდროულად სამივე მათგანის შესრულება). მოახდენთ რა კომპანიის ხელმძღვანელობისთვის თქვენი განრიგის კრიტიკული გზის დემონსტრირებას, თქვენ შეძლებთ მიუთითოთ, თუ რა რესურსები დაგჭირდებათ იმისათვის, რომ შეასრულოთ პროექტი ზღვრულად შემჭიდროებულ ვადებში. თუ თქვენს განკარ-

¹ კრიტიკული გზა დაგეგმილ მოქმედებათა თანმიმდევრობაა, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის დასრულებას ხანმოკლე დროში. გრაფიკულად კრიტიკული გზა გამოისხება ქსელური დიაგრამის სახით. კრიტიკულ გზაზე არსებული ყველა ამოცანის დროული შესრულება საფუძველია დაგეგმილ ვადაში მოელი პროექტის დასრულებისა. ამიტომ, პროექტის ხელმძღვანელისაგან კარგი შემსრულებლის მიმართ კამიუნილების გამოსახატავად ზრითად გაიგონებთ ფრაზას: „თქვენი ამოცანა იმყოფება კრიტიკულ გზაზე“.

გულებაში გადმოგცემენ დამატებით მუშაკებს, არ უნდა გქონდეთ იმის იმედი, რომ პირველივე დღიდან ისინი შეძლებენ მაღალი მწარმოებლურობის დემონსტრირებას, – მათ დასჭირდებათ გარკვეული დრო სწავლებისათვის. რა თქმა უნდა, ფირმის ხელმძღვანელობა თქვენზე მოახდენს მნიშვნელოვან ზეწოლას; თქვენ მოგთხოვენ, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, „ჩაჯდეთ“ პროექტის დასრულების დაგეგმილ ვადებში. თუმცა, უნდა გახსოვდეთ, რომ არა-რეალურ განრიგს ჯერ არავისთვის მოუტანია სარგებლობა და ამ მოთხოვნას მთელი ძალით უნდა გაუწიოთ წინააღმდეგობა. რადგან უკვე არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ მოცემული პროექტის მართვა ხორციელდებოდა ცუდად, ამიტომ თქვენ, შესაბამისი ფაქტების საფუძველზე, უნდა მოახერხოთ ხელმძღვანელობის დარწმუნება უფრო რეალისტური განრიგის მიღების აუცილებლობაში. ასეთ სიტუაციაში საპროექტო გუნდს ესაჭიროება ლიდერი, რომელიც შეძლებს კოლექტივში მკაცრი დისციპლინის შენარჩუნებას;

- **სამუშაოს პაკეტების შეფასებები.** გამოიყენეთ პროექტის წინანდელი ხელმძღვანელის დროს მიღწეული პროექტის შესრულების ფაქტობრივი მაჩვენებლები რეალისტური შეფასებების მისაღებად; ასეთი შეფასებების მიღების პროცესში ჩართეთ თქვენი საპროექტო გუნდის წევრები. თუმცა ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ საქმე გაქვთ დაღლილ და იმედგაცრუებულ ადამიანებთან. ნუ ჰკრავთ ხელს ამ ადამიანებს გეგმის შედგენისას, უგულებელყოფთ რა მათ გამოცდილებასა და ცოდნას;
- **პროექტის განხორციელების მსვლელობისადმი მიძღვნილი თათბირები.** პროექტის განხორციელების მსვლელობისადმი მიძღვნილი და უახლოესი ამოცანების შესრულებაზე

ფოკუსირებული რეგულარული თათბირები ხელს უწყობს განრიგის წარმატებულ შესრულებას, წამოჭრილი პრობლემების დროულ გამოვლენასა და გადაჭრას. რათა თქვენი თათბირები იყოს ხანძოკლე და საკმაოდ პროდუქტიული, გამოიყენეთ ანგარიში დაუსრულებელი ამოცანების შესახებ. პროექტის შესრულებისას მიღწეული პროგრესის გრაფიკული ასახვა წარმოადგენს დასახული მიზნისკენ საპროექტო გუნდის წინსვლის ყველაზე თვალსაჩინო მოწმობას. პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია აღნიშნოს ამ გზაზე მოპოვებული მცირე გამარჯვებებიც კი.

სიტუაცია 3. პროექტის განხორციელების დროის შემცირება

პროექტების განხორციელების სიჩქარე ფასულია ნებისმიერ დარგში. ჩვენი დროისთვის დამახსასათებელი ცელილებების ტემპი საჭიროებს იძას, რომ თქვენი ახლანდელი პროდუქტის შემდეგი კერძის შემუშავების ხანგრძლივობა იყოს 20%-ით ნაკლები, ვიდრე წინა კერძისაშია.

პროექტის დასრულების მომენტამდე დარჩენილ დროში თქვენ უნდა წასწიოთ თქვენი პროდუქტი მოთხოვნების ფორმულირების, კონსტრუირებისა და დამზადების სტადიების გავლით, უზრუნველყოფა რა ამ დროს მოცემული პროდუქტის რაც შეიძლება ფართო ფუნქციურ შესაძლებლობებს.

ამისათვის გამოიყენეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- **სამუშაოს შენაართი.** პროექტის სწრაფი, მიზანმიმართული შესრულება შეუძლებელია მტკიცე საძირკვლის გარეშე. ყველა დაინტერესებული მხარის ვალდებულების, გადაწყვეტილებათა მიღების სტრუქტურისა და ძალაუფლებრივი უფლებამოსილებების თაობაზე თანხმობის მიღწევა იმის გარანტიას იძლევა, რომ პროექტის განხორციელებ-

ის მსვლელობაში თქვენ არ მოგიხდებათ დროის დახარჯვა ორგანიზაციული საკითხების წარმოებაზე;

- **შეფასებების მიღება ფიქსირებული ფაზის გამოყენებით.** რადგან თქვენ მოგიწევთ პროდუქტის შემუშავების მთელი სასიცოცხლო ციკლის გავლა, ამიტომ აზრი არა აქვს თავიდან ბოლომდე ვრცელი განრიგის შედგენას. ნაცვლად ამისა, უნდა აირჩიოთ შუალედური ანალიზის რამდენიმე წერტილი, სადაც თქვენ კიდევ ერთხელ შეძლებთ თქვენი პროდუქტის ფუნქციის შეჯერებას არსებულ რესურსებთან და პროექტის დასრულების თარიღთან. შუალედური ანალიზის ეს წერტილები წარმოადგენენ საკონტროლო მოვლენებს, რომლებიც აღნიშნავენ ამა თუ იმ ფაზის დასრულებას. ამ ფაზების ხანგრძლივობა შეიძლება განისაზღვროს იმ მაჩვენებლების საფუძველზე, რომლებიც ახასიათებენ წინა სამუშაოებს. თქვენ მკაცრად უნდა დაიცვათ შუალედური ანალიზის ამ წერტილებით აღნიშნული ვადები: იმისათვის, რომ საპროექტო გუნდმა პროექტი შეასრულოს დადგენილი ვადისთვის, ის დროულად უნდა გადავიდეს თითოეულ საკონტროლო მოვლენაზე, რომელიც აღნიშნავს ამა თუ იმ ფაზის დასრულებას;
- **პროექტის გეგმა.** თითოეული ფაზისთვის უნდა შედგეს ვრცელი გეგმა. ქსელური დიაგრამის საშუალებით გამოავლინეთ ყველა ამოცანა, რომელიც შეიძლება პარალელურად შესრულდეს. ეს პარალელურად შესასრულებელი ამოცანები დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას იძლევა: ასეთი პარალელური ამოცანების შესასრულებლად დამატებითი მუშაკების მოზიდვით შეიძლება მნიშვნელოვნად შევამციროთ მთლიანობაში პროექტის შესრულების დრო. კარგია ამ მეთოდის გამოყენება გაცილებით

ბევრი ადამიანის განსაზღვრისათვის, რომლებსაც შეუძლიათ პროდუქტიულად მუშაობა შესაბამისი პროექტის შესრულებაზე. თუმცა, ამ დროს არ უნდა დავივიწყოთ რესურსების განაწილების წესების შესახებ. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ განრიგის „შეკვეცა“ მის შემსრულებელთა რაოდენობის გაზრდით იწვევს პროექტის ღირებულების ზრდას;

- **დასრულების კრიტერიუმები.** ჩართეთ პროექტში ხარისხის შემოწმებები მისი შესრულების თითოეულ ეტაპზე. დროის ეკონომიკის მიზნით ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული გარკვეული მოქმედებების თავიდან აცილების სურვილის მიუხედავად, თქვენ არ უნდა აჰყვეთ ამ სურვილს. სინამდვილეში პროექტი გაცილებით უფრო სწრაფად იქნება შესრულებული, თუ თავიდანვე ყველაფერს სწორად გააკეთებთ;
- **პროექტის განხორციელების მსელელობისადმი მიძღვნილი თათბირები.** ეცადეთ, მკაფიოდ გაანაწილოთ ამოცანები და მოვალეობები პროექტის ყველა შემსრულებელს შორის. მკაცრად ადევნეთ თვალყური პროექტის განხორციელებას მისი განრიგის თანახმად. თქვენს საპროექტო გუნდში გამოიმუშავეთ პროექტის განრიგის დაცვაზე პასუხისმგებლობის კულტურა, შეიმუშავეთ რა ამოცანების დასრულების მკაფიო და გასაგებ კრიტერიუმებს. პროექტის თითოეულ შემსრულებელს ჩააგონეთ, რომ განრიგიდან უმნიშვნელო ჩამორჩენაც კი სრულიად მიუღებელია. პროექტის ყველა შემსრულებელს გამოუმუშავეთ პირადი დაინტერესებულობა მის წარმატებულ შესრულებასა და პოზიტიურ დამოკიდებულებაში საკუთარი სამუშაოსადმი, აღნიშნავთ რა თქვენი ხელქვეითების შედარებით მცირე მიღწევებსაც კი დასახული მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

სიტუაცია 4. როდესაც პროექტის განხორციელება ჭიანურდება კლიმატის მიზანით

ეყრდნობით რა მუშაობის საგულდაგულოდ მოფიქრებულ შინაარსსა და პროექტის საიმედო გეგმას, თქვენ, თქვენს საპროექტო გუნდთან ერთად შეუპოვრად მიიწევთ დასახული მიზნისაკენ, მკაცრად იცავთ რა პროექტის განრიგს. თუმცა, დროთა განმავლობაში თქვენ ამჩნევთ ჩამორჩენას პროექტის განრიგიდან, თუნდაც ეს ჩამორჩენა ხდება კლიმატის (პროექტის შემკვეთის) მიზეზით.

როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ ჩამორჩენა პროექტის განრიგიდან, თუ ამ შეფერხებების მიზეზი კლიმატია?

გამოიყენეთ ამისათვის შემდეგი რეკომენდაციები:

- **ქსელური დიაგრამა.** უპირველეს ყოვლისა, ეცადეთ, იპოვოთ სხვა ამოცანები, რომლებზეც შეიძლება გადაერთოს თქვენი საპროექტო გუნდი. ქსელური დიაგრამა გიკარნახებთ, თუ რომელი ამოცანების შესრულებაზე შეგიძლიათ გადართოთ თქვენი ხელქვეითები მანამ, სანამ კლიმატი აღმოფხვრის მისგან გამოწვეულ ჩამორჩენას პროექტის შესრულების განრიგიდან. გარდა ამისა, ქსელური დიაგრამა წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც შეიძლება შევაფასოთ დაშვებული განრიგიდან კლიმატის მიზეზით ჩამორჩენის შედეგები. არის თუ არა ამოცანა, რომელზეც მუშაობს კლიმატი პროექტის კრიტიკულ გზაზე? თუ – არა, მაშინ როგორია ამ ამოცანის დროის რეზერვი? გამოიყენეთ ქსელური დიაგრამა იმისათვის, რომ აჩვენოთ კლიმატის გავლენა პროექტის განრიგზე;
- **ცვლილებების მართვა.** განსაზღვრეთ პროექტის შესრულებაში შეფერხების გავლენა ამ პროექტის ღირებულებასა და განრიგზე. მაშინაც კი, თუ კლიმატის მიერ შესასრულებელი ამოცანა არ იმყოფება პროექტის კრიტიკულ

გზაზე, თქვენი გეგმის შეცვლას შეიძლება დამატებითი ხარჯები მოჰყენს. მოახდინეთ პროექტის შესრულებაში შეფერხების მიზეზის, აგრეთვე, ამ პროექტის ღირებულებასა და განრიგზე მისი გავლენის დოკუმენტირება და რაც შეიძლება სწრაფად მაქცევინეთ კლიენტს ყურადღება ამ ინფორმაციაზე. თქვენ შეგიძლიათ ასახოთ მოულოდნელი შეფერხება პროექტის გეგმაში, შეავსებთ რა პროექტის სამუშაოების იერარქიულ სტრუქტურას კიდევ ერთი ამოცანით, რომელსაც ეწოდება, მაგალითად, ასე: „შეფერხება, რომელიც გამოწვეულია....“. გარდა ამისა, ეს შეფერხება უნდა აისახოს ქსელურ დიაგრამაში. თუ ეს შეფერხება გარკვეული დროით უმუშევრად ტოვებს თქვენი საპროექტო გუნდის რომელიმე წევრს, მაშინ ღირს მისი სამუშაო დრო მივმართოთ ამ „ამოცანა-შეფერხებაზე“. კლიენტის იძულება – განრიგთან შესაბამისობაში მოიყვანოს თავისი ამოცანების შესრულება, შეიძლება მხოლოდ მასთან კარგი ურთიერთობების მეშვეობით. ამასთან, ზემოთ აღწერილი ზომები მისთვის არაორაზროვანი მითითება იქნება იმაზე, რომ თქვენ (აგრეთვე, ყველა დანარჩენ დაინტერესებულ მხარეს) შესანიშნავად გესმით ამ შეფერხების ნამდვილი მიზეზი.

სიტუაცია 5. განუხორციელებელი ოცნება: **არარეალისტური პროექტის შესრულება**

თქვენ მივითოთეთ პროექტის დასრულების სრულიად არარგალური ვადები და პროექტის ბიუჯეტი. როდესაც თქვენ შეეცადეთ აგებსნათ ეს თქვენი ფირმის უმაღლესი ხელმძღვანელობისთვის, მათ დაიწყეს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ეს პროექტი უნდა შესრულდეს რადაც არ უნდა დაგიჯდეთ.

ასეთი სიტუაციის დასაძლევად გამოიყენეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- **სამუშაოს შინაარსი.** პროექტის დანიშნულება, შინაარსი, შეულებური და საბოლოო შედეგები ძალზე მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული. დარწმუნდით იმაში, რომ მოცემული პროექტის შინაარსი, შეულებური და საბოლოო შედეგები, მართლაც, აუცილებელია პროექტის მიზნის მისაღწევად. შექმნით ამომწურავი წარმოდგენა სანქციების შესახებ, რომლებიც მოსალოდნელია წარმომშვას თქვენი განრიგის დაუცველობის ან პროექტის ბიუჯეტის გადამეტების შემთხვევაში;
- **პროექტის გვამი.** ითვალისწინებთ რა თქვენი ფირმის უმაღლესი ხელმძღვანელობის სურვილს – გააკეთოს ყველაფერი შესაძლებელი და შეუძლებელიც კი ამ პროექტის წარმატებული შესრულებისთვის, შეიმუშავეთ, სულ მცირე, სამი ვარიანტი იმისა, თუ რა შეიძლება გაკეთდეს სინამდვილეში. თქვენ უნდა შეძლოთ ფირმის ხელმძღვანელობისთვის შესაძლო კომპრომისების დემონსტრირება, რომლებზეც მოგიხდებათ წასვლა ამ პროექტის შესრულებისას. შემდეგ ურჩიეთ მათ ვარიანტი, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად შესაბამება მათ წარმოდგენებს დანახარჯებზე, განრიგსა და საბოლოო პროდუქტს შორის ბალანსის თაობაზე. ქსელური დიაგრამისა და რესურსების განაწილების ელექტრონული ცხრილის გამოყენებით ივარაუდეთ საპროექტო გუნდის წევრების მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც დაგჭირდებათ ამ პროექტის შესრულებისას. შემდეგ დაფიქრდით იმაზე, თუ რა შესწორებები შეიძლება შევიდეს პროექტის განრიგში, რათა მიაღწიოთ დანახარჯების მაქსიმალურ შემცირებას;
- **რისკების მართვა.** რადგან ეს პროექტი დაკავშირებულია რისკებთან, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს პროექტის ბიუჯეტზე და/ან განრიგზე, ამიტომ უნდა შეაფასოთ რისკის ხარისხი როგორც ზედა, ისე ქვედა

(დეტალურ) დონეზე და შეეცადოთ მოძებნოთ „საშიში წერტილები“. შემდეგ შეიძლება ზომების მიღება რისკის შესასუსტებლად, ახალი რისკების მუდმივი აღმოჩენისა და გამოვლენის ჩათვლით;

- **ანგარიშებია პროექტის შესრულების მსვლელობის შესახებ.** თუ თქვენ ცდილობთ განრიგის დაცვას, რომელიც არარეალურად მიგაჩნიათ, მაშინ შეეცადეთ, გავლენა მოახდინოთ ყველა დაინტერესებული მხარის მოლოდინზე. ყოველ ანგარიშში პროექტის შესრულების მსვლელობის შესახებ ხაზი გაუსვით იმას, თუ რა წარმოუდგენელ ძალისხმევას იყენებს თქვენი კოლექტივი იმისათვის, რომ მიაღწიოს დასახულ მიზნებს და მიუთითოთ, თუ როგორია თქვენი რეალური მიღწევები. განუწყვეტლივ გაიმეორეთ ის, რომ იმ შემთხვევაში, თუ ახლანდელი მიღწევები ასახავენ თქვენს მომავალ პროგრესს პროექტის შესრულებაში, მაშინ ფაქტობრივი დანახარჯები და განრიგის შესრულება შორს იქნება დაგეგმილი მაჩვენებლებისაგან. შესაძლებელია, თავდაპირველად თქვენ არ დაგიჯერონ, მაგრამ ფაქტობრივი მასალის დაგროვების კვალობაზე იმის შესახებ, რომ პროექტის წინაშე დაყენებული იყო არარეალური ამოცანები (და რომ საქმე სულაც არა ამ პროექტის არასწორ მართვაშია), მათ ადრე თუ გვიან მოუხდებათ თქვენი დასკვნების გაზიარება.

სიტუაცია 6. საზოგადოებრივი (ნებაყოვლობით) საჭყისებზე მომუშავე შემსრულებლების მართვა

თქვენ სათავეში უდგანართ პროექტს, რომელიც წორცულდება არაკომერციულ ორგანიზაციაში. ყველა აღიარებს თქვენს ლიდერულ როლს ამ პროექტში. მაგრამ თქვენ გიხდებათ პროექტის ყველა მიზნის მიღწევა სიტუაციაში, როდესაც არ გაგაჩნიათ რე-

ალური, ფორმალური ძალაუფლება საპროექტო გუნდის არც ერთ წევრზე.

როგორ უნდა მოიქცეთ ასეთ შემთხვევაში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გაითვალისწინეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- **სამუშაოს შინაარსი.** საპროექტო გუნდის წევრებში აღმართ ენთუზიაზმი და ჩამოყალიბებით მათ ერთიანი წარმოდგენა მომავალი პროექტის შესახებ, გაამახვილებთ რა მათ ყურადღებას პროექტის მიზნებსა და შედეგებზე. საერთო მიზანი უზრუნველყოფს კოლექტივის ემოციურ დარაზმულობას, ხოლო მომავალი პროექტის შესრულების შედეგებზე კონცენტრირება საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ამ პროექტის შინაარსი. როდესაც საუბარია ნებაყოვლობით საფუძველზე შესასრულებელი პროექტის შესახებ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროექტის შინაარსის კონტროლირება, რადგან ასეთ შემთხვევებში ძალზე რთულია შემსრულებელთა დათანხმება – დამატებითი დრო დაუთმოს პროექტს;
- **მოცულობით მცირე ამოცანები დასრულების მკაფიო კრიტერიუმებით.** იზრუნეთ იმაზე, რომ პროექტის თითოეულმა შემსრულებელმა შეძლოს საკმაოდ სწრაფად მიაღწიოს საგრძნობ შედეგებს თავის მუშაობაში, აძლევთ რა თითოეულ შემსრულებელს მოქმედებათა მკაფიო მიმართულებას და ზღუდავთ რა მის წინაშე დასახული ამოცანის ფარგლებიდან გამოსვლის შესაძლებლობებს;
- **პროექტის გეგმა.** თქვენ უნდა მოახდინოთ ზღვრული ორგანიზებულობის დემონსტრირება და არასოდეს არ დაივიწყოთ თქვენი პროექტის კრიტიკული გზის შესახებ, აგრეთვე, იმ ამოცანების დროებრივი რეზერვების შესახებ, რომლებიც არ იმყოფება კრიტიკულ გზაზე. ადამიანებს შეიძლება „გული აუცრუვდეთ“ უკვე პროექტის შეს-

რულების საწყის სტადიებზე, თუ დროდადრო არ შეახსნებთ მათ წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების ვადების შესახებ. პროექტის ნებაყოფლობითი შემსრულებლები, როგორც წესი, ძალზე დასაქმებული ადამიანები არიან, ამიტომ თქვენ მოგიხდებათ რესურსების გარკვეული ანალიზის გაკეთება. ასეთი ანალიზის გარეშე თქვენს განკარგულებაში შეიძლება დარჩეს მხოლოდ რამდენიმე ადამიანი, რომელიც შეეცდებიან „ყველაფრის ერთბაშად“ შესრულებას;

- **კომუნიკაციური გეგმა.** შეიმუშავეთ პროექტის თითოეულ შემსრულებელთან კონტაქტების შენარჩუნების ისეთი მეთოდი, რომელიც დიდ ძალისხმევას ან თათბირების ხშირ ჩატარებას არ მოითხოვს. შეზღუდული დრო, რომელიც შეიძლება დაუთმონ თქვენს პროექტს მოხალისე შემსრულებლებმა, უნდა იხარჯებოდეს კონკრეტული ამოცანების შესრულებაზე და არა თათბირების ჩატარებაზე;
- **პროექტის შესრულების მსვლელობისადმი მიძღვნილი თათბირები.** პროექტის შესრულების მსვლელობის რეგულარული შემოწმებები საშუალებას გვაძლევენ მკაფიოდ ვაკონტროლოთ სიტუაცია, ხოლო პროექტის შესრულების მსვლელობისადმი მიძღვნილი პერიოდული თათბირები შესაძლებლობას გვაძლევს – დავმუხტოთ შემსრულებლები დამატებითი ენერგიით, მოვაწესრიგოთ ურთიერთობები მათ შორის და მივიღოთ საჭირო გადაწყვეტილებები. აღნიშნეთ თითოეული მიღწეული წარმატება. გამოიყენეთ თათბირების მართვის შემოწმებული მეთოდიკა მათი პროდუქტიულობის ასამაღლებლად, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დაესწრებიან ადამიანები ამ თათბირებს.

* * *

პროექტების მართვის ხელოვნება მდგომარეობს პრაქტიკაში პროექტების მართვის მეცნიერების თეორიულ დებულებათა გამოყენებაში. შეიარაღდებით რა პროექტების მართვის ინსტრუმენტული ბაზით, რომლის საშუალებითაც შეიძლება პროექტების განსაზღვრა, დაგეგმვა და კონტროლირება, თქვენ უზრუნველყოფთ საკუთარ არსენალს წარმატებული პროექტებისათვის აუცილებელი კომპონენტებით. ამასთან, არ უნდა დაგვავიწდეს, რომ ეს ინსტრუმენტები მათი პრაქტიკული გამოყენების მეშვეობით იხვეწება.

პრაქტიკაში პროექტების მართვის ხელოვნების გამოყენება იწყება არა მარტო პროექტების მართვის მეცნიერების ათვისებიდან, არამედ პროექტების მართვის მეთოდების პრაქტიკული სარგებლიანობის რწმენიდან.

პროექტების მართვა არ არის მარტივი სამუშაო. ის მოითხოვს პროექტების დამწევები ხელმძღვანელისაგან მიზანსწრაფულობასა და რწმენას მის ეფექტურობაში.

თქვენ უსათუოდ წააწყდებით წინააღმდეგობას იმ ადამიანების მხრიდან, რომლებსაც ისეთი მნიშვნელოვანი სტადიების შესრულება, როგორიცაა პროექტის განსაზღვრა, დაგეგმვა და კონტროლი, დროის ფუჭ კარგვად მიაჩნიათ. ეს ადამიანები ეჭვქვეშ დაყენებენ თქვენს სიმტკიცეს, რაც არ იქნება თქვენთვის ადვილი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ასეთი სკეპტიკოსი თქვენი უფროსი ან შემკვეთია. როგორი შეუპოვარიც არ უნდა იყოს გარშემოყოფთა წინააღმდეგობა, თქვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკარგოთ პროექტების მართვის მეცნიერების რწმენა და მტკიცედ უნდა ასრულებდეთ მის დებულებებს რეალურ პრაქტიკაში. საბოლოო ჯამში, ეს აუცილებლად მოვიტანთ წარმატებას და პროექტების პროფესიონალი ხელმძღვანელის რეპუციას.

საკითხები თვითშემოწმებისა
და გამორჩევისათვის

ინდივიდუალურად, წყვილებში ან გუნდებში განიხილეთ შემდეგი
თემატიკა:

1. პასუხისმგებლობა ხელმძღვანელის უფლებამოსილებების ფარგლებს გარეთ;
2. კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსავალი პროექტის ხელმძღვანელის გათავისუფლებისას;
3. პროექტის განხორციელების დროის შემცირება;
4. როდესაც პროექტის განხორციელება ჭიანურდება კლიენტის მიზეზით;
5. არარეალისტური პროექტის შესრულება;
6. ნებაყოფლობით საწყისებზე მომუშავე შემსრულებლების მართვა.

ლიტერატურა:

1. ვ. კაგაბაძე. ინვესტიციები და პროექტების მართვა. თბ., „მე-რიდიანი“, 2011.
2. გ. შიხაშვილი, კ. რუსიძე. პროექტების მენეჯმენტი. თბ., „მე-რიდიანი“, 2010.
3. გ. შიხაშვილი. სწავლების პროცესში სტუდენტური გუნდური პროექტების მომზადება-პრეზენტაციის მეთოდური ასპექტები. უკრ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2010, №2.
4. გ. შიხაშვილი. პროექტისა და მისი პერსონალის მენეჯმენტი (ლექციების კურსი). წიგნში: „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის მართვის საფუძვლები (სასწავლო-სამეცნიერო კრებული – ლექციების კურსი და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები). თბ., „რწმენა და საქმე“, 2009.
5. გ. შიხაშვილი. ეკონომიკური დისციპლინების სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები. თსუ სამეცნიერო შრომების კრებული. თბ., „ბარტონი“, 2009.
6. გ. შიხაშვილი. პროექტების მენეჯმენტი. უკრ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2008, №5.
7. გ. შიხაშვილი. ბიზნეს-ტრეინინგები პროექტების მეთოდის გამოყენებით. უკრ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2008, №5.
8. გ. შიხაშვილი. თანამედროვე მენეჯმენტის კორიფე – პ. ფ. დრაგერი (1909–2005). უკრ. „სოციალური ეკონომიკა“. 2007, №6.
9. გ. შიხაშვილი. მენეჯმენტის სწავლების მეთოდიკა აშშ-ს უნივერსიტეტებში. საერთაშორისო უურნალი „ამერიკის შესწავლის საკითხები“ (კრებული IV), თბ., თსუ, 2006.
10. გ. შიხაშვილი. ეკონომიკა და ბიზნეს-ტრეინინგი: ორგანიზაციის და მეთოდიკის ზოგიერთი ასპექტი. უკრ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, № 8, 2005.
11. გ. შიხაშვილი. მენეჯმენტის ქართულ-ინგლისურ-რუსული ლე-

- ქსიკონი. თბ., „ინოვაცია“, 2005.
12. გ. შიხაშვილი. ეკონომიკის სწავლების მეთოდება. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი. 2002, №71.
 13. ე. ბარათაშვილი, ლ. ქოქიაური. მენეჯმენტის პრინციპები. თბ., სტუ. 2010.
 14. გ. ქეშელაშვილი, ნ. ფარესაშვილი. პროექტების მართვა. თბ., „უნივერსალი“, 2009.
 15. ე. ბარათაშვილი. გ. ნაკაიძე და სხვ. პროექტის მენეჯმენტი. თბ., 2007.
 16. ნ. პაიჭაძე, თ. ხომერიკი, ბ. ხვინთელიანი, გ. შიხაშვილი. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., „ინოვაცია“, 2005.
 17. გ. ნაკაიძე, ე. ბარათაშვილი. საინვესტიციო პროექტის მენეჯმენტი (უცხოეთის გამოცდილება). თბ., „რუბიკონი“, 2001.
 18. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. რედ. ი. კუტალაძე. თბ., „არადანი“, 1999.
 19. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მასალები – 2009-2010.
 20. И.И. Мазур, В.Д. Шапиро, Н.Г. Ольдерогге, А.В. Полковников. Управление проектами. Москва, 2010.
 21. E. Verzuh. The fast Forvard MBA in Project Management. Wiley Publishing, Inc. 2005.
 22. Е. Верзух. Управление проектами: ускоренный курс по программе МВА. Пер. с англ. М.: «Вильямс», 2008.
 23. M. Newell. Project Management Professional. Third Edition. Amacom. New York, 2005.
 24. М. Ньюэлл. Управление проектами для профессионалов. Пер. с англ. 3-е издание. М.: Кудиц-Образ, 2006.
 25. D. Lock. The Essentials of Project Management. Gower, 1996.
 26. Д. Локк. Основы управления проектами. Пер. с англ. М.: НИРРО, 2004.
 27. F.Baguley. Project Management. Hodder Headline. London, 2003.
 28. Ф. Бегьюли. Управление проектом. М.: Гранд, 2004.
 29. S. Robbins, M. Coulter. Management. Pearson. Prentice Hall.2006.
 30. С. Роббинс, М. Коултер. Менеджмент. Пер. с англ. М.,“Вильямс”, 2007.
 31. www.pmi.org პროექტის მართვის საერთაშორისო ორგანიზაციის (Project Management Institute— PMI) ვებ-გვერდი.

შინაარსი

თავი 1. შესავალი მნიშვნელოს თეორიაში

1.1. მენეჯერები და მენეჯმენტის ფუნქციები	5
1.2. მენეჯერთა როლები	8
1.3. მართვის უნარ-ჩვევები	12
საკითხები თვითშემოწმებისა და გამეორებისათვის.....	17

თავი 2. პროექტების მართვა ცვალუბად სამყაროში

2.1. პროექტების მართვა – ახალი მნიშვნელოვანი სპეციალობა	18
2.2. ცვლილებათა მზარდი ტემპები და პროექტების მართვის ცოდნის მომგებიანობა	24
2.3. პროექტების მართვა: მეცნიერებით აღმოცენებული ხელოვნება	27
2.4. პროექტების მართვა მოხერხებულად ავსებს და განამტკიცებს სხვა ცოდნასა და უნარს.....	31
საკითხები თვითშემოწმებისა და გამეორებისათვის.....	34

თავი 3. სტაციონარული პროექტების მომზადება-პრეზენტაციის მეთოდიკა

3.1. სასწავლო გუნდური პროექტების არსი	35
3.2. სტუდენტური საპროექტო გუნდების შექმნა	41
3.3. სტუდენტური გუნდური პროექტის შემუშავება და საპრეზენტაციო გაფორმება	47
3.4. მოთხოვნები სტუდენტური გუნდური პროექტის საბოლოო პრეზენტაციისათვის	54
3.5. სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრების შექმნა უნივერსიტეტებში	56
საკითხები თვითშემოწმებისა და გამეორებისათვის.....	60

თავი 4. პროექტების მართვის საფუძვლები

4.1. პროექტების არსი	61
4.2. პროექტის პერსონალის მენეჯმენტი	63
4.3. პროექტების მართვის უმთავრესი მომენტები	68
საკითხები თვითშემოწმებისა და გამეორებისათვის.....	74

თავი 5. საპროექტო გარემო

5.1. პროექტები და მიმდინარე ოპერაციები	75
5.2. პროექტების მართვის მეცნიერების ამოცანები და ევოლუცია	78
5.3. პროექტის ხელმძღვანელის ზოგადმენეჯერულ- დარგობრივი პროფესიონალიზმი და პროექტის წარმატების წანამძღვრები	84
5.4. საპროექტო მენეჯმენტის ფუნქციები	87
5.5. პროექტისა და პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი	91
5.6. საპროექტო სამუშაოების ორგანიზაცია	98
5.7. ორგანიზაციული სტრუქტურა და პროექტის ხელმძღვანელი	104
საკითხები თვითშემოწმებისა და გამეორებისათვის.....	107

თავი 6. პროექტის მონაცილებები

6.1. პროექტის მონაწილეები – პროექტის წარმატებით შესრულების საწინდარი.....	109
6.2. პროექტის ხელმძღვანელი	111
6.3. საპროექტო გუნდი	113
6.4. ფირმის ხელმძღვანელობის საშუალო რგოლი	116
6.5. პროექტის სპონსორი	120
6.6. პროექტის შემკვეთი	124
საკითხები თვითშემოწმებისა და გამეორებისათვის.....	127

თავი 7. ტესმბის გემუშავება

7.1. პროექტის წესები – მისი საძირკველია	129
7.2. პროექტის წესდება	132
7.3. სამუშაოს შინაარსი	134
7.4. პასუხისმგებლობის მატრიცა	144
7.5. კომუნიკაციათა გეგმის შედგენა	151
საკითხები თვითშემოწმებისა და გამეორებისათვის.....	158

თავი 8. მაღალეფებიანი საპროექტო გუნდის მართვა

8.1. საპროექტო გუნდის ფორმირება	159
8.2. ქცევის ნორმები	171
8.3. კოლექტივის ინდივიდუალურობა და განუმეორებლობა.....	174
8.4. კოლეგების მოსმენის ხელოვნება	179
8.5. თათბირების ჩატარების მართვა	185
8.6. პრობლემების ანალიზი	189
8.7. გადაწყვეტილებათა მიღების ხერხები	193
8.8. კონფლიქტური სიტუაციების მართვა	201
8.9. უწყვეტი სწავლება.....	207
8.10. ტრეინინგების ორგანიზაცია და მეთოდიკა	211
საკითხები თვითშემოწმებისა და გამეორებისათვის.....	222

თავი 9. კომუნიკაციები და პროექტის დასრულება

9.1. კომუნიკაციები პროექტის შესრულების დროს	224
9.2. ორგანიზაციული შეკრება და პროექტის შესრულების მსვლელობისადმი მიძღვნილი თათბირები.....	228
9.3. პროექტის დასრულებაზე ანგარიშების შედგენა	233
საკითხები თვითშემოწმებისა და გამეორებისათვის.....	237

თავი 10. პროექტის ოფისის ორგანიზაცია

10.1. პროექტის ოფისის ცნება.....	239
----------------------------------	-----

10.2. დაპროექტების ძირითადი პრინციპები და პროექტის ოფი-	
სის შემადგენლობა.....	243

10.3. პროექტის ვირტუალური ოფისის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები.....	252
საკითხები თვითშემოწმებისა და გამეორებისათვის.....	261

თავი 11. თეორიული ცოდნის გამოყენება პრიკატულ პროგლობურ სიტუაციებში

სიტუაცია 1. პასუხისმგებლობა თქვენი უფლებამოსილებების ფარგლებს გარეთ	263
------------------------------------------------------------------------------	-----

სიტუაცია 2. კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსავალი პროექტის ხელმძღვანელის გათავისუფლებისას	265
--------------------------------------------------------------------------------------------------	-----

სიტუაცია 3. პროექტის განხორციელების დროის შემცირება.....	268
-------------------------------------------------------------	-----

სიტუაცია 4. როდესაც პროექტის განხორციელება ჭიანურდება კლიენტის მიზეზით	271
---------------------------------------------------------------------------------	-----

სიტუაცია 5. განუხორციელებელი ოცნება: არარეალისტური პროექტის შესრულება	272
--------------------------------------------------------------------------------	-----

სიტუაცია 6. საზოგადოებრივ (ნებაყოფლობით) საწყისებზე მომუშავე შემსრულებლების მართვა	274
---------------------------------------------------------------------------------------------	-----

საკითხები თვითშემოწმებისა და გამეორებისათვის.....	278
---------------------------------------------------	-----

ლიტერატურა	279
------------------	-----

CONTENTS

CHAPTER 1. INTRODUCTION TO THE THEORY OF MANAGEMENT

1.1. Managers and the functions of management	5
1.2. Roles of managers.....	8
1.3. Managerial skills.....	12
<i>The tasks for self-assessment and repetition</i>	17

CHAPTER 2. PROJECT MANAGEMENT IN THE CHANGEABLE WORLD

2.1 Project management - new important profession.....	18
2.2 Increasing temps of changes and benefits of the knowledge of project management.....	24
2.3 Project management: an art created by science	27
2.4. Project management fulfils conveniently and improves another knowledge and abilities.....	31
<i>The tasks for self-assessment and repetition.....</i>	34

CHAPTER 3. METHODS OF PREPARATION-PRESENTATION OF TEAM PROJECTS DURING THE TEACHING PROCESS

3.1 The sense of team projects	35
3.2 Creation of student's teams for projects	41
3.3 Preparation and presentation of student's team projects.....	47
3.4 Requirements for final presentation of student's team projects .	54
3.5 Creation of students centers for research and projects at the universitys.....	56
<i>The tasks for self-assessment and repetition.....</i>	60

CHAPTER 4. BASES OF PROJECT MANAGEMENT

4.1 Essence of projects.....	61
4.2 Project stuff management	63
4.3 The important moment of project management.....	68
<i>The tasks for self-assessment and repetition.....</i>	74

CHAPTER 5. PROJECT ENVIRONMENT

5.1 Projects and ongoing operations	75
5.2 The objectives and evolution of the project management science.....	78
5.3 General managerial-field professionalism of project manager and priors of project success	84
5.4 Functions of project management.....	87
5.5 Life circle of project and product.....	91
5.6 Organization of project works	98
5.7 Organizational structure and project manager	104
<i>The tasks for self-assessment and repetition.....</i>	107

CHAPTER 6. PROJECT MEMBERS

6.1 Project members - prerequisite for project success.....	109
6.2 Project manager	111
6.3 Project team	113
6.4 Middle team of company management.....	116
6.5 Project sponsor.....	120
6.6 Orderer of a project	124
<i>The tasks for self-assessment and repetition.....</i>	127

CHAPTER 7. DEVELOPING OF RULES

7.1 Rules - bases of project	129
7.2 Project charter	132
7.3 Context of work	134
7.4 Matrix of responsibility.....	144
7.5 Communication plan making.....	151
<i>The tasks for self-assessment and repetition.....</i>	158

CHAPTER 8. MANAGEMENT OF HIGHLY EFFECTIVE PROJECT TEAM

8.1 Forming of project team.....	159
8.2 Norms of behavior	171
8.3 Individualism and uniqueness of stuff.....	174
8.4 An art of listening to a colleague	179
8.5 Meeting holding management.....	185
8.6 Problem's analyze	189
8.7 Techniques of decision making	193
8.8 Managing conflicts.....	201
8.9 Uninterrupted teach.....	207
8.10 Methods and organization of trainings	211
<i>The tasks for self-assessment and repetition.....</i>	222

CHAPTER 9. COMMUNICATIONS AND THE END OF PROJECT

9.1 Communications during the project performance.....	224
9.2 Organizational meetings and conference of ongoing project performance	228
9.3 Making report about the end of project.....	233
<i>The tasks for self-assessment and repetition.....</i>	237

CHAPTER 10. ORGANIZATION OF PROJECT OFFICE

10.1 Project office concept.....	239
10.2 Bedrock principle of projecting and compound of project office	243
10.3 Bedrock principle of virtual project office organization.....	252
<i>The tasks for self-assessment and repetition.....</i>	261

CHAPTER 11. THE USE OF THEORETICAL KNOWLEDGE IN CONCRETE PROBLEMATIC SITUATIONS

Situation 1. Responsibility out of your authority	263
Situation 2. Solution for a critical situation when manager is fired ..	265
Situation 3. Time reduction of a project performance	268
Situation 4. When project performance is dragged by client's reason.....	271
Situation 5. Unrealized dream: performance of an unrealistic project.....	272
Situation 6. Management of volunteers	274
<i>The tasks for self-assessment and repetition.....</i>	278

LITERATURE

ავტორების შესახებ

მარინა გვდევანიშვილი – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი მენეჯმენტის სპეციალობაში.

გიორგი შიხაშვილი – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

ქახაბერ რუსიძე – გამომცემლობა „მერიდიანის“ დირექტორის მოადგილე, ეკონომისტი

გიორგი შიხაშვილი
მარინა გედევანიშვილი
კახაბერ რუსიძე

პრომეტების მიწოდები
სახელმძღვანელო

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2012

რედაქტორი ნელი ელიზბარაშვილი
ტექ. რედაქტორი თამარ სტეფაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
თბილისი, ჩარგლის ქ. №73

☎ 261-12-98

www.ciu.edu.ge

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: info@meridianpub.com ☎ 239-15-22